პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 91 — კვირა, 13 მარტი 1927 წ. — № 91

## სურათი წარსულიდან




ცალ ხელში მათრახი, მეორეში ბომბა;
მარჯვნივ — „ღვთის წყალობა“, მარცხნივ — „გრიშკას ძმობა“...
თავზე ბოთლი ვოტკით, ფეხქვეშ—მშრომელთ გმინვა;
სისხლით უყარს ხელი, გულში უდევს ყინვა...

# უწინ და ეხლა



გენერალი ძველი ბრწყინვალე და კოხტა
ყო მეფის მცველი მაგრამ ძირს გადმოხტა.




დღეს ქუჩაში ნახავთ მყიდის ის პაპიროსს
წარსულს ვერ იხილავს რაც უნდა იტიროს.

# ათი წლის თავზე

დავიბადე პროლეტარ გლეხის ოჯახში.

მამაჩემს 30 ქცევაზე მეტი მიწა არ ქონია. თუ არ მივიღებთ მხედველობაში ტყესა და საძოვრებს.

ზოგმა შეიძლება იფიქროს, სად პროლეტარი და სად 30 ქცევა სახნავი მიწაო, მაგრამ გასაკვირი აქ არაფერია ციმბირში და რუსეთის ზოგ ადგილებში გლეხს 30 ქცევა კი არა 30 დესეტინაზედაც მეტი აქვს.

ვცხოვრობდით გაჭირვებულად.

საწყალი მამაჩემი სულ იმას გაიძახოდა, ერთი 30 ქცევა მიწა კიდევ მომცა და მაშინ ამოვისუნთქავ თავისუფლადო.

სულ თავისუფლებაზე ფიქრობდა ცხონებული.

რევოლიუციონური სული დამყვა ბაბუაჩემიდან. სამღვდელოების უკიდურესი მოძულე კაცი იყო.

ქუდი რომ შეგეგდო ეკლესიაში არ შევიდოდა გამოსატანად. (აბა სცადეთ ეს რომელიმე ურწმუნოზე დღეს).

აი ასეთი მოწინავე პირი იყო ბაბუაჩემი, თუმცა სახარება ზეპირად იცოდა და ხშირად იმეორებდა მას სასოებით.

## მოწაფეობა

რევოლიუციონურ ბრძოლაში ჩავებით ჯერ კიდევ სკოლის სკამიდან.

ყველას ახსოვს თუ რა კონსერვატიულ ელემენტებისგან შედგებოდა მაშინ მასწავლებლობა.

მთელი ჩემი მოწაფეობა განუწყვეტელი და თავდადებული ბრძოლა იყო მათთან.

ეს იყო მიზეზი რომ მეტად ცუდათ ვსწავლობდი. ერთ მასწავლებელს ტერორის მიზნით რევოლვერიც კი ვესროლე ფანჯრიდან, მაგრამ საუბედუროდ ავაცილე.

შემდეგში ავმა ენებმა თქვეს, რომ ეს იმ ორის ბრალი იყო, რომელიც ამ მასწავლებელმა დამიწერა წინადღით.

ასე უნდობლობით უცქეროდენ მაშინ ტერორისტებს.

ჩემდა გასაკვირად, მასწავლებელს კრინტიც არ დაუძრავს მომხდარ ამბავზე, ისე დავაფრთხე.

ასეთ მოულოდნელ შედეგის შემდეგ ისე გამიტყდა გული, რომ სულ დავანებე თავი სწავლას და სამსახურის შოვნას შეუდექი.

## 1905 წ.

რევოლიუციის ქარბუქია.

ყელამდი ჩაფლული ვარ ბრძოლაში.

არჩეული ვარ ასისთავად.

კიდევ ცოტა და კისერს მოვუგრეხთ ნიკოლოზს.

ბარიკადების აგებას ვხელმძღვანელობ. განუწყვეტლივ მთელ მაზრაში პირველი კაცი ვარ.

არ დარჩენილა არც ერთი მაგიდა და სკამი, რომელზედაც კი არ ავსულიყავი და ერთი რიხიანად არ დამეძახა:

— ძირს ნიკოლოზი!..

— გაუმარჯოს ახალთაობას და სხვა...

## 1908 წ.

ახალთაობის ტალღამ ჩაილულის წყალსავით ჩაიარა, ყველაფერი ძველ კალაპოტში ჩადგა.

რეაქციამ საბოლოოდ გაიმარჯვა. გაჭირდა რევოლიუციონური მუშაობა.

მოვეკიდე ოჯახს. მიუხედავათ იმისა, რომ ოჯახზე დარდი მაწუხებს, არალეგალურ მუშაობას მაინც არ ვწყვეტ. ათასზე მეტი პროკლამაცია კი მექნება წაკითხული.

სამწუხაროდ ამას დღეს არავინ აფასებს.

დღეს სქელტანიან რევოლიუციონურ წიგნის დაწერა უფრო ადვილია, ვიდრე 1908-ში ერთი პროკლამაციის წაკითხვა იყო.

# „მემკვიდრის“ ტრაღედია ანუ „დიდი მთავარი“ კირილე




ათი წელია უცხოეთის ვარ მე ხიზანი...
ამაო არის ტახტზე ასვლის ცდა და მიზანი.
დღეს იქ ზეიმობს გამარჯვებით წითელი კრემლი,—
მე კი აქ თვალზე რუთ ჩამომდის მდუღარე ცრემლი.

# მოგონება

## მენშევიკების, მუსავატელების, და დაშნაკელების კეთილ მეზოგლოგის ისტორიიდან

### I

— ნათლიდედ, გეურქ პეტროვიჩი სახლში არის?

— ამ წამში გავიდა სახლიდან.

— ჩვენ კი იმის დასაჭერათ მოვედით!—სინანულის კილოთი წარმოსთქვა სახალხო გვარდიის ათისთავმა და თავის ხელქვეეით გვარდიელებს მიმართა:

— წავიდეთ რა გაეწყობა.

— რისთვის უნდა დაგეჭირათ ჩემი ქმარი! — გაკვირვებით შეეკითხა ათისთავს დიასახლისი:—ყაჩაღი ხომ არ არის, ან კაცის მკვლელი? მადლობა ღმერთს, შენ თვითონ უცხო არა ხარ და კარგად იცი, რომ გეურქას ცუდი საქმე არასოდეს ჩაუდენია და არც ჩაიდენს!

— შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ მთავრობის გადაწყვეტილება ასეთია და ჩემი ბრალი არ არის. მე იმას ვშვრები, რასაც შტაბი მიბრძანებს.

— მაინც, რაო, რას აბრალებენ ჩემს ქმარს?

გაგრძელება მე-4-ე გვერდზე

### 1 9 1 6 წ.

ორი წელია მძვინვარებს ომი.

რაღადროს რევოლიუციონური მუშაობაა.

ასე ვფიქრობ არა მარტო მე, არამედ ჩვენი პარტიის უდიდესი ნაწილი.

ძვირფასი სამშობლო—რუსეთი განსაცდელშია.

მტერი მოდგომია კარზე და შეჭმას უქადის.

ძირს გერმანია.

გაუმარჯოს რუსეთის ძლევამოსილ ჯარებს.

ბრძოლა გამარჯვებამდე.

უნდა ითქვას სიმართლე, რომ მშვენივრად მიხდება პრაპორჩიკის ფორმა.

ძალიან მიშველა ჩემმა ოთხმა კლასმა.

ამას წინად, იმ მასწავლებელს შევხედი და ცოტა შევახურე.

რომ ის არა, მე გიმნაზია გათავებული მექნებოდა, და ეხლა თუ პოლკოვნიკი არა პარუჩიკი მაინც ვიქნებოდი.

როდესაც ზოგიერთი პარტიული ამხანაგი მეუბნება, რატომ დაანებე მუშაობას თავიო, ასე უპასუხებ.

— მთავრობა ისედაც გასაჭირშია, სირცხვილია ეხლა შინაურ ბრძოლის ატეხა. ვიყოთ კეთილშობილი ბოლომდის და ნუ ჩავცემთ ლახვარს ზურგში. ჯერ დავამარცხოთ კარზე მომდგარი მტერი, ავიღოთ ბერლინი, სტამბოლი და მერე ვიბრძოლოთ რევოლიუციისთვის.

გამოვიდა ობლიგაციები „Заем победы“.

შევიძინე 5.000 მანეთის.

### 1917 წ.

შეერთებულ ძალებით ისე კოხტად ჩამოვაბრძანეთ ნიკოლოზი. რომ ერთი „კაპლი“ სისხლიც არ დაღვრილა.

რევოლიუციაც ასეთი უნდა.

კვლავ ჩავები რევოლიუციონურ მუშაობაში.

მალე არჩევნები იქნება დამფუძნებელ კრებაში და აგიტაციას ვეწევი ერთ ცნობილ სოციალისტურ პარტიის სასარგებლოდ.

ვინც გაიმარჯვებს არჩევნებში, მმართველობაც მის ხელში იქნება, ვინც უნდა იყოს ის, სულ ერთია.

ფრონტზე ცუდათ არის საქმე. სალდათები უკან მორბიან.

საჭირო ხდება ორნაირი აგიტაცია.

1—გაუმარჯოს სოციალიზმს.

2—ომი გამარჯვებამდე.

გამოვიდა ობლიგაციები „Заем свободы“.

შევიძინე 10.000 მანეთის.

ბედის წყალობით, კერენკები ბევრი მქონდა.

### 1920 წ.

ღმერთმა აღდეგრძელოს რევოლიუცია.

რომ იგი არა საქართველოს სათავეში არ გიქნებოდით ეხლა.

კერძოდ მე მიკავია მეტად პასუხის საგები ადგილი. სამხედრო საწყობები ჩემს ხელშია.

ჩემი ოჯახი აივსო დოვლათით.

ამბობენ, რევოლიუციის დროს კლასობრივი შუღლი მეტად ვითარდებაო. მეც ასე მგონია.

# პირველი ბომბა




— იმას, რომ სომეხია და სომხები ხომ ყველა ჩვენი მთავრობის მტრები არიან! არ გვისვენებენ, სომხის მთავრობამ აგერ მეექვსეჯერ გამოგვიცხადა ომი, რა არის ტფილისი ჩვენია, რადგან იქ ბევრი სომხები არიანო. და აი, სომხის მთავრობას რომ წაართვას ეს საბუთი—სომხების სიმრავლე ტფილისში,—ჩვენი მთავრობა აპირებს სომხების შემცირებას, თუ გადასახლებით, თუ დაპატიმრების საშუალებით... რაო, რას მიყურებ, ხათლიდედ, არ მოგწონს ჩვენი მთავრობის წინდახედულება?

—მეხი დაეცა თქვენცა და სომხების მთავრობასაც, რომ თავიანთ ტყავში ვერ ეტევიან და წარა-მარა აწიოკებენ ამ საწყალ ხალხს! შენ კი ჩემო ივანე, წადი და ასე მოახსენე, ი შტაფია თუ რიღაც ეშმაკი, რომ ჩვენ ქართველებთან ძუდამ სიამტკბილოთ გვიცხოვრია და ვიცხოვრებთ კიდეც. და თუ მაინცა და მაინც თავისას არ დაიშლიან და აგვაწიოკებენ, ისიც იცოდეთ, რომ მაგათი ბოლოც ჩქარა დადგება!

II

— Караман Гафриндишвили здесь живет?

— დიახ

— ახლა სახლში იყოს?

— ეს არის ახლა გავიდა სახლიდან!

— Блохо! А ми его резить пришли!

— რათა, რა დაგიშავაო!—ელდანაკრავსავით შეეკითხა ყარამანის ავადმყოფი მეუღლე აზერბეიჯანის ახრანკის აგენტს.

— როგორ თუ რა დაგიშავა! შენი ქმარი აზერბეიჯანში იმსახუროს, ჩვენი პური და ბრინჯი ჭამოს, ჩვენი თევზი ჭამოს, იქ კი ტფილისში ყორ-

მეზობლები ისეთ ძულვით შიყურებენ, როგორც მოსისხლე მტერს. რატომ შენ ჭამ და არა ჩვენო.

საკვირველი ხალხია.

გულის ამაჩუყებელი სურათი იყო,როდესაც ამის წინად სწორედ იმ მაგიდაზე ვდგებოდი საქადაგოდ, რომელზედაც 15 წლის უკან ვქადაგებდი.

აგიტაციის შინაარსი შემდეგია.

არც იქით, არც აქეთ.

(ე. ი. ორ ცეცხლ შუა, როგორც ჩვენი მტრები ამბობდენ მაშინ).

მუდმივი და საუკუნო ნეიტრალიტეტი.

ტრაპიზონი ჩვენია.

განჯა ჩვენია.

მეორე ინტერნაციონალი ჩვენია.

გაუმარჯოს სოციალიზმს.

**1923 წ.**

მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო.
ვადაბრუნდა ყველაფერი.
მე არ ვიგონებ წარსულ ორ წელს.
სოფელში მამაჩემს ჩამოართვეს მიწები.
ქალაქში მე ჩამომართვეს სახლები.
ამისთვის ვიბრძოდი მთელი ოცი წლის განმავლობაში?

**1927 წ.**

წარსულ კვირას, ოთხი წლის ზეკაცურ მოთმინების შემდეგ წამძლია სულმა და ზემოავჭალისაკენ ვქენი პირი.

მიუხედავად იმისა, რომ შესრულებულ მუშაობამ ძლიერ გამაკვირვა, მე პრინციპიალურად მაინც წინააღმდეგი ვარ ზაჰესის.

რას იზამთ, კაცია და გუნებაო.

თუმცა, რა განსხვავებაა, გინდა საბჭოთა ნაქთი გიხმარია და გინდა საბჭოთა ენერგია!.. **სინემატო.**

# პანაშვიდი



ათი წლის თავზე, მეფეს „წყნარს და მშვიდს“, ემიგრაცია უხდის პანაშვიდს...

დანიას მთავრობამ ვაინა გამოგვიცხადოს! ზადი, ზადი აქედან, თორემ ღმერთმანი ზაქათალა კი არა ქუთაისი წაგართოს ჩვენმა მთავრობამ ქართველებს! შენ მარტო ხომ არა გგონია საწყალი აზერბეიჯანი! ეგ არის სწორეთ! ოსმალეთი ვიცი, ხონთქარი ვიცი, ენვერ-ფაშა ვიცი! სულ ჩვენი დოსტები არის; ჩვენ მოგვეხმაროს და ტიფლისი ავიღოთ! მაშინ შენი ჟორდანიას ტირილი ნახოს, აბა!

— მერე ჩვენ რა შუაში ვართ, ჩვენ ვინ გვეკითხება ომის გამოცხადებას. ჩვენ ვმუშაობთ და ერთ ლუკმა პურს ვჭამთ!

— ერთი ლუკმა ცოტაა, რას გაგაძლობს, წადი გურჯისტანში და ორი ჭამე, ღვინოც დალიეთ! აქ კი აზერბეიჯანია, ვიცი?—ჩვენი პარტია მუსავატ ვიცი? ჩვენი კნიაზ ხან-ხოისკი ვიცი?

— Поидем штаб, завтра еще придем—მიმართა აგენტმა თავის ხელქვეითებს, ხანჯალზე ხელი გადაისვა, ქალს ეშმაკურათ ჩაუცინა და გზას გაუდგა.

III

ერევანში დიდი ფაცა-ფუცი იყო.

მთავრობის კაბინეთი შეკრებილი იყო ხატისოვის თავმჯდომარეობით და გაცხარებით მსჯელობდა საქართველოს მთავრობისთვის გასაგზავნ ნოტის შესახებ.

— ბატონებო, ზომიერება არ უნდა დავკარგოთ—ამბობდა ხატისოვი! მით უმეტეს, რომ ბორჩალოს მაზრა ასე იქნება თუ ისე, დენიკინი გაიმარჯვებს თუ ენვერ-ფაშა, მაინც ჩვენი იქნება და ჩვენი. მე შევეკითხე დიდი სახელმწიფოების ყველა მთავრობებს და ისინი პატიოსან სიტყვას იძლევიან, რომ ბორჩალოს საქართველოს ჩამოაცლიან და ჩვენ მოგვცემენ. მაშ, რაღაზე უნდა დავღვაროთ სისხლი, რაზე უნდა გავიღოთ მსხვერპლი?

მთავარ სარდალმა დრომ, რომელიც ტიკივით იყო გაბერილი და თავს ძლივს იკავებდა, გაარღვია მინისტრების წრე, დაჰკრა მუშტი მაგიდას და ყარამან ყათილივით წამოიძახა:

— Терпеть не могу таких трусов, как наш уважаемый минмстр господин Хатисов! მე ჯარისკაცი ვარ, თქვენი დიპლომატიის არაფერი გამეგება და თუ 24 საათში ქართველების ჯარი არ დასცლის ბორჩალოს, я моментально наступаю на Тифжис, беру его, беру Кутаис, беру Батум, беру Душет и Ортачалы.

მთავარსარდლის კატეგორიულმა განცხადებამ სათანადო გავლენა მოახდინა მთავრობის წევრებზე. ნახევარი საათის შემდეგ გარეშე საქმეთა მინისტრმა ასეთი ნოტა გამოაცხო:

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას:

„მიუხედავათ იმისა, რომ ჩემი მთავრობის სახელით მრავალჯერ მოგეცით წინადადება—დაგვცალეთ ბორჩალოს მაზრა, რომელიც სომხეთის იმპერიის განუყრელ ნაწილს წარმოადგენს, როგორც ისტორიულათ, ისე გეოგრაფიულათ, როგორც ეკონომიურათ, ისე იურიდიულათ, როგორც



აქ საზეიმო დღეა დიადი;
დროშის ფრიალი, და განთიადი...

სტრატეგიულათ, ისე დიპლომატიურათ და სხვა და სხვა... წინადადებას გაძლევთ 24 საათის განმავლობაში გაიყვანოთ იქიდან თქვენი ჯარები. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი მხედრობა მიიღებს ბრძანებას იარაღით ხელში დაიცვას დიდი სომხეთის სახელი და მიწა-წყალი. მინისტრი №№.

როცა ჟორდანიის მთავრობამ ასეთი შინაარსის ნოტა მიიღო, მინისტრები კინაღამ სიცილით მოკვდენ.

— Ну и дурак это Александр Иванович!—ამბობდა ერთ-ერთი მინისტრი. ნუ თუ იმ უგნურმა არ იცის, რომ ჩვენ გვყავს სამაგალითო მოწყობილი ჯარი, გვარდია, აუარებელი აფიცრობა, გენერლობა, რომ საქართველოს დემოკრატია როგორც ერთი კაცი ისე დადგება ფეხზე საქართველოს დასაცველათ!

რა მოგახსენოთ, იცოდა თუ არა ყველაფერი ეს სომხეთის დემოკრატიულმა მთავრობამ, ან ხატისოვი მართა დურაკი იყო თუ დურაკის ნათლია. ის კი ვიცით, რომ მაშინდელი სომხეთისა და საქართველოს ჯარები დიდხანს ებრძოდენ ერთმანეთს იმ ერთი ციცქნა მიწისთვის, რომელზედაც დღეს ამიერკავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკაში შეკავშირებულნი ასე ძმურათ, მეგობრულათ ცხოვრობენ და შრომობენ სომხებიცა და ქართველებიც.

აზერბეიჯანის მხრიდანაც გადმოლახეს საზღვრები მუსავატებმა და ვინ იცის როგორ გათავდებოდა საქმე, რომ ჩქარა აზერბეიჯანში არ გაემარჯვა მუშათა კლასს და რომ საბჭოთა წყობილება არ დამყარებულიყო იქ.

მუსავატელი აფიცრები, ყოველ შემთხვევაში, ამხნევებდენ თავიანთ ჯარში ჩაწერილ რუსის თეთრგვარდიელებს: На Тифлис идем, резать будем, гулять будем...

**კოლონა.**

# მელიქას „ნათქომები“

— გაიგე? დღეს ნიკოლოზის ჩამოგდების პრაზნიკიაო... ჰაიგიდი აბასთუმან! ამ ათი წლის წინათა იმის მეზენიკებზე სობოროს ზარებს ვამტვრევდით, ბოჟე ცარი სახრანის სიმღერით ყანყრატოს ვიხეთქავდით და ეხლა კი, იმის პამიატზე ის ემესა ვშვრებით, ზარბუზანა ვაკეთებთ რაღა, იმის გაგდებას ვპრაზდნიკობთ.

მახლაზ, ყისმათი თევზის ზურგზე შამჯდარი იზმენჩივი რამეა: დღეს მაღლა ჰერქნებით აგწევს, ქვეყნის თავზე კუკნუწივით წამოგსვამს,—ხვალ კი პუპუზ, თევზი კუდს მიაქნევს და ზღართ!—ძირამდე ისე დაგცემს, რომა კუკუზნაკი ვეღარ აიღო მააშ!..

ამ ნიკოლოზსა და იმის სტროი-პარიატკსაც ისე მოუვიდა რაღა, ჯერ ოქოს ტახტიდან—ნეხვის მეშოკივით გადმააგდეს, მერე კი თავის ქულფათ-ნასლედინკებით დახვრიტეს და ცოფიან მგლებსა ზაკუსკათ გადაუყარეს, ასმა ამათ ხალხის სისხლი უქამიათო და მიწა ცოდოა, რომ ამ რაზმონიკების ხორცით იმას ასკარბიტი უყოთო. ვა, რა უჯიგრო ხალხია რაღა ეს ბუბერაზები, ასე სტროგათ როგორ იქნება მოქცევა, ახარ ხემწიფეა, ვირისთავი ხომ არ არი?

აი, კუპრის ნათელი დაადგეს იმ საიქიოს, როგორც იმან ჩვენც დაგვთარსა, ჩვენი შნო და ლაზათი, ჩვენი დახლის ბარაქა თან გაიყოლა, ჩვენი ჰამქრის ცოდვით ქვეყანა აავსო და ამათ ხელში ჩაგვაგდო! ეე, ხუმრობაა? ათი

წელიწადია გარადოვი აღარ დამინახია, ექვსი წელიწადია ამ რაბოჩი სალხის ხელში ჩავვარდნილვართ, კამუნისტების ვლასტი მოგვსლია რაღა და ახალ პარიადკებითა ვცხოვრობთ.

ვცხოვრობთ? რის ცხოვრება,რის ბოზბაში?კი არ ვცხოვრობთ, ვაინაჩრობით ვცოცხლობთ რაღა და უყურებთ, თუ რა თაფლის დრო დაუდგათ ამ ტილა მუშებსა და გაგრია გლეხებსა: დოირანი მაგათია,ქვეყნის პატრონები ეგენი არიან, ყველაფერი მაგათთვის კეთდება, რაც ჩვენ მოვიგეთ, მაგათ წაიღეს, სახლები და მამულები მაგათ ჩამოგვართვეს, დვარცები მაგათია, პრავიტელსტვა მაგათია, სტრაიტელსტვა მაგათია, ხაზეინები ეგენი არიან, ვაჭრობა რა არი, ვაჭრობა, ამ სოვდაგარ ხალხსა ვაჭრობაზეც ხელი აგვალებინეს და ლამის მთელი ქვეყანა ერთ დიდ ეოკოპათ აქციონ! ერთი სიტყვით—ქვაც მაგათია და კაკალიც!.. ასმა ჩვენი დიქტა—ტურაარ! აი, დიდმა ტურამ შაჭამოს ეგენი!

ჩვენ კი ჰარიფათ შავყურებთ და ბრაზისგნით გული კოლოტივით გვებერება!

მაშ ეს ცხოვრებაა მაგათ ხელში? ამას შნო და ლაზათი აქვს? ამას წინათ კურკა-მიკიჩამ ამისთანა ცხოვრებაზე ერთი ასტრაუმნათ ისუმრა: ამ ზაპასნოვი რეგისტრიციის გამო წლოვანებაზე ჩამოვარდა ლაპარაკი და ვებნები:— კურკა-მიკიჩ, გუშინ შენი მენენიკი ყოფილა, რამტოლი წლისა ხარ?

— სამოცდა ხუთისაო!

— ვა, ყურუმსაღ, სტარი დევა ხომ არა ხარ, რას მიმალავ? შენი გოდ-რაჟდენია მე კარგად მახსომს, სწორედ შენი დაბადების დღესა დიდი იავლენიები მოხდა: ჩვენმა ვირმა ტყუპი მუტრუკი მაიგო და ჰამაც კამეტამ კასპის ზღვაში კუდი დაარტყა მეთქი, იმას აქეთ სამოცდა თერთმეტი წელიწადია მეთქი.

— თარიღი სწორია ჰამა, ექვსი წელიწადი სკიტკა უნდა ჰქნაო.

— რათა?

— იმიტომ, რომაო, ექვსი წელიწადია, რაც რომ ბალშევიკების ხელში ვცხოვრობთო და ეს რა ცხოვრებაა. მე მიორტვათა ვცოცხლოფო.

ვიცინეთ.. ჰარაკი რამეა ეგ ბეშურაზი, ძალიან შუტლივი ხუმრობა იცის, ჰამა მართალია, ტოჩი-ტოჩია: ეხლა ცხოვრება მუშებისა და გლეხებისაა,—ჩვენ, ტერტერები, კნიაზები და ძველი ჩინოვნიკები კი წაგებულ კარტის ქაღალდივით გადაყრილი ვართ.

აფსუს! ნიკალაის დრო, მაშინდელი შნო და ლაზათი, მაშინდელი პაჩოტი და პატივი, ქონება და მარიფათი, მოგება, დუქნები, ფაბრიკები რამე! ჩემი ცოლი რიფსიკა ისე მორთული დამყავდა, რომა სულ ნანიტოჩკათ ვაცმევდი, იმ ჩოფურა სახეზე ბათქაშებს იკეთებდა და ზედ სულ გრანიცის დუხებს ისხამდა; ისეთი სუნი უდიოდა, რომა, როცა მოვდიოდით, სულ ტროტროს აყროლებდა ხოლმე გრანიცის ზაპახისგნითა...

ერთხელ კი ამ დუხის გამო დიდი ასკარბლენია უყვეს ქუჩაში რიფსიკას: იმ ფეხმოსატეხ ნიკალაის ჩამოსვლის დროს იყო, ამ ვაენის დროსა რაღა. ქუჩაში ბერეკასავით დაჰყავდათ და მთელი ქალაქი „ურას“ეძახდა,—მე და რიფსიკაც წაველით. დვარცოვი ქუჩაზე უნდა გემეევლო ხემწიფესა, მთელი ქალაქი მანდ მოგროვილიყო და ერთმანეთს ისე აწვებოდენ, რომა რიფსიკას სულ ტურნურის პადუშკები დაუშალეს.

დვარცოვზე ჰაკარაკათ, დვარიანცკი საბრანიას ქართული—პატრიოტნი ლუმინაცია გეეკეთებინა და დიდი ასოებით ეწერა:

„ღმერთო იპარე მეფეო“.

რიფსიკა კითხულობს და თან მებნება:

— ნახე მელიქ, აი, როგორ გლუბოკი ქართულია, ტოჩი-ტოჩ კარაბადინის სიტყვებსა ჰგავსო!

მეც თათრულ ქოშივით ავყევი და მაღლა უყურებთ. თურმე ტროტროს გადავცდით და შუა ქუჩისკენ მივდივართ. ერთიც ვნახოთ, ვიღამაც ყურის ძირში მაგარი მუშტი გამითხლაშუნა და თანაც ჯიგრიანი რუსული გინება მამაყოლა. შავხედე გარადოვია.

— კუდი პრიოშ, ბუნტოვჩიკ, პადლეც, იდი. ჩორთუ მატერიო!

გავიქეცით ჰამა, აკალოშნიკების მთელი ბატალიონი მოგცვივდა. მე რიფსიკას მოვეფარე და იმას დაუწყეს ყვირილი. ბოლოს, ერთი მაღალი, პროხორა აკალოშნიკი იყო, ცხვირა ანგლისკი წიწაკას მიუგავდა, მუხლის კვერი მოკაკვა და ისეთი ამოჰკრა ამ რიფსიკასა, რომ სულ ბოქვენი ჩაუნგრია. თან ებნება:

— ახტი მერზავკა, ტი პადაზრიტელნი ჟენშჩინა, ოსტიმ დუხომ ვანიაიშ-ო.

მე ძალიან შემეშინდა, ბუნტოვჩიკი რო თქო, ჰამა, მაინც ვერ მოვითმინე და ბრაზიანი სიცილით ვებნები:



— ვაში სიატელსტვა, ვი ეტო სურიოზნა დელაიშ?

— ვპალნე სურიოზნა, შტო ტი ხოჩიშ ასიოლ?

მე გული გამისქდა, ჩესტი გაუკეთე და ვებნები:

— დიდი მადლობელი ვარ, ვაში სიატელსტვა, რომა ჩემ ცოლს სურიოზნათ ექცევი მეთქი, მაგან სურიოზნი დედაკაცია, და ხუმრობა არ უყვარს მეთქი. როცა იარმურკაში ჩამოარო, პაჩოტი დამდე და ჩემ დუქანში შამობრძანდი, კარგ ქაშნიკს მოგართმევ მეთქი. ესიამოვნა და გაგვიშო, თორე ვინ იცის, ხათაში ჩავვარდნილიყავით!..

სწორედ მაშინ, ამ ბეშურაზმა რიფსიკამ ძალიან ფინთათ დასწყევლა ნიკოლოზი, იმის გულისთვის ამამკრა მუხლი აკალოშნიკმაო. ძალიან ფინთი წყევლა იცის, მამენტალნათ უსრულდება ხოლმე ყველასა!

ის იყო და ის: ნიკალაიმ ველარ იხეირა. ომში სულ პარაჟენია მოსდიოდა და აქაც ბუნტი ვარდებოდა,—სემნაციტი გოდაში კი პუპუზ! მთელი იმისი სამადერჯავია, ქაფურივით გააქრეს!..

მახლაზ, არც ჩემი ჰამქარი ჩავარდა დოირანში: რევოლიუციონმა ბალშევიკებმა გაიმარჯვეს, ხალხი განთავისუფლდა, ჩვენც... ეჰ, ჩვენ გავნთავისუფლდით ძველი იმენიებისაგან, ფაფრიკებისაგან, მამულებისაგან და ყველაფერი მუშა ხალხს გადაეცა.

ახალი სტროი დადგა, ახალი ქვეყანა გაჩნდა და რაც დამიკარგია იმას ვინ ჩივის?—მელიქ, თუ ჰკვა გაქვს, მალე მოკვდი, თორემ ხოჯივანქის სასაფლაოც დაგეკარგებაო ამობენ თუო, ამ ბალშევიკებმა რაღაც კლიმატორია უნდა გაალონო და მკვდრები უნდა დაწვანო. ეს ალბათ მკვდრების კოოპერატია იქნება!

არა ძმაოჯან,. კანც ნუ დამწვავენ და რაც წაუღიათ, თოლ ჰალალი იყო, ხემწიფის მოსპობაც ღმერთმა შაარგოთ, ჰუზურში, სულქვეშ რო ვთქვათ, ამით მაგათ დიდი საქმე გააკეთეს, ხალხი ძაან ბლაღადარნია.

ფარსადან.

# მოჩვენება წინა დღეებში



რევოლიუციის წინა დღეებში
ნიკლოზს მუდამ ელანდებოდა;
ლიუდოვიკი მას თანაგრძნობით,
რომ თითქოს ასე ეუბნებოდა:
— მე საფრანგეთის რევოლიუციამ;
თავი წარმკვეთა გილიოტინით:
შენც იგივ გელის, თუმც გვიან მაგრამ,
ხულს დალევ მალე, მძიმე ხროტინით.

# გურული სცენა

გამარჯობა აფრასიონ! მომილოცავს ნიკოლოზის გადმოყინწისთავების ათი წლის თავი, მოი ერთი ჩამპრო'მლე!

— გაგიმარჯოს ჩემო ზევარიკავ! მომილოცავს შენდაც. გახსოვ ბიჭო სკვერენსკი?

— მახსოვს, რავა არ მახსოვს, სკვარამში და ორლობეში ვნახე მისი თავი პაკაეხებული! ხომ გადაამუნძულეს რუ! ეთიდან, ახლა თურმე ქი აგდია თელ ევროპაში სასირცხოთ, ერთი სიტყვით მეიჯაყა კაკალი კაცი.

— ევროპიაში, ჩემო ზევარიკავ, იგი კაია ჩვენებიც ბეურია, მარა იგენს ცილან აქცევს ყურადღებას.

— არა, ყურადღებას რავა არ აქცევენ! ნოვოია რამიშვილს თურმე დიდი გავლენა ქონია. სულ ანტონობილით გულაობს თურმე ფრანცუცეპთან.

— ანტონობილით, ბიძიავ, ჩემი ზევასტიეც კი დაბრიგინობს, მარა მაგას რა ნიშნულობა აქ. ამ ჩვენ სოფელში გზაი არაა თვარა ჩემი ზევასტიე კაკალ კარზე მუაყენებს ანტონობილს...

— გახსოვს აფრასიონ, ფოშტით რომ მივილეთ რევოლიუცია პეტრებუხიდან? რაფერ ვაგვიხარდა, თურმე ჯერ სათ ხარ. მას მერე ოცდაათჯელ გადაბრუნდა დროი.

— მაგი მაგია ზევარიკავ, მარა აი ანგლიე რა თავს იგდებს თუ იცი? წეიკითხე რა წერილი გამუუგზანა ჩვენ მთავრობას? დიდი პადლეცი კი ყოფილა ვინცხაა მაგი ჩემურლენგი.

— მოსწერა მარა, პასუხიც საკადრისი მიიღო. ჩემი ცოლი მიჩივოდა გუშინ; თურმე ჩემურლენგს აქიდან რომ ჩვენი წერილი მისლია, ცხელი კურცხალით უტირია. დეიწვა თურმე სირცხვილით კაკალი კაცი. მერე ნეტე მაინც საჩუმათოთ ყოფილიყო დაწერილი; თელ გაზეთებში გამოაჭრელეს.

— რავა გეკადრება ზევარიკავ მაგი! შენმა ცოლმა სიდან გეიგო ჩემურლენგის ამბავი? იმას შერცხვება რამეის?

— რა ვიცი ასე კი მითხრეს და!

— სხვაი კაცო, აგი ჩხუბი იწყებაო იძახიან. მართალია თუ იცი?

— რა ვიცი, ვეფერს ვერ გეიგებს კაცი! ევროპიე და ამერიკა რას ფიქრობს მაგი სიდან მეცოდინება და აგი ჩვენი მთავრობა რომ ჩხუბის ხასიათზე არაა, აი კი ვიცი.

— ა, პა პა პა! ახლა თუ ჩხუბი დეიწყო ძამიავ, პერეგის! იმფერი ზარბაზნებია გამოგონებული თურმე რომე, ოზრუგეთიდან რომ ისროლო ქუთაისში სქვიჩას გადმოვაგდებ ძრს. ამა თოფს და ლივერს ნუღარ იკითხავ: მისით ვარდება თურმე...

— მაგი რა უნდა იყოს ჩემო აფრასიონ! აი ხაიროპლანი რომაა, ჩადომბენ თურმე შით ყვიმბარებს, აფრინდებიენ მაღლა და იქიდან ისვრიან.

— ვაი, ბიჭო, თუ დიეცა ჩემ სალორიას ან საქათმიას, ხომ დევიღუპე კაცი? მერე, ორი ღორი მაკეა, აგერ-აგერ მეიყვანს გოჭებს.

— რაის სალორიეა კაცო! მიყურე აგერ: აი ყვიმბარა დავარდება ძირს,

# საიქიოს



ჯოჯოხეთის კუპრის ქვაბში ნიკოლოზი იწვის, დნება;
და ზევით ღმერთს ცის გუმბათში საყვედურსა ეუბნება:
ეგ იყო რომ მპირდებოდი სამოთხეს და სასუფეველს?!
ჯოჯოხეთში მომეც ბინა, მხედავ ტანჯვის ცრემლის მთოველს



— ვისთვისა სთხრი მაგ ახალ საფლავს?
—ეს ჩემი ძმობილი! დასასაფლავებელი ჯერ კიდევ ბევრი გვყავს: ჩემბერლენი, მუსოლინი და ძმანი მათნი.

გასკდება და გამოუშობს ხაიერს—გაზს, მარა იმისთანა მყრალი ხაიერის ჟამოშობა იცის თურმე, რომ, იმ მინუთში გულზე შამოგეყრება. მერე მივა აი შვლაჭი ყაძახი ანგლიე, გაგაგდებიებს ლდინს და ქე წავა სახში. მისდიე მერე და უყარე კაკალი.

— კი მარა ჩემო ზევარიკა! ამ ჩვენ მთავრობასაც დიდი მზადება აქ. მერე ხომ იცი, ჩვენისთანა ჯარი დედომიწის ზურგზე არ მეიძებნება. იმისთანა სკვინჩილიე ბიჭებია, რომე მოგეწონება. ზარბაზნებიც აქვენ და ტყვია - წამალიც. მერე კიდო ამ ჩვენებს რაის იმედი აქვენ იცი? ანგლი ამ რომ, ჩვენ აგვეჩხუბოს თვითონ ანგლიეს მუშები არ წამოვლენ და იმ მთავრობასაც გადმოაგდებენ. აჲა ამის ეშინიენ თვარა ხომ იცი?

— ასთე რომე თებერვლის რევოლიუციის იგენსაც შინებიენ?

— ეშინიენ, მარა თებერვლის იმდენი არ, რავაც მიორე რევოლუცია რომაა: წითობისთვის.

— წითობისთვის კარა ოქტომბრის შე კაცო.

— ხო, დიახ, ოქტომბრის! იგენმა იციენ, რომ ევროპიაში თებერვლის რევოლუცია თუ მოხთა, იმას ოქტომბრის რევოლიუციაც მოყობა და მის შიში აბლანკალებენ!

ტერსიტი.

# რასპუტინის მონოლოგი

ხმელეთის მეექვსედი ხელში მეპყრა, მეჭირა;
მეფეც ჩემს ხელში იყო, დედოფალიც ალისა;
ღვთის მადლით, ღვთის სახელით ვერვინ ვერ შემაჩერა;
სპირტის, ვოდკის, ღვინის სმა, მოხდა იყო ვალისა...
ვიყავ მე გალეშილი ფრეილინების გვერდით;
კნიაჟნა, კნეინები, სხვაც მრავალი მხევლები,
ისვენებდენ ჩემს მკლავზე, მეკვრებოდენ მკერდს-მკერდით;
ვნებით ანაჟრჟოლები, ვნებით განახილები...
მართალია, რომ ხშირად, მდიოდა ოფლის სუნი;
წვერიც დაუვარცხნელი, ჩაჟანგებულ კისერით,
ვეგონეთ მე ზეციერი, ქვეყნად ცით გადმოსული;—
მკერდზე სქელი ჯაგარით, თავ-მსხვილი ფილისტერი...
მოვწონდი ყველა ქალებს ასე—ისეთ გვარადაც;
ძრწოდენ თვით მინისტრები, მეფეც გოროდოვოიც,
ჯარიც ჩემს ხელში იყო, თვითონ მეფის გვარდიაც;
ვიცოდი შელოცვები, ხშირად კიდევ ბოდვებიც...
ძლვდელმთავარს, მიტროპოლიტს, მონოზნებს თუ ბერებსა,
თვალს დაუბრიალებდით, აიტანდათ კანკალი;
ხშირად გაიგონებდით გინებას—თუ სიმღერებს;
არ მესმოდა შეხვეწნა—არც ზიზღი მონაშკალი...
ვიყავი მე სათავე უვიცობის სიბნელის,
კვნესდენ მილიონები მძიმე უღლის ტარებით,
არ ვიყავ მოზიარე მათი ხვედრის სიძნელის,
ქალებზე ქინს ვიკლავდი, გამოხურულ კარებით...
მურის თვალით მიცქერდენ, მინისტრი თუ ლაქია,
გენერლები, მთავრები,—დედოფალი კი არა;
ვიყავ გიპნოზიორი, ტრაბახა თუ ბაქია,
ბევრმა დიდკაცის ცოლმა ჩემ ხელით გამოიარა...
ნიკალაშკა—ბარაშკა, მე რას მიმიხვდებოდა:
ცოლს და მის ქალიშვილებს, რომ საჯაროდ ვკოცნიდი;
(ასე იყო ღმერთმანი, ხშირად ასე ხდებოდა:—
კოცნებში რომ დედოფალს ვნებით გადავტყორცნიდი...

ოდილმადი.

# „ემანსიპაცია“

— ნიჩევო პადობნაო! შენ გინდა ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით გზა - კვალი ამირიო და დამარწმუნო, რომ ქალის და კაცის სრული თანასწორობა არ შეიძლება. მე კი ფაქტებით დაგიმტკიცებ, რომ შეიძლება.

— არა, ეს არ შეიძლება!

— მე ვამბობ, რომ ადვილიც არის.

— არა მეთქი!

—კი მეთქი! აი, გინდა დღესვე დავდგეთ სრული თანასწორობის პლატფორმაზე და გადავდგათ პრაქტიკული ნაბიჯები.

დავიწყეთ საემანსიპაციო კამპანიის ჩატარება.

დილის 7 საათია. ჩემი ცოლი ჩვეულებრივად ამ დროს დგება და შეუდგება საქმიანობას; ჩაის ადუღებას, სახლის მილაგებას და სხვა ასეთებს. ერთი საათის შემდეგ მეც ვდგები „ვჩაიობ“ და სამსახურში მივდივარ.

იმ დილით კი ჩემი მეუღლე არც კი გაინძრა. 7 საათზე ცალი თვალი გააჭყიტა და შემომხედა, რომ გაეგო ჩემი მდგომარეობა. დარწმუნდა, რომ ადგომას არ ვაპირებდი და ეშმაკურად მკითხა:

— ავდგეთ?

— როგორ თუ ავდგეთ? ადექი შენი საქმე გააკეთე.

— ემნასიპაცია? ჩვენ ხომ დღეიდან თანასწორები ვართ? თუ ადგომაა, ერთად ავდგეთ.

— ნუ ხუმრობ, ქალო, ადექი, სამოვარი დაადგი.

—ნურას უკაცრავად! თუ გნებავს, ერთად ავდგეთ.

გაჯავრებით გადავბრუნდი მეორე გვერდზე. ცოლმაც ასეთივე მანევრით მიპასუხა. თვალები დავხუჭე, დასაძინებლად მოვემზადე. ცოლმა ხვრინვა ამოუშვა. — „თუ ძილია, თანასწორად ვიძინოთ“—მეთქი, გავიფიქრე და მეც ხვრინვას შეუდექი. ორივე მხრიდან ისეთი ხვრინვა შეიქნა, რომ ფანჯარა ზანზარებდა. ხმაურობაზე ბავშს გამოეღვიძა და ტირილი მორთო. არც ერთი ჩვენგანი არ განძრეულა. ორივე ვუცდიდით, რომელი მიეშველებოდა ბავშს პირველი.

— ქალო, ბავში კვდება ტირილით, უთხარი რამე!

— შენ უთხარი და მეც ვეტყვი; ხომ თანასწორობაა!

— ეს არ შეადგენს ჩემს მოვალეობას.

— მაშ არც მე ვარ ვალდებული შენ ბავშს მოუარო.

ბავში განაგრძობა ტირილს. არც ერთი ჩვენგანი არ ინძრეოდა. ბოლოს, დარწმუნდა, რომ მისი ხმა რჩებოდა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ და გაჩუმდა.

ფანჯარასთან გაისმა კაკუნი. მოვიდა მერძევე.

— მალაკო, ხაზეინ, მალაკო წაიღეთ!

— ადექი, ქალო, რძე გამოართვი!

— რატომ მე ავდგე და არა შენ?

— ადექი თორემ წავა და ურძეოდ დავრჩებით!

— დავრჩეთ!

მერძევე წავიდა.

— ფეფიკო! ხუმრობას თავი დავანებოთ! რვა საათია. ადექი, ჩაი გაამზადე.

— ავდგვთ ერთად, თანასწორად.

— ადექი და ავდგები!

— არა, ჯერ შენ ადექი.

— დაგწყევლოს ეშმაკმა.

— როგრც იქნა ავდექით.

— აბა სამოვარი დაადგი ფეფო!

— სამაგიეროთ შენ წყალი მოიტა.

წყალი მოვიტანე.

— ნახშირი?

— მე სპიჩკას მოვიტან, შენ ნახშირი მოიტანე.

— სად სპიჩკა, სად ნახშირი, ამიხირდა ფეფიკო. ესეც თანასწორობაა? ნახშირის მოტანა შავი მუშაობაა, სპიჩკა კი ადვილი საქმეა. არა, მე ნახშირს არ მოვიტან.

— შეგარჩვენოს მიქელ - გაბრიელმა.—ნახშირი მოვიტანე. სამოვარი გაჩაღდა.—აბა ახლა პური და შაქარი ფეფოჯან.

— როგორ, პურიც და შაქარიც ორივე მე მოვიტანო? უკაცრავად, მასეთ თანასწორობას მე არ ვიზიარებ. შაქარს მე მოვიტან, პური შენ მოიტანე.

წავედით, მე—პურისთვის, ის—შაქრისთვის. გზაზეც ბევრი ჩხუბი და უსიამოვნობა შეგვემთხვა ამ ემანსიპაციის ნიადაგზე. დროც ბევრი დავკარგეთ.

ასე, რომ როცა დავბრუნდით სამოვრის წყალი ნახევრად ამომშრალიყო.

— შემოტანე სამოვარი!

— ეს არ შეადგენს ჩემს მოვალეობას, ეს დიასახლისის საქმეა.

— უკაცრავად! ტვირთის ზიდვა მამაკაცის საქმეა. სამოვარი ხომ ტვირთია?!

—რაღა ტვირთია, დედაკაცო! ნახევარი წყალი ამომშრალა. სულ სამი გირვანქა არ იქნება, მაგის ზიდვას რა უნდა!

— სამი გირვანქაც იქნება, და სამი კილოც... ყოველ შემთხვევაში, მე არ შემოვიტან, თუ ჩაი გინდა, შემოიტანე.

— არ შემოვიტან! ჩაის მე თითონ დავისხამ!—ავდექი, გამოვიღე ჭიქა და ლამბაქი და შემოვიტანე ერთი ჭიქა ჩაი ჩემთვის. მოვიჭერი პური და „ვიჩაიე“. ფეფიკომაც შემოიტანა თავისთვის და მიირთვა.

წავედი სამსახურში. სრული ათი საათი იყო, როცა მივედი. შენიშვნაც მივიღე. 4 საათისთვის სახლში დავბრუნდი. სახლი ისევე დაულაგებელი დამხვდა, როგორც დავტოვე.

— ქალო, სახლი რატომ არ დაგილაგებია?

— შენ რატომ არ დაალაგე?

— მე სამსახურში ვიყავი.

— მეც სამსახურისთვის დავდიოდი. სამსახურს ვეძებდი.

— სადილი არის?

— ჩვენსას არა და სხვისას არ ვიცი!

— რატომ არ არის?

— რატომ მე უნდა გამეკეთებინა სადილი და არა შენ? ემანსიპაცია არ გახსოვს?

— მაშ დამაშნი სადილი მოვიტანოთ.

— მოიტანე!

— მე ფულს მოგცემ, შენ მოიტანე.

— არა, ორივემ მოვიტანოთ, თანასწორად. შენ პირველი მოიტანე, მე მეორეს მოვიტან.

წავედით, მე შემწვარი წამოვიღე, მან წვენი. ვისადილეთ თანასწორად. ერთი კვარტი ღვინო მე დავლიე, ერთიც მან, მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ ღვინო ჭირივით ეჯავრება. სადილის შემდეგ მე ჩვეულებად მაქვს დაძინება. მას არასოდეს არ ეძინება, მაგრამ ემანსიპაციის გულისათვის მანაც დაიძინა.

საღამოს წასასვლელად მოვემზადე.

— სად მიბრძანდები ეაჲბატონო?

— საქმე მაქვს.

— ვიცი რაც საქმეა, კლუბში აპირებ... მეც უნდა წამოვიდე.

— დედაკაცო, ბავში?

— ბავშს მეზობელს დაუტოვებ.

დავტოვეთ ბავში. წავედით კლუბში. დავბრუნდით ღამის ორ საათზე. სიბნელეში მივადექით კარებს.

— მოიტა კაცო კლიტე, კარები გავაღოთ.

კლიტე ამოვიღე, წუმწუმა ავანთე და.. თვალები დამიბნელდა.. ჩვენი ბინის კარები უკვე გაღო ვიღაცას. აკანკალებული შევედით, სანთელი ავანთეთ და ორივეს გული წაგვივიდა... ჩვენი ბინა ვიღაც უპატიოსნო ქურდებს სულ გამოესუფთავებიათ. რაღაი სახლში არავინ იყო, ყველაფერი გულდადინჯებით გაეტანათ. დარჩენოდათ მხოლოდ სამოვარი, რომელიც დილიდანვე სამზარეულოში დარჩა ჩვენი უჯიათობით.

ეს იყო ჩემი ცოლის საემანსიპაციო კამპანიის პირველი და... საგრძნობი შედეგი. მომავალში ვნახოთ.

ალარ-ალარსან.




## ბედნიერი მამალი

ვინ დასთვალოს, თუ რამდენი მამალია ჩვენში... და არა მარტო ჩვენში, საერთოდ, მთელ ქვეყანაზე,—მაგრამ, მიუხედავად ამისა, მხოლოდ ამ ერთ მამალს ხვდა წილად გამოჭიმულიყო აქ და მიეპყრო მკითხველთა ყურადღება.



ეს მამალი დაიბადა და აღიზარდა სოფ. ტაბანაიში. არ ვიცით მიხეილას, თუ პოლისას ოჯახში. რა გასაკვირია, რომ ჩვენ არ ვიცოდეთ! ჩვენ კი არა, თვით ამათმაც არ იციან, თუ ვის ოჯახში დაიბადა, გაიზარდა და რომელ მათგანს ეკუთვნის ეს მამალი. ადგილობრივ მილიციის განაჩენით, მამალი მიხეილას ერგო (ალბად მისი იყო). მართალია ამის „ყაბული“ არ არის პოლისა, მაგრამ რა ჩვენი ბრალია, თუ ამ ამბავს მაინც გვატყობინებს „დევნილი სიძე“.

## „იავ-ნანა“



**იავ-ნანა, ვარდო ნანა**
**იავ-ნანინაო;**
**კაბინეტში მიგიგნია**
**შენ ტკბილი ბინაო...**

ასე უმღერებს „აქაური შმაგი“ (ლაპარაკია სოფ. ცხუნკურზე) აღმასკომის თავმჯდომარეს... და რა გასაკვირია, რომ ასეთი ტკბილი სიმღერის შემდეგ აღმასკომის თავმჯდომარეს ჩაეძინოს და დაავიწყდეს სასოფლო საქმეები, როგორც არის: სოფლის გზის გაყვანა და სხვა. „იავ-ნანა“ შეგნებულ კაცს (ამ შემთხვევაში აღმასკომის თავმჯდომარეს) კი არა, უმწეო ბავშსაც კი აძინებს... და ჩვენ სრულიადაც არ გვიკვირს, რომ აღმასკომის თავმჯდომარეს სძინავს... და იძინებს მანამდე, სანამ „იავ-ნანას“ მაგიერ „სულთაათანა“-ს არ უმღერებთ.

## „მოღვაწეობა“

ძნელია სოფლის მოღვაწეობა და ისიც სოფლის მასწავლებლების მხრივ, რომლებიც მცირე ხელფასს ღებულობენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, როგორც **პ. პანჩალა** გვატყობინებს **ამაღლებიდან (გურია)** ადგილობრივი მასწავლებლები არაფერს იშურებენ და ხელს უშლიან... უკაცრავად, (თუმცაღა ეს სიმართლეა) ხელს უწყობენ ადგილობრივ სავაჭროებს. შეგნებული ხალხია, ისინი კერძო სასადილოებში არასოდეს არ დათვრებიან, მაგრამ გლეხკომის სასადილოში კი ქეიშვილი ებრძვის ღვინით სავსე ბოთლებს.მერმე რა ვუყოთ,თუ ქეიშვილი ხშირად მთვრალი დაეცემა, სამაგიეროთ არც ბოთლებს ადგია კარგი დღე. იმდენი სიკეთე ქეიშვილს, რამდენიც ისინი ტყდებიან.

მოგეხსენებათ: რაც მეტ საქონელს გაასაღებს სავაჭრო, მით უკეთესია... და ამიტომაც მიაქვთ ნისიათ საქონელი, ხოლო ფულის გადახდა ავიწყდებათ.. ან და სადა აქვთ დრო, რომ ეს მოიგონონ, როცა ხალხი გახურებულ მუშაობაშ... უკაცრავათ, გახურებულ კარტ-ნარდის თამშია.



ასე, რომ ჩვენ იმედი გვაქვს ასეთი „სოფლის მოღვაწეებით“ ამაღლების თემი კიდევ უფრო ამაღლდება, რასაც შედეგად მოჰყვება (ასეთია ლოღიკა) „მოღვაწეთა“ დამდაბლება.

## „ობოლი“



თქვენ გგონიათ, რომ ამ კაცს (ფილიპე ფირცხალაიშვილი გახლავთ სოფ. ხუშუთის აღმასკომის მდივანი) ცოლი ან სხვა ვინმე ძვირფასი მოუკვდა?! სრულებითაც არა... ეს კაცი იმას სტირის, რომ შუხუთიდან გადაიყვანეს აფთიაქის გამგე ებრალიძე, რომელთანაც იგი თვრებოდა... ჰოდა აფთიაქის ეხლანდელი გამგე კი ვერ არის ფილიპესებური. აი, ამიტომაც მას მწუხარების თანაგრძნობას უცხადებს „დუელი“. რა გაეწყობა... ფილიპემ უნდა ინუგეშოს თავი და მარტო შეექცეს ღვინის სმას

# ფურნეში



ქალი: ორი შაურის პური მიყიდნია და შიგ კი ამოდენა მწერია გამომცხვარი!..
მეპურე: ვა! ორ შაურად კუკლაჯან, კამბეჩს ხომ არ ინებებდი, რომ გადაგეყლაპა?

### „მოგონება“

თებერვლის რევოლიუციის ათი წლის თავზე მიხა სულაძემ (ყოფილი ჟანდარმი) დასწერა მოგონება. თავის მოგონებაში იგი საერთოდ ასეთ აზრს ატარებს:

**„ნიკოლოზის დროს ვიყავი ჟანდარმი... და ქრთამებს ვლებულობდი... შემდეგ მენშევიკების დროსაც ასე ვიქცეოდი, რადგან მაშინდელი მილიცია იგივე იყო, რაც ჟანდარმერია.. ხოლო ეხლა ადგილობრივ გადასახადთა განყოფილების აგენტი ვარ და „შემოსავალი“ არა ნაკლები მაქვს“**

ეს სტრიქონები ამოწერილია „შმაგი“-ს მიერ. ჩვენ ასე გვგონია, რომ „შემოსავალმა“ გასვლა იცის და სულაძეს არ გაუკვირდეს, თუ მას გასვლა ხვდეს წილად სამსახურიდან.

### „ცხვრის დუმა“

რასაკვირველია: ეს ქვეყანა და, საერთოდ, მიწიერი ცხოვრება ყველას თავისებურად ესმის. ისიც რასაკვირველია, რომ ჩვენ თითოეულ ადამიანის შეხედულებას ვერ ავღნიშნავთ, მაგრამ ასე თუ ისე, როცა პიროვნება უნივერსალურ აზრს გამოსთქვამს ამ ქვეყნიერ ცხოვრების გზების შესახებ, ჩვენ მისი აზრი ფართო საზოგადოებასაც უნდა ვაცნობოთ..

და ამიტომაც მიზანშეწონილად ვსცანით გავაცნოთ მკითხველს მელიტონ ნარიმანაშვილი **(გომბორიდან)**. თუ **ჩიქოს** დავუჯერებთ, „პატივცემულ“ მელიტონს ასე სწამს ეს ქვეყანა:

**თუ პოლიტიკა იხმარე**
**ცხვარის დუმაა ქვეყანა..**
**ცხვარივით ვიყო მართალი**
**ვინ მომიწონებს მე განა?!**

ეკითხება თავის თავს ნარიმანაშვილი და თვითონვე აძლევს პასუხს: **არავინ.**

ამიტომაც.

**შვიდი თუმანი წავტყუე**
**ზოგ-ზოგებს ამას წინაო..**
**როცა ფულები ჩავიგდე—**
**გზას გავუყევი შინაო.**

სახლიდან პირდაპირი მიმართულება **გამსახლისაკენ** არის..

### ასე იცის

სოფ. ქვემო მაჩხაანში არის მილიცია, რომელსაც ჰყავს მდივანი. მის მოკლე დახასიათებას ასეთს იძლევა **„არ დამიტიროთ“:**

**ავად გახდება გიორგი**
**თუ ღვინო მან არ დალია,—**
**და ამიტომაც ნუ გიკვირთ,**
**რომ ის ყოველდღე მთვრალია.**

ჩვენ არც ეს გვიკვირს და არც ის, რომ:

**სიმთვრალის გამო გიორგიმ**
**ყველა საქმენი არია.**
**სახელი იცით სუყველამ,**
**ბერიაშვილი გვარია.**



## გამოჩინებულის თემი

(ს. აბაშა.)

სადაც დიდებულს მთებსა მაღალსა,
გამოჩინებულს თემს ეძახიან;—
დასცქერის რიონს და სამტრედიას,
და საჯევახოს თითქოს გაყრიან...

———

უწინდელ დროში ამ მთათა შორის,
აუგაით მუნ,—დიდი საყდარი,
ვერ შეხებიან მის „წმინდა ადგილს",
დღემდის ქარი და ვერცა ავდარი...

———

ხოლო ერთ დღეს კი, როცა მუნ მღვდლები,
საკურთხის პურებს ცეცხლზე ათბობდენ,
დაბერა ქარმა, მოედო ცეცხლი,
ტყეს და საყდარსაც ელვად გაკროდენ...

მღვდლებს და დიაკონს დაეცათ ზარი,
რა სოფელმა სცნა, მოზღვავდა ხალხი,
არ დაიზოგეს მათ არცერთმა თავი,
გადაარჩინეს ტყეც და ბალახი...

———

და ეკლესიის დაკეტილ კარებს,
ცრემლით ხვდებოდა მღვდელ-დიაკონი,
(არვინ არ არის მთელს დუნიაზე,
ასეთ საქმისა მოსწრე, გამგონი):—
რომ, თემალმასკომს და თავმჯდომარეს,
გატენილი აქვს ბამბით ყურები,
(აბა მათ ეთქმისთ სიამაყით რომ:
გლეხობასა და ხალხს ვემსახურებით)...

**იური.**

ღრმად დამწუხრებულნი: დათა ელენტი, გ. ყაჭეიშვილი, ს. ჯიბლაძე, ბესარიონ და პორფილე დოლიძეები აუწყებენ ყველა ნაცნობებს და ამხანაგებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი და მასიამოვნებელი

### შუა ამაღლების გლეხკომი,

რომლის გამოსვენება და დასაფლავება მოხდება ამაღლების გლეხკომის სასადილოს „ნამგზავსში". ამიტომ სთხოვენ ყველა ფულიან მოქალაქეებს მობრძანდენ აღნიშნულ ალაგს და განუმხიარულონ მათ დასევდიანებული გული.

**ჩანჩალა.**

## თავადის ასული მერი



**ჩვენ გვიცით, რომ ხარსკი არის რეჟისორი სახკინმრეწვის. ამნაირი სურათებით ნეტა კუდი რად არ ეწვის!?**

## კულაშის თემი

მინდა სოფელს შევწირო:
ეს მარტი და აპრილი!
(და დროებით დავტოვე,
ქალაქისა ნაპირი)
გაზაფხულდა დიდებით
და მიწყობენ ხელს გზებიც—
და ვაი მას, ვინც არის
ამ მგზავრობის მიზეზი.
მაშ, გავაღოთ **შვიდწლედის**
დაკეტილი კარები!
(მზეზე გამოვაფინოთ
სახელი და გვარები)
**კოტე** მოვინახულოთ,
**კოტე** შესაზარები!
კითხვას მივცემ: ეს სკოლა,
გლეხების თუ შენია?!—
თუ პასუხი არ მომცა
სწორი, შესაფერია,
დღე დაადგეს **აგრონომს**,
ისე თქვენი მტერია...

**პაგნელი ბზიკი.**

## ვ ა ნ ი

მივუმღერებ ფოჩტის გამგეს!
საჩუქრით თავს ისახელებს;
რატომ არის სხვის წერილებს
რომ ჩხრეკავს და ურევს ხელებს?!
გლეხკომს მინდა მიუმღერო,
რაში არის საქმე მისი?!
თუ შეავსო ოცდა შვიდმა
ოცდა ექვსის დანაკლისი,—
თორემ გლეხი გვერდზე უმზერს,
მსჯელობა აქვს იმას თვისი,
და საწევროს არ გაიღებს,
გადეკვრება ჯიბეს ფისი.
თუმცა კიდევ ქე მინდოდა,
მიმღერება ახლა სხვისი,
მაგრამ დარჩეს შემდეგისთვის,
თუ კი გახდა ამის ღირსი!

**ვეინტაძე.**



**ჰო-დვე-რინს.** ტყვილად დასცინით ილიას; პირიქით: იგი ძალიან ჭკუიანათ და მოხერხებულად მოქცეულა, როცა:

**ამ ზამთარში პალტო არ ჰქონდა; თანაც ცოლის შერთვა უნდოდა... ნისიათ გამოართვა პალტო.**

**— როცა ნისიათ მომქონდა პალტო, მაშინ ვიცოდი, რომ ფულს ვერასოდეს ვერ ვიშოვნიდი და ვალს ვერ გადავიხდიდი... მაგრამ რა მენაღვლებოდა,—თუ ძალიან შემაწუხებდა გამყიდველი, მის პალტოს უკანვე დავუბრუნებდი... ასეც მოხდა; მართალია წაიღო, მაგრამ ეს ზამთარი კი გავატარებინე და ცოლიც შევირთე იმ პალტოში...**

ჰო-და ასეთ მოხერხებულ კაცს, თქვენ კი დასცინით. ხომ გაგიგონიათ: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“.

**„თქვენც იცით“.** (ქუთაისი) ჩვენც გეთანხმებით, რომ:

**„ნიკოლოზ გ—ძე, ანანია ხ—ია და ვანო კ—ლი ფიზკულტურას კი არ ეწევიან, არამედ ᲙᲣᲨᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐᲡ, რადგან ისინი ხშირად მოდიან მთვრალები“.**

**ქოჩორას.** თქვენი ლექსის (ცოლ-ქმარი) უკანასკნელ ოთხ სტრიქონს ჩვენ ცოტას შევასწორებთ და იმითი გიპასუხებთ:

„ტარტაროზი“-ს კორრობა
ადვილი ნუ გგონია...
შენს წერილსა არა აქვს
არც ნამცეცი ქონია...
მართლაც უნდა იცოდე
„რეჟიმ-ეკონომია“
(დროს რად ჰკარგავ წერისთვის!
ჭამე ხარჩო, ღომია).

**იშკილს.** თქვენი სცენა ასე თავდება:

**„კულაკი, ვაჭარი და მღვდელი ზარდაცემული გარბიან“.**

ეს მართალია, მაგრამ უბედურება იმაშია, რომ გაქცევის დროს თქვენი წერილიც თან წაიღეს და... ველარ ვბეჭდავთ.

**პატარა ხოზიკას.** ხოზიკას „იარლიკი“ ვერ უშველის თქვენს წერილს: **„არ შეგცივდეს ბარაშკაჯან“.** მაგრამ ჩვენი იგი მაინც მოვათავსეთ ჩვენი გოდორის შუა ალაგას, რათა, მართლადაც, არ შესცივდეს (თუმცაღა საკმაოდ დათბა).

**ნიკოს.** არც გასაკვირია, თუ უნივერსიტეტში მასეთი ამბავი ხდება, რადგან ბევრია მსგავსნი თქვენი უნივერსიტეტსა შინა.

**ეტს.** (შორაპანი) ტარტაროზს არც ანგელოზი სწამს და მით უფრო არც ღმერთი... ასე, რომ თქვენი შარადა სად წავიდოდა კი მიხვდებით, გასაკვირიც არ არის, რომ ვერ მიხვდეთ, რადგანაც თქვენ იმას ვერ მიმხვდარხარ, რომ ქართულად უნდა არა ანგლია, არამედ **ინგლისი**... და როცა კაცმა ეს არ იცის, ცხადია იგი ვერც შარადას დასწერს.

**ტარტაროზის** ნათლიას. არ გამოგვადგა. მოგვაწოდეთ **სხვა მასალები ადგილობრივ ცხოვრებიდან.**

**„შაგს“** (ქუთაისი) ნაბიჯით („შაგი“-თ) წავიდა თქვენი წერილი უფსკერო გოდორში მას შემდეგ, როცა მიირთვა ჩაი და „პონჩიკი“ ელენეს ბუფეტში (საფინგანში). ასე, რომ იმედი გქონდეთ სიმშილით იგი არ დაიქანცება და მშვიდობიანად მიაღწევს თავის დანიშნულების ადგილს.

**ა. დიმანაშვილს.** „სიცოცხლე“-ში სადილის ჭამამდი, რომ დაგეწერათ ეს წერილი, იქნებ უკეთესი ყოფილიყო და ჩვენ მოგვეთავსებინა იგი ჟურნალში.

(ხრესილი) მოგვყავს თქვენი ლექსის ერთი ადგილი:

**ერთი დღე იყო არ ვიცი**
**„კომნაჩალნიკი დაროგა“...**
**საწირის სადგურს ეწვია,**
**ხრესილისაკენ გაგორდა...**

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, მიიღეთ ჩვენი პასუხი:
თქვენი წერილი, ძმობილო,
ამ ჩვენს გოდორში ჩაგორდა.

**თარალეს.** სუსტია. არ დაიბეჭდება.

**„მელა კუდა“-ს.** (ბანძა) მიუხედავად იმისა, რომ თქვენ სხვისი ფსევდონიმი მიგითვისებიათ, თქვენს წერილს მაინც ვერ ვბეჭდავთ, ხომ არ მოუპარავთ ხარები? ჯერ-ჯერობით სასჯელად ისიც ეყოფათ.

**ალიოშა აფხაიძეს.** თქვენ რომ ჩვენი ფსევდონიმი მოგეწერათ, მაშინ ღირსეულათ გიპასუხებდით, მაგრამ ნამდვილ გვარს და სახელს აწერთ,—და ამან გიშველათ.

**ტრიოს.** ტყვილა გექნებათ „მოლოდინი“, რომ თქვენი ლექსის დაბეჭდვას ელოდოთ. ასე, რომ, როგორც იმათ (ემიგრაცია) გაუცრუვდათ იმედი, ისევე გაგიცრუვდებათ თქვენ თქვენი იმედი, თუ კი ამ წერილის დაბეჭდვას ელოდებით.

**ბედისაგან დაჩაგრულს.** (ოზურგეთი) საწყალი... ბედისაგან დაჩაგრული ყოფილხართ... მაგრამ ჩვენ რას გვერჩოდით, რომ თქვენი წერილი წაგვაკითხეთ და სიცილის მაგიერ ცრემლები კინაღამ წამოგვცვივდა!

**პინკას.** თქვენს შარადაში ერთ ალაგას ასეთი მარგალიტია:

**მოვნახოთ მწერის სახელი,**
**რომელიც არის კბენარა.**
**ვაი, თუ ცხვირში შეგიძვრა,**
**ვერ მოიშორებ, ველარა.**

ალბად თქვენც შეგძრომიათ ცხვირში, ხოლო იქიდან თავში და ამიტომაც არის, რომ არ გასვენებს. დააცემინეთ ცხვირს, და იქნებ, ისევე განთავისუფლდეთ, როგორც ტარტაროზი განთავისუფლდა თქვენი წერილისაგან, როცა მან დააცხინკა და ამ დაცხინკებაზე თქვენი წერილი მაგიდიდან გოდორში გადასკუპდა.

**იელის.** როცა თქვენს წერილს ვკითხულობდი, თავიდანვე ეტყობოდა, რომ იგი საგოდრო იყო... და ის იყო უკვე უნდა გადაგვეგზავნა, რომ ამ სტრიქონებს წავაწყდით:

**ამის დამწერსა ჰგონია**
**თავისი თავი ბრძენია..**

ჩვენ კი, პირიქით...

**„ეშმაკუნა“-ს.** ისევ და ისევ.

# ათი წლის წინად



გვირგვინი და სკიპტრა; დაიცოცხა, ცვივა;
გრგვინვამ გააფითრა; და ბიკოლოზს ცივა...

კლდე პიტალო, სალი, სისხლით გაიწმინდა;
მტარვალთ ბატონობა, მორჩა, დარგვინდა...

ალმასკოშის სტამბა კამოს ქუჩა № 68.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 92 კვირა, 20 მარტი 1927 წ. № 92

## პ ა რ ი ზ ი ს კ ო მ უ ნ ა

დროის სიშორე ვერ მოგვტაცებს,
ვერ დაგვივიწყებს.
მას ბრწყინვალებას უფრო ჰმატებს
შორი წარსული.
როცა ზმანება თვალების წინ
გავლას დაიწყებს, —
აღგვიშფოთდება ყველა ჩვენგანს
გული და სული.

—

სისხლის ვამპირთა ბუდე იყო
მუდამ ვერსალი,
ტყვიებს ესროდა კომუნართა
ჯავსნოსან მკერდებს,
რომ ქვეშ ჩაეკლა მისწრაფება
უნივერსალი
და ჰქონებოდათ კვლავ პატივი
მიწიერ ღმერთებს.

—

დაჭრილთა კვნესას უერთდებოდა
ხარხარს ტიერის;
ხიცოცხლეს სპობდა ათასობით
გილიოტინით;
მეორე იროდს ულიმოდა
სახე - იერი,
თავმოკვეთილნი რომ ეყრებოდნენ
მწარე ხროტინით.

—

ჩვენ ასე გვჯერა (და ეს რწმენა
ვიცით სწორია):
განმეორდება კვლავ პარიზში
იგი ამბები;
(ასეთი არის მათი ხვედრი
და ისტორია)...
ოქტომბრის ტალღებს ვერ გაუძლებს
მათი დამბები.

—

განმეორდება... მაგრამ ტიერს
ნუ უხარია...
განმეორდება და, ცხადია,
იმ განსხვავებით,—
რომ მათ გავგზავნით იქ, „ჩვენებს“
სადაც არიან,—
და რა თქმა უნდა: საკუთარი
ხელში თავებით.



მე კი ასე მწამს: ოქტომბერი არის მესსია,—
და ისინი კი—ამ მესსის წინამორბედნი...
ასე ამბობდენ:—დავიღუპოთ უმჯობესია,
ვიდრე მტრის ხელში იყოს ჩვენი ცხოვრების ბედი.

—

ის მოხდა მაშინ, როს ლენინი იყო პატარა...
იყო გამგონი კომუნართა კვნესა მწარისა;
მათი მიზანი გულით ყველგან დიდხანს ატარა,—
და ოქტომბერში პეტროგრადი გაპარიზა.

თ. ხინველი.

# როგორ აჯობებდა

დილის 9 საათი იყო, როდესაც ანდუყაფარ ჩაფხუტაძე გამოვიდა ბინიდან და აჩქარებული ნაბიჯით გასწია საფრანგეთის მთავარ შტაბის ოპერატიული განყოფილებისაკენ.

მართალია ანდუყაფარს სამხედრო სამსახურში არ ყოფილა ახალგაზრდობის დროს, არც მენშევიკური ხელისუფლების დროს და, მით უმეტეს, სამხედრო პირათ არ ითვლება საფრანგეთის სამხედრო უწყებაში, მაგრამ მას მაინც ახლო დამოკიდებულება აქვს შტაბის ზემოხსენებულ განყოფილებასთან, ვინაიდან ხშირად აწვდის სხვადასხვა ხასიათის საყურადღებო ცნობებს...

იმ დღესაც რამდენიმე საბუთი უნდა გადაეცა დანიშნულებისამებრ და, ვინაიდან ცოტა წინასიტყვაობა უნდა გაეკეთებინა ფრანგულათ, იმის ფიქრში იყო გართული, რომ აზრი, რაც შეიძლება მოკლეთ და მოხდენილათ გამოთქვა.

ამ ფიქრებში გართულს, სრულიად მოულოდნელათ წინ შეეხეჩა ნაცნობი ფრანგი, ძმური სოციალისტური პარტიის წევრი დე,კორდი, რომელიც მისალმების შემდეგ შეეკითხა:

— საით, ამხანაგო ანდუყაფარ?

— ანდუყაფარი დაიბნა, რადგან მას არ შეეძლო ფრანგ ამხანაგისთვის იმ საქმის შინაარსის გამხელა, რომლის შესრულებაც ჰქონდა მინდობილი, ისეთ „საპატიო“ საქმეს, როგორც ამჟამად ასრულებენ მენშევიკები ემიგრანტები სხვის სამშობლოში, ფრანგი სოციალისტი ვერ იკისრებს, ასე ადვილათ.

— ამხანაგთან მივდივარ!—ცოტა სიჩუმის შემდეგ უპასუხა ანდუყაფარმა

— დემონსტრაციაში არ აპირობ მონაწილეობის მიღებას?

— რომელ დემონსტრაციაში?

— მუშების დემონსტრაციაში, დღეს ხომ პირველი კომუნარების დღეა; ნუ თუ არ იცი?

— ვიცი, როგორ არ ვიცი, მაგრამ დღეს ძლიერ საჭირო საქმე მაქვს, არა მცალიან!

— ოო, როგორ შეიძლება, ამხანაგო! მუშები ისედაც ღალატობას გვწამებენ, ამბობენ, რომ ჩვენ აღარა გვაქვს კომუნიზმისთვის თავდადებულ მებრძოლთა პატივისცემა და სიყვარული და სხვა ამისთანები! ამიტომ, რაც შეიძლება ბლომათ უნდა დავესწროთ კომუნარების მოგონების დღეს და არ მივსცეთ კომუნისტებს საშუალება ეს დღე თავიანთი აგიტაციის დღეთ გადააქციონ. ყველანი უნდა დავესწროთ, ჩვენც. ემიგრანტებიც, მეტადრე ემიგრანტები, რომლებიც ახლო იცნობთ კომუნისტების მოღვაწეობას. საქმე კი შემდეგისათვის შეგიძლია გადასდო.

მეტი გზა არ იყო, ანდუყაფარს უნდა მიეღო ფრანგი ამხანაგის წინადადება.

კომუნარების საძმო სასაფლაოზე თავს იყრიან აუარებელი მუშები. მთელი გარემო წითელი დროშებითაა აფერადებული. შორი ახლო დგანან პოლიციელთა რაზმები. ხალხს არაჩვეულებრივი განწყობილება ეტყობა სახეზე.

დაიწყო სიტყვები. ლაპარაკობენ უმთავრესად კომუნისტები. მუშები აღფრთოვანებით ეგებებიან მათ სიტყვებს და ფიცს სდებენ, რომ კომუნისტური დროშის ქვეშ იბრძოლებენ იმ იდეების განსახორციელებლად, რომელსაც სიცოცხლე შესწირეს პირველმა კომუნარებმა.

კომუნისტ ორატორებს სცვლიან ორატორები სოციალისტურ პარტიებიდან. ესენი მთელი მჭერმეტყველებითა და გატაცებით არწმუნებენ მუშებს, რომ პირველ კომუნართა ნამდვილი მემკვიდრენი ისენი არიან და არა კომუნისტური პარტია, რომელიც თეზისების ქარხანათ არიან გადაქცეულნი და წარმოადგენენ მოსკოვის ჩეკას განყოფილებას.

ხალხში სოციალისტების სიტყვები უწვევენ უკმაყოფილებას. აქა-იქ გაისმის პროტესტის ხმა, ზოგან სტვენაც. ერთი მაღალი მუშა გამოეყო თავის ჯგუფს, მიირბინა ტრიბუნასთან, რომელზედაც სოციალისტი ლაპარაკობდა, სწვდა ფრაკის კალთებს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოსწია თავისკენ. ორატორი ტრიბუნის მოაჯირს მოეჭიდა, ხოლო მუშას ფრაკის მარჯვენა კუდი შერჩა ხელში.

— ახლაც ილაპარაკებ ტყუილებს,—შეჰყვირა მან გაფითრებულ ორატორს, ახლა ხომ შენი კუდი ხელში მაქვს!

ორატორმა ცოტა სული მოიბრუნა და განაგრძო

— თქვენ, ამხანაგებო, ასე იმიტომ იქცევით და მეტი ნდობით იმიტომ ისმენთ კომუნისტების სიტყვებს,რომ არ იცნობთ მათ საზიზღარ მოქმედებას. აქ, თქვენს შორის არის ამხანაგი ანდუყაფარ ჩაფხუტაძე, რომელმაც უშუალოთ განიცადა კომუნისტური რეჟიმის მთელი საშინელებანი და რომელიც პირადათ მოგახსენებთ მათ შესახებ. გთხოვთ მოუსმინოთ.

ჩამოვარდა სამარისებური სიჩუმე..

ანდუყაფარი, რომელიც ისედაც მოთმინებიდან იყო გამოსული მუშების უპატივცემულო მოპყრობით სოციალისტური პარტიის წარმომადგენლებისადმი და იმით, რომ კომუნისტების ორატორებს ხალხი აღფრთოვანებით უსმენდა, ვეფხვივით გაექანა ტრიბუნისაკენ და თვალის დახამხამებაში ტრიბუნის კოფოზე ავარდა.

მთელი ხალხი უდიდესი ყურადღებით მისჩერებოდა ანდუყაფარის არაჩვეულებრივ გამომეტყველებას და მის აბურძგვნილ თმებს. ის კი რამდენიმე წამი იდგა უმოძრაოთ და ხმის ამოუღებლათ.

— გისმენთ მოქალაქევ!—მოესმა მას აქეთ-იქიდან.

ანდუყაფარმა მაღლა ასწია მარჯვენა ხელი და დაიწყო!

— აქა სთქვეს, რომ ჩვენ, სოციალისტები ულირსად ვეპყრობით პირველ კომუნარებს და იმ დიად იდეებს, რომლებსაც მათ შესწირეს თავიანთი ძვირფასი სიცოცხლე. სიცრუეა ამხანაგებო ეს. ჯერ კიდევ 20-25 წ. წინათ,როდესაც საქართველოში პირველათ მოვაწყვეთ კომუნარების ხსოვნის დღე, მე პირველად მივმართე ხალხს ასეთი სიტყვებით:

— ქუდი მოიხადეთ კომუნარების ხსოვნის წინაშე!..

ხალხმა ეს სიტყვები ისე გაიგო, თითქოს ისინი უშუალოთ მათ შეეხებოდათ და ქუდები მოიხადეს.

ანდუყაფარმა რომ ეს დაინახა, თავისი ორატორული ნიჭის გამარჯვებათ ჩასთვალა და კიდევ უფრო მოუმატა ხმას:

— რაც შეეხება დღევანდელ კომუნისტებს და პირველ კომუნარებს, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ მათ შორის არავითარი მსგავსება—არც იდეური, არც ტაქტიკური და, მით უმეტეს, პრაქტიკული, არ არის და არც შეიძლება იყოს... დღევანდელი კომუნისტები, შეიძლება ითქვას, უფრო იაკობინელებს მოგაგონებენ, ვინემ კომუნარებს...

— საბუთი, საბუთი!—გაისმა ხალხში.

— საბუთი გნებავთ! აბა შეხედეთ, პირველ კომუნარებს, როგორ მშვიდათ და წყნარათ განისვენებენ საფლავში. აი, მათ შესახებ, ყველა იტყვის, რომ ისინი მართლა მსხვერპლნი არიან ბურჟუაზიული წყობილების, მსხვერპლნი არიან კაპიტალისტების ძალმომრეობის. ახლა შეხედეთ კომუნისტებს რუსეთში, საქართველოში, და ყველგან, სადაც არსებობს საბჭოთა ხელისუფლება! ვის შეუძლია სთქვას, რომ ისინიც, პირველ კომუნარებსავით, მსხვერპლნი არიან ბურჟუაზიული წყობილების? არავის! პირიქით, ბურჟუაზიული წყობილება მსხვერპლი გახდა კომუნისტების ვერაგობისა და ძალმომრეობის. ჩვენც, მო-

# დროული




— კიდევ და ასე სჯობია—ნეტავი ყველა ეხლა გახდებოდეთ ავათ, როცა ყველაფერზე ფასები დაკლებულია.

ქალაქენო, ჩვენც, ქართველი სოციალისტებიც მსხვერპლნი გავხდით ბოლშევიკური რეჟიმის, რადგან გვწამდა და დღესაც გვწამს, რომ სოციალიზმის დამყარება შეიძლება არა შეიარაღებული აჯანყებით, არა იარაღით ბრძოლით, არამედ დემოკრატიული გზით, მშვიდობიანათ და თანდათანობით.

— საბუთი, საბუთი! კვლავ გაისმა ხმა! თუ იმის საბუთი გნებავთ, რომ კომუნიზმის იდეების გამარჯვება შეიარაღებული ბრძოლით არ შეიძლება, შეხედეთ ისევ პირველ კომუნართა საფლავებს... რატომ ვერ გაიმარჯვეს მათ!

— რუსეთში როგორღა გაიმარჯვეს?

— რუსეთში პირველი კომუნარები არ ყოფილან! იქ გაიმარჯვეს იაკობინელებმა, იქ გაიმარჯვეს ლენინისა და ტროცკის აგენტებმა.

— ძირს!—გაისმა რამდენიმე ხმა.

— ძირს! იგრიალა მთელმა ხალხმა.

— ორიოდე სიტყვაც!—დაიღრიჯა ანდუყაფარი. მაგრამ ხალხი მას ყურს არ უგდებდა. ანდუყაფარი ჯიუტათ იდგა ტრიბუნაზე და წყალში ჩავარდნილივით ექნევდა ხელებს, სანამ ვიღაცის ღონიერმა ხელმა ყირამალა არ გადმოაგდო ძირს.

როდესაც ანდუყაფარი ორივე ფეხებით მაგრათ დადგა ნიადაგზე, სათვალეები გაისწორა და ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, მხოლოდ მაშინ შეამჩნია, რომ შტაბისთვის გადასაცემი საბუთები სადღაც დავარდნოდა.

ელდა ეცა. მართლაც ხუმრობა ხომ არ იყო! საბუთებს ბოლოში, გარკვეული ხელით ეწერა: ანდუყაფარ ჩაფხუტაძე". ცხადია, თუ საბუთები ჩაუარდებოდა ხელში კომუნისტებს, მეორე დღესვე „ჰუმანიტეს" ფურცლებზე ამოყოფდა თავს. თავი მოექრებოდა თვით ანდუყაფარსაც, მენშევიკ ემიგრანტებსაც და საფრანგეთის სოციალისტურ პარტიასაც მაგრად მოხვდებოდა მენშევიკების მფარველობისათვის!

დაღონდა საწყალი ანდუყაფარი და ისე ცივათ დაიძრა კომუნართა სასაფლაოდან, რომ უკან არ მოუხედნია: მიდიოდა სახლისაკენ მარტოდ-მარტო და თან თავისთვის ფიქრობდა:

— არა, ვინ მჯიდა მე ოხერს, რომ საფრანგეთის სოციალისტური პარტიის დამცველად გამოვედი! არა, რა ეშმაკმა შემახვედრა დღეს იმ ოხერ სოციალისტს! ფეხი მომტეხოდა და დღეს სახლიდან არ გამოვსულიყავი ისა არა სჯობდა! ხომ ვიცოდი, რომ დღეს კომუნარების დღე იყო! კომუნარები კი, აბა, რა ხეირს დაგვაყრიან, ჩვენ, სულ ერთია, მკვდრები არიან თუ ცოცხლები! ხომ ჯობდა, დღე იყო! კომუნარები კი, აბა, რა ხეირს დაგვაყრიან, ჩვენ,

თქვენ რას იტყვით, ძვირფასო მკითხველო, მართლა ასე აჯობებდა ანდუყაფარისათვის?

ყოლონა.

# წყალწაღებულნი

(სცენა წარმოადგენს სარდაფს, სადაც მენშევიკების კრებაა).

იაკინთე: (მარტო) მგონი ჩვენი ვარსკვლავი ისევე ამოდის: ევროპის ბერჟუაზიის მოთმინების ფიალა ივსება და სადაც არის თოფის წამლის სუნს ვიგრძნობთ. (აიღებს გაზეთს, რომელშიაც ჩემბერლენის ნოტა არის მოთავსებული) მალადეც, ჩემბერლენ, მალადეც. წარმოდგენილი მაქვს როგორი სიხარულით აავსებდა ეს ნოტა ჩვენს „მთავრობას“ პარიზში. (შემოდის კირილე)

კირილე: სალამი იაკინთეს. როგორ არის საქმეები?

იაკინთე: ასეა, უჩვენებს გამართულ ცერებს).

კირილე: ვითომ?

იაკინთე: (გაკვირვებული) როგორ, კაცო, შენ ქურში ხომ არ სცხოვრობ? ვერ ხედავ ჩემბერლენის ნოტას?!

კირილე: ეხ, ძმაო, ნოტებისა მე აღარა მჯერა რა, შენ რაც სთქვი თუ რეალურად არის რამე, თორემ ნოტების რახა-რუხით შორს ვერ წავალთ. ხო, მართლა, კინაღამ არ დამავიწყდა, ეხლა რუსთაველის პროსპექტზე...

იაკინთე: (აწყვეტინებს) თუ ძმა ხარ თავი დაანებე მაგ რუსთაველის პროსპექტს; თქვი გოლოვინის პროსპექტი ძველებურად; ხომ იცი ახალი სახელები მეჯავრება.

კირილე: არა, ბიჭო, რუსთაველის პროსპექტი მგონი ჩვენ დავარქვით.

იაკინთე: სულ ერთია თუ გინდა ჩვენი დარქმეული იყოს მაინც არ მინდა. დაილოცოს ნიკოლოზის დრო, ისევე ის სახელები მირჩევნია.

კირილე: ხო იმას ვამბობდი, ეხლა შემხვდა ერთი ჩვენი ამხანაგი და სულ ახალ-ახალი ამბები მიამბო.

იაკინთე: აბა, აბა;

კირილე: გუშინწინ კომუნისტების ცენტრალურ კომიტეტში დიდი ამბავი მომხდარა...

იაკინთე: მართლა, ბიჭო, მართლა?!?

კირილე: სიტყვის გეფიცები.

იაკინთე: აი ანასური მათ საქმეს; აბა როგორ ეგონათ! მერე, როგორ გათავებულა საქმე?

კირილე: როგორ გათავებულა კი არა, დიდი სკანდალი თურმე. ოპოზიციას ერთხმად განუცხადებია: თუ მენშევიკებს არ შეუერთდით, ჩვენ პარტიიდან გავდივართო... შემდეგ რა მომხდარა, არავინ იცის, მაგრამ მე რაღაც ტონი მიგრძნობს, რომ ისინი ჩვენთან მოვლენ და ამ სარდაფიდან უფრო ძლიერად შევებრძოლებით იმ კონტრ-რევოლიუციონერებს.

იაკინთე: თუ ძმა ხარ მაგ უკანასკნელ სიტყვას ნუღარ გამაგონებ. ბოლოს და ბოლოს ველარ გავიგე ვინ არის კონტრ-რევოლიუციონერი ჩვენ თუ ისინი. (შემოდიან: გიორგი, ნიკო და სერგო)

გიორგი: აი, ხაზეინებიც აქ ყოფილან, სალამი თქვენდა. (ერთმანეთს მიესალმებიან და დასხდებიან).

იაკინთე: ხუცესი გვაკლია, თორემ კრებას გავხსნიდით.

გიორგი: ცოტა ხანს მოვიცადოთ და ისიც მოვა... სხვა რა იცით ახალი?



ხუცესი: მადლი უფლისა თქვენზედა იყოს, შვილებო!

# „შეყვარებული“




სპეკულიანტი (ოგებას):

ნუ დამტოვებ, სად მიდიხარ? არ გებრალვი განა?
თუ მშორდები,—გევედრები გულში ჩამეც დანა.
მე უშენოთ გავკოტრდები, ვერ ვიცხოვრებ ვერა.
ჩემო ყველავ, სიყვარული ჩემი რად არ გჯერა.

შენც კი იცი რომ მუშკოოპი არა გეტრფის დიდათ.
ზიჯობს დარჩე... სიცოცხლესთან იყო ჩემთვის ხიდათ.
შემიბრალე, ნუ მიდიხარ, კიდევ მეტს გცემ პატივს;
მოვუმატებ ფასს საქონელს უბრალოს და მარტივს...

---

იაკინთე: მე რა მეცოდინება ამ სარდაფში! ახალი ამბებით ალბათ თქვენ იქნებით დატვირთული.

გიორგი: ახალი ბევრი ვიცით, მაგრამ ამ ლიტვინოვის მაგარმა პასუხმა რაღაც შემაფიქრა.

იაკინთე: როგორ, ჩემბერლენის ნოტაზე არის პასუხი?

გიორგი: არის და მერე როგორი მაგარი. ასე გეგონება ეს კომუნისტები ასი წლით იყვენ მოსულნი. ისე იქადებიან, თითქოს მთელი ქვეყანა მაგათი იყოს.

იაკინთე: აბა ერთი მაჩვენე რა სწერია. (გაზეთს გაზეთს გამოართმევს გიორგის და კუთხეში მიჯდება).

კირილე: სხვა, რა იცით კიდევ ამხანაგებო, ახალი.

გიორგი: ახალი ის არის, რომ საზღვარგარეთიდან ჩვენებიდან წერილი მოვიდა და იწერებიან აჯანყებისათვის ემზადეთო. (შემოდის ხუცესი)

ხუცესი: (გადასახავს ჯვარს, ყველანი ხელზედ ემთხვევიან) მადლი და წყალობა უფლისა ჩვენისა თქვენზედა, შვილებო

ნიკო: მამაო, ხომ არაფერი იცითი?

ხუცესი: როგორ არა, შვილებო, ბევრი რამ ვიცი. გეფიცებით ქრისტეს, რომ ჩვენი საქმე ძალიან კარგად არის. წუხელის ჩვენ წმინდან ბერს ღმერთი გამოეცხადა; პირდაპირ როგორც ეხლა თქვენ გელაპარაკებით ისე უთხრა: არ დაეცეთ სულით, იბრძოლეთ, ემზადეთ აჯანყებისათვის და მომავალი თქვენი არისო. ასე მამა შვილობას გეფიცებით...

სერგო: მამაო, როგორ არის თქვენ მრევლში ფულის შეგროვების საქმე?

ხუცესი: ფულის შეგროვება ჯერ კიდევ ვერ მოვაწყვე, იმიტომ, რომ ეს დაწყევლილი კომუნისტები ყველგან არიან; ხომ იცით ფულის შეგროვება რა ძნელი საქმეა. თქვენ გგონიათ ეკლესიაში მარტო მორწმუნენი დგიან? გუშინწინ საკუთხევლიდან, რომ გამოვედი, კინაღამ თვალები დამიბნელდა. ვხედავ ჩემს წინ კომუნისტი დგას და დიდი სასოებით ლოცულობს. ძალიან გამიკვირდა, მაგრამ მაშინვე მიხვდი, რომ შემოგზავნილი იყო და მეც ჩემებურათ მოვიქეცი; იმ დღეს წირვის გათავების შემდეგ ისეთი სიტყვა ვთქვი, რომ იმ კომუნისტს ალბათ მეც გაკომუნისტებული ვეგონე.

იაკინთე: (ადგება და გაზეთს გადააგდებს) დასწყევლა ღმერთმა ამათი სახსენებელი,—გგონია ეს არის იღუპებიანო, და ასეთი რიხით კი ლაპარაკობენ.

ხუცესი: არაფერია, იაკინთე, ღმერთი ჩვენთან არის.

იაკინთე: (დაინახავს ხუცესს, მივარდება და ხელზე ემთხვევა) მაპატიეთ, მამაო, რომ აქამდე ვერ შეგამჩნიეთ, როგორ ბრძანდებით?

ხუცესი: არა მიშავს რა, მტრების გასახარელათ მაინც არა ვარ; ისე ვარ, როგორც თქვენ გაგეხარდებათ.

იაკინთე: აბა დავიწყოთ, ბატონებო.

ყველანი: დავიწყოთ, დავიწყოთ.

იაკინთე: ამხანაგებო, ცეკას დავალებით კრებას გახსნილათ ვაცხადებ... საინფორმაციო მოხსენებისათვის სიტყვა ეკუთვნის ამხ. გიორგის.

გიორგი: ამხანაგებო, ჩემი მოხსენება მოკლე იქნება, რადგანაც თვითეული თქვენგანი გააკეთებს მოხსენებას ადგილებიდან.

იაკინთე: ვინაიდან აქ არიან წარმომადგენლები: სასულიერო წოდების, წვრილი ვაჭრების, მსხვილი ვაჭრების, მგონი მუშების და გლეხებისაც, ამიტომ წინადადება შემოდის, რომ ეს კრება პირდაპირ პარტიის კონფერენციათ გადავაქციოთ.

ყველანი: კარგი იქნება, კარგი.

იაკინთე: წინადადება მიღებულია, პარტიის მესამე კონფერენციას გახსნილად ვაცხადებ. ამხანაგო, გიორგი, განაგრძეთ.

გიორგი: ამხანაგებო, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი პარტია იბრძვის, რომ კომუნისტები განდევნოს და ჩვენ გავმეფდეთ. ამ მიზნისათვის უნდა ვაკეთებდეთ ყველაფერს, რომ ჩვენი საკითხი ყველგან იძმება. მართალია შედეგი არსად სჩანს, მაგრამ იქნება. უკანასკნელი ცნობებით ჩვენი ძმები მუსავატელები და დაშნაკები ჟორდანიასთან შეთანხმებულან. საჭიროა აჯანყების მოწყობა, მაგრამ რასაკვირველია უფრო დაკვირვებულად, ერთად უნდა გავიდეთ დაშნაკელებთან და მუსავატელებთან.

ხუცესი: ეგ კი არ მომწონს.

გიორგი: არა, თქვენ იცით, რომ ჩვენი ლიდერები დიპლომატები არიან; ჯერ მათ გამოვიყენებთ და შემდეგ სომხეთს და აზერბეიჯანს საქართველოს შემოვუერთებთ; ჯერ საერთო მტერი მოვიშოროთ და მერე ყველაფერი იქნება. მთელი ევროპა ჩვენ მხარეზე არის. ამბობენ: ერთი კიდევ გაძლოდით და მერე ჩვენ ვიცითო. ირაკლი წერეთელი დიდი ამბით მიუღია ინგლისის მეფეს და ხელშეკრულება მოუთხოვია: თუ მომცემთ პირობას, რომ საქართველოში მეფეს აირჩევთ,—დაგეხმარებით. ვინაიდან ირაკლიმ იცოდა ჩვენი ხალხის აზრი, ამიტომ ხელწერილი უკვე მიუცია, რომ ჩვენ მეფის არჩევის მომხრე ვართ. ინგლისის მეფეს კანდიდატათ წამოუყენებია ვასო დუმბაძე, ის კვაჭის რომ ეძახიან... ჩემის ფიქრით კვაჭიმ ისეთი ღვაწლი დასდო საქართველოს, რომ მისი კანდიდატურა ჩვენთვისაც მისაღები იქნება. აი ამხანაგებო, მოკლე ჩემი მოხსენება.

ხუცესი: (აღტაცებული პირჯვარს იწერს) „აწ განმიტევე, უფალო, მონა შენი“ აწი რომ მოკვდე, შვილებო, აღარ დავეძებ, რადა ჩვენმა პარტიამ მეფე მიიღო, ჩვენი გამარჯვება აუცილებელია იქნება. ვერ წარმოიდგენთ, მეგობრებო, როგორი მახარობელი ვარ მე დღეს სამღვდელოებისათვის. (ლექურს ჩამოიარს და სხვებიც აჰყვებიან... გაიღება კარები და შემოდის საგანგებო კომისიის აგენტი).

საგანგებო კომისიის აგენტი: (რევოლვერით ხელში) ხელები მაღლა, თქვენ ყველანი დაპატიმრებული ხართ.

შ. გორისელი.

# „უმენშენია“

აი, ჩემი ცოდო ატაროს, ვინც რომ ეს ფასების უმენშენია მაიგონა და მე ხლაფორთში ჩამაგდო!

ჰუზურში მე რომ რაზუმენოს ვშვრები, ამ რუსებს ტოჩი-ტოჩნათ სწორი პასლოვიცა უთქვიათ, რომელიც რომ პასლოვიცაში ნათქვამია: ზაკონი და დიშლა ბარდი-ბარი არიანო; საითაც რომ დიშლას მიაბრუნეფ, ნაპრავლენიაც იქით ექნებაო...

ჩემა მზემ, თელეთის მადლმა, ნამდვილი სრავნენიაა, რაზუმნათ ხათქვამი რამეა—გინდ დაიჯერე, გინდ არა!.. ახარ გებნები, საკუთარ ოპიტზე გამომიცდია რაღა, ზაკლუჩენია გამიკეთებია; მაგისგნით კაი ლაზათიანი შტრაფიც დამარტყეს, და ჰამაც დუქანი სამი თვით დამიკეტეს, ასმა აბიზატელნი პასტანავლენიაში ეგრე სწერიაო!

— ეე ყურუმსალ, სწერია რომელია? თუ ჩასწერ, ეწერება, მაშ რა დოზანა მოუვა? რო სწერია, აიღე და წაშალე!—შენგნით შადგენილი პასტანავლენიაა, კარაბადინი ხომ არ არის, ან მამაო ჩვენო, რომა ჩიჩმაკები აირიოს? —ნუ, სლოვომ დიშლა მიაბრუნე რაღა და ყველაფერი გათავდება!

შტრაფზე ხომ არაფერს ვამბოფ? ნუ აშიპკა მიქნია, თოლ ზაკონში ჩასწერე თუ: ჰაა, გეურქ, ეს ერთი მიგიქარია, ფინთი რამე გიქნია და სხვა დროს ჩესტნათ მაიქეცი თქო... თანაც ასრიზამანში რო ვთქოთ, არცა ვტყუი და, ზაკონში ეწერა თუ ყველა რასხოტები უნდა შავამციროთო, ყველა უჩრეჟდენიამ, კაპერატიამ და პრაიზვოდსტვამ, რაც რომ რასხოტები აქვთ უნდა შაამოკლონო, ჰამაც ფასები უნდა დაუკლონ საქონელზეო!

ვა, გამიხარდა, ვიფიქრე თუ, ძლივს ერთი მარიფათიანი საქმე ქნეს ამ ბემურაზმა ბალშევიკებმა მეთქი, თუ რასხოტების შამოკლების პასტანავლენია გამოსცეს, მაშ ჩემგნით გადასახდელი ნალოგიც ხომ ჩემთვის რასხოტია და ზნაჩიტ რომა იმას მიმოკლებენ მეთქი!

ეს ფასების დაკლება კი ჰქვაში არ მამივიდა ჰამა, მაინც კანკურენციისათვის რისკი ვქენი და ცოტ-ცოტა მოუკელი ზოგიერთ ჯაბახანა საქონელზე: ხურმაზე, სემიჩკაზე, ჯონჯოლზე და რამეებზე- ჰამაც ყველაფერზე დავაწერე თუ მავან საქონელს, გირვანქას ფლანი ფასი აქვს, მავანს ფსტანი მეთქი.

ჩემ ცხვირ წინ კაპერატიას მაღაზიაა, ერთი ჰაკარაკი ვინმე ჯანჯალი ზავედუიში ჰყავს, რაღაცეებს თითილ ზაზობდა ცისმარე დღეს, ახალ-ახალ ზაპისკებს აკრამდა ვიტრინებში, რომაო, „ჩვენს მაღაზიაში ძალიან დავაკელით“...

მეც უკან არა ვრჩებოდი და ვაწერდი რამეებს: მუშტრებო ჯან, ჩემს დუქანში, ნაკლადნოი ხარჯების შემცირებისგნით დიდი იაფობაა, ფაფრიჩნი ფასებია მეთქი; ჰამაც სკიტკას დავპირდი...

ჰუზურში მართალიც ვიყავი: კაპერატიასა იმტოლი გასავალი აქვს, რომა ნახევარი ქონება ზედვე უნდება; ეს გამეგო, ეს კასირჩიკებიაო, ეს კანტროლნებიაო, ეს კამანდიროვკაო, ეს უსუშკა და უტეჩკაო, ეს რასტრატაო, ვინ მოსთვლის? თანაც იმ ხალხს ფეხებზე ჰკიდიათ, კაპერატია მაიგებს თუ წააგებს! მე კი მარტო ვარ, დახლიც მე მაბარია, კანტროლიც, კამანდიროვკაც და დოზანაც. ჰამაც ჯიგარი მეწვის, გული შამტკივა, ყველა ტავარს შვილივით ვიცნობ. მუშტრებს თაფლათ ვეცხობი, ბარხატნათ ვექცევი, კაპერატიას პრიკაშიკებივით გრუბათ არ ველაპარაკები...

მაგრამ მაინც თურმე შარი ბოლოში ყოფილა! თურმე ზაკონი აბრატნათა ყოფილა დაწერილი: კაპერატიამ და უჩრეჟდენიამ ხარჯები შაამოკლოსო და გეურქამ კი იმათთან ფასები დაუკლოსო! პუპუზ, ეს ბემურაზი იხსპექცია არ გამოტყვრა? აი კრესტიანცკი ისპეხცია ხომ იცი? იმის სტარში ნაჩალნიკათ ანდრია დოლიძე ყოფილა, ისეთი სკუპოვი ვინმეა, რომა ერთ ნემსს არ დაკარგამს, ყველაფერს ზედ ადნება, იმახის თუო—ეს სახალხო ქონებაო, თვალი და ყური უნდა ვადევნოთო, რაც რომ ზაკონი გამოსულა, ისე უნდა შასრულდესო.

მოდი შენ და ღმერთი სთხოვე, ახარ შე ბემურაზო, შენ რა გრჯის, სახალხოა, კაზიონია, შენი საკუთარი ხომ არ არის, რა ჯიგარი გეწვის, თოლ ყველამ ხეირი ნახოს, შენი სიყმე ლოცოს, რა გენაღვლება?.. საქმეში ხარ?! ის მაინც თავისას არ იშლის... ეხლაც ამდგარა, ისპეხტორები დაუბარებია და უთქვია თუ:

— ისპეხტორებოჯან, თქვენი მარიფათის ჭირიმე, წადით ჩამაიარეთ ყველა კაპერატია, აბსლედოვანია ქენით, ხარჯების შემოკლების და ფასების დაკლების ზაკონი ტოჩი-ტოჩათ სრულდება თუ არაო? ჰამაც, სრავნენიისთვის, ორიოდე ჩასტნი დუქანიც დაათვალიერეთ და ზაკლუჩენია გააკეთო... ისინიც მისულან ჩემს გვერდით რო კაპერატიაა, ის გაუშინჯიათ და დიდი ზლაუპატრებლენია უპოვიათ: თურმე ის მემურაზი გამგე როცა სწერდა რომაო: „ჩვენს მაღაზიაში ძალიან დავაკელითო“. ფასები კი არ დაუკლია, მაღაზიის ქონებისათვის დაუკლია! სტაცეს ხელი და კუტუზკაში გააფრინეს..

გულში ძაან გამიხარდა, ცას დავეწიე, მაგრამ მეც გამამწარეს:

ყველივრის ორშაბათ დღესა, ისპალკომის აგენტი მამადგა, ამსიგრძე ისემე ამოიღო, შტრაფის ლისტი და დახლზე დამიდო:

— შენზე ამტოლი და ამტოლი ნალოგი იყოვო, შენ კი იმის ნახევარი შაგიტანიაო, ეხლა თუ შტრაფსაც არ გადაიხდი, დუქნის ოპისი გიზამთო.

ვებნები:—ეე, მუნდრუგ, ჰკვაზე მოპრონწიალდი, ჰაკარაკათ რო ლაპარაკოფ, ზაკონში აღარ იხედები? პრიკაზი გამოვიდა, რომაო ხარჯები ნაპალავინათ ყველამ შეამოკლეთო, მეც ნახევარი გადამიხდია, და ნახევარი შამიმოკლებია რაღა, რას მედავები მეთქი.

ამ ლაპარაკში ვართ, ნეჩაიათ ის დოლიძის ისპეხტორებიც თავზე არ წამოგვადგნენ? ჩემ ლაპარაკზე ჯერ ძაან იცინეს, მერე კი სტროგათ მებნებიან რომაო

— ეგ ზაკონი შენ არ გეხება, კოოპრატივები და უჩრეჟდენსკი ლინიით არის გამოსულიო. შენ ჩასტნი ხარ და ნალოგიც ბევრი გეკუთნისო... ჰამაც დაუარეს, ყველა საქონელი გაშინჯეს, ფასები შაამოწმეს, ყველგან ცხვირი ჩაჰყვეს, ზოგი რამე დამიწუნეს და თქვეს: თუ აქ მარტო ისპეხცია კი არა, სანიტარნი კამისიაც უნდა მოჭიდესო, ეს ჯონჯოლი დამპალია და ხალხს ატყუეფო. ბოლოს სასწორი და გირები ნახეს... ვა, ვა, ვა, აქ კი ხოჯივანქის პევჩებივით, ყველა ერთათ აყვირდა:

— შენ ზაკონი დაგირღვევია, ამ გირებს გოსვესის ახალი ფეჩატი არ არტყია და ეხლავე პასუდში უნდა მიგცეთო! რაღაცა დასწერეს ხელი მამაწერიეს და წავიდნენ. ეს ბემურაზი ისპალკომის აგენტები კი ტერტერას ყავარჯენივით ამეტუზა და აღარ მშორდება: ნალოგი მამეცი... ისე გავბრაზდი, რომა ტერპენიის პუზირკა გამისქდა და რაც რომ გულში მქონდა, ყველაფერი უთხარი:

— მეთქი თვე ბემურაზებო, თქვენგნით გამოცემულ ზაკონს თქვენ არღვევთ და შტრაფს მე მთხოვთ? დაგიწერიათ რასხოდი შაამოკლეთ, მეც ვამოკლებ, თქვენი ხარჯი-ხარჯია და ჩემი კი ისპანახი? ყველაფერს თუ ამოკლებთ, ნალოგიც შაამოკლეთ რაღა, აი რავნაპრავია მაშინ იქნება მეთქი,—აქედან გამეცალე, თორემა ამ ნაკურთხ ცხვრისთავივით მუშტს ხო ხედავ, ერთი ეშპეტიაშვილური დაგადო, წელს ველარ აიღეფ მეთქი!.. შეეშინდა, დიდი უგროზით წავიდა...

მესამე დღეს, კამისარი ამეტუზა, დიდი ნატაცია წამიკითხა და ბოლოს გამამიცხადა, რომაო საგლასნა პასტანავლენია, იმ ძველ შტრაფსა ახალიც მიემატაო და ჰამაც კანონის დარღვევისათვის სამი თვით დუქანი უნდა მაგიკეტოთო. პასუდშიაც მიგვიციხარო... გარეთ გამამიყვანა და დარაბებს ფეჩატი დაარტყა... ჯიგარი დამეწო რაღა, გული ჩიჟი-პიჟივით ჩამეხრაკა, ნეტავ ჩემს დღეში ფასების უმენშენია არ გამეგონა და ამ ხათაში არ ჩავარდნილვიყავი და თოლ, ისევ ეგენი გამდიდრებულიყვნენ.

**ფარსადან**

# უ ფ უ ლ ო ბ ა

## კინტოს სიმღერა

კინტოს სიმღერ

ვინ ჩამოთვლის უფულობამ
რა არ ჩამადენინა;
რომ მინდოდა ღვინის სმა
წყალი დამალევინა.
ჩემი გულის ვარდკოკობი
სხვისთვის დამათმობინა;
როცა საქმე წამიხდა,
სიცრუეც მათქმევინა.
სხვის საქმისთვის მთა-ბარი
ფეხით მომარბენინა
და საკუთარ საქმეზე
ხელი ამაღებინა...

ვა, ამ ქვეყნის ტრიალი
ნეტავ გამაგებინა!?
უფულობამ ბევრი რამ
ცუდი ჩამადენინა.

ქვიშნარელი.

# ი შ პ ი ლ



აქ რა არის გასაოცი!
ოცი ღირდა, კვლავ ღირს ოცი...
ეს წაშლილი ოცდაათი
ხერხი არის მხოლოდ მათი,—
თითქოს ღირდა ეს ამდენი,
და დააკლეს დანარჩენი—
ესე იგი დღეს ღირს ოცი...
თითქოს ჰქნეს რამ გასაოცი.

# ამბები და შემთხვევები

### სასწაული

— 13 მარტს კიდევ ერთი სასწაული მოხდა.

— რა სასწაული?

— ამ დღეს „სახელგამიდან" არც ერთ პოეტს ავანსი არ მიუღია.

— ეგ როგორ მოხდა! არ დავიჯერებ!

— გარწმუნებ მართალია! კვირა დღე იყო და კარებიც დაკეტილი იყო, აი რატომა!

### მოქალაქის დანაშაული

— ამხ. კომისარო, მე გამიშვით, რაღაზე მაჩერებთ?

— რაზე ხართ დაჭერილი, მოქალაქე?

არ ვიცი, აი, ამ ქურთმა მეეზოვემ დამიჭირა.

— ალბათ დააშავებდით რამეს!

— არაფერი არ დამიშავებია!

— ისე არ დაგიჭერდათ!

... ეგ ქუჩასა ჰგვიდა შუადღის გულზე...

— მერე?

— მეც ამ დროს გამოვიარე ტროტროზე. მაგან მთელი ნაგავი ზედ შემომაყარა.

— მერე?

— მე ამაზე ცოტა წყენით შევხედე, მაგრამ არაფერი კი არ მითქვამს.

— მერე?

— ეგ მაშინვე მომვარდა—რას მიბღვერო! ჯერ თქვენი მოწონებული მლანძღა, მაგინა; მერე ცოცხის ტარიც წამკრა რამდენჯერმე და კომისარიატშიაც მომიყვანა.

— მართალია, ამხ. მეეზოვე, რაცა სთქვა მოქალაქემ?

— „ეთა ფრავდა, თავარიშჩ კომისარ!"

— მოქალაქე! ეს ერთი დანაშაული მიპატიებია. მაგრამ მეორედ კი აღარ გაბედოთ, მეეზოვეს ბრუნდეთ შეჰხედოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში... მიბრძანდით!

— გმადლობთ ამხ. კომისარო!

### გაჭირვებული სტუდენტი

— სად მიბრძანდები ყმაწვილო?

— დეზერტირკაზე.

— რათა?

— პალტო უნდა გავყიდო.

— კაცი ამ სიცივეში პალტოს გაყიდის?

— რას იზამ! გაჭირება მადგია..

— ეჰ მესმის შენი მდგომარეობა ჩემო ძმაო! ძნელია სიმშილი!

— აჰ, მე სიმშილი არ მაწუხებს! ორ დღეში რომ ერთხელ ვსჭამო პური—ისიც მეყოფა.

— აბა, წიგნებისთვის თუ გჭირდება მაშა?

— არა! ნეტა როგორც უწიგნებოთ მივდივარ იოლადა, ისე სხვა რამე არ მაკლდეს.

— ეგები ავათა ხარ, მაგრამ რომ არ გეტყობა! ეგები მახლობელი ვინმე გყავს ავათა?

— არა, კაცო... არა! რა მავის ჯავრი მაქვს!

— მა რა გაგიჭირდა ისეთი. რომ ასეთ ურჯულო ამინდში პალტო გაგიხდია და გასაყიდათ მიგაქვს?

— კინოსთვის მინდა, კინოსთვის, გაიგე! ლამის მთელმა ქვეყანამ ნახა უკანასკნელი სურათი „ამერიკელი ქალის ოინები" და მე კი ჯერ არ მინახავს. თუ დღეს არა ვნახე, ჩემ ტოლებში და მთელ ჩვენ საზოგადოებაში თავი აღარ გამომეყოფა სირცხვილისაგან..

— ჰოო, მიზეზი ფრიად საპატიო ყოფილა! მაშ წადი ჩქარა გაჰყიდე, დროს ნუღარ ჰკარგავ!

### მუშკოოპის რძე

— ექიმო! ეს პირველი ავადმყოფი რათ შესცდა ჭკუაზე?

— ამას, ბატონო ჩემო, ფინინსპექტორიდან მოსვლოდა საშემოსავლო გადასახადის ანკეტა—შესავსებლად. ამ საწყალს ეკითხა—ეფიქრა, ეკითხა—ეფიქრა. ვერაფერი გაეგო და ბოლოს ბევრი ფიქრისაგან კიდეც გაგიჟებულიყო.

— ეს მეორე რაღათ შესცდა ჭკუაზე?

— ეს ძალიან დინჯი კაცი ყოფილა ბუნებით, მაგრამ ფათერაკს თვალი არ უჩანსო. ერთხელ თურმე უნდა გადავიდეს რუსთაველის პროსპექტზე. გაჰხედა მარჯვნივ—არა სჩანს ავტომობილი. გაჰხედა მარცხნივ—არა სჩანს ავტომობილი. ადგა და გადადის გულდამშვიდებით. ამ დროს ელვასავით ჩამოუქროლა ვიღაცას ავტომობილმა და მილიციელს რომ არ ეტაცნა ხელი—აუცილებლად გაიტანდა. ბეწვზე გადურჩა თურმე სიკვდილს, მაგრამ რაღა გადარჩენაა, ჭკუაზე კი შესცდა ეგ უბედური.

— ეს მესამე რაღაზე გაგიჟდა? შეხედულობით თითქოს კაი მაგარი კაცი სჩანს.

— ოო, მაგას ძალიან მწვავე ფორმით აქვს სიგიჟე დაჩემებული.

— რა მოუვიდა?

— ეგ გააგიჟა, ჩემო ძმაო, მუშკოოპის მერძევეების საყვირებმა, აი ყოველ დილით, ყოველ ქუჩაზე რომ აყვირებენ. ეხლაც საავადმყოფოსაკენ რომ ჩამოივლის ეგ მუშკოპის მერძევე და შემოსძახებს საყვირს, მაგასაც სწორედ მაშინ მოუვლის ხოლმე ფეთიანობა. ეს ყველაზე უკურნებელი სენი არის ჩემს პრაქტიკაში.

— საწყალი კაცი! საწყალი კაცი!..



სპეკულიანტი-ვაჭარი (ნოქარს): ფასების ქაღალდები ზევით ყველგან მოხსენი და ქვევით გაუკეთე,—და ჩვენაც დაწეული გვექნება ფასები.

## კომბლე ტფილისში

— ძმობილო, არ იცი ვაზების ტროშტი სად არის?

— ტროსტი არა, კომბალი არ გინდა! რა არის ე ტროშტი?—ჰკითხა მოქალაქემ კომბლეს.

ი. გამჩენძალლებო-ყე, თქვენი მოგონილი სიტყვა თქვენც აღარ იცით?!

— მე ვერ გამიგია, რა გინდა შენ,—

— რა ვერ გაგიგია-ყე. აი ვაზებს რო აკეთებენ, „ტროშტს" რო ეძახით თქვენა...

— აა! ვიცი, ვიცი! გავიგე!

— რა გაიგე-ყე ძმობილო!

— შენ გინდა ვაზების ტრესტი!

— ჰოო, სწორედ ეგა! სად არი არ იცი, მაჭწავლე.

მოქალაქემ მიასწავლა კომბლეს ვაზების ტრესტი. კომბლე მივიდა. მიიხედ-მიოხედა და აივანზე იდგა ორი მშვენიერი ასული, რომელნიც ჭიკჭიკებივით ელურტულებდნენ.

— დაო, დაო. არ იცი ვაზების ტრესტი?

— რავა არ ვიცი, აგი გახლავს თვითონ!—უთხრა ქალმა.

— თავი კაცი რომელია-ყე, ვერ მიმაჭწავლი?

— რავა არა, ცოტა მოითმინეთ, ამ საათში.—სთქვა ქალმა და მიუბრუნდა ამხანაგს.

კომბლემ უკანიდან შეჰხედა მშვენიერს, რომელსაც „გაბედულად მოკლე" კაბა ეცვა და თავისთვის წარმოსთქვა.

— ე გამჩენძალლს რამსიმაღლეთ დაუკარწახნია, იორს უნდა გავიდეს, თუ ალაზანს. პატარაისაც რომ აიწევდეს, რა გვიშავს-ყე, მტკვარსაც გასქყოპავს!

კანჭებში ყურებით რომ დაიღალა კომბლე, ყური მოჰკრა მათ ლაპარაკს:

### მძიმე ფიქრი

-- დედა ვის არ მოკვდომია კაცო; რამ ჩაგაფიქრა ეგრე?

— არა, დედაზე არა!

— ან ადგილის დაკარგვამ ეგრე მძიმედ როგორ ჩაგაფიქრა!

— არ.!. მე სულ სხვა რამეზე...

— სხვა რაღაა ისეთი, ერთი მითხარი მაინცა!

— მე იმაზე ვფიქრობ, კაცო, რომა: ე მხატვარი ფიროსმანი—ცოცხალი იყო—თავის თავსაც ვერ აჭმევდა ერთ ლუკმა პურს, მოკვდა და—ამდენი მილეთის ხალხს ასაზრდოებს მშვენივრად. მოდი და ამნაირი სიკვდილ-სიცოცხლესაც გაიგე რამე!

— ჰოო, მაგნაირ რამეზე კი ღირს ჩაფიქრება მართლა!

### შანხაის ამბები

— ადექი, კაცო, ჩაიცვი, რაღას უცქერი!

— !?

-- ადექი დროითა, სადილად იყიდე რამე!

— !?

— ადექი, ადამიანო, სამსახურში დაგაგვიანდა!

— გამანებე თავი!

— ადე, მილიციელი გიბარებს კომისარიატში რაღაც საქმეზე!

— გაბანებე მეთქი თავი!

— ადე, კაცო, სახლს ცეცხლი უკიდია!

— გამანებე თავი დედაკაცო! ვერა ხედავ, შანხაის ამბებსა ვკითხულობ!

### გიჟი პოეტი

— მამა! ა ის ბიჭი ვინ არის? გიჟი ხომ არ არის?

— არა, შვილო! პოეტია!

— პოეტი რა არის, მამა?

— პოეტი შვილო—იგივე გიჟია!

— მაშ მეც პოეტი ვარ?

— რანაირათ?

— შენ აკი სულ გიჟს მიძახი ხოლმე! მაშ მეც პოეტი ყოფილვარ!

— !?

ნადირა.

— ისეთი მშვენიერი კოვერკოტი მოუტანია ვართანას!..

— რაო? კორკოტიო! განა ქალაქშიაც იციან რა არი კორკოტი? — წაიბურტყუნა კომბლემ ვაღიმებით.

— მიგაი ჩამოსულა, მიგაი...

— რაო? ვირგლაიო! ე ჩემანალა ვირგლა! წინად ვინ იცოდა მისი ქვეყანაზე ყოფნა, რო ეხლა ქალაქში ყველა იმაზე ლაპარაკობს, მაგრამ:

— დაოჯან. ვირგლაი სოფელშია-ყე ჯერ არ ჩამოსულა.

ქალებს გაეცინათ და ისევ განაგრძეს ლაპარაკი!

— დაო, დაო! სადა მცალიან ყური უგდო თქვენს ლაპარაკს.

ქალებმა წაიყვანეს გამგესთან.

— ნამყენი ვაზი გვინდა-ყე, ფული მოცემულია-ყე,—უთხრა კომბლემ გამგეს.

— ხვალ შემოიარე.

— სადა მცალიან შენი ჭირიმე-ყე, ბატონო-ყე...

— არც ჩვენა გვცალიან...

— ნუღარ მამაცდენ-ყე შენი ჭირიმე, ხვალ თუ სოფელში არ მიველ, მამჭამს ხალხი, გამოგზავნილი გახლავართ.—უთხრა კომბლემ.

— ვერა მხედამ, არა გვცალიან!

კომბლე გაბრაზებული წავიდა, და გზაში თავისთვის ილანძღებოდა: ნეტავ ჩამივარდებოდეთ ხელში, მარტოკა სადმე ქუჩაში, გიტირებდით დედას!

მეორე დღეს კომბლე დანიშნულებისამებრ მივიდა. არავინ იყო. ორი საათი იცადა და გამოჩნდა ისევ ის ქალი გუშინ რო ნახა. ქალს შეჰყვა კანცელარიაში, ქალი დადგა გამალა ჩელის აბგა, რომელშიაც ჩაკერებული იყო სარკე და დიდხანს, დიდხანს იყურა შიგ. მერე პუდრი წაისო, მერე ტუჩები შეიღება. მერე თვალის ქუთუთოები, წარბებზედაც გადისო რაღაც შავი წამწამებიც გაიზეთა... ამ დროს ვიღაცა შემოვიდა ოთახში. ქალმა საჩქაროდ დაკეცა აბგა და საქმეებს დაუწყო მილაგ-მოლაგება, მაგრამ შემოსული ისევ მალე გავიდა, ქალმაც ისევ გაშალა აბგა და დიდხანს იყურა შიგ.

კომბლეც ისე უყურებდა ქალს, თითქო ძელის სოროში იყურებოდა და ბოლოს გატყდა მოთმინების ძილა:

— დაო, დაო, რას მაცდენთ და რასა მშრეტავათ ე საწყალს. გამიგე-ყე: თავი კაცი მოვიდა, თუ არა.

— ამ წუთას!—სთქვა ქალმა, ადგა და წავიდა.

ქალი ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა.

— რა გაიგე-ყე იმ თავი კაცისა?—ჰკითხა კომბლემ.

— უი უკაცრავად დამავიწყდა...—და ისევ წავიდა.

კიდევ ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა ქალი და, როცა კომბლეს დაბრიალებულ თვალებს შეჰხედა, თითქო ეხლა მოაგონდაო, აცა-ბაცად დაიწყო შიშისაგან:

— ავად გამხდარა და არ იციან როდის მოვა...

— ი გამჩენძაღლი ვაზი როგორ ჩავარდა თქვენ ხელში! ან რა მადლი უნდა ჰქონდეს იმის მოცემულ ღვინოს.—წაიბუტბუტა კომბლემ.

ამ დროს შემოვიდა ქალის ამხანაგი და მორთეს ლაპარაკი ისევ კოვერკოტებზე.

— იქნება გამიგოთ, როდის მოვა ი კაცი,—ჰკითხა კომბლემ ქალს.

— გაგიგებთ, გაგიგებთ, ცოტა ხანს მოიცადეთ—და განაგრძეს ისევ ლაპარაკი.

— თქვენა, შეილოსა, როგორც გატყობთ შემოდგომაზე ვერ გაათავებთ მაგ ლაპარაკსა და მერე რაღა ჩემ ფეხებათ მინდა-ყე თქვენი ვაზი.

— ემ საათში გაგიგებ!—სთქვა ქალმა და გავიდა გარეთ. იგი მალე დაბრუნდა და სთქვა, რომ გამგე ავად არის, დღეს არ მოსულა და არც იციან როდის მოვა.

კომბლე გამწარებული გავარდა გარეთ. რამდენიმეჯერ ჯიგრიანად შეიკურთხა და მოკუმშა მუშტები.

ამ დროს ვიღაცა კაცი შეჰხვდა და იმასა ჰკითხა, გამგე მინდა და როდისა ვნახავო. ამ ვიღაცა კაცმა რამდენჯერმე შემოჰკრა ტაში ტაშს და სთქვა:

— აქამდე სად იყავი კაცო, ეს-ეს არი ეხლა წავიდა სადღაც ავტომობილითაო.

— მაშ ი ჩემმანალამ მამატყუა!—სთქვა მან და უფრო ძალიან მოკუმშა მუშტები.

— როდის მოვა-ყე. შენი ჭირიმე ა კაცი.

— ჩვენ არც მოსვლა ვიცით მისი და არც წასვლა.

**ფეშანგი ფაშვიბერტყაძე.**

# სწორი პასუხი



ქმარი-ლოთი (ცოლს): მითხარი, [illegible], რამდენი გიჯდება თვიურად ტუჩების და ლოყების წითლად შეღებვა?!

ცოლი: ყოველს შემთხვევაში გაცილებით ნაკლები ვიდრე შენ გიჯდება შენი ცხვირის სიწითლე.




# გამგეთ

ვინც ტარტაროზს კითხულობდა და ეხლაც კითხულობს, დარწმუნებული ვარ გაკვირვებული იქნება ჩემი ამდენი ხნის სიჩუმით, (ბოდიშს ვიხდი ჩემი თავის წინაშე, მაგრამ არც წინად იყო ვინმე მხიარული ჩემი ნაწერებით).

ბევრს იქნებ მგლოვიარეთ ვეგონე; ზოგი იქნებ საზღვარგარეთ გაპარვასაც მაბრალებდა... მაგრამ არცერთი და არც მეორე. მგლოვიარეთ მე არა დროს არ ვყოფილვარ და ჩემბერლენის სიკვდილამდი არც ვფიქრობ შავების ჩაცმას. საზღვარგარეთ გაპარვა კი არა, ისეთი სასტიკი ცოლი მყავს, რომ ღვინის დასალევად შესვლას ვერ ვახერხებ **„მოდი მნახეში“**.

საქმე შემდეგში იყო: სრულიად მოულოდნელად მილიციის ფორმაში გამოწყობილი კაცი ერთბაშად კლუბის გამგეთ გავხდი. იცოცხლეთ თქვენ და ჩემმა შვილებმაც იმდენი წელიწადი, რამდენი სტუმრებიც ჩემსას მოვიდნენ იმ დღეს:

რა მომესწრო აი,რა მომესწრო აი,—იძახოდა ჩემი ცოლი და სტუმრებს ზოგს ლოგინზე აჯენდა, ზოგს სკამზე, ზოგს იატაკზე მუთაქას უდებდა, ზოგს სად და ზოგს სად. მეც, რა თქმა უნდა, თავი უნდა დამეჭირა გამგის მგზავსად.

მართალია გამგეთ არ ვყოფილვარ არა დროს, მაგრამ გამგე ბევრი მყოლია, დინჯი ლაპარაკი, ზარის დარეკა და სხვა ასეთები კარგად ვისწავლე მათგან.

— ელპიტი, აწი რაღა გიჭირს, გამგის ცოლი ხარ.

— რავაც იქნა მეღირსა შენი ჭირიმე, უკაცრავად ილარიონ, ჩამოჯექი სადმე, თუ რამეს შევიძენთ, აწი, თორემ მილიციის ჯამაგირი არაფერს არ ყიდულობდა.

მეორე დღეს ჩემი თანამდებობის ჩაბარებას შეუდექი.

— აი, ეს მაგიდები, აი, ეს სკამები, აი, ეს სურათები, აი ეს წიგნები,აი,ეს ანკეტები და სხვა. მაბარებდა ყოფილი გამგე და ისე უხაროდა განთავისუფლება, როგორც მე გამგეთ გახდომა. საღამოს ყველაფერი მზად იყო: კაბინეტი, ზარი, ტელეფონი და სამწერლო მაგიდაც.

კლუბი საერთო ოჯახია; მასში ყველა მოქალაქეს აქვს წილი, ის მუდამ და ყველასათვის ღია უნდა იყოს,—ვფიქრობდი მე და ყველას დიდ სიამოვნებით ვღებულობდი, იცოცხლე თქვენ და მეც. ხალხი შემომეჩვია; მოსაღამდებოდა თუ არა, შეიქნებოდა ნარდ-კამათელის თამაში, „შახმატი“, „დომინო“, „დამკა“ და რა ვიცი რამდენი რამის მოთამაშე ხალხი არ მოდიოდა. გაზეთები მაგიდაზე ეწყოდა ელოდა ვისმეს ჯიბეში ჩაელაგებია.

დიდხანს არაფერი შემიმჩნევია. ერთ დღეს შევნიშნე, რომ ეს ჩემი შეჩვეული ხალხი, აღარ მოდის კლუბში. ერთ საღამოს ორ მუშას შემოუცდა ფეხი.

— ამხანაგო, თუ შეიძლება „დომინო“ გვათხოვე— მთხოვა ერთმა.

— ეხლავე ამხანაგო—უთხარი მე და დაუწყე ძებნა. გავხსენი ერთი კოლოფი, რომელშიც დომინოს ვაწყობდით,—ცარიელი აღმოჩნდა, გავხსენი მეორე; ისიც ცარიელია. მესამე კოლოფიანად წაეღოთ.

— ამხანაგებო, დომინო არ გვაქვს!

— მაშ ჭადრაკი გვათხოვეთ.

— ჭადრაკი ინებეთ—უთხარი მე და მივეცი კოლოფით ჭადრაკი.

— ამხანაგო, ამას ოთხი „პეშვი“ აკლია.

— რა „პეშვია“, ამხანაგო!?—შევეკითხე მე.

— რა და აი ასეთები—მიჩვენა მან.

— ინებეთ მეორე!—მივეცი მეორე.

— ამაში ცხენი არ არის, ძმაო.—დააბრუნა უკახვე.

— ინებეთ მესამე—გადავეცი მესამე ყუთი.

— აქ მეფე აკლია—გაშინჯვის თანვე დამიბრუნა უკანვე. ამ რიგად ყველა სათამაშოები გავშინჯეთ, ზოგს ორი სამი აკლდა და ზოგში კი სულ არ იყო.

რაღას ვიზამდით,—შევაერთეთ ყველა სათამაშოები და ერთი სრული მივიღეთ.

— ამხანაგო გამგევ „უბორნიაში“ „ლამპოჩკა“ არაა —მითხრა ერთმა შემოსულმა კლუბის წევრმა.

— წაიღეთ და ჩამოკიდეთ—ვუბრძანე შიკრიკს.

— სამაცადინო ოთახში შუშები ჩაულეწავთ—მომახსენა დამლაგებელმა დილით.

— მოიყვანეთ მეშუშე და ჩასვით,—გავეცი განკარგულება.

— ბაღში ვარდის ხე მოუპრიათ, მითხრა შიკრიკმა.

დღე ისე არ გადიოდა, რომ ახალ-ახალი მოპარვის ამბები არ გამეგონა. სათამაშოები ყველა მოიპარეს და მათი მოპარვის შიში აღარ მქონდა. მხოლოდ „ლამპოჩკები“ და ჟურნალ-გაზეთები კი იკარგებოდა. ყველაფერი დავაბით, დავჭედეთ, მაგრამ გაზეთების დაჭედვა არ მოხერხდა. ბოლოს დიდი ფიქრის შემდეგ მოვიგონე გაზეთები ერთ დაკეტილ ოთახში დამეწყო, წამკითხველი შიგ ჩამემწყვდია და ისე მყოლოდა.

ეხლა კი მივხვდი, თუ რისთვის უხაროდა ყოფილ გამგეს მისი წასვლა და ჩემი მოსვლა.

პ. ობოლი.



### ფრიად საიდუმლოდ

# წერილი-მოწოდება

მიუხედავათ იმისა, რომ დატვირთული ვარ საქმეებით, მაინც გწერ ამ წერილს...

ჩემო ნინელკა.

ამ წერილს გწერ დაკვრითი წესით, რადგანაც ჩემს გულში მოვ✓დინე ყველა გრძნობების პლენუმი და გამოვიტანე შემდეგი რეზოლიუცია: **ნინელკა ჩემი უნდა იყოს.**

რეზოლიუციას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, თუ იგი არ გატარდა ცხოვრებაში. ჩემი დადგენილებით —რეზოლიუციის ცხოვრებაში გატარება არის ჩემი უახლოესი ამოცანა, რადგანაც ამ ამოცანის განხორციელება უნდა წანემძღვაროს წინ ჩვენს მომავალს კოლექტიურ ცხოვრებას.

რაც შენ იმ კრებაზე დაგინახე, ჩემი გულის უჯრედი მას შემდეგ ფიქრებით გადავიტვირთე და ხშირად, ძალიან ხშირად სვერხუროჩნი საათებშიაც ვფიქრობ... სადაც უნდა ვიყო: იაჩეიკის კრებაზე, საწარმოო თათბირზე, პროფაქტივის კონფერენციაზე თუ სადელეგატო ყრილობაზე მუდამ შენ მეჩვენები: თავმჯდომარის ადგილას შენ ხარ წამოსკუპული და შენ განაგებ მთელ კრებას. (ყოველ შემთხვევაში მე ასე მეჩვენება).

ჩემს გულში მე გამ•ინე კუთხე და იმ კუთხის პასუხისმგებელი მდივანი შენ ხარ. შენა ხარ მთელი ჩემი გრძნობების გამგეობის თავმჯდომარე და ფიქრთა საბჭოს სასიყვარულო სექციის პრეზიდენტი. შენ მუდამ ჩემთან ხარ, აჩრდილივით სულ დამდევ, როგორც სამუშაოს მძებნელი უმუშევარი დაწესებულების გამგეს.

რომელი ერთი უნდა მოგწერო, ბევრი ლათაიები რომ დავიწყო, არ ივარგებს, რადგანაც მე მაშინ დავემგვანები წვრილ ბურჟუაზიულ ელემენტს და ჩემი თვითღირებულება ანუ ფასი დაიკლებს. მართალია, ახლა ფასების დაკლების კამპანია ტარდება მაგრამ ჩემ ღირსებას მაინც ვერ დავაკლებ ფასს, მიუხედავათ იმისა, რომ მე თითონ აქტიური წევრი ვარ ფასების დაკლების კამპანიის.

ჩემს ატმოსფერაში შემოიჭერი, როგორც დემონსტრანტი და ჩემ სულში მიტინგი გააჩაღე. რატომ—მე თითონ არ ვიცი. უკვე კარგი ხანია, რაც გახდი ჩემი გულის შეფი და მექანიკურად, კენჭის ყრის გარეშე არჩეულ იქენი მთელი ჩემი არსების ადმინისტრატორად... ოხ, როდის იქნება, რომ გადავიხდი ჩვენი შეერთების ერთი წლის თავს? გჯეროდეს, რომ ყოველი მოტივის გარეშე მე ვიქნები შენი უახლოესი თანამშრომელი და ვიმოქმედებ შენი დირექტივების მიხედვით..

მართალია; ჯერ-ჯერობით შენი გული ისევ სდგას, როგორც ბურჟუაზიული ინგლისი, მაგრამ, გარწმუნებ, რომ შენს გულში დღემდე დამალული და დაჩაგრული პროლეტარული გრძნობები ახლო მომავალში აღიმაღლებენ ხმას შენს წინააღმდეგ და ჩემს სასარგებლოთ და შენც იძულებული იქნები კომპრომისებზე—დათმობებზე წამოხვიდე და შენი გული მე გადმომცე სამუდამო კონცესიით.

კარგო ნინელკა! მე მიყვარხარ შენ. მე რომ წვრილბურჟუაზიული პროდუქტი ვიყო, მეყვარებოდა ნაზი ხმა, ზროლის თითები, სურნელოვანი ტანისამოსი და მაღალი ტუფლები, მაგრამ არა; მე მიყვარს შენი ვაჟკაცური ხმა, ტყავის ტუჟურკა, ყელიანი შენი ჩექმები და შენი პაპიროსის ბოლიც კი...

არ იფიქრო, რომ მე პროვინციის მუშაკი ჩამორჩენილი ვიყო ცხოვრებას. შენ რომ ქალაქიდან სოფელში ჩამოხვედი მოვლინებაში, აქაური ქალები ქალ-ბიჭას გეძახდენ, მაგრამ მე მაშინვე ენტუზიაზმით ამავსო შენმა შეხვედრამ და გულში ოვაციები გამიმართე.

ერთსაც გთხოვ: **თუ შენ გიყვარვარ, ქალაქში, რომ ჩახვიდე ერთი ადგილი მიშოვნე (გეყოლება ვინმე ნაცნობი);** მეც გადმოვალ იქ და კოლექტიურ საფუძვლებზე შეუდგეთ შრომის ნაყოფიერების აწევას. პროდუქციის ღირსების გაუმჯობესების მხედველობაში მიღებით.

სხვა რა მოგწერო, სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ ყველაფრის დაწერას, რომ შეუდგე, საქმის გაჭიანურება გამოვა, რაც, თავის თავად ახლო დგას ბიუროკრატიზმთა.

**შენი ალეკო**

დედანთან სწორია **ალლარს-ალლარხან.**

## რეპეტიცია



**ლოთი** (ბოძს): გენაცვალე, მაპატიე... ამხანაგებმა ძალით წამიყვანეს და დამათვრეს:

**გამვლელი**: **ჰმ! ვის ელაპარაკებით თქვენ? ეს ხომ ბოძია!**

**ლოთი**: **მე რეპეტიციას ვაკეთებ... და სახლში რომ მივალ, თუ კი მივედი, ცოლთან აღარ შემცდება...**

## ნიგვზიანი

დღეს მიხარია ლექსების წერა,
აეხმატკბილა რითმები რითმებს.
ვისაც აიტანს ბედისა წერა
მოვსცხებ, სიმწარით იკბენდეს თითებს.
ჩემი სოფელი, ო, ნიგვზიანი
რა რიგ ტკბილია, რა რიგ საამო,
დრამწრესაც სტანჯავს მისი ზიანი,
მის სასარგებლოდ დადგეს საღამო,—
ერთი თუ ორი, ათი თუ ასი,
ზოგი ლამაზი, ზოგიც მახინჯი.
მსახიობები მკვირცხლი ხალასი
და რეჟისორი მარად ჟამს დინჯი.
დგამდენ და დგამენ წალმა-უკულმა
და შემოსავალს არ უჩნდა პირი,
სკოლის შენობას ბედმა უმუხთლა,
ჩამოემტვრია თავი და პირი.
სახალხო სახლის აქ იყო გეგმა,
ბევრი ზრუნავდა აზრის აკლებით,—
მაგრამ საქმესთან გვინტყუნა ბედმა,
**იქ მზრუნველობა დარჩა ნაკლები.**

# „წინაგრძნობა“




— რამდენს იმსხვერპლებს ეს ორიანტი?!
— ყოველ შემთხვევაში ჩვენ გამოცდილები ვართ და მის ახკესზე არ წამოვეგებით. განა არ გვეყოფა რაც „არტო“-მ დაგვმართა?

---

მესვეურებმა სთქვეს: ეკლესია
რა საჭიროა, აბა, სთქვით ეხლა!?
სახალხო სახლად უკეთესია.—
რაზედაც მოხდა კამათი, შეხლა...
მაგრამ დაშლილი დაჰყარეს მინდვრად...
ათოვ-აწვიმა თავს ორი წელი;
რამე აგვეგო იმის მაგივრად
ხელში-ღა დაგვრჩა ორიოდ ძელი.
ზოგი წაიღეს და ზოგიც დალპ
ასეთი დარჩა ღვთის სახლის ბედი;
ლოცვა-კურთხევა გადაყვა ტაბლას
სასუფეველის წინამორბედი.
გლეხებმა ტყეში მოსჭრეს ხეები,
კვლავ ამ სახლისთვის დახერხეს ფიცრად.
ამბობენ: ერთ კაცს ხვდაო ძელები,
ნაკიდურა კი ხალხსა საფიცრად.
გლეხებმა კიდევ გაიღეს თანხა:
ფულათ, სიმინდათ, ქათმათ თუ კვერცხად;
მიწამ ჩაჰყლაპა, თუ ვინმეს ხახამ
ვერა-რა გაიგეს, ვერ ნახეს ვერსად.
დაიჭრა გული, მოკვდა იმედი
არ დარჩა კაცი კეთილ-მყოფელი;
ვისაც მიენდო ამ სახლის ბედი
დარჩა უგულო და ულმობელი.
და შეიყარა ერთ დღეს სოფელი,
ამოირჩიეს მათ კომისია;
უთხრეს:—იყავო ყველას მძებნელი
ვისაც კი რამე დაუთესია.
და იქნა დიდი კვლევა-ძიება.
და იყო დიდი გაწამაწია;
იძახდენ:—არავის ეპატიება...
ჩვენი გაყვლეფა არა, აწია.
გავიდა ხანი და კომისიამ
წამოაყენა სულ დიდი სია:
ზოგთან სიმინდი, ზაგთან ფიცრებ
და ზოგთან კიდევ ვახშმის ნისია.
დაუდვეს ვადა შემოტანისა
და ბევრმაც ცმუტვოა, კვიროპა...
ბევრმა დაიწყო გრეხა ტანისა,
და ბევრმაც იწყო ცმუტვა, კვირობა...
გავიდა წელი... არც ერთსა მათგანს
არრა შემოაქვს, არც რას ჰკითხავენ,
იმ „პატიოსნებს“ რომც გახსენოდა
მგონი ამეზეც კი გაჰკიცხავდენ.
მაგრამ რაც იყო ჩაბარდა არჩიეს
ახალი საბჭო განაგებს თემსა.
ვნახოთ იქნება როგორი საქმის,
ვნახოთ, თუ როგორ შეისხმას ფრთებსა!
არა და მაშინ ახმატკბილდება
ჩემი სასტიკი კალამის წვერი;
მაშინ დამცინონ ზოგიერთებმა:
„არ აადინო ნაცარში მტვერი“.

ჩახუნდარიძე.

# ე ლ დ ა



ბეო: კარაპეტ, გაიგე? კაპერატიაში ფასები კიდევ დაუკლეს!..

კარაპეტა: აი დღე დაუკლეთ მაგ ბემურაზებს; აქაძდისინ ფასები პაჩტი ბარდიბარი გვქონდა, ხალხი მაინც კაპერატიაში გარბოდა და ახლა ჩვენთან ვინლა შემოვა? ლამის არის დუქნიდან თაგვებიც კი გაგვექცენ!..

# ს ა მ ტ რ ე დ ი ა

გული ვერ ითმენს ოხერი,
თორემ რაღა დროს ლექსია!
(აქვსენტის ჰკითხეთ, თუ ვტყუი,
ყველაზე უკეთესია).
კლუბისა გამგეთ დანიშნეს
(ახალი ვინმე ბრძანდება)
შუნ კაბინეტი მოაწყო—
ალბად არგუნა განგებამ.
(არ შეიძლება ჯერ მისი
არც ქება, არცა ძაგება)
სული რომ მიწუხს, იმიტომ
არ შემიძლია ლოდინი!
ქარხანა—ჩვენი იმედი,
ღგას დაკარგული ლოდივით.
სამასი ქალი მუშაობს,
ყველა გლეხისა შვილები!
სისაწყლე,—სიღარიბეში,
ნაშობი, გამოზრდილები,
მზე მათთვის აღარ ანათებს
და ღამე მუდამ ბნელია!
რაღაცა ჯავრი აწუხებთ—
ჰპირდებიან... და ელიან.
(ე, მეთაურო ქარხნისა,
ნუ თუ აღარა გრცხვენია)
ხელოვნებაში მუსიკა,
დიდი განძი და დარგია!
ასეთი სკოლა ჩვენცა გვაქვს
ვგრძნობ, მიპასუხებთ: კარგია.
შიგ „ქალბატონი“ ბრძანებლობს,
(ვაი, სირცხვილო სადა ხარ);
მე მის ადგილას რომ ვიყო,
გავწითლდებოდი ხანდიხან.
(თუ ასე, ამ გზით იარა,
ვეტყვით: აღარა გვიყვარხარ!)
ზრდილობა თუ კი მოითხოვს,
დათვალეთ თქვენი თითები!—
აქ ამდენია შენობა
შემკული მარგალიტებით.
სასწავლებლებსა ვუწოდებთ,
დარაჯით, მასწავლებლებით!—
ფაქიზად უნდა მოვეპყრათ,
დღეს მსურს დაუშვა ხელები.
თორემ უნდა ვთქვა სიტყვები
განაშმაგ - განახელები.
კლუბი—მუშების სიბრძნეა
და გრძნობის დამატკბობელი!
და ჩვენც აღარა დავინდოთ,
მისი მტერი და მგმობელი.
(სოსიკოს კლუბზე გიამბობთ,
ქალაქის არ ვარ მხმობელი)
ბევრი დაღვარა მშრომელმა
აქ სისხლი, მწარე ოფლიო:
ტფილისიდანაც მოიხმეს:
**პაშა და ჩვენი სოფიო.**
(კეთილი იყოს სტუმრობა—
მზად გვაქვს მჭადი და ლობიო)
ათასად კაცი დაფასდა,
ათიათასად ზრდილობა!!!
აღარ ვიწუხებ იცოდე,
მე შენსა გვარიშვილობას.
ძნელია, როცა ნამუსზე
კაცი რომ იწყებს ძვირობას!
საქმეს გაძლევენ სახალხოს—
შენც აძლევ მტკიცე პირობას.
(ე, რევიზორო ლომაძევ,
არ გშვენის მუდამ „გმირობა“)
ჯანმრთელობისთვის ზრუნავენ:
მუშა, გლეხი და მთავრობა!
რომ აღეზარდოს სამშობლოს
მხნე და ჯანსაღი თაობა.
ამას არავინ ყურს უგდებს,
არავინ ეხმაურება!
და ჩვენც მოგვწყინდა ლოდინი
და მუდამ ასე ყურება.
**ლორთქიფანიძე ექიმი**
ზარმაცი, ფულის ჭამია!
ნეტავ არ გვყავდეს, არ იყოს;
კაცი, მართლაც რომ ჟამია.
(თუ სამსახური არ მოგწონს,
მოგვშორდი ჩემო ძამია)
**ვართაპეტოვი, ლეჟავა,**
მისი გული და სულია!
ისინი ლოთრქიფანიძემ,
დაგვისნეულა სრულიად.
„ღმერთო! გვიშველე, გვიხსენი“—
გაისმის ხმები საზარი!
ხალხი ირევა ბუზივით,
ვით პარასკევის ბაზარი.

ჭაგნელი ბზიკი.

# ს ა ჯ ა ვ ა ხ ო

საჯავახოში ატყდა ჩოჩქოლი,
შეინძრა მთელი თემკომის ჯარი;
მთავარსარდალი რაღა თქმა უნდა
ალექსანდრეა თეთრ ცხენზე მჯდარი.
შტაბის უფროსი გიგო ბრძანდება,
(წყალობდეს ნიკო შანიძის ჯვარი);
თავდავიწყებით იბრძვიან ყველა,
რომ ტარტაროზზე იყარონ ჯავრი.
რიგში ჩამდგარი ანტონ გაგუა,
შარშან შანიძე და თვით კარპეზი;
ხატზე აფიცებს მათ პრილასტიე
და ნიკოს მოაქვს მათთვის ტრაპეზი.
და სადგურიდან ლოთების ჯარით
გამოჭიმულა ამაშუკელი;
ბრძანებას ელის რომ გაიშალოს
სახელდახელოთ ერთათ სულ მთელი.
ყველა მუშკორის საპირ და პიროთ
თვით თავმჯდომარეც გამოსულია.
ჭოსა წვერს იგლეჯს, მუშტს მაგიდას
სცემს,
ალმური ასდის, გულ მოსულია:
**მე დავავიწყებ ვილაც ბიჭბუჭებს**
**ასე აბუჩათ ჩემს აგდებასა;**
**ისეთ დღეს დავაყენებ რომ**
**წყევლიდეს დაბადებასა...**

**ოხტომეს-პირელი.**

# ჯოჯოხეთის კუთხე



## „დღეს... ხვალ“

სხვებმა იკითხოს, თორემ შენ რა გიჭირს „გოგია მე-ჩონგურე“-ვ! აიღე ჩონგური, დაუკარი და დაალილინე, ცოლ-შვილი გარშემო შემოგიჯდება და დაჰვიწყდება უშენობა.

არც რკ. გზის სამმართველოა დანაშაული რომ შეშა არ არის. თქვენ უსაყვედურებთ:

— თუ არ არის შეშა, ამ ორდერებს რატომ ურიგებს რკინისგზელებსო? ორდერი ხომ არ გაათბობს ოთახს და საჭმელს არ გაგვიკეთებს?

ეს მართალია, მაგრამ რკ. გზ. სამმართველომ რა ქნას? არც შეშა მოგცეს და არც ორდერი? მოთმინებით უნდა შეიარაღდეთ თავიდან ფეხებამდი, ანდა ფეხებიდან თავამდი. თქვენთვის შეშის დასამზადებლათ იზრდება აი ეს ტყე...



ასე ხომ ახლო ხანში თუ თქვენ არა, თქვენი შვილის შვილს შვილის შვილს მაინც მოესწრება... მხოლოდ მი-ცემული ორდერები შეინახეთ.

## სიდინჯე



ეს გახლავთ მემანქანე ქოჩერაშვილის თანაშემწე (იხ. სადგური გურჯაანში 21 თებერვალს მატარებელი № 3—4). რომ გალმა არ გამოგვეედავოს და ამისათვის თვითონ მან არ მოგვდოს შარი, ამიტომ ჩვენ ნურაფერს ვამბობთ, ხოლო მოვუსმინოთ თვითონ მას (ასე გვირ-ჩევს „შოლტი“), თუ როგორ ღიღინებს:

დაილოცოს კახური—
თავში როგორ ჭიკჭიკებს...
ძლივ-ძლივობით მოვათრევ
ღვინით სავსე მე ტიკებს...
რა გაყვირებს „პოეზდო“,
დგეხარ ოცი წუთია;
რა ვქნა, როგორ ავჩქარდე—
ღვინოჲ ოთხი ფუთია.
აჩქარებით სოფელი
არვის შეუჭამია..
ქოჩერაშვილს ვენაცვა:
არის ჩემი ძმაია...

ჰო-და საქმე ასე იყო, მაგრამ მგზავრებმა მაინც ას-ტეხეს აყალ-მაყალი. თუმცალა მათ აურ-ზაურს ქოჩერა-შვილმა ყურადღება არც კი მიაქცია და თავის თანაშემ-წეს მაინც დიდხანს დაუცადა მეორე ზარის შემდეგ. რასა-კვირველია: მგზავრები არაფერსაც არ იტყოდენ, რომ ეს-მოდეს მემანქანის გულში ღიღინი:

ო ნუ ღელავთ, მგზავრებო,
ადრე ჩავალთ ქალაქსო...
როცა ღვინოს გადავკრავ
„პოეზდს“ ვმატებ ძალასო.
გავაქროლებ ჩიტსავით,
ვიზამ მე დიდ რისკსაო,—
და ქალაქში ჩასვლამდი
დავლევ მე ერთ ტიკსაო.

## სიმშილის მსხვერპლი.



რაღა ჩვენ გითხრათ ამ კამეჩის თავგადასავალი; ყუ-რი დაუდგეთ მის პატრონს—გიორგის:

ნატანებიდან როცა
სუფსაში მიველ შინა,
კამეჩი მკვდარი ვნახე
მე ალმასკომის წინა.
არ ჰქონდა საწყალს ჩემთან
საკვები და არც ბინა,—
და საჩივლელად ალბად
თემკომში მოირბინა...
მუხლებს უჭრიდა გზაში
მას ცარიელი კუჭი...
სიმშილმა დასცა მკვდარი...
მოთქმა არის ფუჭი....

კიდევ ბევრს იწერები გიორგიზე, „კაშიხელი“, მაგ-რამ ჯერჯერობით ეს ვიკმაროთ.

## „დიოგენის“ ფანარი

ამას წინედ გაზეთშიაც სწერდენ ახალდაბის შვიდ-წლედის გამგის შესახებ, მაგრამ მერე რა?—კედელს ცერ-ცვი შეაყარე... ცერცვაძეს (სკოლის დარაჯია) მაინც არ დაადგა საშველი. სადაც არუ ნდა წავიდეს, დარაჯი თან მიჰყავს ფარნით ხელში. ნეტავი რას ეძებს „დიოგენის“



ფარნით პატივცემული გამგე?.. უფრთხილდეს ფარანი არ ჩაქრეს და კისერი არაფერზე მოიტეხოს; ანდა დიოგე-ნის ფარნით“ სხვა რამეს არ წააწყდეს... (რას ერჩით, კარგ რჩევას აძლევს ჩანგალი).



**ციგანს (ჭიათურა)**: გვწერთ, რომ

ყოველ თვეში გამგეს ცვლიან,
არ უღიმის არცერთს ბედი.
ამ „მოხსნა“ და „დანიშვნა“-ში
გავერანდა მთლად ცხრა-წლედი.
აქ თეატრში მუდამ იდგმის
**„გაჭირვების ტალკვესი“.**
ნუ თუ სხვა რამ ვერა ნახეს
ამ დრამაზე უკეთესი?!.
ჰარიმანის კონცესია...

მაგრამ უკაცრავად... ეხლა შევნიშნეთ, რომ თქვენი წერილი ხელმოუწერელია, იცოდეთ, რომ ტარტაროზი არა თუ დაბეჭდავს ხელმოუწერელ წერილებს,—არც კი განიხილავს.

**ხოხუმელ გოჩას** თქვენი წერილი რომ ყოფილიყო იმ „კურიცა“-სავით „ჟირნი“, ჩვენც სიამოვნებით დავბეჭდავთ. რედაქციას თავმჯდომარე არ ჰყავს, არამედ ჰყავს რედაქტორი. მოგვაწოდეთ ადგილობრივ ცხოვრებიდან ისეთი მასალები, რომლებსაც ვათავსებთ ჩვენს ჟურნალში და ჩვენ ყოველთვის დავუთმობთ ადგილს თქვენ კორესპოდენციებს.

**დამსწრეს (ოზურგეთი)**: ვარდოფანეს და თამრიკოს ასეთ ძლიერ წაჩხუბებაზე, თქვენ ასეთი სუსტი წერილი დაგიწერიათ... როცა იმ ალაგას მივედით, სადაც თქვენ სწერთ: — **უკაცრავად, ხაკითხს გადაუხვიეო,**—თქვენმა წერილმა ჩვენ გოდრისკენ გადაუხვია. ბევრი ვემუდარეთ დაეცადა ბოლომდი წაკითხვამდი, მაგრამ არ ჰქნა.

**სოლ-სამს** შე. კაი კაცო, სამას კაცს სტუდენტებს ამხანაგმა წიგნის ფული წაგართვა, ახალ-ქალაქში წავიდა და იქ „დალალობს“... რაღა დროს შარადის წერაა მაზე! რატომ ერიდები მისი გვარის დასახელებას და გინდა შარადაში გამოიყვანო!.. მართლაც: **თქვენ კი აქ იხეთქეთ გულებსა** და იგი ახალ-ქალაქში მიირთმევს თქვენსა ფულებსა. თქვენ, თქვენგვხათრებათ მისი, ჩვენ დავასახელებთ მის გვარს, რომელიც თქვენი შარადიდან გამოდის—**ქოიავა.**

**დენ-კას: რა** გიპასუხოთ ჩვენც არ ვიცით... მეტად წვრილმანია. დავხატავდით კატას. მაგრამ ჩვენს ჟურნალს ეს **სჭირია; არ სჭირია** იმიტომ.

**შავ-ქველს** (ფოთი) თქვენი **„ხათაბალა“** იქ გავგზავნეთ, სადაც თქვენ, ორი საათი დაჰყავით. გაიგოს, რომ სხვა ალაგი მისთვის უფრო შესაფერისი არსად არ არის. გვწერ:—**ეს წერილი დამიბეჭდეთო, როგორც ფაქტიური, ამბავი...** ერიდეთ მაგნაირ ფაქტებს.

**დობიროს** (ბათომი) ძალიან ურჩი ყოფილა, თუ კი:

**კუჭი ჩემი არ მიჯერის,**
**ჯიბეს არ აქვს რომ ქანქარი.**

მაგრამ მისთვის სასჯელად იგიც კმარა, რომ:

**შიმშილითა პირს რომ ვაღებ**
**მივარდება მე შიგ ქარი.**

**ც. მუხურჩელს** ასე გადავაკეთეთ თქვენი ლექსი:

**ვანომ ცოლი გაუშვა,**
**მიზეზი სთქვა—ხმელიაო;**
**ამ ზამთარში მასთან ყოფნა**
**მეტისმეტად ძნელიაო.—**
**და შეირთო სულ სხვა ქალი,—**
**მსუქანი და სქელიაო...**
**ზაფხულში კი მას გაუშვებს**
**მეტისმეტად ცხელიაო...**

სიცხე თქვენ საკმაოდ გეტყობათ ეხლა, მაგრამ ჩვენ მაინც მოვათავსეთ თქვენი ლექსის ნაწილი.

**ფარნაოზს** თქვენი წერილი თვით იმ ამბავზე უფრო წვრილმანია და ამიტომაც... მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

**ა. ოროკელს** (ჩოხატაური) შესაძლებელია:

**დამზღვევ სალაროს გამგეა**
**ხპეკულიანტი ძველია;—**
**ეხლა კი ბიუროკრატი**
**და ბევრის რამის მთქმელი**
**მისი გაცოცხვა აქედან**
**აუცილებლად გვჭირია...**
**თუ არ წავიდა, იცოდეს,**
**უნდა მოვსტეხოთ ცხვირია...**

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ის კაცი წასვლას ამჯობინებს, ვიდრე ცხვირი მოიტეხოს,—ხოლო თქვენ ამის შესახებ მას უნდა აცნობოთ და არჩევანი მისცეთ.

**სესხს ვაჭრუკანებს აძლევენ**
**იმით „მოითბეს“ ხელია;**
**ბანკში ვაჭარი ნავარდობს,**
**გლეხი კი ბუზის მთვლელია**

შეიძლება მართლაც ბანკი ვაჭრებს აძლევს სესხს, მაგრამ იმას კი ვერ დავიჯერებთ,—თითქოს თქვენში იმდენი ბუზები იყოს. რომ შეიძლებოდეს მათი დათვლით დღე ჰერით თავის შექცევა.

**ახალ მეგობარს.** თქვენ გვთხოვთ, რომ თუ არ დაიბეჭდება, გვარს ნუ გამოააშკარავებთ „ცნობათა მიღება“-ში ვასრულებთ თქვენს თხოვნას.

**იფოფს.** (აჭ. ბათომის ქუჩა № 16): აბა რა საქვეყნოდ გამოსატანია ეს ამბავი:

**იქნებ ვერ იცნობთ ვინ არის**
**ეს ქალბატონი ოლია?**
**„ჰორკომის“ თავმჯდომარეა**
**ხხვა მას არა ყავს ტოლია...**

ასეთ წვრილმანებს ტარტაროზი არ ბეჭდავს. თუ თქვენ მოსვენებას აჰრ გაძლევს,—მისთვის სჯობია ჩემბერლენთან წავიდეს, რადგან ინგლისის მთავრობა დიდ გასამრჯელოს იძლევა ჰორების შეთხზვაში.

**მეხს** (ფოთი) გვწერთ: **„ნამდვილ ამბავს მოწაფის ცხოვრებიდან“**, მაგრამ ამბავი ნამდვილი როგორ იქნება, როცა ამბობთ, რომ **მოწაფეს ნამუშევარს ცოლი არ უწონებდაო!..** (თუმცაღა, მოსალოდნელია, თქვენ მართალს გვწერდეთ და ჩვენ კი არ გვჯეროდეს).

# „იმედი“




ყოფილი პოლკოვნიკი (ყოფილ გენერალშას): ანნა ნიკოლაევნა, ხედავ კომუნისტებმა უკვე თანდათანობით დაიწყეს კნიაჟნების, თავადების, მეფის და დედოფლის ხსენება... ალბად საქმე კარგად არის?.. ცოტა კიდევ გაუძელი და მგონი გვეშველება!..

ალმასყოფის სტამბა კალოუბნის ქუჩა № 66.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 93 კვირა, 27 მარტი 1927 წ. № 93



ჩან-ძო-ლინს და სუნ-ჩუან-ფანს ჰკრეს პანღური. შანხაიში
მიაყოლეს უცხო ძალაც, გადურეკეს როგორც თხები;
ზეიმი აქვთ დღეს მებრძოლებს,—წინ მიუძღვის ჩან-კაი-ში,
განწირული გენერლობა სოროს ეძებს, ვით ვირთხები...

**ის.** კონკურსის შედეგი მე-15-ე გვ.

# ფასების დაკლების კამპანია

— ნეტავი შიმშილით გამეფშიკა ფეხები და ტარტაროზს ხელში არ ჩავარდნოდი. ხალხო და ჯამაათნო, გაგონილა ასეთი ამბავი! რაღაც თორმეტ თუმნს მაძლევს თვეში, ე ჩემი ცოდვით სავსე ტარტაროზი დ ლამის არის ცხვირიდან ამომადინოს იმდენს მარბენინებს ხოლმე დილიდან საღამომდე აღმა-დაღმა. დასწყევლოს ჩემმა გამჩენმა მისი სახსენებელი!.. კაცო, მაგისთვის არც ახრანა ტრუდა არსებობს, არც კოლექტიკური ხელშეკრულება, არც შრომის კოდექსი, არც შრომის ინსპექცია!... ჰოი, ღმერთმა დააქციოს ის წუთი და საათი, რა წუთსაც და საათსაც მე ტარტაროზის რედაქციაში შემოვდგი ფეხი!

— რა დროს მოსვენება და ძილია,—ღრიალებს ის შეჩვენებული,— ხომ იცი, დღეს ეს კამპანია უნდა ჩავატაროთ, ხვალ ის კამპანია უნდა გავატაროთ; ეს საბჭოების გადარჩევა არისო, ეს ბიუროკრატების წინააღმდეგ ბრძოლა არის, ეს კიდევ—რეჟიმ ეკონომია, ეს, ეს, ეს...

აი, ახლაც, ფასების დაკლების კამპანია უნდა ჩავატაროთო!—მიბრძანა ტარტაროზმა!

— მერე მე რა, სადაური კომერსანტი მნახე, მე ჩემს დღეში ჩოთქი ხელში არ ამიღია, არც ვაჭრათა ვყოფილვარ, არც ნოქრათ! პოლიტიკური კამპანია რომ იყოს, კიდევ ჰო, ჯანი გავარდეს—საქმეს გავიჭირვებ, ნემსის ყუნწში გავძვრები და რამეს ვიზამ-მეთქი, ფასების კი არაფერი გამეგება და თუ თავი შენი გიყვარს, გამანთავისუფლემეთქი.

— ჩეპუხა!—ჩაიცინა იმ რჯულზე ხელაღებულმა. მონდომება იყოს, თორემ სხვა არაფერია საჭირო. წადი, ჩამოიარე ჩვენი კოოპერატივები, დღევანდელი ფასები ჩაიწერე, ისე რომ გამგემ ან უფროსმა ნოქარმა ვერ შეგნიშნოს; ერთი კვირის შემდეგ ისევ ჩამოუარე, ძველი და ახალი ფასები ერთმანეთს შეადარე და თუ აღმოჩნდა, რომ ფასები ერთ დონეზეა, სჩანს დაკლების კამპანია არ ყოფილა ჩატარებული! ადეგი და ყველაფერი მომახსენე. შეიძლება კიდევ ზოგიერთ გავლენიან პირებს ინტერვიუ გაუკეთო.

რა უნდა მექნა! თავი დავუკარი, პორტფელში ერთი თაბაღი ქაღალდი ჩავდევი, მუშგლეხინის ინსტრუქციაც თან მივაყოლე, სხვა ორგანოების მოწოდებაც ზედ დავურთე, ერთ ყურში შავი ფანქარი გავიკეთე, მეორეში წითელი და დიდის სიფრთხილით შევაღე მუშკოოპის სადგომის კარები კირკის ქუჩაზე. მივყვები ფეხაკრეფით მარმარილო კიბეებს, მაგრამ ფეხები უკან მრჩება, რადგან ვიცი, ვიღაცან მექნება საქმე. კარგათ მახსოვს ამხ. ვანოს პატივისცემა, როდესაც ის პოლიგრაფის გამგეთ იყო, ხოლო თქვენი მონა-მორჩილი გალაქტიონი მუშგლეხინში ვმსახურობდი რევიზორის თანაშემწეთ. დამავალეს პოლიგრაფის გამოკვლევა... აკი გამოვიკვლიე კიდეც! ისე მიფრინა მამაცხონებულმა, რომ როცა გამახსენდება ეს ამბავი, სულ ელეთ-მელეთი მომდის ხოლმე.

— უბირაისა ოტსუდაო! შენ ხომ საქმე არ შემოგლევია, რა დროს გამოკვლევა არის, ხვალ-ზეგ ჯამაგირები უნდა დავარიგო და თქვენისთანა ჩინოვნიკებისთვის, სადა გვცალიანო!

მინდოდა მეთქვა:

— ვანო ჯან, ჩემი ბრალი არ არის თქვენი შეწუხება, ხომ იცი—სამსახურია, მოვალეობაა...

— წადი რაღა!—დამიყვირა ისევ,—როცა მოვიცლი, მე თვითონ დაგირეკავ და მაშინ მოდიო.

მეც ციჯათ გამოვტრიალდი და სულ ორ წუთს არც კი გაუვლია, რომ ჩემს სამუშაო კაბინეტში ფხაჭაი ვჭენი. სრულ 9 თვე ველოდე, აი, საცაა დამიძახებს მეთქი... მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ.

ეჰ, რაღა ბევრი გავაგრძელო, როგორც იყო და არ იყო, მოვიკრიბე მთელი ჩემი გამბედაობა და ერკოოპის გამგეობის თავმჯდომარის კაბინეტში კარები შევაღე.

— რაზე გარჯილხართ?—თავაზიანათ შემეკითხა ამხ. ვანო!

მე ასეთ თავაზიენობას არ მოველოდი და სიხარულისაგან კინაღამ ორთაჭალის გმირივით დავიყროყინე.

—ფასების დაკლების კამპანიის შესახებ მეკითხებით?, მაგრამ თქვენთვის უმჯობესი იყო გაზეთი „მუშა“ წაგეკითხათ და იქ გაიგებდით, თუ რა გააკეთა მუშკოოპმა ამ მიმართულებით.

— „მუშა“ წაკითხული მაქვს... მაგრამ მაინც...

— მაშ რაღა გინდა...

— ისა, რომ უფროსი—ტარტაროზის შესახებ მოგახსენებ,—ვერ არის მთლად კმაყოფილი არსებული გაიაფებით. და უნდა გაიგოს თუ რას აპირობთ კიდევ ამ მიმართულებით.

— არ არის კმაყოფილი! რატომ იქნება, მე ვიცი ლილა ეხარჯება თუ ლოხოსტაკი! მე კი რაც დავუკლე ამითაც დიდი თანხა დამაკლდა. თითქმის 80 ათასი მანეთი! ჰო და საიდან უნდა ავინაზღაურო ეს თანხა! თქვენ კი, შვილოსა, თვით თქვენ რას აპირებთ, განა თქვენ კი არ შეგეხებათ ეს კამპანია?

— რასაკვირველია, შეგვეხება! ჩვენს რედაქციას დიდი მიღწევები აქვს ამ კამპანიაში!

— ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს... ორი შაურის მაგიერ—სამი შაური, რას ნიშნავს?

— თქვენ ცდებით, ამხანაგო ვანო, თუ ამ უმნიშვნელო მაგალითით გინდათ გაზომოთ „ტარტაროზის“ მოღვაწეობა საქონლის გაიაფების საქმეში?

— ჯერჯერობით მე სხვა მაგალითი არა მაქვს ხელთ!

— მაშ, ის არაფერს ნიშნავს, რომ დიდი ბრიტანეთის გარეშე საქმეთა მინისტრი ჩემბერლენი ხუთი გროში გავხადეთ? რაც შეეხება მუსოლინს, პილსუდსკის, ვანდერველდეს, პუანკარეს და სხვა პატივცემულ გვამებს, განა „ტარტაროზის“ წყალობით არ გახდენ ისინი ასე ადვილათ ხელმისაწვდენი? ვინ გინდა რომ დღეს ამ პატივცემულ გვამთა სახელს არ ახსენებს. განა ეს არ შედის ჩვენ მორიგ კამპანიაში!

— თქვენ მართალი ხართ!... ღიმილით დამეთანხმა ვანო. მაგრამ ეს საქონელი, რომელიც თქვენ ჩამოსთვალეთ, ისეთი თვისების არის. რომ მშრომელ ხალხს მისი არც ტყავი გამოადგება და არც ძვალი. მიმდინარე კამპანიის მიზანი კი იმაში მდგომარეობს, რომ ფასების დაკლებამ პირდაპირი დადებითი გავლენა მოახდინოს მუშის ბიუჯეტზე...

— კეთილი და პატიოსანი! ჩვენმა რედაქციამ სწორედ ეს გარემოება მიიღო მხედველობაში და გადასწყვიტა—ის მუშა და მოსამსახურე, რომელიც გამოიწერს გაზეთ „მუშას“, ჩვენს ჟურნალს ფეშქეშათ მიიღებს...

— ყოჩაღ, ტარტაროზ!—შემოჰკრა ტაში ვანომ! მაგრამ ერთი ეს მიბრძანეთ—თუ ჟურნალს მუქთად არიგებთ, ხარჯებს რომელი წყაროებიდან ჰფარავთ?

— ეს ჩვენი, რედაქციის შინაური საიდუმლოებაა ამხანაგო ვანო და...

— მაგრამ თუ ჩვენი საერთო ინტერესები მოითხოვს მაგის გამომჟღავნებას? სთქვი რაღა!

— ყოველშემთხვევაში, ეს მე არ შემიძლია! მე ტარტაროზის უბრალო, ტეხნიკური თანამშრომელი ვარ და ვასრულებ იმას, რასაც დამავალებენ!

— კეთილი! წადი და ამ ცოტა ხანში თვითონ შემოვივლი თქვენს რედაქციაში და ტარტაროზს მოვსთხოვ მაგ საიდუმლოების გამხელას, იქნებ მეც გამომადგეს.

მოწიწებით თავი დავუკარი და გარეთ გამოვედი. ახლა დღე-დღეზე მოველით ამხანაგ ვანოს და მის ტკბილ საუბარს ჩემს სულთამხუთავ რედაქტორთან...

ცოდო გამხელილი სჯობსო, ნათქვამია, მე უფრო იმიტომ მიხარია ამხ. ვანოს მოსვლა ჩვენს რედაქციაში, რომ მინდა დავიმარტოხელო და კრედიტიკვანიეს შესახებ მოველაპარაკო... იმედი მაქვს, უარს არ მეტყვის... და თუ უარი მითხრა, მეტი გზა არ მაქვს, წყალში უნდა გადავარდე. შიშველ-ტიტველი ხომ ველარ დავრჩები ამ ზაფხულში... დეე, მაშინ ჩემი ცოდო ზიდოს ტარტაროზმა.

**კოლონა.**

# „გადიდება“

კატტოვიცში მოხსნილი იქნება ბისმარკის ძეგლი, რომლის კვარცხლებზე დადგმული იქნება პილსუდსკის ძეგლი.

(დეპეშებიდან).



**პილსუდსკი** (ბისმარკს): ჰადი, დაიკარგე აქედან— შენზე ნაკლები მონარხისტი ვარ?!

# წმპ!..

ხულიგნობამ იკლო. მოსალოდნელია რომ ამ ზაფხულზე. კვლავ იმატებს.

გაზეთებიდან.

ვინ არ იცის, თუ რა ძნელია საზოგადოებრივ ასპარეზზე მუშაობა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დანამდვილებით იცი, რომ სამასს მანეთს არავინ მოგცემს თვეში ამ მუშაობისათვის.

სწორედ ასეთი დაწყევლილი ბედი ხვდა წილად ეხლა უკვე საზოგადოებრივ ასპარეზიდან დროებით ჩამოშორებულ ვალიკოს.

პირველი მეტად გაბედული და სახიფათო ნაბიჯი, რომელიც გადადგა ვალიკომ, ეს იყო კედლის გაზეთის ჩამოხევა.

ქყორე დღეს მუშკომთან შეხლამ გადაწყვიტა ყველაფერი. ვალიკოსა და საზოგადო მშვიდობიანობის შორის შავმა კატამ გაიარა.

— შე ოჯახდაქცეულო, მიმართა მუშკომის თავმჯდომარემ ვალიკოს, რას ერჩოდი იმ ორ ფურცელ ქაღალდს, რომ ჩამოგლიჯე!.. შენზე ხომ არაფერი ეწერა?!.

— მე არაფერიც არ ჩამომიგლეჯია, შეუტია ვალიკომ. მაგრამ ხალხმა რომ არ თქვას, ჩვენმა მუშკომმა ტყუილი იცისო, ეხლავე ჩამოვფხრეწ იმასაც, რაც დარჩა.

ვალიკომ სინდისიერად შეასრულა თავისი სიტყვა.

რამოდენიმე დღის შემდეგ მოსამსახურენი დადგენ იმ ფაქტის წინაშე, რომ დაწესებულებაში ორი „სტენკა“ გამოდიოდა.

ერთი მუშკომის — შესავალ კარებთან,

და მეორე ვიღაც უცნობის—საქ როების ადგილში.

ეს უკანასკნელი იმით განსხვავდებოდა პირველისაგან, რომ პირდაპირ კედელზე იწერებოდა ფანქრით და სავსე იყო ადგილ-მდგომარეობის შესაფერისს ნახატებით. ერქვა ამ „სტენკას“ „გაჭირვების ტალკვესი“.

ვალიკო, როგორც გამოცდილი არა ლეგალური მუშაკი ქვასავით სდუმდა, მაგრამ ბევრმა იცნო გაზეთში მისი ჭკუამახვილი შენიშვნები და ლექსები.

ის იყო, როგორც იტყვიან, სული და გული დაწყებულ კამპანიის.

მისდასადიდებლად, „გაჭირვების ტალკვესს“ გაცილებით უფრო მეტი, მკითხველი ყავდა, ვიდრე შესავალ კარებთან გაკრულ მუშკომის „სტენკას“.

კორესპონდენტთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა, ყველას სურდა შეეტანა საერთო საქმეში თავისი წვლილი. ყველა ეს ზედმეტი დამამტკიცებელი საბუთი იყო იმისი, რომ მასსა ვალიკოსთან იყო.

ამის შემდეგ ვალიკომ თავისი მუშაობა კლუბის ფარგლებში გადაიტანა და უნდა ითქვას სიმართლე, რომ არც იქ მოწყვეტილა მასას.

საერთოდ მასასთან ახლო დგომა დამახასიათებელი თვისება იყო ვალიკოს მუშაობის.

მიდის კინო-სურათი.

ისეთი ღმერთგამწყრალი კინო-სურათი როგორ იქნება, რომ ერთი კოცნა მაინც არ იყოს შიგ.

მასა განაბულია და ყურადღებით უცქერის ყველაფერს და გუნებაში მაინც განიცდის იმას, რაც ეკრანზე აშკარად ხდება.

მაგრამ საკმარისია, რომ ვალიკომ ერთი პწუ... დააწრუპუნოს, რომ ზალის სამიმეოთხედი წრუპუნ - წრუპუნით აყვება მას.

საერთოდ კინო პირველი დამრიგებელი და ჭკუის მასწავლებელი იყო ვალიკოსი.

არანაკლები ნიჭი გამოიჩინა ვალიკომ სხვა დარგებშიც. საშახმატო სექციაში იმდენი იმეცადინა და იმეცადინა, რომ არც ერთ სათამაშოს მე[illegible] და დედოფალი არ შერჩინა.

მაცადინობაც ასეთი [illegible] კი დრამატიულ სექციაშ[illegible] მა ქონდა რეჟისორ[illegible] ტენორით მღ[illegible]

ნადირა.

# მოსწრებული სიტყვა



— ეს არის შენი ფასების დაკლება? ამ ჟირთხებისნაჭამ კართოფილს რომ მაძლევ რაში გამოვიყენო?!
— ეა, ახარ ჟირთხასაც ჭამა არ უნდა? ისიც ღვთის გაჩენილი რამეა! ჰამ ნაჭამი რომ არ იყოს კილოში შაურს დაგიკლებდით?!

ხან კიდევ მეცო-სოპრანოთი (ქალის ხმაა, მაგრამ ესეც შესაძლებელია). შედეგად ამას მოყვა ის, რომ ხორის ხელმძღვანელი მღერის დროს ხელებით ისეთ შტუკებს აკეთებდა, რომ საზოგადოება უფრო ხელმძღვანელის სანახავად მოდიოდა, ვიდრე ხოროს მოსასმენად.

მაგრამ ვალიკო, ვალიკო არ იქნებოდა, რომ ის მარტო კლუბის საზღვრებში დატეულიო.

მისი სული ფართო ასპარეზს მოითხოვდა, და მაშინ ვალიკო გამოვიდა ქუჩაში.

სულ რაღაც სამი ოთხი ღამის განმავლობაში იმდენი გმირული საქმეები ჩაიდინა, რომ დაბოლოს ორთაჭალაშიც ამოყო თავი.

ქება და დიდება მას. (ე. ი. ვალიკოს).

როგორც მისი მეგობრები ამბობენ, სწორედ ამ გაზაფხულზე უთავდება თურმე ვადა, და გარდაწყვეტილი ქონია, მცირეოდენ შესვენების შემდეგ კვლავ დაუბრუნდეს მიტოვებულ ბრძოლის ველს.

**ხინემატო.**

## ხარება

მამა ღმერთმა
გამოუგზავნა მახარობელი
„დედა მარიას",
(სად იყო მაშინ
მიგაი ჩვენი
რომ უმღერებდა
ლამაზ არიას!)
და უთხრა ფრთხილად:
— დამშვიდდი, კარგო,
უფალმა ღმერთმა
შენ ვაჟი გარგო,
შობ ქრისტესა
ჩვენსა მესიას,
მხოლოდ გვერდიდან
და არა ისე,
როგორც წესი არს...
გაოცდა ქმარი, იოსები
და შიში ნახა,
ექვმა დაახრჩნო
და საცოდავათ გაალო ხახა:
— მართლა მღალატობ, მარიამო,
შენ გენაცვალე?!
იმ ბებერ ღმერთში
მართლა გამცვალე?!
ნუ, ნუ იქნები სხვა ქალივით
შენ დესდემონა
ამას გთხოვს შენი
„ზაკონი" ქმარი
და შენი მონა;
მითხარით ერთი,
რა შუაშია აქ
უფალი ღმერთი?!
შვილი ჩემია,
არ მითხრა მეტი,
გინდ დამადევი
მე ალიმენტი...
შენ, ანგელოზო,
გამშორდი ეხლავ,
თორემ ხომ ხედავ
მზათა მაქვს კეტი!
და ანგელოზიც არ გამოდგა
სხვანაირით ცეტი
გაფრინდა ცაში, უამბო
ყველას ესე ამბები,—
და გააკვირა „წმინდა მამები".
ასეთი იყო, სულ ძველ დროში
ქმრობა - ცოლობა...
არვის უნდოდათ
არავის უთქვამს
ერთმანეთთან ტრფობა, ტოლობა,
თავის შვილზე
იმ დროს „ატკაზი",
სასამართლოსაც არ ჰქონია
დეკრეტ-„ნაკაზი"...
ეხლა დრო წახდა—
დაივიწყეს სამოთხე-ბიბლია;
ძაან რომ გავდეს „ნაწარმოები"
მაინც არ იტყვის—ჩემი შვილია.
სულ რომ სდიოს ქალმა კუდში,
მაინც უარს იტყვის „სუდში"...

**გრი.**

# „იშტა"-ხოში




მასპინძელი (მთვრალებს): ამხანაგო, თქვენ ცდებით, აქ რესტორანი არ არის. როიალი თუ გესმით,—ეს იმიტომ რომ აქ ცეკვის კურსებია...

მთვრალები: კიდევ უკეთესი... სადაც ჩვენ დავთვრებით, იქ არ გვიცეკვია... და აქ ვიცეკვებთ.

## ამის და იმის შესახებ

### უვიცი მოქალაქე.

— პორტფელიანო ამხანაგო, ნეტა ვიცოდე — ვინა ბრძანდებით!

— მე — ალმასკომის სანიტარულ განყოფილების უფროსი გახლავართ!

— მოწიწებით ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ქუჩების დაგვაც ხომ არ შედის თქვენს განგებლობაში?

— რასაკვირველია!

— ოო, ვინ მიხვდება დიდბუნებოვან ადამიანთა ზრახვებს, მაგრამ დიდის ბოდიშით მაინც გეკითხებით: რატომ აღარა ჰგვით ქუჩებს—მტვერში, რომ იღრჩობა მთელი ქალაქი?

— წლიდან წლამდის ეს აწყვეტილი ზენა ქარი გვიის, გვიის—მაგრამ აქნობამდის მაინც ვერ დაუგვია ქალაქი და მე როგორღა უნდა შევსძლო ის, რასაც ზენაქარი ვერ ახერხებს მთელი წლის განმავლობაში!?

### სურდოს წამალი.

— ჩემო ძმაო, მეგობარო! ე რა დაგმართია! ცალი ფეხი რა უყავი?

— მომჭრეს!

— რაზე? რისთვის? სად მოიტეხე? რა დაგემართა?

— სურდო მჭირდა კაცო. ვეჩვენე ექიმებს. იმათ არც აცივეს, არც აცხელეს და ფეხი მომჭრეს—ეს არის უებარი წამალი სურდოსთვინაო.

— აფსუს, აფსუს! როგორ დამახინჯებულხარ კაკალი კაცი! მერე, სურდომ ხომ მაინც გაიარა?

— სად ჯანდაბაშია! ისევ ძველებურათა მჭირს, ჩემო ძმაო!

— მერე კაცო, არ უჩივი?

— რას ლაპარაკობ! პირიქით დიდი მადლობელიცა ვარ, რომ მეორე ფეხიც არ მომჭრეს და უარესი არ დამმართეს.

— როგორ?

— როგორ და, ექიმებს რომ ხელში ჩაუვარდები — რასაც უნდა გიზავენ. და როგორც ღმერთს არ ეჩივლება — ისე ექიმს არ ეჩივლება, მადლობა ღმერთს, რომ ცალი ფეხი მაინც გამომყვა საავადმყოფოდან!

### „ქრისტეს ტირილი".

— ამხანაგო დუდუჩავა! სად მიეჩქარები ეგრე კალთებ „დაკაპიწებული" და ქუდმოგლეჯილი?

— მთავრობაში მივდივარ. ოპერისთვის უნდა სუბსიდია ვსთხოვო აუცილებლივ, რომ დავფარო ამ უკანასკნელი თვის დეფიციტი.

— უკანასკნელ თვეს ხომ სულ სტეპანოვა და მიგაი მღეროდენ?

— მღეროდენ!

— თეატრიც ხომ სულ სავსე იყო სოლმე?

— ყელთავდის სამსე იყო.

— მაშ დეფიციტი საიდანღაა?

— ოო, წამებულო ჩემო თავო! ყველას სად ვასწავლო ბუჰლალტერია! კაცო, ყოველდღე შემოსავალია 2.000 მანეთი.

— ჰო!

— ყოველდღე სტეპანოვას და მიგაის ვაძლევთ 2.500 მანეთს. დანარჩენი დასის ხარჯს თავი გავანებოთ, მაგრამ ეს 500 მანეთი ყოველდღიურათ საიდან დავუმატოთ სტეპანოვას და მიგაის — თუ მთავრობა არ დაგვეხმარა?

— ჰო, ეხლა კი მესმის, რომ ოპერის მდგომარეობა ტრაღიკულია!

აბა, რო ვმღერით ყოველდღე, იმიტომ კი არა რომ მართლა გვემღერება! კულისებში ქრისტეს ტირილია გაჩენილი, ქრისტეს ტირილი!

### სამი გაუგებრობა

— როგორ შუა გზაზე შეჩერებულხარ და ფიქრობ რაღაცას?

— კი მაქვს საფიქრელი, ჩემო ძმაო!

— მაინც?

— აქამდის მხოლოდ ერთი რამე არ გამეგებოდა ამ ცხოვრებაში?

— რა მაგალითად?

— არ გამეგებოდა, თუ ძველ ხალიჩებს რისთვის ყიდულობდენ ისე ძვირად.

— მერე?

— მერე კიდევ მომემატა მეორე გაუგებრობა.

— რა, მაგალითად?

— ვერ გამიგია: ნუცუბიძემ და კაპანელმა ორი დღე და ღამის განმავლობაში ვისთვის და რისთვის მოიქციეს ყბები გვერდზე იმ უცნაური ლაპარაკით, საიდანაც ორი წინადადება არ ჩარჩენიათ პირდაღებულ მსმენელებს — თავში.

— სულ ეგ არის?

— არ კმარა? მე ერთი გაუგებრობა ვერ მომინელებია და ეხლა კი მეორეც ზედ დაემატა.

ნადირა.

# შეფარდება




— ქაა, ეს რა დაბალი საპონია?!
— ხატო ფასიც დაბალი აქვს რაღა; არ იცი, რომ ფასები დაბლა დავწიეთ?!

## „საპატიო სტუმრები“

ექვსი წელიწადი ვიწვალე შესაფერი ბინის საშოვნელად. დანიშნული ვიყავი, ოჯახის მოწყობას ვიჩქაროდი, ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო მე და კუჭუნია (ჩემი ეხლანდელი მეუღლე) ცალკე ცხოვრება უკვე აღარ შეიძლებოდა... მაკლერ „პრობკასაც“ ბევრჯერ მივმართე, მაგრამ ოტსტუპნოისთვის სულის გაყიდვა მომთხოვა.

ბოლოს ბედმა გამიღიმა: სამსახურიდან რომ დავბრუნდი, (უფროსი რეგისტრატორი ვარ) კუჭუნია სიხარულით ყელზე შემომეხვია.

— სამახარობლო კოწია, სამახარობლო უნდა მომცე!..

— რაშია საქმე?

— რაშია და იმაში, რომ პოეტ ქავთარ ცუცრუკაძეს სტიპენდია უშოვია და ზაგრანიცაში მიდის იქაური ლექსების შესასწავლად!

— მერე მე რა?!.

— „მე რა“! რა და ის, რომ გაანძრიე ერთიცახე ტვინი და გეიგებ!

— მაინც?

— ბეჩა აბდალი ხომ არ ხარ? ცუნცრუკაძეს საუცხოვო ბინა აქვს. ხუთ ოთახში მარტო ცხოვრობს, ჩამოსვლამდე ჩვენ გადმოგვცემს ვთხოვოთ—ნათესავია: დიდედა ჩემის ბიცოლას, ნათლიეის დისწულია, ჩემ პადრუგა ფუთუნიეს პირით შოუთვლი—მისი ხათრი ძანუალი აქვს მოწონს კილამე და საქმეც გამეიკვანწება!...

რაღა თავი შეგაწყინოთ, ღმერთმა ააშენოს ცუნცრუკაძისათვის სტიპენდიის მიმცემის ოჯახი: ის მალე გაემგზავრა საზღვარგარეთ—„იქაური ლექსების შესასწავლად“ და მისი ბინა ჩვენს ხელში გადმოვიდა. მოვეწყვეთ შიგ წყვილად, ტკბილად, თბილად, რბილად და ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა, რომ იმ ულმერთო „უქსს“ ჩვენს ბინაში ორდერით არ ჩაესახლებინა ერთი პორტფელიანი მუშაკი, რომელიც ჩემი სეხნია აღმოჩნდა. ის გვარითაც მე მგავდა: მე გახლავართ კოწია ბოლოკაძე, ხოლო ჩვენი ძალათმაცხოვნე მეზობელი კი—კოწია მოლოქაძე.

ამიტომ ხშირად ხდებოდა გაუგებრობა: ფოსტალიონს ჩვენი წერილები მასთან მიჰქონდა მისი მოვალეები ჩემთან მოდიოდენ და სხვა.

ბოლო დროს კი ერთი „სატარტაროზო“ გაუგებრობაც არ აგვცდა.

საქმე იმაშია, რომ „დაზაქსების“ ე. ი. დაქორწინების შემდეგ, მეც და კუჭუნიამაც მივწერეთ მშობლებს, ჩამოსულიყვნენ, გაეცნოთ რძალი და სიძე, დავველოცეთ, საკუთარი თვალით ენახათ მათი შვილების გაბედნიერება.

ამის შემდეგ ყოველდღე მოველოდით საპატიო სტუმრებს.

ჩვენი ცხოვრება ისე მოეწყო, რომ მე და კუჭუსია სხვადასხვა დროს დაედიოდით სამსახურში (კინოს მოლარე გახლავთ). მე რომ ვბრუნდებოდი სახლში, ის მიდიოდა. ხშირად, როცა დაგვიანებით მოვდიოდი, ის სახლში აღარ იყო, მაგიდაზე სადილი გაშლილი მხვდებოდა—ალერსიანი ბარათით:—„კოწუნი, გაათბე და ისადილე“.

ერთ დღეს მოგვიანებით დავბრუნდი. კარი შევაღე თუ არა, ოთახში ორი მოხუცი დამხვდა:

— „კუჭუნიას მშობლები!“ გავიფიქრე მე, მაშინვე ქუდი მოვიშლიჯე, ნახევრად ნაძალადევი ღიმილით პირი ყურებამდე გავიკამარავე და გავეშურე მათკენ.

— მოხარული ვარ. დიდათ მსიამოვნობს თქვენი ნახვა!—წავილუღლუღე და სტუმარ ქალს ხელზე ვემთხვიე, ხოლო—„მამა“ კი მაგრა ჩავკოცნე მათ, ცოტა არ იყოს, დაბნევა შევატყვე, მაგრამ ვიფიქრე, რომ ეს მოყვრული სიმორცხვის ბრალია მეთქი.

— უკაცრავად ვარ, ძანუალი რომე შეგაწუხეთ, მარა მაგიორს კი გადაგიხდით! მითხრა მამამ!

— კი დედა, კი გენაცვალოსთ ჩვენი თავი, მაგიორ პატივისცემას.რავა დევივიწყებთ! დაუმატა დედამ... ჩემში ამ სიტყვებმა გააორკეცა სიძის თავაზიანობა, სტუმართმოყვარეობა და კინლამ ცრემლმომდგარი თვალებით მოვიბოდიშე:




— უი ქა, აქამდის მაგ ბამბაზიას ათ შაურათ მაძლევ დი; ესლა კი თსუთმეტ შაურად მიფასებ, თითქოს ფასები დაუკლიათო?

— ნათლიდედ, მაშინ არშინით ვზომავდით, ესლა კი მეტრით; მეტრი არშინ-ნახევარია, იანგარიშე რაღა!

— რას ბრძანებთ, პირიქით ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, რომ გხედავთ ჩემს ოჯახში, უკაცრავად მე ვარ, რომ კარგად ვერ დაგხვედრიათ კუჭუნია, მარა ისეთი სამსახური აქვს, რომ ალბად ვერ მოახერხა თქვენთან დარჩენა და გამასპინძლება. დაბრძანდით. გთხოვთ ნუ მომერიდებით, იყავით ისე, როგორც თქვეს სახლში... შევთავაზე ადგილები და თან შევეკითხე:

— დიდი ხანია წავიდა კუჭუნია?

— არა დედა, სულ ხუთი მინუთი იქნება, აგერ წერილიც დაგიტიათ მაქანე! რავა ყვარებისხართ, რავა ყვარებისხართ, ყორიფელი კი დაგკვიკაკლა კანკრაზათ! მართალია, ძველებურად გვირგვინი არ გიფსკვნიათ, მარა მაინც ბედნიერი ცოლქმარი ჩამხართ. დაგილოცოსთ ღვთიშობელმა. ჩამოილოცა „სიდედრი". მე წერილი წავიკითხე. კუჭუნია მწერდა:

— კოწუნი, სახლში პატივცემულ სტუმრებს გიტოვებ, თუ ხათრი გაქვს ჩემი დარიგება კი არ გჭირია, მარა კარგარგად მოიქეცი: დღეს ჯამაგირს ვიღებდი, ჩეიარე გასტრანომიჩესკში და იყიდე ინდაური, ხიზილალა, ზაკუსკა, და ღვინო, გაართვე და იმხიარულე. თუ ჩემს მოსვლამდე ძილი მოუნდეთ, ქე დააძინე ჩვენს კრაოტებში, ჩვენ კი მეორე ოთახში ულოგინოთ გავათიოთ რაცხაფერათ".

დავტრიალდი, დავფაცურდი და რომ იტყვიან სახლში ჩიტის რძეც კი გავაჩინე,—(მართალია ჯამაგირიდან აღებული ფული არ მეყო, მაგრამ ნისიათ ჯერ კიდევ მენდობა ჩვენი მედუქნე) მიუხედავად დიდი მორცხვობისა—„სიდერ-სიმამრი" შემოუსხი მაგიდას და ქუდი ქერსა ვკარით. ბევრი ველაპარაკე სოფლის ამბებზე, ამინდებზე, ნათესავ-კეთილებზე და კაი დრო გავატარებინე.

ათი საათი იქნებოდა, როცა სიდედრმა მთქნარება დაიწყო, ხოლო სიმამრმა მაგიდაზე ხვრინვა ამოუშვა.

მე დიდის ამბით მოუმზადე ორივეს საწოლები და ვთხოვე მოესვენათ.

— კი მარა, ამდენს რავა შეგაწუხებთ, აგერ დოუცდით ი ჩვენ ბალანას!... მე ნაწყენი კილოთი მიუგე:

— რავა გეკადრებათ ბატონო, ის გვიან მოვა, თქვენ კი ნამგზავრი ხართ, დასვენება გჭირიათ, დაიძინეთ და მის ნახვას ხვალაც მოასწრებთ!.. დიდი ხვეწნა-მუდარა დამჭირდა ვიდრე იმათ დავაწვენდი. მე კი ავიღე ჩემი ძველი პალტო და გადავბარგდი მეორეოთახში—(მარტო იმ ოთახს ვათბობდით, რომელშიც საპატიო სტუმრები მოვათავსე).

— ხომ კარგად გაუმასძინძლდი კოწუნი? ჩურჩულით შემეკითხა კუჭუნია დაბრუნების შემდეგ და როცა შედეგი გაიგე კმაყოფილი დარჩა... ის ღამე ტანჯვით გავათენეთ მე და კუჭუნიამ. ულოგინოთ, გაყინულ ოთახში ძილი არ მოგვეკარებია, მაგრამ მასპინძლის მოვალეობის შეგნება გვავიწყებდა გასაჭირს.

მეორე დილით კუჭუნიამ ავანსათ აღებული თუმნიანი გადმომიგდო და გამგზავნა ჩაისათვის საჭირო საუზმეზე... როცა ყველაფერი მზად იყო—მითხრა:

— კოწუნი, შედი, პირი დააბანიე, სთხოვე ჩაიზე!

შევასრულე მისი განკარგულება, მაგრამ სტუმრების ჯიუტმა ბოდიშობამ დიდი დრო წამართვა, ვიდრე პირს დავაბანიებდი. ჩაის დროს „სიმამრმა" კიდევ იკითხა:

— ვერ გევივე, რეიზა არ ჩანა ი ჩვენი ყაზილარი?

— ვინ ბატონო?

— ვინ და კოწიე!

— მე და კუჭუნიამ ერთმანეთს გადავხედეთ. ბოლოს ის უცბად მეორე ოთახში გავიდა და მეც დამიძახა.

— ვის კითხულობს მამაშენი?

— რომელი მამაჩემი?

— რომელი და წითელი, მაგი შენი დედ-მამა არაა?

— ჩემი კი არა, შენია, რას მეხუმრები შე ქალო!

— ბეჩა, რას აბდლოფ, ხომ არ გადირიე, მაგი შენი დედ-მამა არაა?

— არა, შენი დედ-მამაა! გულში გველმა მიკბინა, ვიგრძენი რომ რაღაც გაუგებრობა მოხდა.

საქმე იქამდე მივიდა, რომ ორივე მივცვივდით საპატიო სტუმრებს და შევეკითხეთ თუ ვისი მშობლები არიან ისინი.

— კოწიეს დედა, კოწიე მოლოქაძის!...

ჩვენს მტერს და დუშმანს, რაც ჩვენს სახლში ამბავი დატრიალდა, კუჭუნიას ტირილს ბოლო აღარ მიეცა, მე კითხვითი ნიშანივით მოვიკაკვე, ხოლო გაწბილებული „საპატიო სტუმრები" კუდ ამოძუებულნი აიბარგენ მათი „ყაზილარის" ბინისაკენ.

მას აქეთ, ვალების გადახდა ჯერ კიდევ ვერ მოვახერხე.

თარხი.

# „აპენდიციტი“

— ახარ გებნები, რაც რომ პრიროდის იავლენიები იყო, ყველაფერი ნაიზნანკათ გადმობრუნდა, ღმერთსაც ჩიჩმაკები აერია, მოდნას აჰყვა და იმანაც ახალი რამეები შვრება!

ვა, ქრისტიანო, ეს ხალხი რომ აირია, ეს კიდევ მესმის, ეს პანიატნი რამეა, ნუ სლოვომ—ხალხს ღმერთი გაუწყრა, ჰამა ამ ბემურაზ ღმერთს ვინღა გაუწყრა რომა, ის ყისმათის დავთრები სულ ჰარისასავით აერია?

მახლაზ, დიდი ზაჰრუმალი იავლენიები ხდება რაღა, ყველაფერი იზმინენია შვრება! მოკლეთ, რო ვთქო, ეს ეხლანდელი დროება თავისი ზირთი-ფირთებით ავეტიქას ჩანახში გაკეთებულ აჯაფსანდალსა ჰგავს: ვერ გაიგებ შიგ რამტოლი რამეა, რას რა ჰქვიან, რა საიდან არის, რა რისთვის არის: დადექი და ჰამე. მაიწელეფ, მაინელე არა და შენი მონელება ხომ ნეპრემენია!

შორს რათ მიხვალ? შენ ბალეზნა თქვი, ხვანტყოფობა აიღე, სრავნენია ქენი—ეხლანდელი და მაშინდელი ბარდიბარია? ათადან—ბაბადან გვიცხოვრია, ათასი ზაჰრუმალი რამე გვინახია: ხორველა, ყამი, ბუასილი, ნიკრისი, კოკლუში, ციება რამე—ნუ, სლოვომ რომლებიც რომ კარაბადინში სწერია რაღა და ჰამაც იმათი სპოსობლეჩენიაც შიგ არი!

მაგრამ ვის უნახავს ეს ახალმოდნი იპედემჩესკი ბალეზნებია თუ რაღაც ჯაჰრუ-დოზანები: ეს სპანცკის ბალეზნაო, ნერვნოი ხისტემაო—გრიპოვი ბაცილებიო, ლიხტრიცის ლეჩენიაო,—ვინ მოსთვლის?

ჰამა ამას ვინ გაჯერებს? რამტოლიც რომ ტანისამოსის მოდნა გამოიცვალა, იმტოლი ახალი ბალეზნა მაიგონეს. ბოლოს იმტოლი იჩალიშეს, რომ პუპუზ ეს ბრუტიანი კიშკებიც არ იპოვეს!? ასმა ადამიანის მუცელში რაც რომ კიშკებია, ყველას თავისი თვალები აქვსო, ჰამა თუ რომ იმათში ერთი დაბრუციანდა, ნეპრემენი რამეა, მამენტალნათ გაგათავებსო!

არა მჯეროდა, თითიბლაზობა მეგონა, ჩვენს ტიკჰორაანთ იაგორას შვილ ვართანას,—აი ვეტრენინარნნი დოხტური როა, დიდი სპორი უყავი:

— მეთქი ეს სულ მოგონილი შტუკებია, დოხტურებს ლილახანა გაუცვდათ და უნდათ რომა ამისთანა ფოქუზობით ჩვენგნით ფულები ხვეტონ. ახარ გარედან რომ ველარაფერი გვიყვეს, ნაწლავებში დაიწყეს ხელების რევა, რა არი, მიამიტი ხალხია და დაიჯერებენო! ეე, ახმახ, როდის იყო რომა კიშკებს თვალები ჰქონდა, ყველა კიშკა ბრუკიანი არ არის მეთქი?

— არა—გეოჯან, ე,ჰ სხვა თაბაუთია, ნამდვილ თვალებზე კი არ არის ლაპარაკი, ეს მედიცინსკი ნაუკაა, ფიგურალნი ნაზვანიაა, რადგან ის კიშკა ძალიან ტუპოვი რამეა და თუ რომ ბოქვენთან გაგვიჩნდა და არ მააჰრევინე, მამენტალნათ გაგათავებს ისეთი ფინთი რამეაო. აი, ეხლა შენ რომ მუცელი გტკივა, შეიძლება ეგ სლეპოვი კიშკისგნით იყოს და უეჰველათ ხირურგნის დოხტურთან წადიო!

შენც ხო იცი, მთელი სამი თვე ავათ ვიყავი, დოხტურებთან არ წაველი, ჰექიმბაშის წამლებმაც არ მარგო.

ჰაკარაკათ ამ ვართანას საველტი ფეფელამაც არ გაიგონა! ამიხირდა—გინდა თუ არა ხირურგიჩესკი წამალი დალიეო.

ვებნები:—დედაკაცო, ზაჰალა ნუ წაიღე, ხირურგს წამალი ვინ მისცა, იმან ყველაფერს სჭრის მეთქი!—თვალში რომ ჯიჯილიბო გამოგივიდეს, ხირურგი მაშინვე თვალს ბოლოკივით ამოგაძრობს—თუო ეს თვალი—მეორე თვალს პრიკასნავენიას უზამსო და თუ არ მოგაჰერი, მამენტალნათ ზარაენია მოგივაო; ფეხში ეკალი რომ შეგერჰოს, მალამოს კი არ დაგადებს, თითს მოგაჰრის; ასმა ზლაკაჩესტვენი რამეა და დაგამახინჯებსო. ერთი სიტყვით ძაან ჟუტკი რამეები უთხარი ამ ფეფელას, შავაშინე რაღა!

# საბჭოთა მოქალაქეს არ



საბჭოთა მოსამსახურე უპორტფელოდ




ბანოვანი უპუდროდ



მოლარე გაფლანგვის გარეშე

# შეუძლია წარმოიდგინოს



საქონელი ბაიაყების გარეშე



გამგე თავისიანების გარეშე




და თავისთავი „უტარტაროზოთ“

ბან ჩუნეს? როცა რომ ამ მუცლის ნუტრენოსტმა კიდევ დამაწუხა, ფეფელა უჯათობის ვირზე შაჯდა და პარტი ძალით გამგზავნა ხირურგის დოხტურთანა.

ისეთი სტროგი ვინმე იყო, რომა კაბინეტში რო შამიყვანა, მეგონა, აქედან უზიარებლათ და უტერტეროთ პრემათ საიქიოს გამისტუმრებს მეთქი; ამხედ-დამხედა, თავისი ტრუბა ყველგან დამადო, დამიტყაპუნა და მებნება: — რა გტკივაო!

— ვა დალოცვილო, შენთან იმიტომ მოვსულვარ, რომა შენგნით გავიგო რაცა მტკივა, შენ კი ნააზაროტ მეკითხები?

— დეგანოზი უნდა დაგისვაო!

ვა, გული გამისქდა, ალბათ დეკანოზი საზიარებლით მოჰყავს მეთქი. შეშინებული ვებნები:

— უსტა ჰექიმჯან, თუ რომ ისეთი აპასნი რამეა, რომ წამალი არ მიშველის და ზიარება უნდა მივიღო, თოლ ისევ წავალ, სახლში მაინც მოვკვდები, დეკანოზი რათ მინდა, ვანქში ხომ არა ვარ მეთქი

იმან იცინის, მასხარათ შაკეთებს და მებწება:

— სმეშნოვი რამე ყოფილხარო, დეკანოზი კი არა, დიაგნოზიო, დიაგნოზი დოხტურების ენაზე ავანტყოფლობის გამოცნობაა, რომ მერე აშიპკა არ გამოვიდეს და სწორი ლეჩენია ვქნათო.

— ვა, პაჟალუსტა გამაიცანი მეთქი, მე აქ ჯიგართან, ბოქვენის გვერდით ქვალი მაქვს და დიხანიას მიშლის მეთქი, ჰამაც პირში ისეთი გემო მაქვს თითქოს ფინთი რამე მიჭამიაო!

— ეს რო უთხარი, იმ ბემურაზმა გაიკეთა აჩკები, გამატიტვლა, დასაკლავ ღორივით გამშოტა კუშეტკაზე და პირდაპირ ოთოთაანთ ქორივით არ ჩამაფრინდა ამ გულმუცელში?!.. თითო ისეთს მატაკებდა ამ მოკაკულ ცერსა, რომ თვალებში სულ ლიხტრიფიკაცია მამდიოდა. ბოლოს ალხეინათ წამაიძახა: — აა, ვიპოვეო!

— ჰაა, რა იპოვე ჰექიმჯან?

— რაც რომ მუცელში გაქვს, ვიპოვე. აქ ერთი სლეპოვი კიშკა არის, სკარატეჩნათ გილპებაო და თუ მალე არ მოიჭერი ჩერეზჩურ აპასნიაო... ვა, მოჭრა რომ გავიგონე, ჰელეთ-მელეთი მამივიდა, გული გამისქდა და ვებნები:

— ჰექიმჯან არ შეიძლება ნარუჟნი რამე დაადო მაგ ბრუციანსა? ჩემი ხნის კაცს მაგისთანა რამე აღარ შეჰფერის და ჰამაც რომ მამაჭრა ვერ გაუძლეფ მეთქი.

— რისა გეშინიან, პუსტიაკი რამეაო. არ დაუჯერე და შეშინებული წამოველ ფეფელასთან სავეტი ვქნათ და რასაც რომ რეშენიას ვიზამთ ისე მოვიქცევი მეთქი.

სახლში ძალიან ფინთ გუნებაზე დავბრუნდი, ზაფრანის ფერი მედო. ფეფელა შეშინებული მებნება:

— ჰაა, რა გითხრა ხირურგმა?

— ბრუციანი კიშკა გქონიაო?

— მერე?

— სკარატეჩნი რამეა და სხვა ვიხოდი არ არის, უნდა მოგაჭრაო.

— უი ქაა! მოგაჭრას რომელია, მერე გაძლება არ უნდა? რაღა გვეშველება, როგორ უნდა გადაიტანოვო. ჰუზურში ძალიან უყვარვარ მაგ ბემურაზსა და დიდი ისპუგი მოუვიდა!

სახლში მე და ფეფელამ ძაან ჯიგრიანი სავეტი გავაკეთეთ და რეშენია ვქინით ისევ ჰექიმბაშის წამალი დავლიო, ჰამაც თელეთის შანაშავიბი და წინანაურისთვის კურატიც უნდა ვიყიდო.

ეხლა აფთიაქში მივდივარ რაღა, ჰექიმბაშმა ლოხმანცკის კაპლები გამამიწერა და ჰამაც ფეხზე პინას ვიდეფ, მუცლის მასაჟს ვიკეთეფ, მებნებიან რომაო, რაც რომ შიგნით იადავიტია სულ გარეთ გამოვა და ის ბრუციანიც თავის თავათ მორჩებაო.

ხირუგის აპერაცია კი ისევ იტლიგენცია ხალხმა გაიკეთოს, იმათ მაიჭრან რაც მოსაჭრელი აქვთ, მე, როგორც ბთადან-ბაბადან მიცხოვრია, ისევ ისე ვიცხოვრეფ.

**ფარხადან.**



— ყაძახო, ამ მარხვაში რომ ხორცს სჭამ,—ხომ წაწყდი კაცი!? რავა, საიქიოს სამოთხეში ჩემთან ყოფნა აღარ გინდა?!

— დაიკარგე აქედან! საიქიოში კი არა, სააქაოშიაცმეჯავრები,—და იქინეც შენთან ვიყო?!

# ვინ რას ფიქრობს

## გამგე ბიუროკრატი

შემოიღეს ეს „დაკვრითი წესები“,
არ ვიცი თუ რანაირად მოვიქცე;
გული მიწუხს, ტანში მჩხვლეტავს ნემსები,—
„გუშინ მგელი, დღეს ცხვრად როგორ გადვიქცე“...
ჩემსკენა აქვთ ყველას ყური და თვალი—
დარაჯია ან თუ რეგისტრატორი,
გატეხილი მოგახსენოთ მართალი,
ვიყავი ინჟინერი და „დიდი ორატორი“...
სადაც წავალ და წამოვალ ავტოთი,
ეს ყველასთვის ორჯერ ორზე ცხადია,
თანამშრომელ ლამაზ ქალს თუ ვატკბობდი,
კედლკორისგან იყო დანახატია...
და მუშკორიც ხომ გაზეთში მაბეზღებს,
მომაბეზრეს თავი შენი მტერია.
სად წავიდე ან მუცელს რა გამიძღებს,
„რადგან ვხედავ თავო ბედი არ გიწერია“...
„სონია, ლიზა, ტანია, მარუსია,
ვხედავ ჩემსკენ იხრებიან გულებით;
რა ვქნა დარდი ასე შემომესია.
შემომაკლდა და აღარ მაქვს ფულები...
მაგრამ, დღეს, ხვალ. ან ზეგ გამითენდება
და გავხდები ისევ „დიდი ბატონი“,
მანამდის კი ცხვრის ტყავი დამჭირდება,
თაფლის სიტყვა და გულიც განაქონი.

## გამფლანგველი

ვა, გამსახლი რა ყოფილა,
ცხრაკლიტული, გულის მკვლელი,
დარდები არ მაყოფინა,
და გამხადა ცრემლის მღვრელი...
ვერა, თამრო, ცაცა, მერი,
ფრაპი, ხლუსტი და ბაქარა,
ეხ, გათავდა ყველაფერი,
ცრემლებიც ხომ არ გვაკმარა...
ვითვლი დღეებს, ვიცდი კენტად,
ახ, მოვსწონდით თურმე ფულით,
რომ მაქებდენ მეტის მეტად,
სიტყვით მხოლოდ და არ გულით.
დამავიწყეს კლუბი არტო,
რომ გამსახლში მიკრეს თავი,
ჩერვონცებიც, ეტლიც, ავტო
და ლამაზთან მკვლავში მკვლავი...
ცოლიც კიდევ სხვას გადაყვა,
გამიყიდეს სახლი ვალში,
ეხ, ასეთი ბედი დამყვა,
რაღას ველი მომავალში...

## სპეკულიანტი

დრო რა რიგად გათარსდა,
დადგა ცუდი დარები;
მუშკოოპი დაფასდა,
და მკლავს მწარე დარდები...
ფასები დაუწიეს
წვრილმანსა და ფართალზე;
რა უყოთ რომ ასეა,
წავალ კონდრაბანდაზე.
შევიოტ-კავერკოტი
ეს მოგების საქმეა,
პუდრა პირველი სორტი,
დუხიც კაი რამეა...
მაშ როგორღა ვიცხოვრო,
ცოლს დაჩას რომ ვპირდები;
მინდა მაინც ვიცოცხლო
და საქმეს უკეირდები...

## ლიტერატორი

გულისდებიან უფრო...
ხშირ-ხშირად თუ ვეწვევით
„ჩემოს“ კუნჭულში მყუდროთ,
„გოზიზდატია“ ზევით
თუ დამაყრიან სიცილს...
დაფნის გვირგვინის წილად,
სად გაქრა რომ არ ვიცი,
მკითხველი მყავდა წინად,
გენიოსობის სწორი...
მინიატურა-დრამა,
ესკიზიც ოცდა-ორი,
მოთხრობაც ასე ათი,
რომანიცა მაქვს ექვსი.
პოეტათ ყველას ვსწამდი,
ეროტიული ლექსი,
დავსწერე ორასამდის
ლექსებსაც ვერსად ვყიდი.
მომკლა ამ იფლის ღვრამა,
ან და რომანი დიდი,
ქუხდა დავსწერო დრამა,

**ოდილმადი.**

# შემთხვევები

— **დახრჩობა.** გუშინ, დილით უპატრონო მოქალაქემ ერთი გირვანქა პური მთლიანად ჩაიგდო პირში და მთლიანად გადაყლაპა. სასწრაფოდ გამოიხმეს სასწრაფო დახმარების ეტლი, რომელიც საღამოს მოვიდა, მაგრამ გვიან იყო... მოქალაქემ სული განუტევა.

— **დაჭრა.** კვირას, საღამოს აქვსენტი აქვსენტიევმა ხუმრობით დაჭრა თავისი ყოფილი ცოლი, რომელმაც თურმე აქვსენტის ალიმენტებით მოაბეზრა თავი.

— **ჯიბგირობა.** მწვანილეულობის ბაზარში უცნობმა მოქალაქემ საკუთარი ჯიბიდან ამოირთვა ხუთი მანეთი და მიიმალა.

— **ქალის გაუპატიურება.** პარასკევს, 25 მარტს იერუსალიმის ქუჩაზე მცხოვრებმა დურგალმა იოსებმა გააუპატიურა თავისი კვარტირანტკა მარიამი. მიზეზი გამოურკვეველია.

— **ძილის დროს.** გუშინწინ ღამით, უმუშევარ ბისკვიტაძეს ძილის დროს თავს დაესხა ოთხი შეიარაღებული ბაღლინჯო და მიაყენა საგრძნობი ზიანი. ბისკვიტაძემ ბაღლინჯოები მოათავსა სპეციალურ იზოლიატორში.

**გუზ-გუზ.**

# სამტრედია



აქეთ სოსოსა მივმართე
და იქით ჩვენსა მიხოსა,
რომ წარმოდგენა დაედგათ
ჩემი საბენეფისოთა.

მაგრამ ბოდიშათ ეს მითხრეს
არა გვაქვს ამის ნებაო,—
და თანაც ყოველ წელიწადს
მოგვწყინდა შენი ქებაო.

# ფარცხანაყანები

ალმასკომის თავმჯდომარეთ
თემში გვყავდა დავითაო;
(რაც გადახდა არჩევნებში
ყველა მისი თავითაო).

შარშან მთელი „სამზადისი“
მან თავისთვის ჩაატარა,
უნდა გავხდე „თემკომიო“
ხალხში აზრი შეაპარა.

თავმჯდომარეთ წამოსკუპდა,
გაიტანა თვისი ლელო,
მთვრალს მარაგად მუდამ ჰქონდა
მრავალგვარი სადღეგრძელო.

ძმაც თავისი გაიყვანა
შარშან დათამ არჩევნებში,
მის სახელი ლეონტია,
„პადრი მთვარე“ თავის ძმებში.

იმას ბალი ჩააბარა,
გახდა იგიც თავმჯდომარე,—

და ამ რიგათ კაშკაშებდა
თემში მხოლოდ ორი „მთვარე“.

შეხრეს, დახრეს, მიხრეს, მოხრეს,
საქმე გაკიბ - გამოკიბეს;
სულ თავისთვის მუშაობდენ,
ისქელებდენ მხოლოდ ჯიბეს.

კაცი უნდა ხერხი იყო
გაჰქონდეს და გამოჰქონდეს
ვისაც აქვსო იმას მიეც,
დე, სიმდიდრე ერთსა ჰქონდეს.

მაგრამ დადგა დღე განკითხვის,
არჩევნები იწყეს თემში
და დავითი თავმჯდომარე
აღარ იყო სიით ჩვენში.

ძოათავეს დაწყებული
არჩევნების სამზადისი;
შავ სიაში გამოეკრათ
თავმჯდომარე, ძმანიც მისი.

**შიხლინსკი ბომბ**

# ჯოჯოხეთის კუთხე



„საპატიო ალაგი...



რაც მართალია მართალი: ვექილ ლოლაძის მოთავსება ჩვენ არ გვინდოდა აქ,—მაგრამ მისთვის შესაფერისი ალაგი სხვა გვერდზე ვერ გამოვნახეთ და იძულებული გავხდით „ჯოჯოხეთის კუთხე“-ში მოგვეთავსებინა. როცა ჩვენ ამას ჩავდიოდით, მხედველობაში გვქონდა ის გარემოება, რომ იგი (ე. ი. ვექილი ლოლაძე) საიქიოსაც ჯოჯოხეთში იქნება და, ბარემ, აქედან შეეჩვიოს. ჯოჯოხეთს...

არა ყველა მომაკვდავნი არიან ღირსნი „ტარტაროზში“ მოთავსებისა, არამედ რჩეულნი გვამნი... და ამიტომაც ხვდა ბედნიერება ხვდა ესე ლოლაძეს. იქნებ ვინმემ იფიქროს, რომ:

— პროტექცია ჰქონდა ლოლაძეს, თორემ „ტარტაროზში“ არ მოათავსებდენო.

ამ ბრალდების თავიდან ასაცილებლად, ჩვენ აქვე ვათავსებთ მის პორტრეტს და ქვეშ მის სიმღერას, რომელსაც იგი ძალიან ხშირად მღერის:

გასტანჯავს წუთი სოფელი
თუ კაცს არა აქვს ფულიო,
ხოლო თუ კი აქვს მაშინ კი
ნეტარებს მისი გულიო.
„საქმე“-ს არავინ მაძლევდა,
ვიტანჯებოდი ვექილი,—
ვექილი, მერე როგორი:
ყოველმხრივ გამოქექილი.
ათასად საქმე ვაფასე,
ხრაფრად კი სინდისიო...
დე, მაგინებდეს ამისთვის
მე მთელი ქუთაისიო...
ღმერთმა უშველოს იმ ბიჭებს
მე გამიმართეს ხელიო;
ასი ჩერვონცი ავწაპნე,
ალალ-მოჭრილი, ცხელიო
ფულია ქვეყნად ყოველი,
ყველა მონა ვართ მისიო...
ოღონდ ფულები მქონდეს და,—
რად მინდა მე სინდისიო...

## „დუელი“

ჯერ-ჯერობით არ მიგვიღია მონაწილეთა სია. „აშუკს“ მხოლოდ ეს მოუხერხებია, რომ დუელის სურათი გადაუღია. საქმის ვითარება კი შემდეგშია:



„ჩალბაშში“ (სოხუმი) ბევრი რესტორანებია, სადაც მეტად გავრცელდა ლოთობა, ჰო-და ამას წინედ ერთმა მოქეიფე რაინდმა ღვინით სავსე ბოთლები დუელში გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ რაინდი მთვრალი იყო ფეხებზე ძლივს-ღა დგებოდა, თავის ხანჯლით მაინც განგმირა რამოდენიმე ბოთლი და, შიგანი... უკაცრავად ღვინო გადმოათხევინა.

## სახარხარო



რა თქმა უნდა შორიდან კაცს ეგონა, რომ თითქოს აქ ქორწილი იყოს... მაგრამ აქ მაჩხაანის სამკითხველოს ქ-ნ ნინას ჰგონია, რომ სიცილ - ხარხარი და ცეკვა-თამაში უფრო ანვითარებს თავის ნაცნობ ახალგაზრდობას და რომ ეს ასეა, ეს იქიდანაც სჩანს, რომ ეს ახალგაზრდები დიდ გამოგონებებს იგონებენ; მაგალითად: გაზეთის ფურცლებიდან აკეთებენ „გარმონს“ და სხვა საკრავ ინსტრუმენტებს, როგორიც არის, სალამური და დუდუკი.

ჰო, კიდევ იწერება ნემსის წვერი, რომ... მაგრამ ეხლა ესეც კმარა.

## დაკარგული შეფი

რა დროს ამაზე ლაპარაკია, როცა ყველა შეფს და-ვიწყებული ჰყავს თავისი შვილობილი, მაგრამ... თვითონ ჩვენი თვალით ვნახეთ სოფ. წყნეთში ეს სურათი:



საყვარელ შეფს ვეძებდით,
(ისინი ჩვენ გვყავს მრავალი),—
მაგრამ ვერსად ვერ ვნახეთ
მათი გზა-კვალი სავალი.

და ჩვენ ვურჩიეთ, რომ ნურც დაეძებენ, რადგან თვითონ შეფებს მოაგონდებათ გაზაფხულ-ზაფხულზე წყნეთისკენ გამოსეირნება...

## სიცილ - ტირილი

„ერთი და იგივე მოვლენა ზოგისთვის სასიამოვნოა, ზოგისათვის კი, პირიქით: სამწუხარო“, ასე ამბობს ფსიხოლოგია, ლევარსი როხროხაძეს ამაში ეჭვი შედიოდა და ამბობდა საწინაალმდეგოს:

— ეს სიცრუეა, ფსიხოლოგია სტყუის... აბა, ვინ იქნება ისეთი სულელი, რომ ერთი და იგივე მოვლენა, მაგალითად, ვსთქვათ: ჯამაგირის მომატება ვინმეს ეწყინოს...

მართლადაც: არა თუ სამწუხაროა ჯამაგირის მომატება, არამედ, პირიქით, — ეს ძლიერ სასიამოვნო მოვლენაა ადამიანის ცხოვრებაში, (რაც თითქმის ძრც კი ხდება დაბალ მოსამსახურეთა ცხოერებაში).

კერძოთ ჩვენ შეგვეძლო-(და ოდესმე კიდეეაც ვიტყვით), ლევარსის საწინაალმდეგო გვეთქვა, მაგრამ ეხლა ამის დრო არ არის და ჩვენ სრულიად ვეთანხმებით ფსიხოლოგიას (და ლევარსი როხროხაძესაც).

თუ მკითხველს ეჭვი შედის ფსიხოლოგიის კანონში, ნება გვიბოძოს, ცოცხალი მაგალითით დავუმტკიცოთ მას ამ კანონის ჭეშმარიტება.

აი **ზომბორის კოოპერატივის** მაგალითი. ყური დაუგდოთ ჩიქოს:




ო, რა დღეშია ხაბრალო
—გომბორის კოოპერატივი.

თუ დროზე არ მოგვეშველენ,—
მას ჩაიბარებს არქივი.
მელქუა ნიკასინ არის
მახარობელი ამისა,
კოოპერატივის ქონების
ასე უხეშად ჭამისა
ამას რომ ვხედავთ, — ჩვენ ვსტირით,
ცრემლი ჩამოგვდის ცხარია.
ხოლო ჩარჩი კი მახლობლად
იცინის და უხარია.

ამ მაგალითის შემდეგ, ყველა დაგვეთანხმება, ჩვენს დებულებაში.

## „ყლანჩი“

თვითეული ოფეთელი (ქუთაისის მაზრა), როცა ამ სურათს დაჰხედავს, მაშინვე წამოიძახებს:

— ხედავთ ჩვენი ამბავია!

დიაღ. ასე იტყვის თვითეული ოფეთელი, მაგრამ ჩვენი მკითხველების უმრავლესობისათვის ეს გაუგებარი დარჩება და ამიტომაც ჩვენ განვმარტავთ ამ სურათს:

ოფეთლები ერთმანეთს ეჩხუბებიან თუ სად დაიდგას სახალხო სახლი, რომლის ასაშენებლად ფული მოგროვილია და კომისიას აქვს. როცა ისინი ჩხუბშია, საამშენებლო კომისია „ყლანწს“. უშვება ფულს და მღერის:



თქვენ მანდ იჩხუბეთ თქვენთვის,
უტეხეთ ურთიერთს თავი;
დეე, არადროს თქვენში
არ ჩამოვარდეს ზავი.
ჩვენ აქ განვაგრძობთ ქეიფს,—
მოდის ღვინო და სუკი...
რა გვიჭირს, — დავა თქვენში,
იქნება მუდამ თუ კი!?
განაგრძეთ. ხალხო ჩხუბი
და ერთმანეთში დავა;
ჩვენ აქ განვაგრძობთ ქეიფს...
...და საქმე კარგად წავა

### ტარტაროზის შენიშვნა:

ალბად თვით კომისია
გამსახლში მალე წავა...
მაშინ შეწყდება ჩხუბი
—და ერთმანეთში დავა.

---

**ტარტაროზი № 96**

**სპეციალური სალიტერატურო ნომერია**



**სხვაველ მწერს.** თქვენს ლექსში ერთ ალაგას სწერთ:

**ქუჩაში ხომ ბარიშნებსა**
**ვუმასპინძლდები გინებით;**
**თვითონ კი გამისტუმრებენ**
**ავი თვალით და გინებით...**

სწორედ ასეთი ამბავი დაემართა თქვენს წერილსაც.

**ციკოლიკოს.** ჩვენი წამალი ეს იქნება **ჭკუის აცრა**

**ა. დიმანიშვილს.** მასალა უნდა დასწეროთ ცალ გვერდზე, მაგრამ ეს ისე არ უნდა გაიგოთ, რომ იგივე მასალა ცალ გვერდზე დასწეროთ და გამოგვიგზავნოთ; სულ ერთია: ამას არც ცალ გვერდზე დაწერა უშველის და არც...

**სართიჭალელ ბიჭს.** როცა მაგნაირი რამ დაგესიზმროს, ეს იმას ნიშნავს, რომ „ტარტაროზში" გაგზავნილი თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

**გატყაულს.** (ქუთაისი). თქვენი წერილი გადავეცით ექსპერტს, რომელმაც უნდა გამოარკვიოს თუ რომელ სულიერ არსების ნაწერია ეს.

**გო—რანს.** თქვენი წერილიც ექსპერტს გადავეცით იმის გამოსარკვევათ, თუ ავტორი რა ჭკუისაა.

**მიმინოს.** (ბათომი). დაგვიანებულია. მაგნაირი ამბები დროულად უნდა მოგვაწოდოთ. კურდღელაშვილი, გრიგორევი და ლეონიდე მას შემდეგ (20 თებერვალი) ალბად გამოფხიზლდენ, სიმთვრალეში გატეხილი თავები მოურჩათ და ისევ შეუდგენ მორჩენილ თავებით ქეიფს, რათა ისევ გაუტეხონ ერთმანეთს... ნუ უშლით ხელს... ცდებს ახდენდნენ, თუ რამდენჯერ გატეხა შეუძლიათ იმათ თავებს გადაიტანონ.

**გრ. არუელს.** თქვენი წერილი „მიბმული" ყოფილიყო იმ „მფრინავ ყურსაკიდზე" და მასაც ისეთი ბედი ეწვია.

**მიჯნურის ავტორს.** თქვენს „პოემას" ასე იწყებთ:

**რალა ბევრი გავაგრძელო...**

და აგრძელებთ ისე, რომ ჩვენ მისი გადაკითხვა დაგვეზარა და არქივს გადავეცით. ანდა ერთი გვითხარით, რა ჩვენი საქმეა სხვისი პირადი საქმე!

**ახალდაბელს.** გეტყობათ, რომ თქვენ ძალიან გაინტერესებთ, რომ თქვენი შემოქმედების რამოდენიმე სტრიქონი მაინც დაიბეჭდოს. ჩვენ გისრულებთ სურვილს და თქვენი ლექსიდან მოგვყავს ის ადგილი, რომელიც, ალბათ, თქვენ ყველაზე უფრო მოგწონთ.

**შემდეგ ზევით გზას განვაგრძობ,**
**ახლოა სამკითხველოა...**
**— შიგ წიგნები რომ არ არის**
**ნეტა ეს ვისი „დელოა"?**

**ნამოჭვარას.** როდესაც წერილის ბოლოში თქვენი ფსევდონიმი წავიკითხეთ(და უნდა გამოგიტყდეთ სიმართლეში, რომ თქვენი წერილის ჩვენ წავიკითხეთ ჯერ სათაური, შემდეგ ავტორი და ბოლოს შინაარსი), მაშინვე დავრწმუნდი, რომ მასალა უვარგისი იქნება. აი, თქვენ რომ თავისი თავით შეგეფასებიათ მომხდარი ამბავი, დარწმუნებული ვართ თქვენს წერილს ეს ბედი აცდებოდა.

---

*) ნამოჭვარას გურიაში ეძახიან ისეთ კვერცხს, რომელიც უვარგისობის გამო კრუხმა ვერ გამოჩეკა. ნამოჭვარა წარმოსდგება სიტყვიდან: **მოჭვა**; რაც გურულად ნიშნავს კრუხს.

**ყანჭარაკუნას.** ჩვენს ბედს შენატრით:

**შენთვის ქვეყანა ბურთია.**
**ან სათამაშო ჩაქაო,**
**არ ვიცი თუ სხვა შენსავით**
**ბედნიერია აქაო.**

ასეთ წერილების განხილვა თუ ბედნიერებაა,—მაშინ მათი წერა კიდევ უფრო უდიდესი ბედნიერება უნდა იყოს,— და, მაშასადამე, თქვენ ჩემზე უფრო ბედნიერი... მაგრამ თქვენ თავისი თავი არ მიგაჩნიათ ბედნიერად. და აი რატომ

**არ იქნა ...ერთხელც არ იქნა**
**ჩემი ნაწერის დაბეჭდვა...**
**ქემაინც მიპასუხებდეთ,**
**რომ ის გოდორში ჩაიდვა.**

აჰა, კიდეც გიპასუხებთ და კიდეც დაგიბეჭდეთ რვა სტრიქონი... იმედია, ამიერიდან მაინც თავს არ ჩათვლით უბედურად.

**ბზეკაკოდალას.** (დვაბზუ). გვწერთ:

**ეხლა რომ საქმე წაავგს,—**
**— ერთმანეთს სდებენ ბრალსაო...**
**—დაცხრენ... ჭკუაზე მოვიდენ,**
**აღარ ამღვრევენ წყალსაო.**

ჰო-და თუ კი ასეა, შენაც გაჩერდი, თორემ, იქნებ... თევზი მოენატროთ.. ხოლო თევზის დასაჭერად კი წყლის ამღვრევაა საჭირო... თუმცაღა ლევარსი როხროხაძის თქმით, ამღვრეულ წყალში უფრო ძნელია თევზის დაჭერა, ვიდრე დაწმედილ წყალში.

**„ფილოსოფოსს".** თქვენ თუ თქვენი თავი ამ წერილის დაწერისათვის ფილოსოფოსი გგონიათ, მაშინ ყველა ისინი, ვინც ფსიქიატრიულ სამკურნალოში არიან მოთავსებულნი, ფილოსოფოსები ყოფილან ანდა თქვენ იქნებ ეს გგონიათ ფილოსოფოსობა:

**ყველას სჯობია დღეს მიკიტნობა**
**ბორშს და სუპს შესჭამ თუ გსურს ორ საიმს,**
**ფული რომ მქონდეს,—ვიქეიფებდი**
**და გავძღებოდი ერთს მაგრად მაინც.**

ცოტა გკლებიათ ჯიბეში, ხოლო **სხვა ალაგას** კიდევ მეტი; ხოლო თუ სად, სად არის ეს სხვა ალაგი თქვენ მას ადვილათ ნახავთ, იგია თქვენი სხეულის ყველაზე უფრო ზემო ნაწილი.

**ყარყუმს.** თქვენი ლექსის თითოეული ტაეპი ასე თავდება (და ესეც მოპარულია):

**დავდივარ, დავდივარ**
**არავის არ ვარგივარ...**

თქვენი წერილიც თქვენ ჰგავნებია:

**„ვაჟკაცს".** თავისი საკუთარი თავის გატეხა ვერაფერი ვაჟკაცობაა. მაგრამ ჩვენ მაინც ვიბრალებთ თქვენს გატეხილ თავს და ვბეჭდავთ თქვენი ლექსის იმ ნაწილს, სადაც თქვენს თავს კატასტროფა შეემთხვა.

**ვერ დავასრულე ლექსი რითმებით...**
**ბრაზით ვახალე მე კედელს თავი.**
**დაცინვით ვუთხარ ჩემს გატეხილ თავს:**
**—ახია შენზე მე ყურუმსაღო.**

ლექსის დაწყებისას რომ მასე მოქცეულიყავით, ჩვენთვის უმჯობესი იქნებოდა.

# ვის ერგო 50 მანეთი

## № 2 კონკურსის შედეგები




### 2 № კონკურსის სურათი

კონკურსში მონაწილეობა მიიღო სულ 4.356 კაცმა. ამათში პროვინციიდან 2.978; ქ. ტფილისიდან—1.134; ამიერ-კავკასიის ქალაქებიდან—229 და რუსეთიდან—15.

მონაწილეთა სოციალური მდგომარეობა ასეთია: მუშა—846; გლეხი—476; მოსწავლე—1.362; მოსამსახურე—1.478 და სხვა—193.

ჟიურიმ დააჯილდოვა შემდეგი წარწერები:

## პირველი ჯილდო 30 მანეთი ერგო წარწერას:

### ჩემბერლენის გულახდილობა

არ ვიცი, რომელი უფრო სასირცხვოა—ჩემი ნოტა თუ ჩემი სიშიშვლე!.. ამ გაზეთებმა კი მაინც მთლად გამოაშკარავეს ორივეს სიმახინჯე.

### წარწერის ავტორი:

ანთიძე პლატონ გიორგის ძე*)

(ტფილისის საყუდის ზეინკალი.) პლეხანოვის პროსპექტი № 114.

## მეორე ჯილდო 20 მანეთი ერგო წარწერას:

### გაშიშვლეს

ნეტავი რამ მომაგონა რადიო და ფოსტა,—
ქვეყანას რომ სწრაფ გადასცეს ჩემი გრძელი ნოტა.
დავმახინჯდი, როგორც ხედავთ, ჩემბერლენი კობტა
გამაშიშვლეს გაზეთებმა.. წამაფარეს ნოტა.

### წარწერის ავტორი:

აბაშიძე გიორგი მინას-ძე**)

(მასწავლებელი) ზესტაფონი. რუსთველის ქ. № 14.

*) ჯილდოს მიღება შეგიძლიათ გაზ. „მუშა“-ს მთავარ კანტორაში (ჯორჯიაშვილის ქ. № 6)

**) ფული გამოგეგზავნებათ ფოსტით.

## კონკურსი № 3 გამოცხადებული იქნება შემდეგ ნომერში

უკვე დაიწყო აპრილისათვის ხელისმოწერა

გაზ. „მუშა“-ზე და ჟურ. „ტარტაროზზე“

ტფილისში ხელისმოწერა მიიღება გაზ. „მუშა“-ს მთავარ კანტორაში

(ჯორჯიაშვილის ქ. № 6)

პროვინციებში რწმუნებულებთან და მთავარ კანტორის განყოფილებებში

გაზ. „მუშა“ „ტარტაროზი“-თ თვეში ღირს 80 კაპ.

ამთავიდანვე იზრუნეთ გაზეთის გამოწერისათვის

# როგორ შეხვდა სტეფო ფასების დაკლებას



1 [illegible]



2 [illegible]



3 [illegible]



4 [illegible]



5 [illegible]
[illegible]
და ქმარის ერთ-ერთ ნაცნობს
გაუძღო მკლავში მკლავი.



6 ცოლას საკანში სტეფომ
წაიგლო თმაში ხელი,
მაგრამ იმისთვის უკვე
არავინ იყო მხსნელი.

[illegible]

# ტარტაროზი

№ 94 | [illegible] 1927 წ. | № 94



50 [illegible]

# დელეგატი საქულა

## სრულიად საქართველოს საბჭოების მე-4-ე ყრილობაზე

ამხანაგო თავმჯდომარე! ყველას წინადადებები შემოაქვს, არ იქნება ერთი პატარა და კონტა წინადადება მეც შემოვიტანო?! აი საქმე რაშია: მოსკოვში, ბაქოში და ერევანში რომ დეპეშებსა გზავნით, არ იქნება რომ ზაგრანიჩნის ხალხსაც არ გაუგზავნოთ მისალოცი დეპეშები? დღევანდელ ლამაზ დღეს მტერიც და მოკეთეც უნდა მოვიგონოთ. ამიტომ ჩემი წინადადებაა—გაეგზავნოთ ეს ქვემოთჩამოთვლილი დეპეშები:

**ნოე ჟორდანიას:** ექვსი წელიწადია, რაც რომ შენ არჩიე საქართველოდან კასვლა და ზაგრანიცაში ალოღლეტიათ ხიარულობ. შენი მანდაური ძმა-ბიჭების დახმარებით გინდოდა საქართველო გაგეხადა მუქთამჭამლების სამუდამო სასტუმროთ, მაგრამ არ დაგიდგა კარგი დარი, ნოეჯან. ეხლა შენი საქმე ჭანდრაკულად არის. სანამ გქონდათ საქართველოდან გატაცებული ფულები სჭამეთ მოხრაკულები; ეხლა, როცა საფანელი შემოგაკლდათ.. ჩამოჰყარეთ ყველამ ყურები. გარდა მაგისა, შენ გეგონა ქართველო მუშა და გლეხი უშენოთ ვერ გასძლებდა. არა შენმა მზემ და სოქულის მზემ—უშენოთ ისე ვართ, როგორც შუშა კიტრები. შენ თუ მანდ სკუჩნათა ხარ, დაჯექ და მაკდონალდს, ვანდერველდს და რენოდელს კონჩინკა ეთამაშე, მხოლოდ შენ ცოტა ნაივნი კაცი ხარ და უფრთხილდი მაგ ძველ კარტოჟნიკებს—ფსონში არ ჩაიხედონ ანუ საწიამით კარგი ორიანი არ აიყვანონ.

**ნოე რამიშვილს:** ბიჭო, ჩვენ შორის კი დარჩეს, მაგრამ მართალი უნდა გითხრა—ძალიან უნამუსო რამე ხარ. შე პირძაღლო, მანდაც დაიწყე შენი ინტრიგობა? განა შენზედ ბემურაზი ადამიანი კიდევ დაიბადება სადმე? მახლაზ, ასეთი ბემურაზი ადამიანი კიდევ დაიბადება სადმე? მახლაზ, რა გიყოს საქართველომ! ჩათახის ქარხანა რომ კარგათ მუშაობდეს, ბენო კალანდაძეს დავავალებდით რომ შენი თავი გადაედნო დასახალასებლათ, თუნდა ერთ რამეს რაც გინდა ბევრი შაქარი ჩააყარო, მაინც ის მურაბა არ გახდება. ერთი შეგვატყობინე, ჩამოსვლას ხომ არ აპირებ? ლავრენტი ბერია ისე გელის, როგორც კლეტკა კანარეიკას. თუ ჩამოსვლა გინდა, კვარტირის კრიზისისა არ შეგეშინდეს—შენთვის ყველაფერი გამზადებულია.

**გიორგი ერაძეს:** შე ჩემანალა, ბაზარში ობოლი კატის კნუტივით გამოგზარდეთ და შენც ბოლოს უნამუსობის გზას დაადექი. თუ რომ შენ მენშევიკურ პარტიაში ერთი სამი მისხალი ნამუსი იყო, იქიდან ნახევარი შენ გეკუთნოდა და არც შენ გამოგვადექი ხეირიანი შვილი. არ მოგბეზრდა მაგ ზაგრანიცაში ბრადიაგობა? რას აკეთებ მაგ ტიალ ქვეყანაში? არ გეყო ნოე რამიშვილის სოფათში ცქერა? ჩამო, ჩამოვარდი! ამირალოვი იძახის—გიორგი ჩემი ძველი ძმაკაცი არის და გრუზგოსტორგში ზავხოზობას მივცემო. მეტი რაღა გინდა?

**მაკდონალდს:** გილოცავთ ახალ გამარჯვებას. სიხარულით შევხვდით ჩინეთის მუშების და გლეხების გადაწყვეტილებას, შენთვის ქვის ძეგლის აგებისას ნანკინის მთავარ ქუჩაზე, იქ, სადაც შენი დახმარებით ორი ათასზე მეტი ჩინელის სისხლი დაიღვარა. შენ ამ ცოტა ხანში სიფრთხილისკენ მოუწოდე ჩინელებს. ვიცით ჭკვიანი კაცი ხარ. კარგი ჭკუა ასწავლე მაგ უბედურ ხალხს. ერთი გვინდა ისიც გავიგოთ, ინგლისელ სალდათებს, რომლებიც შენი ნებართვით გაიგზავნენ შანხაი-ნანკინში, როგორი დარიგება მიეცი. ჩინელ მუშების მისწრაფებაა—რომ ქვა დაგიდონ, ჩვენც უერთდებით—მეოთხე ყრილობა ავალებს კარპე მოდებაძეს არ დაზოგოს შენთვის შავი ქვა.

**მუსოლინის:** რასა ჩრთიფერთილობ? რაც გინდა ბევრი იჩალიში—მაინც ბოლო შენი არის გადაწყვეტილი. მუშის კლავს თუ რომ სამასი წლის განმავლობაში გამაგრებულმა რომანოვის ტახტმა ვერ გაუძლო, განა შენ რა ჩემი ფეხები ხარ, რომ თავი გაიტანო! იტალიელი მუშები კულა გლდანელივით ისეთ დროს გამოგკრამენ შუალა სარმას, როცა რომ შენ მას არ მოელოდები. გისურვებთ შენი წერით არ მოჰკვდე—შენი გაპატიოსნება დაკისრებული აქვს მუშათა კლასს და კარგაც გაგიმასპინძლდება. ისე შამოგანმტვრევენ მაგ ორივე ფეხებს, როგორც რვანუმერ მაკარონს.

**პილსუცკის:** ნესტორ ცერცვაძის ნათქვამია:—ღმერთმა ქაჩალს ფრჩხილი არ მისცეს თავის დასაფხანათ, თორემ ჩამოკაწრავსო. სწორეთ ზედგამოჭრილია შენზე ეს ნათქვამი. ბიჭო, ერთ დროს ნიკოლოზის ბრჭყალებში შენ ხალხს სული ამოსდიოდა. რუსების მუშების დახმარებით მოიპოვეთ თავისუფალი სამშობლო. მეტი რაღა ეირისფეხები გინდა!? რას იცქირები ქურდი კატასავით ან რუსებისკენ ან გერმანიისკენ? ავი ძაღლივით გაწოლილხარ შუაგზაზე და აქეთ-იქით ყველას უღრენ. ცოტა ჭკუას დაადექ, თორემ ლოძის, ჩენსტახოვის და დომბროვის მუშებს მოთმინება უკვე ელევათ და ერთბაშად ფიშტს გიზამენ, ხომ იცი მეშები რა უზრდელი კავხე ხალხია!? პან პილსუცკი! მეოთხე საქართველოს საბჭოების ყრილობა უსურვებს შენ ხალხს შენგან და შენ მეგობრებს ბოლდუინ-ჩერჩილებისაგან სრულიად დამოუკიდებლობას. ერთი შენი კარტიჩკა გამოგზავნე—ლადო აბაშიძის კაბინეტში უნდა ჩამოეკიდოს.

**ბოლდუინს:** რადგანაც მე ინგლისური არ ვიცი, მე ვეხვეწე ჩემ მეგობარ სანდრო ყორყოლიანს გადაეთარგმნა მისალოცი დეპეშა და თარგმანს გიგზავნი უცვლელათ. თუ რომ თარგმანში რამე გაუგებრობა არის, ეგ სულ სანდროს ბრალია.

მისტერ ბოლდუინ! ჩინიშ ფინიშ ინგლიში იმპერია. ინდიას ინგლიში ალარ უნდია. ჩერჩილ ნაუ მინისტრ იეს ვატერკლოზეტ ეგიპეტ შუტკი ზარალ სლუჩაიტ.. პერსიშ პეტროლიშ პატრონი ნე ბუდიშ. ბუდუ მდივანი ოლრაიტ, სერჩაიტ. ჯორჯიან მუჟიკ ტუა ფიზიონომიში ოლრაიტ პლევაიტ. ავიოხიმ, მეტალტრესტ, ლიტვინ-ჩიჩერინ, ხლებოპროდუკტ, ვნეშტორგ ტვაია ოლრაიტ კლანიაიტ. მერსი, გუტბაი, ზაგეს.

**ევროპის ციხეებში დამწყვდეულ მუშებს.** ისევ მოვა თქვენი გაზაფხული და თქვენი კარიც გაიღება. ვაჟკაცათ იყავით. გული არ გაგიტყდეთ. იძახიან: მოროზოვმა ასტრონომია პეტრე-პავლეს ციხის ფანჯრიდან ისწავლაო. თქვენც უცქირეთ ვარსკვლავიან ჩირაღდნიან ცას. თვალი ადევნეთ ხუთწვერიან წითელ ვარსკვლავს. ის არის სიმბოლო ქვეყნის და თქვენიც განთავისუფლებისა. გაუმარჯოს თქვენ დაუშრობელ ბრძოლის ენერგიას. გაუმარჯოს მთელ ქვეყნის შეერთებულ საბჭოების ყრილობას. (ციხეებს კარგათ მოუარეთ. ოთახები სუფთათ შეინახეთ. ეგ შენობები მომავალში უნდა ზოოლოგიურ ბაღებათ გადავაქციოთ, რომლებშიაც იქნებიან მომწყვდეულები ბოლდუინები, ჩემბერლენები, ტომასები, ვანდერველდები, შეიდემანები, პილსუცკები, მუსოლინები და ყველა ისინი, რომლებიც მუშათა კლასისათვის იყვნენ მგლები, ტურები და ზოგიც მელები).

**ვინმე.**

# სახიფათო პატივცემა



ჩემბერლენი. (დიდი ბრიტანეთის ლომს) მობრძანდით და ისაუზმეთ თქვენო უდიდებულესობავ; ახლად მოჭრილი თავებია,—ეხლახან მივიღეთ პირდაპირ ჩინეთიდან.

ლომი: კი მაგრამ... მაგ თავებმა რომ კბილები დამძროს?!

# ონოფრეს გოდება

## (მონოლოგი)

ცოცხალი რომ ყოფილიყო დედაჩემი, გეფიცებით— ჩემი ხელით დავახრჩობდი!

არა, სხვა სახელი ველარა გამოსძებნა რა, რომ ონოფ-რე დამარქვა?!

პოეტი და ონოფრე?!

ბახუსს გეფიცებით.. წირპლიან აპოლონს მე ბახუსი მირჩევნია!..

ჰოდა, ბახუსს გეფიცებით, ჩემი ხელით დავახრჩობდი!

ვერა ხედავდა, ვისა ზრდიდა?!

განა შეიძლება, არა გრძნობდეს მშობელი დედა,— ვის აწოვებს ძუძუს: ცისა და მზის დამჯაბნ უკვდავ პოეტს, თუ წარმავალს, ორფეხა მატლს?!

მეტი უბედურობა წარმოგიდგენიათ!

კაცი რა ხანია მზადა ვარ სამწერლო ასპარეზზე გა-მოსასვლელად და...

არა, რა სახელით გამოვიდე მე უბედური?

ონოფრე ჯამლოკიაშვილი?!

გვარი საგანგებოა: ჯამლოკელლი! ორი ლ. მაგრამ სა-ხელს რა ვუყო?

ონოფრე!.. ღმერთმა დამიფაროს!

ტიციან... პაოლო... კოლაუ... გრრ. რრრრობაქიძე—კავ-კასიელლი!..

ვილაცა ბალღებს ამისთანა სახელები და მე კი... ონოფრე!?

ღმერთმა დამიფაროს!

დაე, დამგმოს ისტორიამ, პოეზიის მოღალატედ მო-მიხსენიოს, მე ჩემსას არ დავიშლი;

მანამ ჩემი დიდებული ნიჭის შესაფერ სახელს არ ვიპოვი, სტრიქონსაც არ დავბეჭდავ!

---

ააჰ! რატომ რობაქიძე არა ვარ! რობაქიძესავით შუა გზაზედ კი არ გავჩერდებოდი!..

რობაქიძეს წავშლიდი, და...

გრ. კავკასიელლი!..

მტკნარი სისულელე რომ სწეროს, მაინც დიდებული იქნება ამ გვარის პატრონი!

გრ. კავკასიელლი!... ორი ლ., თუ ღმერთი გწამთ! ა და ა—ერთად, უცბად!

აი ნამდვილი სახელი პოეტისა, უტყუარი ნიშანი ზე-ციური ნიჭისა...

მე კი... ო ნ ო ფ რ ე! არჩილი მაინც მერქვას, რომ არჩიბალდად გადამეკეთებინა!

არჩიბალდ ჯამლოკელლი!

სხვას არც ეს დაუვარდებოდა, მაგრამ ამ ოხერ ონოფ-რეს რა ვუყო?!

სახელი მინდა, სახელი, თორემ დიდი ხანია მზადა ვარ:

უაზრობა, განცდა, სიტყვა, სიტყვის ფრქვევა, რითმა, ფორმა და კვლავ კიდევ უაზრობა, რამდენიც გენებოთ!

მერმე როგორ მეადვილება ლექსის წერა... ვერც კი წარმოიდგენთ!..

ერთი სიტყვა კმარა, ერთად-ერთი სიტყვა, რომ დაუფიქრებლივ მთელი პოემა დაგიწეროთ.

გნებავთ, ეხლავე!.. სიტყვა მიბრძანეთ რამე... თუნდა:

„სერ-სერ მოდის რუხი მგელი,
ტუჩ მურა და კუდა გრძელი“.
რუხი მგელი... კუდა გრძელი... საღერღელი!..
ინებეთ:

ტურფამ ხელი დამიქნია,
ამიშალა საღარღელი:
მანიშნა:—შენ მინდიხარო,
მარტო შენა... მდევთა მკვლელი.

თოფ-იარაღი ავისხი,
ხმალ-ხანჯალი გულის მჭრელი,
გზას გაუდექი რაინდი—
ჩვენი დროის ტარიელი.

სერზედ შემხდა რუხი მგელი,
ტუჩ მურა და კუდა გრძელი...
ქირის ოფლში გავიწურე—
არავინ მყავდა მშველელი.
წავტორტმანდი... დავბარბაცდი...
დავინახე რაღაც ხვრელი,
ჩავძვერი და გავინაზე
უფსკრულ-ბნელეთის მძებნელი.
მოვიდა, დაიღმუილა...
ვერ მიპოვა მისი მკვლელი,
შეშინდა და გაძუნძულდა
ცხვარ-ბატკანის სისხლის მსმელი.
ჩამოვიწი წამოვდეგი...
შალვარიც კი მქონდა სველი...
მანამ თოფს მოვიმარჯვებდი,
გამპარვოდა მხდალი მგელი!
ინებეთ!

პირველი მოთხოვნილება ხელოვნებისა—უაზრობა—სავსებით გახლავთ დაცული. მეორე მოთხოვნილება—განცდა, სიტყვა, სიტყვის ფრქვევა, ლექსი. რითმა და კვლავ კიდევ უაზრობა—ჯერეთ უმაგალითო, ჯერეთ უხილავი და უსმენი!

მაგრამ ვერ დავბეჭდავ! იძულებული ვარ, ზეციური ჩემი ნიჭი ჯერ-ჯერობით დავუმალო კაცობრიობას და ჩემი შესაფერი სახელი ვეძებო.

იქნება იცოდეთ რამე! ძალიან დამავალებთ, თუ მაცნობებთ. მაინცა და მაინც ინოფრიელლი არ მომწონს. სხვა რამ მინდა, დიდებული, რომ ორფეხა მატლთაგან განვსხვავდებოდე და თანაც ლამაზი ქალის ალერსიჟით საამურად ხვდებოდეს ყურს.

**კვიმატი.**

# „ვექილ ტყაოსანი“

### (ქუთაისიდან)

...იყო ქუთაისს მიხეილ აივაზოვი სვიანი,
დამძიმებული ქიმიით—მას გოგრა ჰქონდა ჰკვიანი.
მართალი არის ამ გოგრამ ბევრს მიაყენა ზიანი,
მაგრამ თურმე რას არ შესძლებს ორფეხი ადამიანი!..



ვნახეთ უცხო მოყმე ვინმე—სჯდა ჩაიზე სახლსა შინა:
პაწა ვანო გვერდით უჯდა, მარუსა კი მუხლის წინა.
დედა იმათ ვარიასაც მოენახა სტოლთან ბინა,
სალომემაც, ღრმა მოხუცმა ორჯერ-სამჯერ მოირბინა.

მათ ნახვაზე აივაზოვს ბოროტებით გააზმორებს:
—ის, დიდები მოჰკლას მაგრამ, რაღა უქნას პაწა ორებს?
მაგრამ თურმე აწ სინდისი სულ არ სტანჯავს ორფეხ ლორებს
და... მურაბით სავსე ვაზას მიშა თვალებს არ აშორებს...

საწამლავი ჩაყრილია. ვის ერგება: უნცროსს? უფროსს?
ბედი როგორ გადასწყვეტავს: მიშამ ძილი ვის დაუფრთხოს?
...ერთი აბი დედას ხვდება, მეორე კი მის ქალს, უნცროსს
და გარეშეც არვინაა ამ სიმხეცეს რომ შეუსწროს!...

...აგერ ვიღაც „ექიმს“ ყვირის. საწამლავით, ვიღაც კვდება...

ექიმთანაც ვანო მიდის. მიშაც უკან მას გაყვება.
და როდესაც ბავშს მოხვდება ყელში დანა სამი წყება:
—ხროტინი და თან სიცოცხლეც ბავშის მხოლოდ მაშინ სწყდება!..

ერთი „საქმე“ შეასრულა. აწ მეორე რა იქნება?
ო, ეშმაკის მეუფებდა სურვილები და იქ ნება.
და ორფეხი ეს ნადირი როცა ოთახს უბრუნდება:
—აქ ნაჯახი მეორე მსხვერპლს, სამოცი წლის მოხუცს ხვდება!...

მორჩა ორი. ასპარეზი აწ საგმირო განახევრდა:
—დედა-შვილი დარჩა კიდევ აქ ცოცხალი მისდა სევდათ!
...და როდესაც სისხლის ქარი დედის თეთრ თმებს ბალიშს ფენდა.
ხოლო შვილი გაკვნესოდა: „სად ხარ ჩემო ტკბილო დედა“,

აი, მაშინ სიგვიანე თავის საქმის იგრძნო მანა:
—ბიჭოს, კიდევ მოძრაობენ. თვალს ახელენ ხანდახანა!
და ამიტომ ჩვენმა „გმირმა“ დიდი აღარ დაახანა
და ჯერ დედას, მერე კი შვილს... გამოუსვა ყელში დანა!..

—სასამართლო მობრძანდება!—ხალხი დრტვინავს. ხალხი ღელავს.
მაგრამ გული ცივადაა აქვს აივაზოვს, ღამის მელას...
და როდესაც მესროპიანცს ცრემლები სდის ნელა-ნელა—
ბრალდებულნი ზეიმობენ: ცალ-ცალკე და ერთად ყველა!

—ნუ თუ ვინმე იცავს ამათ?—კითხულობენ გაოცებით.
—ფიქრობთ, დამცველს იშოვიან? ო, ბატონო, დიდათ სცდებით!
—ვინ იკისრებს ამ საქმეში დამცველობას თავის ნებით?
..სწორედ ამ დროს მოაბიჯებს **ღვამიჩავა** მისი კრებით...

—სასამართლო მობრძანდება!—ღვამიჩავაც აქვე არი—
მთელ დარბაზს კი არ ასვენებს დანთხეული სისხლის ღვარი...
მოკლეს ცოლი და შვილები. დარბაზშია ობლად ქმარი
და დარჩენილ ერთ მის ბავშსაც თმებს უწეწავს გლოვის ქარი...

—ეს რა მოხდა?—ამბობს ერთი,—ან მინახავს მზგავსი რამე?
ოთხს სულს, ცოცხალ ადამიანს მოუსწრაფეს დღენი ლამე!.
ბრალდებულთა დასაცავად ვერას ვიტყვი, ვერა, აქ მე:
—აწ ვექილთა საქმე არის ეს „წმინდა“ და „სუფთა“ საქმე!...

...და ვექილიც წამოდგება. ბარიტონი მშვენიერი.
მის ყანყრატოს დიდათ არ ვნებს თავმოყრილი დღეს აქ მტვერი.
თვალით ქაღალდს გადახედა. წაიკითხა დანაწერი.
ყური უგდეთ:—ბარიტონი „მომხიბლავი“ ხმებით მღერის:
—„ერთხელ მხოლოდ, ისიც ღამით, ოთხი სული მოკვდა ერთად!
მართალია, სისხლი იმათ მოსდიოდათ წვეთა-წვეთად,
მაგრამ აი, ამ საქმეში აივაზოვ იყო კენტად,
სხვები კი სულ არ ყოფილან, არ გავმწარდე მათზე მეტად!..

ბრალმდებელი უკიჟინებს:—„თქვენ ვის იცავთ: მათ თუ ჯიბეს?
ეს გვიბრძანეთ: სად მიყევხართ თქვენ ეთიკის მოგრძო კიბეს?
სად გინახავთ: ერთი კაცი ბოროტებას ესდენს ქმნიდეს.
და ამ გვარი ტყუილებით სახე კაცის არ გაწითლდეს?!?

—სასამართლო მობრძანდება! ხალხი ღელავს. რა აღელვებს?
ის, რომ მცველი გამოუჩნდა ამისთანა ღამის მელებს!
ვინ დისკანტით, და ვინ კიდევ ბარიტონით ჩაახველებს,
მაგრამ ხალხის გმინვა ამბობს:—საყვედური ასეთ მცველებს!

სდუმს დარბაზი. დაიუფლა სულყველანი სევდის ბინდმა.
იქვე ახლო, ამ დარბაზში პაწა გოგო აქვითინდა:
—„ჩემო დედა! ჩემო ვანო! დავ მარუსა—თქვენთან მინდა!..“
...და აქ ცრემლთა შეკავება ვაჟკაცებსაც გაუჭირდა!..
**ვექილებს კი ვეკითხები:—ეს ცრემლები რაღათ ღირდა?**

**მორიელი.**

# გაცილების შემდეგ

მე მინდა მოგახსენოთ ერთი პატარა შემთხვევის შესახებ, რომელსაც, როგორც იტყვიან, ადგილი ჰქონდა სარდიონის ცხოვრებაში.

სარდიონი არის ახალგაზრდა კაცი, და ატარებს ცხოვრებას ისე, როგორც ატარებს ჩვენი ახალგაზრდობის საგრძნობი ნაწილი, სახელდობრ: დილით იღვიძებს 10 საათზე, დგება 11-ზე, გამოდის 12-ზე და 12-დან 3 ნახევარ საათამდე ქალაქის სხვადასხვა პროსპექტებს სტეკპნის — მონაწილეობას იღებს ქალაქის კეთილმოწყობაში. 3 ნახ. საათზე, სარდიონი გადაეყრება რომელიმე ნაცნობს და ისადილებს მასთან. შემდეგ ისევ უბრუნდება ქუჩის ტკეპნას და ტკეპნის მანამ, სანამ ვინმე ნაცნობს კიდევ არ გადაეყრება და ან „ელდორადოში“, ან ჩოფურასთან, ან „ავგაროზში“ არ შეყოფს თავს.

ერთი რამ უნდა გულახდილად ითქვას: სარდიონი არ არის ხულიგანი. შეიძლება ეს იყოს მისი უარყოფითი თვისება, მაგრამ რას იზამ; კაცია და თვისება: ზოგს ხულიგანი მოსწონს. ზოგსაც ის მილიციელი რომელსაც, გრიგოლ ცეცხლაძის თქმის არ იყოს, ულვაშები მიუგავს ინიციალებს და ისე ებრძვის ხულიგნობას.

მხოლოდ ერთი „მოხულიგანო“ თვისება აქვს სარდიონს: მას უყვარს უცნობ ქალის აკვიატება და „ზადევანიების“ კეთება. ამ მოხულიგანო თვისების შედეგების შესახებ მინდა მოგახსენოთ:

რომელიღაც სახელის დღეობა იყო. არ მახსოვს— ნინაობა, ეფროსინობა, ვერა-ნადეჟდა-ლიუბოობა, ეკვირინობა თუ ბაბალობა. სარდიონი, ჩვეულებრივად სტკეპნიდა პროსპექტს და თან გამვლელ - გამომვლელებს ათვალიერებდა. მოაწია საღამომ. სარდიონი ერთ სოფლიდან ჩამოსულ ძმა-ბიჭს გადაეყარა, იქვე რესტორანში დაპპატიჟა და ერთ კვარტამდე გადაკრა.

შექეიფიანებული და „ნადირობის“ ხასიათზე მოსული სარდიონი ისევ ქუჩაში გამოვიდა. ქუჩის შესახვევში თვალი მოკრა ახოვან ქალს, რომელიც ტანის კეკლუცი რხევით მიდიოდა, თითქოს სარდიონს ეპატიჟებოდა: წამო, რაღა, დრო გავატაროთო.

სარდიონი ადგილიდან მოწყდა და ქალს დაეწია.

— უკაცრაოდ!.. შეიძლება გაგაცილოთ?..

ქალმა ჯერ გაკვირვებით და წყრომით შეხედა, მერე რაღაც ეშმაკურმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე და მოლბა.

— რატომაც არა, შეიძლება.

სარდიონი გაყვა.

— თქვენ, რასაკვირველია, არ იფიქრებთ, რომ მე ცუდი ზრახვებით მოვედი თქვენთან... მე მხოლოდ გაგაცილებთ, რადგან თქვენებრ მშვენიერი არსების მარტოდ გავლა ამ ბნელ ქუჩაში არ შეიძლება.. ერთი სიტყვით... თქვენ ალბათ ატყობთ, რომ მომწონხართ... წამოაყრანტალა ბოლოს სარდიონმა.

ქალი ისევ კეკლუცად და ეშმაკურად იღიმებოდა.

— პირ-იქით, მე დიდათ გმადლობთ, რომ გამომაცილეთ...

— ოხ, რა კარგი ხართ... ველარ მოითმინა სარდიონმა და ქალს წაეპოტინა, მაგრამ ქალმა შეაჩერა:,

— რა სულწასული ყოფილხართ, მოითმინეთ ერთი წამი, მივიდეთ სახლში და მერეც მოვესწრობით!

სარდიონი დამორჩილდა და გაყვა.

— აი, მივედით კიდეც! წყნარად სთქვა ქალმა და ვნებით გადმოხედა სარდიონს. ქმარი მოსკოვში წავიდა, ორი კვირის შემდეგ დაბრუნდება, ოღონდ ჯერ ვნახავ ბავშს და მოსამსახურე ქალს თუ სძინავთ. თქვენ აქ დამიცადეთ.

სარდიონი გარედ დარჩა, ქალი შევიდა უზარმაზარ სახლში, სადაც, მიხურულ სარკმელებიდან (ზამთარი იყო) აქა-იქ მოსჩანდა ელექტრონის შუქი. კეკლუცის შესვლიდან რამოდენიმე წუთის შემდეგ ორ სარკმელში ჩაქრა სინათლე. ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა ქალიც.

— ორივეს სძინავს, სთქვა ქალმა, მე ელექტრონი ჩავაქრე მათ ოთახში და ჩვენს ოთახშიაც, რომ სავსებით უზრუნველყოფილი ვიყოთ. აბა, ახლა შევიდეთ უცნობო გიჟო, მაგრამ წყნარად... აჰ, ახლა კოცნა არ შეიძლება.., ამალამაც მოესწრები... ეშხიანად მოიშორა მან აღელვებული სარდიონი.

დერეფანში შევიდნენ.

— ჩუმად გიჟო, შენი კალოშები ძალიან ჭრიჭინებს, გაიხადე.

სარდიონმა კალოშები გაიხადა. ორი ნაბიჯის შემდეგ ქალმა კიდევ შეაჩერა:



—როგორ დაღრეჯილხარ, ოსტინ!
— ვერა ხედავ,—წითლებმა როგორ დამჩხეს?!?

—ჩექმებიც ხმაურობს, ეგეც გაიხადე და ხელში დაიჭირე.

ძლივ-ძლივობით გაიხადა სარდიონმა ჩექმები, მოიძრო პალტოც. ცალ ხელში ჩექმები და კალოშები დაიჭირა, მეორეში — პალტო და ქუდი. ორივენი ფეხ-აკრეფით გაემართენ ოთახისაკენ. ჩუმად შეაღეს კარები, ოთახში სრული სიბნელე იყო. ქალმა სარდიონი შუა ოთახში გააჩერა და მეზობელ ოთახის კარი კიდევ უფრო მჭიდროთ მოხურა.

— ახლავე, გენაცვალოს ჩემი თავი, ჩურჩულითვე უპასუხა ქალმა და ელექტრონის კლიტე დააჩხაკუნა.

ოთახი უცებ განათდა...



ჰოი ღმერთებო!..

გაისმა ხმამაღალი, დამაყრუებელი ხარხარი... სარდიონს მეხი დაეცა...

დიდი დარბაზი გავსებული იყო რამოდენიმე ათი კაცით და ქალით, რომლებიც დარბაზის ოთხივე კედელთან ჩამწკრივებულიყვენ რაღაც სანახაობის მოლოდინში. შუა დარბაზში, ცალიერ ადგილას იდგა სარდიონი, ცალ ხელში ჩექმებით და კალოშებით, მეორეში პალტოთი და ქუდით. კაცები ბოხი ხმით ხარხარებდენ, ქალები კისკისებდენ, ახალგაზრდობას ჟივილ-ხივილი გაქონდა. ერთი სიტყვით, ნამდვილი რაღაც საისტორიო მნიშვნელობის სიცილ-ხარხარი იდგა. სარდიონი კი, როგორც მანეკენი, ისე გაქვავებულიყო ერთ ადგილას, პალტოთი და ფეხსაცმელებით დატვირთული. მხოლოდ ჩარბები უთრთოდა.

ბოლოს, როგორც იქნა ხალხი დაწყნარდა. წამოდგა ერთი სანდომიანი სახის, შუახნის მამაკაცი, მიუახლოვდა სარდიონს და უთხრა:

— არაფერია, ყმაწვილო, თქვენი რა ბრალია, ეს ჩემი ცოლის ოინია, მაგრამ უნდა აპატიოთ, რადგანაც დღეს მისი დღეობაა და ეს ხალხიც ამიტომ არის აქ შეკრებილი.

გამოვიდა კეკლუციც, სარდიონის მომყვანი უცნობი ქალი. სიცილს ველარ იმაგრებდა.

— სრულ სიმართლეს ამბობს ჩემი ქმარი, ჩაიკისკისა მან, მართალია დამნაშავე ვარ, მაგრამ არც თქვენ ხართ მართალი... ამიტომ შევრიგდეთ... თქვენ ჩვენსას დარჩებით დღეობაზე!

— დარჩით, ხა ხა ხა, დარჩით, ხა, ხა... შესძახეს სტუმრებმა!

— სარდიონი სავსებით დაიბნა. გაწითლდა, გაფით-

რდა, გალურჯდა, გაყვითლდა... ერთი სიტყვით, მრავალი ფერი გამოიცვალა, ბოლოს მასაც გადაედო საზოგადოების სიცილ - ხარხარი და თითონაც თითქოს გამხიარულდა.

ერთი სიტყვით, სარდიონი თითქმის ძალით დატოვეს ვახშამზე. იგი იჯდა დიასახლისისა და მამასახლისის შუაში.

— ნეტა ვინ გრძნობს მეტ წამებას: მე თუ იესო ქრისტე, როდესაც მას აწამებდენ ჯვარზე ორი ავაზაკის შუა? ფიქრობდა მთელი ღამე სარდიონი.

ის იყო და ის. ახლა სარდიონი ქალებს არც კი ეკარება. განსაკუთრებით ღამით.

ალლარ-ალლარსანი.

# ღვთის წყალობა



— კაცო, როგორი დიდი თავი გაქვს!!!

— ეჰ! დედაჩემმა დამლუპა... სულცხონებული სულ ასე ევედრებოდა ღმერთს: — ღმერთო, ჩემი შვილის თავი გამიზარდეო... და, მართლადაც, ამისრულდა.

# ნერწყვი-ყლაპია

## ლევარსი როხროხაძის აღმოჩენა

კაცობრიობისათვის რაიმე სარგებლობის მოტანა, ჩემი ცხოვრების დანიშნულება და გამართლება იყო.

მე თავიდანვე მქონდა ეს მიზნად დასახული...

მაგრამ რა უნდა გამეკეთებია, როცა მუდამ უმუშევარი ვიყავი...

და, აი სწორედ, როდესაც ასეთ სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ვიყავი, როცა, თითქოს არსაიდან ხსნა არ იყო,—მე წავაწყდი ჩემი არსებულ მდგომარეობიდან გამომდინარე საშუალებას, რომელიც მე შემასრულებინებდა ცხოვრებაში ჩემს დანიშნულებას.

მე ვამტკიცებ:

ადამიანს შეუძლია სხვისი არსებობით უშუალოთ თვითონაც იარსებოს, ე. ი. ერთი ადამიანის არსებობით შეუძლია მეორემაც იარსებოს.

ჩემი აღმოჩენით ამ მეორე ადამიანის არსებობისათვის არ არის აუცილებელი საჭირო საჭმელ-სასმელი სასურველი ტანშემოსვა, დროსტარება, გართობა და სხვა.

მე აღმოვაჩინე (საკუთარ ცდებიდან და პრაქტიკულ ცხოვრებიდან), რომ ყოველ ადამიანში საკმაოდ არის ისეთი ნივთიერება, რომლის საშუალებითაც ადამიანს შეუძლია იარსებოს ცხოვრების დღევანდელ მინიმალურ მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლად, თუ კი იგი ხედავს თავის გარშემო ადამიანებს, რომლებიც ნორმალურად ცხოვრობენ.

ეს ნივთიერება არის **ნერწყვი**

ვინ არ იცის, რომ ნერწყვი ყველა ადამიანის ორგანიზმშია; მაშასადამე, თვითეულ ადამიანს შეუძლია ნერწყვით არსებობა.

რეჯ განვმარტოთ რა არის ცხოვრება.

ცხოვრება არის: ჭამა, სმა, კარგი ფეხსაცმელ-ტანსაცმელი, კარგი ბინა (ეს უმთავრესია) და ლამაზი ქალი. ამ აბათში მოკლეთ და მკაფიოთ ამოწურულია ცხოვრების შინაარსი.

მაგრამ განა ყველა მიწვდება ამას? ყველა კი არა, ზოგიერთი სპეციალისტიც ვერ მისწვდებიან. ნაწილობრივ შეიძლება მისწვდე. ე. ი. ჭამა-სმა კარგი ჰქონდეს, მაგრამ ბინა არ ჰქონდეს; ბინა გქონდეს, მაგრამ ლამაზი ქალი არ გყავდეს... ისე რომ, იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელიც ყოველმხრივ კმაყოფილი იყოს.

ჩემი აღმოჩენით კი ადამიანს შეუძლია იარსებოს, თუ გინდ არც ერთი არ ჰქონდეს ზემოდჩამოთვლილი ცხოვრების დახასიათებანი.

დიახ! დიახ! აქ სასაცილო და საკვირველი არაფერია. მე საკუთარი ცხოვრებიდან ვიცი.

მგონი დედაჩემს იმდენი ღვაწლი არ მიუძღვის ჩემს გაზრდაში, რამდენიც ჩემს ნერწყვს. მე აწონილი მაქვს და ვიცი, რომ მთელს ჩემს სიცოცხლეში ნერწყვი უფრო მეტი დამიხარჯავს თავისი არსებობისათვის, ვიდრე დედის რძე და საჭმელ-სასმელი.

ბინა არ მქონდა,—და მე შევსცქეროდი სხვების ბინებს: ელექტრო-სინათლით გაჩირაღდნებული აბაჟურები და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები ამშვენიერებდენ კედლებს... მე შევსცქეროდი, თვალებს ვერ ვაშორებდი და ნერწყვის ყლაპვით ვსტკბებოდი იმ სიმშვენიერით...

უბინაობით მე მთელი დღე პროსპექტზე დავყიალობდი... საუკეთესო რესტორანების, კაფეების და გასტრონომიულ მაღაზიების წინ ვიტრინებში ვიცქირებოდი... სულო და გულო, რა გინდოდა, რომ არ იყო... კაბინეტებში ქეიფობდენ... ბოთლებს ბოთლები მისდევდენ.. შემწვარებს მოხრაკულები და ტკბილეულობა... მე ვხედავდი—როგორ გემრიელად მიირთმევდენ ტკბილ ტორტებს და შაქრეულობას... დიახ! ისინი სჭამდენ და მე კი... ნერწყვს ვყლაპავდი... მე ნერწყვით ვიკვებებოდი... ეს მე მიხაროდა, იმიტომ, რომ ამით აღმოვაჩინე ჩემში (ადამიანში) უფასო საკვები ნივთიერება...

როცა ღამით ჩემს ბუნაგისაკენ წავიდოდი პროსპექტიდან ნერწყვით გამძღარი,—მე წავაწყდებოდი შეყვარებულებს... ვაჟი ეხვეოდა მშვენიერ ასულს და ჰკოცნიდა... რასაკვირველია: მე იქვე მივიმალებოდი, დიდხანს ვუცქეროდი მათ ნეტარებას და... მე ნერწყვს ვყლაპავდი და მით ვიკლავდი სიყვარულის წყურვილს...

ჩემი მისსია შევასრულე. მე აღმოვაჩინე ადამიანში უფასო საკვები ნივთიერება: **ნერწყვი**. ამიერიდან კაცობრიობას არ მოელის დამშევა. ჩემი ცხოვრების უმეტესი ნაწილი ნერწყვის ყლაპვით გამიტარებია, მაგრამ ეს მე სიამაყედ მიმაჩნია.

ვაშა მე...

—**ზმუკი**.

# მიკიჩა ოპერაში

— ვა, ჩუ-ჩუტ ხათაში არ ჩამაგდო ამ ბემურაზმა ტრიატმა? ყისმათზე ის ჩემი ნათლიმამა ჩოლახ-გიგუა რომ არ შამოსულიყო, ნაობახტი ნეპრემენი იყო რაღა— კამისრის აკალოშნიკი უჟე მიყვიროდა: ,

— ზა ხულიგანსტვა, მამენტალნა ისპრავდომ ბროშუო! საქმე წასული იყო; ღმერთმა უშველოს იმ ჩოლახ-გიგუას, იმან შამოვიდა და ეს კამისარი დააშოშმინა თორემ... არა, რომ ვთქოთ, ჰახი კი იყო ჩემზედა, გებნები რაღა, ჩერესჩურ ვიანგლე მეთქი!.. ჰაზირ ისევ თავიდან გიამბო ყველაფერი?

ჰაკარაკათ, ეს ეს ჩემი ცოლი დაუპადრუგდა ჩეენ კვარტერანტ დედაკაცებსა, ოპერი ტრიატის პევჩები რომ არიან რაღა; იმათგნით შუშანამ ყველაფერი პადრობნათ იცის, რაც რომ პრესტავლენია აკეთებენ. ჰუზურში იმ ბემურაზებთან კურკურმა შუშანა ისეთი აბრაზოვანი გახდა რომა კამაც-კამაც ტრიატსაც შეეჩვია. იმ პევჩ დედაკაცებსა იმისთვის ბესპლატნი ხაღნოვი ბილეთები მოჰქონდათ ხოლმე და ჰამაც პრავაჟიტსაც თითონ უშვრებოდნენ... იქიდან რომ მოდიოდა ხოლმე. სულ ჰრიჰინებდა. ერთხელ მებნება:

— იცი მიკიჩჯან, ისეთი ნაინტერეს რამე ვნახე, რომაო, მეტი არ შაიძლებაო; პენია, ტანცი, დუხოი მუზიკა, რამე—ყველაფერი ერთათ არიო! ჰამაც ისეთი ჯიგრიან გაიათებს ეუბნებიან ერთმანეთსაო, რომაო ყიყვიან ვაჰაკას სიმღერამ მიჰქაროსო. ხვალ თურმე სამი გლავნი პრესტავლენიასა შვრებიანო. ერთი ძაან ღონიერი სამსონა ყოფილაო და იმას ხელმწიფის ცოლი დანილა შაუყვარებიაო. ბოლოს ამ ქალსა იზმენიტი უქნიაო, ძირში მოუჰრია თმებიო და ჰამაც თვალებიდან სლეპოვათ გაუხდიაო. ბოლოს ეს სამსონა ჩერესჩურ გაჯავრდნილაო და იმისი დვარეცითვის ერთი ეშპეტიაშვილური მუშტი გაურტყიაო. მთელი ეს დვარეცი როგორც რომ ყველივრის ქუმელა ისე აუზელიაო და ეს ხელმწიფის ცოლი თავისინაზირ-ვეზირებით სტრებლენია უქნიაო.

ამას ყველაფერს აჩვენებენ და ჰამაც ისეთი ტანცი იქნებაო, რომ ქალები დოგოლა შიშვლები იქნებიანო. შენც წაგიყვანდი, ჰამა არ მინდა რომ ამისთანა ტანცები ნახო, რადგანაც რომ ძაან წუწკი ვინმე ხარ და ყველაფერს მეშჩანცკურათ გაიგეფო.

სწორე გითხრა შუშანას ლაპარაკმა ტრიატის ჰიშტაზე მამიყვანა და იმ პევჩებსა ორი ბილეთის ზაკაზი მივეცი.

ჰაკარაკათ იმ დღეს ცოტა ჰოპოპები არ აუშვი? იარმუკაში ნეჩაინათ შამხვდნენ პოსლიკ ღაღუა, ალაფი იოვანე და ჩოლახი ალაბეკა—აი ვანქში მესათლეთ რო იყო. ზაჰლა წაიღეს თუო ჩოფურაშვილთან ჩავიდეთ და თითო თათარიახნი ვჭამოთ თავისი ჩიჟი-პიჟებითაო.

ჩავედით. კაი ლაზათიანი ზაკუსკა ვჭამეთ, ზედაც თითო თუნგი დავაყოლეთ. ძველი ჰუნარები მოვიგონეთ, ჰამაც კამუნისტებსაც ჩვენი ლოცვა-კურთხევა გაუგზავნეთ. ისე რომ საღამოთი სახლში კოლოტიკით დავბრუნდი. ბევრი მეხვეწა შუშანა დაწექი. ტრიატში ნუ წამოხვალო ჰამა გავჯიუტდი და წევედი.

გზაში მებნება რომაო:

— მიკიჩ, ახარ ჰაკარაკათ კი არ დაიწყო ლაპარაკი, სმირნათ დაჯექი და რაც რომ სხვებმა ქნან შენც ისა ქენიო; ხამი არავის ეგონოვო, როცა რომ ჯამბაზხანაზე პევჩი გადმოდგება და რამესა თქომს, შენ უნდა ტაში დაუკრა და „ბიზ“ და „პრავა“ დაუძახოო. დავსხედით.

როცა რომ ეს ტრიატის ფარდა აიღეს, გამოვიდა ერთი ხლუპუზი და იძახის თუო ესა და ეს არტისტი ნეჩაინათ ფაღარათათ გახდა და ძალიან მინაოთში ვართო.

მე აღარ დავაცალე გათავება და ვყვირი:

— „პრავაა, პრავაა, ბიიზ“ მეთქი. თან ტაშს უკრამ. აქეთ იქიდან ხალხი მიყურებს, სუყველა ქალებმა თავისი დურბინდები ჩემსკენ გამაიშვირეს და იძახიან: „სუმაშეჩი კუპეც“-ო! შუშანამ ძლივს დამაჩუმა.

ბოლოს დაუკრეს დუხოვი მუზიკა. ტოჩ-ტოჩ ცირკი მეგონა რაღა, ვიფიქრე, ალბათ ცხენებსაც გამაიყვანენ მეთქი, გამოვიდა ერთი ვიღაცა სქელი კაცი და დაიწყო ფრანციცული ბაიათი. ვა, რამტოლიც რომ ისა მღერის, იმტოლი ეს ღოროტოტოებიც ყვირიან ეთმანეთს აღარ აცლიან. შუშანას ვებნები ეს რა სინაღოღაა, ადექი წავიდეთ მეთქი... თუ რათ უნდა წახვიდეო?

— არაფერი არ მესმის მეთქი!.. გვერდზე ერთი ჩისტი-კოპიანი დედაკაცი იჯდა და იმან მებნება თუ

— არ გესმის რომელია, ამოტოლას აბრახუნებენ და არ გესმის?

მე მაინც გავბრაზდი და ვიძახი თუ ეს მასხარობაა, თუ რომ მუზიკის დაკვრაც უნდათ, ჯერ იმღერონ, მერე დაუკრან—ერთმანეთს რათ უშლიან მეთქი? ბოლოს ტიტლიკანა ქალებიც გამოცვივდნენ, და ის დანილაც გამაიყვანეს! ვა მაშინ კი გავჩუმდი და ვნიმატელნათ უყურეფ. როცა შუშანამ დამინახა რომა მე იმ ქალებს უყურეფ, ახლა ის წამოდგა და მებნება—ადე მიკიჩ, წავიდეთ, მართლა მასხარობა ყოფილაო. ვებნები—დედაკაცო, დაჯექ, წახვიდე რომელია, ვერა ხედავ რა განათლებაა? თუ თუ რომ ტანცი არ მოგწონს, შენ კაპლიმესტარს უყურე და მუზიკა გაიგონე მეთქი...

ეს ბემურაზი დანილა თავის ჰუნარებს აჩვენებს და ებნება რამაო

— სამსონჯან ძალიან მიყვარხარ, ისე მიყვარხარ, რომ მეტი არ შაიძლებაო. წამამყე სახლში რამე უნდა გითხრაო. ეს სამსონა ჯერ ატკაზს ურტყამდა ჰამა ბოლოს გაჰყვა. ჰუხურში მე უჟე ვიცოდი რომა ეს დედაკაცი იშკილს უკეთებს და თმა უნდა მააჰრას. აქედან ვეძახი:

— სამსონ, პირძაღლი იყო თუ რომ დაუჯერო, ეგ ბემურაზი შტუკას გიპირობს მეთქი. ვის ესმის?

ახრიზმანში ასევე გამოვიდა. ამ სამსონას თმები მააჰრეს, თვალები დასთხარეს და წისქვილში შააბეს. იმ დანილამ კი სიხარულისგნით დიდი ქეიფი გამართა და ტიტლიკანა ქალები ატანცავებდა. ის ბემურაზები ისე იგრიხებოდნენ, ისეთ რამეებსა შვრებოდნენ, რომა ჯიგარში პაჯარი გამიჩნდა. ფეხზე ავდექი. არც შუშანას და არც ხალხის ყვირილს ყური არ დაუგდე და როცა რომ ტანცი გათავდა და სამსონა ისევ შამაიყვანეს მე კაპლიმესტარს დაუძახე:

— კაპლიმესტარ, ერთი ბაღდანდური დაუკარ ჩემ ჩოთში, იმ კუკლამ კიდევ ითამაშოს და რაც რომ ტაქციაა მიიღე მეთქი. ხალხი ყვირის:

— გაათრიეთ ეს ხულიგანი გვიშლისო.

— ამ დროს, იმ რაზბონიკმა სამსონამ მამენტალნათ სტოლბას მუშტი არ დაარტყა?!. ვა. მთელი იმ ტრიატის ნახევარი ისე რაზრუშიტი უყო რომა სულ ქუფთა-ქუფთა გააკეთა. დაიწყეს წივილ-კივილი, მე უდარმა დამარტყა, წამოვხტი. შიშისგნით ველარაფერი გავარჩიე და პირდაპირ ხალხზე გადავრბივარ. ერთ სკამში წავიქეცი ერთ ფაშფაშა დედაკაცს კალთაში ჩაუვარდი და ვეხვეწები:

— მადამჯან. გამაქცუხე. ტრიატი იქცევა მეთქი. იმანაც დიდი ისპუგი ქნა და ყვირილი დამიწყო. მამცვივდნენ, გამათრიეს გარეთ, და ჰაა. უნდა გამათაონ ჰამა მამენტალნათ კამისარი მოვარდა და იმან მიყვირის:

— ტი შტო ნარუშაიშ აბშესტვენი ტიშინა ხულიგანი მამენტალნა ისპრავდომ ბროშუო. შემეშინდა, ვიფიქრე ტრიატის დანგრევას მე მაბრალებს მეთქი.

— ვებნები კამისარჯან. ნარუშენია მე არ მიქნია, იმ ბრუციანმა სამსონამ დაანგრია და მეც იმან შამაშინა მეთქი... არ დამიჯერა.ი ს იყო რაღა უნდა გავექანებინე ნაობახტში , ჰამა ამ დროს ჩვენი ჩოლახ-გიგუა გამოჩნდა და იმან გადამარჩინა... ეს ორი კვირაა, მაგის გულისთვის შუშანას ხმას არა ვცემ, დიდი სპორი მიქნია სულ მაგის ბრალი იყო ამ სიბერის დროს ტრიატი რამ მააგონა მაგ ბემურაზსა?

**ფარსადან.**

# ი შ კ ი ლ ი



ო (თავისთვის)—ბებერია ეს ოჯახქოოი ძაოა ისეა ჩაცმული იტყობა მდიდაორია! ვითხოვ ჯანაბას:
ტარძლო (თავისთვის)—ბებერია ის ჩემი საქმრო მარა იტყობა მდიდარია ისე განიერად ზის, წავყვები



(რამოდენიმე დღის შემდეგ)—ქმარი—ქალო მე რომ ნიშნობაში გნახე რისთვის იმ ტანისამოსს არ იცვამ, როცა სადმე წავალთ!

ქალი—ის ხომ ჩემი არ იყო მეზობლიდან ვინათხოვრე მაშინ ნიშნობისათვის! შენ რისთვის არ გაცვია კოვერკოტის კასტუმი?

ქმარი—ვაიმე მეც ნათხოვრები მქონდა შენი ოჯახი დაიქცეს!

# ლაღოს თავგადასავალი

სამი ურემი შეშა გაყიდა ლაღომ ოცდა რვა მანეთი ჩაიდო ჯიბეში და გასწია კოოპერატივისაკენ ოჯახისთვის რამე-რუმეების სასყიდლათ.

უცბად ვიღაცამ ფული ჯიბიდან ამოაცალა და მირბის.

— ი შე გამშვებ - ძაღლო! ჩიტის სკლინტსა ჰგეხარ და გინდა ჩემი ნაშრომით იქეიფო!? — უთხრა ლაღომ, როცა ფული უკან გამოჰგლიჯა ხელიდან ჯიბგრის.

— რა გინდა ჩემგან შე ჯეტიავ!

— როგორ თუ რა მინდა! განა შეგარჩენ ჩემი ნაშრომის მოტაცებას! მიგიყვანო მუშათა და გლეხთა კომისარიატში! დედას გიტირებ მე შენა!

— არც მე შეგარჩენ ტეტი, ამ შეურაცყოფას.

— დახე ამ ჩემანალას, იგრე მელაპარაკება ასე გონია ჯიბგირი არ იყოს.

შევიდნენ კომისართან, მაგრამ კომისარს ჯერ მათთვის არ ეცალა: ვიღაც ლოთებს, რომელნიც თავიანთ თავს მუშებს ეძახოდნენ, სრულიად „შემთხვევით", „მთვრალობის" გამო გამვლელი ქალი ჩაეპროშტათ და ამის გამო იყო აყალ-მაყალი.

— ამხანაგებო — დაუბოლოვა სიტყვა კომისარმა მთვრალებს: ეს ერთხელ მიპატიებიხართ, განთავისუფლებთ და მეორეთ აღარ ჩაიდინოთ.

— აბა როგორ გვკადრებათ! განა ეხლა კი ჩაგვიდენია რამე? რათ შეურაცგვყოფთ? — უთხრა განთავისუფლებით გათამამებულმა ლოთმა.

— როგორ თუ არაფერი ჩაგიდენიათ! მაშ ტყუილად მოგიყვანდით აქ?

— ტყუილათ კი არ მოგვიყვანეთ, ამხანაგო კომისარო, მაგრამ არაფერიც არ ჩაგვიდენია. ცოდო იყო. ჩვენი ტყული - უბრალოდ დაპატიმრება.

— ჩუმად ამხანაგო, თორემ ამ წუთას ჩაგაბრძანებ.

—ამხანაგო კომისარო! ჩაგვაბრძანე, მაგრამ ჩვენ მუშები ვართ...

„მუშების" გაგონებაზე კომისარმა ტონს დაუწია და უთხრა:

— რა იცით, ამხანაგებო, რომ მე თქვენზე კარგი მუშა არა ვარ.

— დიახ, ამხ. კომისარო, თქვენ უეჭველად მუშა ხართ, მაგ ხელებზე იმდენი კოჟოჟები გასხედთ, რომ ჩვენ ვერ დავთვლით...

—უკაცრავად ამხანაგებო მართალია ჩემ ხელებს კოჟრები არასხედს. მაგრამ თქვენზე ნაკლებ არა ვმუშაობ...

— დიახ, დიახ თქვენ უეჭველად ჰმუშაობთ ჩვენსავით; დილას რომ ჩვენ საქეიფოთ მივდიოდით, თქვენ უკან ჰბრუნდებოდით...

— უკაცარვად, მუშას არ შეჰფერის მაგგვარად ლაპარაკი...

— დიახ მუშას არ შეჰფერის...

ამის შემყურე ლაღო დაღონდა. მაგრამ იმედათ ის გაიფიქრა: ე ფული რო ჯიბეში მაქ და სხვა რაღა მინდაო.

ლაღო და ჯიბგირი სეირმა გაიტაცა.

— ბატონო კომისარო! — მიჰმართა კომისარს ახლად შემოსულმა უპალტოვო მოქალაქემ:აი ამ კაცმა ბნელ ქუჩაში პალტო გამხადა და თვითონ ჩაიცო უსირცხვილოდ. გთხოვთ განკარგულებას დამიბრუნოს ჩემი პალტო.

— ამხანაგო კომისარო, — მიჰმართა ახლა პალტოიანმა: მე მუშა ვარ და როგორ ვიკადრებდი ამას — ეს კაცი ცილსა მწამებს. პალტო ჩემია.

— მოწმე გყავს ვინმე, რო ეგ პალტო შენია?—ჰკითხა კომისარმა.

— რაღა მოწმე მინდა შე დალოცვილი შვილო, ზედ როცა მაცვია და დამშვიდებითა ვარ, ზნაჩით, ჩემია.

— შენა ამხანაგო, მოწმე გყავს ვინმე, რომ მაგან გაგხადა ეგ პალტო?—ჰკითხა მომჩივანს.

— რაღა მოწამე მინდა ბატონო, მოგახსენებთ, რო ბნელში დამხვდა, მომერია და წამართო.

— რა ვქნა ამხანაგო — მიუგო კომისარმა — უნდა დაამტკიცო, რო ამან გაგხადა პალტო და არა შენ.

— მე რო გამეხადნა, ხო მაგას აღარ ეცმებოდა!

— იქნებ გინდოდა გაგეხადნა და ვერ მეერიე!..

— დიახ, დიახ,—მიუგო პალტოიანმა:—გაღმა დაიჩემე გამოღმა მაინც დაგრჩებაო, ნათქვამია.

რომ თავი დაიძვრინოს, პირაქეთ მედავება...

— ამხანაგო!—მიჰმართა კომისარმა უპალტოოს:—შენ უნდა დაამტკიცო, რომ პალტო ამ კაცმა მართლა შენ გაგხადა, თორემ ცილისწამებისათვის ჩაჯდები ციხეში...

ამის შემყურე ლაღო შიშმა აიტანა, გაფითრდა და გაპარვა დააპირა.

—სად წამიხვალ, სად! შე ტეტიავ, შენა! — დასჭყივლა ჯიბგირმა ლაღოსა და სტაცა ხელი.

— ამხანაგო კომისარო! თქვენც ხომ დაინახეთ, გაპარვა უნდოდა. ამან ოცდა რვა მანეთი ამომაცალა. აბა გაჩხრიკეთ, თუ ჩემი 28 მანეთი არ ედოს ჯიბეში.

— ამხ. კომისარო! მაგან ამომაცალა ფული, მე გამოუდევქ, დავიჭირე და ისევ უკან წავართვი!

— ოჰო, რა ვაჟკაცია!—დასცინა ჯიბგირმა.— მე ამ წუთში აქავე მოწმეებს დავუძახებ და დაგამტკიცებ, რომ... და ამ ლაპარაკით ჯიბგირი გარედ გავიდა თითქოს მოწმეს მოსაყვანათ.

როგორც კი ქუჩაში გამოვიდა, ერთხელ მოიხედა უკან და როცა დაინახა, რომ ახლოს მილიციელი არ იდგა მოჰკურცხლა... და მოსახვევში მიიმალა.

ფეშანგი ფაშვიბერტყაძე.

# ქარიან დარში ვერის დაღმართზე



# „მიზანი ამართლებს საშუალებას“

### ნათესავთან

წელიწადი იქნება, რაც ჩემს ახლო ნათესავთან ვცხოვრობ. ძალიან ცუდ გუნებაზე არის ჩემი გადამკიდე მასპინძელი. პირში არაფერს გეუბნება, თორემ მათ სახეზე აშკარათ ამოიკითხავთ დიდ უკმაყოფილებას.

სწორე ნათქვამია:

**დილას ოქრო ხარ სტუმარო, საღამოს ვერცხლად იქცევი,**
**თუ ხანი დაგიგვიანდა სპილენძად გადაიქცევი.**

ასე მომივიდა მეც. ჩამოვედი თუ არა პირველად ტფილისში, მასპინძლები ღიმილით მომეგებენ. გავხსენი ხურჯინი და ამოვალაგე: ინდაური, ქათამი, კარგი მსუქანი გოჭი, ხაჭაპურები, ყურძენი, ფელამუში და სხვა. ხურჯინის მეორე თვალიდან ამოვიღე ფუთნახევრიანი ტიკჭორა. ვივახშმეთ. ჩემი ნათესავი კაცი ქუდს ჰერში ისვრიდა ისე გამხიარულდა. თეთრად გავათენეთ. დიასახლისიც კარგ გუნებაზე იყო.

რამდენიმე დღის შემდეგ მასპინძლებს უკმაყოფილობა შევამჩნიე. განსაკუთრებულ უკმაყოფილებას ჩემი დიასახლისი გამოხატავდა. მეტად ცუდ გუნებაზე დადგა, როცა გაიგო, რომ მე ტფილისში დარჩენას ვაპირებდი. ეტყობოდა ძლიერი აღელვება და თანაც რჩევა-დარიგებას მაძლევდა, რომ სოფელში დავბრუნებულიყავი.

მე ვარწმუნებდი, რომ ბევრი გავლენიანი თანამდებობის პირსი ვყავს და როგორც სამსახურს, ისე ოთახსაც იოლად ვიშოვნი-მეთქი. ელენე მაინც ანჩხლობდა, ცხვირს ჭვერდზე იბზუებდა და ქმარს უსაყვედურებდა, რომ—მისი ნათესავებიდან მოსვენება არ ჰქონდა.

ჩემთვის ამგვარი უკმაყოფილება აშკარა იყო, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა, სახამ ოთახს არ ვიშოვნიდი, ფეხის მოცვლაც არ შემეძლო. ელენე კი ისევ ნერვიულობდა, კაპასობდა და ჩემს გულის ჯავრს ქმარზე იყრიდა.

მთელი დღეები ქუჩებში ვხეტიალობდი, მხოლოდ დასაძინებლად თუ შევძვრებოდი ოთახში ლამურასავით. სიმართლე უნდა ითქვას, რომ სამსახურის შოვნა არ გამჭირვებია, რადგანაც ჩემი სიძის ცოლის ძმა გავლენიანი პირი იყო და ადგილი თხოვნისთანავე აღმომიჩინა.

დამრჩა მხოლოდ ბინის საკითხი მოუგვარებელი. აქაც დიდი გამჭრიახობა და ხერხი იყო საჭირო, რომ შესაფერისი ბინა მეშოვნა. ხშირად ვღებულობდი საყვედურის წერილს ცოლიდან. მეტი რა გზა იყო ვითმენდი, როგორც ცოლის საყვედურს, ისე ელენეს ბუზღუნს.

### ი შ ქ ი ლ ი

მიდიოდა დღეები. ოთახის შოვნას არაფერი ეშველა. ერთ დილას წასასვლელად მოვემზადე. მოვიდა ჩემთან ელენე და მითხრა:

— დიდს ბოდიშს ვიხდი, ლევან, მაგრამ იმედია საწყენად არ მიიღებ. მე და ჩემი ქმარი დღეს საღამოს მატარებლით სოფელში ვაპირებთ წასვლას. დედის ავადმყოფობა მომივიდა. ერთი თვე დავრჩებით მაინც, ამიტომ შენი დარჩენა აქ ჩვენს ბინაზე შეუძლებელი ხდება. მით უმეტეს, რომ საბინაო დავთარში არა ხარ ჩაწერილი და ეს კი გაუგებრობას გამოიწვევსო. რაღა მეთქმოდა მოვიკიდე ჩემი გუდა-ნაბადი. გამოვემშვიდობე ელენეს და გავე ზადე წასასვლელად. ელენე თვალიდან მადლვნებდა თვალს და ტუჩებზე ღიმილი უხიტებოდა. ალბათ კმაყოფილი იყო, რომ ასე ადვილად მომიშორა თავიდან.

კირილე კარგს გუნებაზე დამხვდა ჩემი ძველი მეგობარი რომელიც ნახალოვკაში ცხოვრობდა. ვუამბე ყველაფერი და ვსთხოვე, რომ რამდენიმე დღით მასთან დავრჩენილიყავი. არ ვიცი რამდენად კმაყოფილი დარჩა ჩემი ახალი მასპინძელი, ხოლო ცხადი იყო, რომ მან თავაზიანი სიტყვებით მიმიღო და დროებითი ბინაც მომცა თავისთან.

რამდენიმე დღის შემდეგ ელენე ქუჩაში შემხვდა. გაწითლდა, უნდოდა გვერდის ავლა, მაგრამ მე საჩქაროდ მივედი ხელი ჩამოვართვი და შევეკითხე:

— როდის დაბრუნდით სოფლიდან? დედა თქვენი როგორ არის?.. და სხვა. ელენეს ენა დაება, აირია და ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიპასუხებდა:

— ჩემს ქმარს შვებულება არ მისცეს. დღე-დღეზე ველით, რომ როგორმე შვებულება მიიღოს და მე მგონი რამდენიმე თვის შემდეგ მაინც მოვახერხებთ წასვლას. კიდევ უნდოდა რაღაცა ეთქვა, მაგრამ საჩქაროთ გამოვემშვიდობე

### ხ ე რ ხ ი

**„ხერხი სჯობია ღონესო“** და მეც შევუდექი მასზე ფიქრს თუ როგორ მომეხერხებია ოთახის ხელში ჩაგდება. როგორც „სოვეტსკის“ მოსამსახურეს არცერთი სახლის პატრონი არ მენდობოდა. დიდ ძალი ოთახები გამოჩნდა თავისუფალი, საჭირო იყო მხოლოდ სახლის პატრონების თოთვინიერება.

ყოველ დღე დავდიოდი მაკლერებთან, ბევრსაც ვპირდებოდი, მაგრამ მაინ ვერას გავხდი. ერთ საღამოს რუსთაველის გამზირზე შევხდი ჩემს ძველს ამხანაგს, ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ გვერდზე გამიხმო და მთხოვა, რომ დახმარება აღმომეჩინა, კონტრაბანდას გასაღებაში. დიდძალი ლორიგანი, ვიქტორიის ჩულქები, დუხი, შევიოტი და კავერკოტები ჰქონდა ჩამოტანილი. აღუთქვი დახმარება და მეორე დღის თორმეტი საათისათვის დავიბარე რუსთაველის გამზირზე. გამომშვიდობებისას ერთმა აზრმა გამიელვა თავში. თუ ვიშოვნე ბინა მხოლოდ ამ ხერხით მეთქი და გავსწიე მაკლერთან. მისალმების უწინვე მივხვდი, რომ დიდძალი კონტრაბანდა მაქვს მეთქი გადასახალდებელი. საჭიროა სადმე ერთი თვალი ოთახი მაინც ვიშოვნო თქვა თუ მომიხერხებ როგორმე ერთი ოთახის შოვნას.

მაკლერმა დამიპირა მეორე დღის პირველი საათისათვის. მეორე დღესვე ვინახულე ჩემი კონტრაბანდისტი მეგობარი გადახალდების მიზნით გამოვართვი 10 კოლოფი ლორიგანი, ორი ნაჭერი შევიოტი, სამი მეტრი კოვერკოტი, რამდენიმე წყვილი ვიქტორია ჩულქები, ჩავაწყე პორტფელში და გავექანე მაკლერისაკენ. თავი ისე მეჭირა, როგორც მილიონერს. მისვლისთანავე გავხსენი პორტფელი და ამოვიღე ჩემი „კონტრაბანდა“. ავიღე ორი წყვილი ჩულქი და უთავაზე დიასახლისს (მაკლერის ცოლს) და დავუმატე:

— ჯერ ჯერობით ეს იყოს თქვენი პატივისცემა; შემდეგში კი მე ვიცი! ახლა ეს ნაჭრები რომ გაყიდული არ მქონდეს გიფეშქაშებდით მაგრამ არა უშავს რა,—თუ როგორმე ოთახი მოვახერხე, თქვენს პატივისცემას არ დავივიწყებ! ჩაურტყი ეშმაკურათ.

რამდენიმე წუთის შე დეგ ეტლი გაჩერდა ორსართულიან სახლთან. სახლის პატრონს დიდის მოხერხებით და გამოცდილებით ვესაუბრებოდი. თავიც ისე მეჭირა, როგორც შეშვენის ნამდვილს ვაჭარს და ბევრი ფულების მქონე კაცს ჩამოუგდე სიტყვა ბოლშევიკებზე, სახლის პატრონი, როგორც ეტყობოდა, მეტად უკმაყოფილო იყო კომუნისტების და ჩემი სიტყვა თაფლივით მოეცხო გულზე. გავხსენი პორთფელი და კონტრაბანდი საქონელი მაგიდაზე დავაწყვე. სახლის პატრონი ცნობის მოყვარეობით დააცქერდა კონტრაბანდ საქონელს. აუხსენი, რომ მე ნამდვილი კონტრაბანდისტი ვარ და ისიც უთხარი,—თუ როგორ ადვილათ შეუძლია კაცს გამდიდრდეს კონტრაბანდის საშუალებით.

მოვრიგდით. ხელი ჩამოვართვით ერთმანეთს. იმ წამსვე ერთი საუკეთესო ოთახი დამიცალა. გადმოვიტანე ჩემი ბარგიც.

რამდენიმე თვის შემდეგ ჩემი ფიზიონომია გამოაშკარავდა ოთახი „გავასაკუთრე“. ჩემი „ბაზეინი“ იწყევლის გაჩენის დღეს, მაგრამ მე ყურსაც არ ვიბერტყავ. რაქნა „მიზანი ამართლებს საშუალებას“.

ოდილმადა.

# ფოთი

აკაკის ქუჩაზე იმდენი ავი ძაღლებია, რომ მცხოვრე-
ბლები შიშის გამო ეღარ დადიან.




ᲐᲙᲐᲙᲘ: ჩემს ქუჩაზე შიშით მეც კი ვერ გამივლია და ესენი რაღა გავამტყუნო!

# ᲡᲐᲛᲐᲨᲕᲐᲚᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲘ

## ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘ ᲮᲠᲔᲡᲘᲚᲘ

დამიკარი ხელი და გაათავე საქმე. ეუბნება მუხლე-ბამდე ტალახში ამოვლებული მაშვალი.

— რა ვქნა ბიჭი კი მომწონს მარა, თუ სულით და ხორცისაგან გამცლით რაღა მოწონება იქნება.

„ხუთასი მანეთი კია არა, ათასზე არავინ დაალაპარა-კებს. მე შენთვის ვცდილობ და შენ კი ეშმაკებისკენ იყუ-რები. ბიჭად ბიჭი რასაც ხედავ ეს არის, სიმდიდრე „ძუის-ში" მაგისთანა ვის აქვს. ამას გარდა „ტყიბულის" მაღა-როში. მუშაობს; ხელი აქვს, იმისანა იმისანა, რომ მაგის მოტეხილ ნახშირს ქვეყანა იტაცებს, კონდუქტორები ხომ იტაცებენ და ის არი. ინჟინრები ხელისგულზე ატარებს

— არც ჩემი ქალია მახინჯი, ბრმა არ არის დაკოჭლი,

— არ იზამს, ბატონო, არა; ორი მაგდენს აძლევდა ანთიმოზა, მარა ქალი არ მეეწონა.—თხელი ცხვირი აქვსო...

რამოდენიმე წუთში მაშვალი წყალ საქაჩავთან გაჩნ-და, სადაც სასიძო თავის დედ-მამით პასუხს უცდიდენ.

— რავაა საქმე აპოლი?

სამას მანეთს ზევით ვერ ევიყვანე,—მხოლოდ ერთი შკაფი ძლივს დავამატებიე.

— გაარიგეთ; ერთი ვნახო მაინც.

ხმა შურდულივით მიწვდა ქალის ჰირისუფალს. შე-პუდრეს, მოკაზმეს და ბაქანზე გაისეირნეს. შორიდან გა-საყიდი საქონელივით მისჩერებოდენ მოპირდაპირენი. ახა-ლგაზრდებში ჩუმი სიცილია. ქალს შერცხვა, სითამამე დაეკარგა, საქციელი წაუხდა, სახე ჭარხალივით გაუხდა.., დედმამა გულის ბაგა-ბუგით მოელის პასუხს.

— რაცხა თეძოებში არ მეჭაშნიკება... ტანს თავი-სუფლათ ვერ ხმარობს,—კოჭლი უნდა იყოს.

— კოჭლი კი არა, ტოლი არა ყავს ტოლი. თუ არ გინდა, საქმეს სხვაზე გავაკეთებ და მასუკან ირტყი თავში ხელი. მაგის გულისათვის ჩოხის კალთას მახევენ.—ჩაუკ-რა ნახევრად არეულმა მაჭანკალმა.

— მორჩი, საქმე გადასწყვიტე თუ არა, ხუთი დღე დარჩა დაურწყებამდე; მერე ქე ჩაგაბერდება ხელში. ბედი კარზე მოდგომია, დაჭყიტე თვალები.

— გეიძვრე ტყავი და პატრონი მოუნახე. ხომ იცი ქალიშვილის შენახვას რამდენი სირცხვილ-ნამუსი უნდა!

ბაქანზე მყოფ მთელი ხალხის ენა ამ თემაზე მოძ-რაობს და იღლება. ქუთაისიდან სახალხო მატარებელი შემოვიდა, ბაქანი შეზარხოშებულ ხალხით გაივსო. მაყ-რები, სარზე წამოცმული ღორის თავით, ხორცით, ხაჭა-პურებით ერთმანეთს ებღაუჭებიან. ისმის ხმა ჩაწყვეტილი აბნეული სიმღერა. გადმოსხეს პატარძლები, სიძეები, დაფრინავენ მაშვლები, მაყრები და „შაფერები" ქალი-შვილებს ნეტარ სურვილის ნერწყვი უსოვლებს ტუჩებს; ბაქანზე განუწყვეტელი ჟრიამულია.

### ᲫᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ

ხრესილის ბაქანზე ცხვირ ჩამოშვებული, თვალ-ცრემლიანი ჭრელი ტროსტით და წითელი ვაშლით ხელ-ში გაუთხოვრათ დარჩენილი ქალიშვილი სდგას. სიკვ-დილს გადარჩენილი: ღორი, ქათამი, ინდაური მხიარუ-ლად სტკეპნიან ბაქანს. კუთხეში მიმჯდარი მაშვლები ფულებს ითვლიან.

### ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲜᲝᲑᲐ:

— — (ოკრიბიდან)

პირველ იანვრიდან 27 თებერვლამდე გათხოვდა 75 ქალი, გატყდა 17 თავი. ბარგის წაღებაზე და ცეკვის წესის დარღვევისათვის. გამოესალმა წუთი-სოფელს 124—ღორი, 214—ინდაური, 456 დედალ-მამალი ქათა-მი, დაილია შავი და თეთრი 750—ფუთი ღვინო, დაიწვა 600—ნაგანის ტყვია: გასულია მზითევში ნაღდი ფული 30.000 მან.

საერთოთ მაშვლებს დარჩა დახლი 3.000 მან.

—კოსტაიძე.

# მგზავრები



— რა მიეცი შორაპანიდან ტილეთში?
— გიჟი ვარ ბილეთი ვიყიდო. საცა არის ტფილისში ჩავალთ რევიზორს ჯერაც არ ჩამოუვლია.

# სამტრედია

მინდა მოგითხრო ამბავი
თუ მეყო: ღონე ძალია!
მე ძმა არა მყავს, **ტარტაროზ**,
და ძმად დაგსახე, ძამია.
ღვდის და ფიქრის ამარა
დავდივარ როგორც ღრუბელი!
ოცნება აღარ მშორდება
და დარდი დასაღუპველი
მინდა ქვეყნისთვის სიკეთე,
შუქი და მუდამ დარები!
მაგრამ საშველსა არ მაძლევს:
წვიმა, ყინვა და ქარები.
სოფელი მიყვარს, სოფელი—
მე იმას ვენაცვალები!
სოფელი თავის მშვენებით
თავის ლამაზი თვალებით.
ამ სიყვარულმა ძლიერმა,
მე გამიჩინა მტრები!
და ირგვლივ შემომესიენ,
ვით შემოდგომის მწერები.
ისმის გოდება დაჭრილთა,
ისმის კვნესა და ძახილი!
ტყვიაა—ჩემი სიტყვები,
კალამი — ბასრი მახვილი.
დეე, იჩხავლონ ყორნებმა,
მიზანს ვერ მიცვლის მუქარა!
თუ კი სიმართლე წინ მიდევს,
სიმართლეს ველარ დავფარავ.
ძმაო, **ტარტაროზ!** იქნება
ჩაჩუა გაგიგონია?!
„დიდი კაცია" და მასზე
ბევრჯერ მსჯელობა მქონია.
ცოლშვილიანი ბრძანდება,
(ცოლშვილი იყოს დღეგრძელი)
ერთ **ბანოვანზე** ამბობენ—
(აქ კი თქმა ველარ შევძელი)
სად სამსახური, სად ქალი,
სად უადგილო რომანი!
არ გვინდა იყოს „ამბავი",
მაგრამ რაღა ვქნათ რომ არი?!
ექიმობაში **ჩარკვიანს**.
აქ ვერა სჯობნის კაცია!
დილიდან საღამომდისინ,
თეთრი სამოსი აცვია.
ფუტკარივითა ესევა
ნაირნაირი ქალები!
კაბინეტი აქვს მორთული:
ბრილიანტებით, ქარვებით.
ამბობენ: იცის „აბორტი"—
ჯადოა მისი ხელები!
(კიდევ რა ვიცი რას ამბობს,
ხალხის ბოროტი ენები).
**სახავშო ბაღზე**, ქალაქში
მდუმარე ხმები დადიან!
სინამდვილეში ვირწმუნოთ,
არ გვინდა, აღარ გვწადია.
ჯერ ღიათ ვტოვებ ამ საკითხს—
(წეინძრა მდელო, მთა-ბარი)
იხარეთ წუთით, იხარეთ,
**ზუგულია და თამარი.**
**„ეპო"-სა სასადილოზე**
დამიგვიანდა ცნობები!
მისი მნახველი, შემყურე
დავდივარ განაცოფები.
მიყვარს მუშისა და გლეხის,
გემოვნებისა ადგილი!
და თქმა იმისი, რაც ხდება
ძნელია, არა ადვილი.
ემუდარები: „ძამია,
მოვკვდი ამდენი ლოდინით!
გიპასუხებენ:—დრო არ გვაქვს—
და დგას საფლავის ლოდივით.
(ვისაც სურს ჭამა სადილის,
თან მოიტანოს ლოგინი).
აქ სულ არა ჩანს **გლეხკომი**,
თავისი ავლა-დიდებით!
და ამის გამო ფიქრი გვაქვს,
მძიმე და განადიდები.
მოგვეჩვენება „ბატონი"
როგორც ახალი სიძეა!
თუ პატრონი ხარ—იყავი,
ან სულ მოგვშორდი ბიძია.
სალამი შენდა, სალამი,
ექიმო **ჯაში ილია!**
უშენოთ ჩვენი ქალაქი,
ველარაფერი შვილია.
ავადმყოფები გეძებენ—
აღარ აქვთ თვალში ძილია!
(შენა ხარ ჩვენი იმედი,
სამირკველი და ძირია);
რა გენაღვლება, ბატონო,
კიდევ მთელი გაქვს კბილია:
ძვალი სხვას გადაულოცე—
შენ გადასანსლე რბილია.
აწმყოში აღარ ივარგებს,
წარსულში შენ ხომ გვილია!—
იცოცხლე, დიდხანს იცოცხლე,
ჩემო ძვირფასო ილია...

**ვაგნელი ბზიკი.**

# ღანირ-ქვიტირი

ორშაბათ დილა გათენდა
რა კარგი დარი დგებაო,
წუწკი სტაროსტა იოსებ
საქორწილოდ ემზადებაო.

ქუქავამ შვილი გიორგიც
წაიყოლია თანაო,—
და იმ საღამოს სხვის ქათმებს
უმღერეს სულთათანაო.

ვანო ზარქუას მიადგენ
ქურდები ფრთხილად ხელაო;
ზიდან ქათმები ჩამოსხეს
რაც იყო იქ სუყველაო.

გაპუტეს, ცეცხლზე შებრაწეს
ედალი, ვარიელაო
და კანდიდატმა ხუცობის
ჯაჭიკი გაისველაო.

პატარა ჯიხაიშელმა
კანომ მიაგნო კვალია,—
ახუცოს კარსა მიადგა
მითხარ რა მისი ბრალია?).

შეწუხდა ჩვენი სტაროსტა,
ჰკუხდა იხტიბარია;
(მონელებულიც არ ჰქონდა,
ჯერ ნაქურდალი ვარია).

ნაქურდალს ათად მოგართმევ,
მხოლოდ აყუჩე ენაო;
მღვდელმა მასწავლა ქურდობა,
ღმერთმა კი შემაჩვენაო.

**შიხლინსკი ბომბ.**

# ჯოჯოხეთის კუთხე



## „სამი გრაცია“

სკანი-ოლლი გვწერს, რომ:—ბედნიერია სოფ. ზედა-საყუღა (ქუთაისის მაზრა)—მას „ამშვენებს“ სამი გრაცია...

და მოგეხსენებათ, რომ ამ სამ გრაციას დიდად არაფრად მოსწონთ ქალთა წრე. ეს არც გასაკვირია, რადგან

წარჩინებულთა წოდებას
ესენი ეკუთვნიანო...
ახალი ყოფა არ მოსწონთ,
და ძველსა შენატრიანო...

მაგრამ საკვირველი ის არის, რომ ეს სამი გრაცია „ფიზკულტურა“-ს (მუშტი-მკვრივი) ისე გიუტაცნია, რომ:

წავიდენ, იქ შიძუნძულდენ,
სადაც არის ქალთა კრებაო.
ერთმანეთს ეუბნებოდენ:
—ჩვენი ლამპარი კრებაო;...
შევიჭრეთ, ვსცემოთ სუყველას
ვინც ხელში კი მოგვხდებაო,—
თორემ ცხოვრება წამხდარი
უფრო-და-უფრო ხდებაო...
ასეც ჰქნეს—კრებას მიუხტენ
და სცემეს მომხსენებელსა;
არავის აღარ ინდობდენ
გარეშე თუ მეზობელსა...

ალბად მკითხველს ძალიან აინტერესებს, თუ ვინ არიან ეს „სამი გრაცია...“

გაგაცნობთ:



საშიკო, კატო, პოლინე—
არის ეს სამი გრაცია...
„ტარტაროზი“-სა მკითხველნო,
იცნობდეთ ამათ აწია.

## ...ათი წლის თავზე

ახლოვდება ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავი. რასაკვირველია: მთელ საბჭოთა კავშირში დიდი ზეიმი იქნება. ყველა დაწესებულებამ თუ ორგანომ უნდა აჩვენოთ მასებს თავისი მიღწევები და რამე ღირსშესანიშნავი საქმის გაკეთებით უნდა აღნიშნოთ ეს დიადი დღესასწაული.

**ჭიათურაში ექვსი თვე გადის მას შემდეგ, რაც დადგეს ონკანი და მცხოვრებლებს წყალი არა აქვთ. რასაკვირველია: არ დაკეტდენ, მაგრამ ონკანი გაფუჭებული იყო... და არ აკეთებენ იმიტომ, რომ—უცდიან ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავს. ისიც შესაძლებელია, რომ განგებ გააფუჭეს ონკანი, რომ ისევ გაეკეთებინათ. ოქტომბრის დღესასწაულისათვის. ასე ფიქრობენ მესვეურნენი:**

**ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულს ხვდებიან არხების და გზების გაყვანით. დამბების და ბოგირების გაკეთებით, ელექტრო სადგურების ამუშავებით,—ჩვენ მაინც შევხდეთ ონკანის გაკეთებით და მასში წყალის გამოშვებით!**




და ამის შემდეგ საჭიროა გავაფრთხილოთ აქ მდგომი ხალხი:

— **ხალხნო და ჯამაათნო! დაიშალენით, წადით თავთავიანთ სახლებში, ტყვილად ელოდებით წყალს. ამ ონკანის საზეიმო გახსნა მოხდება ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე; როგორმე გასძელით მანამდი.**

ასე უმღერის ამათ აი ის იადონი, რომელიც, ხომ ხედავთ იქვე ახლოს ხეზე შემომჯდარა.

## 198 მან. 28 კაპ.

აშკარაა: როცა ეს ციფრები დაინახეს მახვარეთის (გურია) სამკითხველოს სასარგებლოთ გამართულ საღამოს კომისიის წევრებმა,—მაშინვე მოაგონდათ 1924 წ., ივნისში მათ მიერ გაფლანგული 198 მან. 28 კაპ.

მოაგონდათ, მაგრამ თქვენ გგონიათ სიწითლე დაეტყოთ!— პირიქით: გაეღიმათ, იცნეს თავისი ციფრები... ანდა რა დარდი აქვთ: აღმასრულებელს ათი თვეა რაც ჩანთაში უძევს აღმასრულებელი ფურცელი, რომლის ძალითაც სასამართლოს განაჩენით გამფლანგველებმა სოფელს უნდა გადაუხადონ ეს ფული...

მაგრამ გადახდა კი არა, სასაცილოდაც არ ყოფნისთ იმათ ხალხი და ასე ღიღინებენ:

**ვისაც შნო აქვს ჭამის,**
**ფულებიც მისია...**
**ჩვენ ვიყავით: ფულის**
**შეჭმის კომისია**
**თქვენ იძახეთ თქვენთვის:**
**—ეს რა სინდისია?!.**
**ჰმ! ხომ შევასრულეთ**
**ჩვენი მისსია!**

ვნახოთ, აღმასრულებელი თუ მონახავს აღმასრულებელ ფურცელს და... (გაგრძელება იხილეთ შემდეგში).

## მიიღოს ღირსეული

სოფ. ჯანეთს, როგორც ყველა სოფელს, ჰყავს თავისი თავმჯდომარე როგორც თემისა, ისე გლეხკომისა და აგრეთვე და შვიდწლედის გამგე. ცხადია, როცა სოფელს ყველა ესენი ჰყავს,—ღვინოც ბლომად ექნება. მკითხველი ალბად მიხვდება როცა ღვინო ვახსენეთ, თუ რაშიაც იქნება საქმე. **„ალბად ესენი თვრებიან და“...** იფიქრებს მკითხველი და მისი ფიქრი მართლაც იქნება.

უნდა ითქვას, რომ ადგილობრივებს ადამიანის გვ

ჩენაზე თავისი შეხედულება აქვთ და ისინი სრულიად არ იზიარებენ იმ აზრს, თითქოს ადამიანს ღმერთმა შთაბერა სული. აქ ასე ამბობენ ღვინოზე:—იგია ადამიანის „სულის-ჩამდგმელი“.

სილოვანი როგორც სჩანს მეტ ყურადღებას აქცევს ღვინოს და ავიწყდება გზები. ამიტომაც ჩვენ ვამბობთ კმაყოფილებით:



— ახია მაზე ... ლაფში ჩავარდა და როგორც იქნა ძლივს-და ამოათრია კალემ.

ჰმ! იგემო თავისი საქმიანობის ნაყოფი.

ამ ამბავზე ხალხმა ლექსიც კი შეთხზა სოფ. თიანეთში. აბა ყური დაუგდოთ გეზლაჩი-ს:

იანეთის თემი ვლოცავს
ლაფში ჩამხრჩვალ სილოვანსო.
კალე ცდილობს ამოყვანას,
მაგრამ ვერ ამოიყვანსო..
ბოჩკებიც კი ცრემლხა ღვრიან,—
„წი ვინ-ღა შეგვსვამსო.

## „ტყის კაცნი“

შეცდომის თავიდან ასაცილებლად, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია განვაცხადოთ შემდეგი: ეს ის „ტყის კაცი“ არ არის, რომელზედაც მიხ. ჯავახიშვილს მოთხრობა აქვს დაწერილი. განსხვავება მათ შორის დიდია: ჯავახიშვილის „ტყის კაცი“ თავისთვის ცხოვრობდა ტყეში და არავის ერჩოდა;—აქ კი პირიქით ვხედავთ, ეს ერთი



ნუ გეგონებათ, რომ ეს „ტყის კაცნი“ ამერიკის ან ავსტრალიის რომელიმე ველურ მხარიდან არიან... არა, ესენი სადგურ კარდანახელებია... და თუ თქვენ ეჭვი გებადებათ, ყური დაუგდეთ ვაჟკაც ბიჭს, რას სწერს:

„...გამოუხტა ტყიდან ... პიროვნება და დაუწყეს ცემა... ესენი იყვნენ წნორის წყლის გზის ოსტატი ბირიძე და სად. კარდანახის რწმუნებული შაკიაშვილი“*).

*) ტარტაროზის აზრია, რომ ეს ვაჟბატონები მთვრალები იქნებოდენ. ერთხელ ესენი თვითონ ტარტაროზმა ნახა სადგურში. როცა დამთვრალიყვნენ და ასე მღეროდენ:

აქა ვართ და აქ არის
ღვინო კარდანახისა,—
და რო დავთრუთ, ძმაოჯან,
—განა დასაძრახია?
თუ სხვამ გვიხაყვედურა,
სიტყვა გვითხრა კვახია,—
რომ ჩვენ იგი მივბეგვოთ,
არ იქნება ახია?!

## კონკურსი № 3

ნახეთ ს... ... გვერდზე, გამოუგონეთ მას შესაფერისი წარწერა. წარწერა უნდა იყოს მოკლე და სურათის სიუჟეტის დამახასიათებელი.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველას, გარდა რედაქციის თანამშრომლების და მათი ოჯახის წევრებისა.

დაჯილდოებული იქნება ორი წარწერა: პირველი 30 მანეთით; მეორე—20 მანეთით. ამის გარდა გამოქვეყნებული იქნება აგრეთვე ხუთი კარგი წარწერის ავტორები.

კონკურსის შედეგები გამოცხადდება „ტარტაროზი“-ს № 97-ში რომ ამით (ხანგრძლივი ვადით) საშუალება მიეცეს ჩვენს მრავალრიცხოვან მკითხველებს მონაწილეობა მიიღონ კონკურსში.

ამოსჭერით აქვე დართული ტალონი, შეავსეთ იგი და გამოგზავნეთ.

სხვა ქაღალდზე დაწერილი არ მიიღება.

კონკურსის შედეგების გამოცხადების თანავე დაჯილდოებულ წარწერის ავტორები მიიღებენ პრემიას.

მისამართი: ტფილისი

ჟურ. „ტარტაროზი“ კონკურსისათვის.

სურათის სათაური . . . . . . . . . . . . . . . . .

სურათის წარწერა . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

გვარი, სახელი და მამის სახელი . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

სწორი მისამართი . . . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

ხელობა (პროფესია) . . . . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . .

# „ახალი სისტემა"




— [illegible]

— [illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 95 | კვირა. 10 აპრილი 1927 წ. | № 95



— თქვენ ხომ გამგე იყავით და ეხლა რომ.. რაშია საქმე, რომ თანაშემწეთ დაუნიშნიხართ?!
— ეს იმიტომ, რომ... ხომ იცით ეხლა ფასების დაკლება ტარდება და მეც ამიტომ დამაქვეითეს.

# „ფინიშ“

არ ვიცი რას ჩასციებიან კომუნისტები საწყალ ინგლისელებს!

აქამდე ვერ შეიტყეს კომუნისტებმა, რომ ინგლისელები პროგრესის ხალხია; მათ აწუხებთ ალმოსავლეთ ერების სიბნელე, უმეცრება, — და სინათლე შეაქვთ ყველგან...

განა ჩინეთის ამბები ამისი უტყუარი საბუთი არ არის?

განა ისინი ჩინეთის მტრებია?

სრულებითაც არა!

ინგლისელებს მხოლოდ ხანდახან სრულიად „უვნებელი“ ხუმრობა უყვართ ხოლმე. ისინიც ეხუმრნენ ჩინელებს... ჰო-და რა დიდი საქმეა, თუ ამ ხუმრობის წყალობით ხუთას მილიონიან ხალხს რამდენიმე ათასი გამოაკლდა?!

ეს ხომ წვეთია ზღვაში!?

მესმის — პატარა ერს ეხუმრონ ასე; მაშინ, შეიძლება, ღიმილით უთხრათ საყვედური, თორემ ხუთასი მილიონიანი!..

ქართული ანდაზაა: „კაცს რომ კაცი სძულს, მისი სალამიც კი ლანძღვად მიაჩნიაო“... ჰოდა, კომუნისტებს, რომ ინგლისელები სძულთ, — იმისათვის ლანძღავენ, თორემ აბა რა არის აქ საიმისო?!

აბა მენშევიკები ყოფილიყვნენ. გაგიხარიან, რომ ტაშსაც კი დაუკრავდნენ და „აფერუმს“ ეტყოდნენ... ხოტბასაც კი შეასხავდნენ...

ეს იმიტომ, რომ მენშევიკები ბიჭებიც კარგებია და თავზე ქუდებიც ჰხურავთ, თორემ გამურული მუშა რას მიხვდება იმ „დიად“ მიზნებს, რომლებსაც ეტრფის ინგლისი ბნელ და უმეცარ სახელმწიფოებში!

მენშევიკების ბატონობის დროს საქართველოში როცა მოვიდნენ ინგლისელები, განა დაუშავეს რამე ქართველებს?

არაფერი!

პირიქით; ქართველები მადლიერებიც კი უნდა იყვნენ ინგლისელებისა, რომ მათ თან კულტურა შემოიტანეს.

ჯერ ერთი: გვასწავლეს შოკოლადის ჭამა ინგლისურად და ინგლისური სურნელოვანი „სიგარეტების“ მოწევა; მეორე: გვაჩვენეს მსოფლიოში იშვიათი და ნაქები სამაგალითო ჯიშის ჯორები და უმთავრესი კი შეგვასწავლეს ინგლისური ფინიშ.

მერე რა კარგი სიტყვაა ფინიშ!

ბოლოშიც კი იყო ეს სიტყვა, ვინ გინდა, რომ ამ სიტყვას არ გაეძახოდა: დიდი და პატარა, მდიდარი და ღარიბი, თავადი და ინტელიგენტი და თუ მურიანმა მუშამ ეს სიტყვა თავისებურად გაიგო, ეს მხოლოდ მის სიძნელეს და უმეცრებას მიეწერება.

თუ მუშებმა მენშევიკებს უქნეს ფინიშ, ეს მუშების უმადურობას ადასტურებს.

მაგრამ ინგლისელების დიდი დავალება მარტო ამაში არ გამოიხატება:

განსვენებულ მენშევიკების ბატონობის დროს ინგლისელების შტაბი რუსთაველის გამზირზე იყო მოთავსებული, მაღლა სართულზე, ქალაქის გულში.

რაღაც დღესასწაული იყო, გამზირი სავსე იყო ხალხით, ჯარის და გვარდიის ნაწილები და მოწაფეთა რიგები საალლუმოდ იყვნენ გაშლილნი სამფეროვანი დროშებით, ალლუმს იღებდნენ მთავრობის წევრები: ჟორდანია, გეგეჭკორი, და რამიშვილი.

ინგლისელები აივანზედ გადმომდგარიყვნენ და იცინოდნენ „გულუბრყვილო“ სიცილით და დროშების მაგივრად გაბმულ თოკებზე ქუჩის მხარეზედ „პარტიანკები“ გამოეკიდათ.

წარმოიდგინეთ, მენშევიკებს ისე მოსწონდათ ეს „პარტიანკები“, რომ სიამისაგან არაფერიც არ უთქვამთ.

რომ სწყენოდათ საყვედურს მაინც ეტყოდნენ, მენშევიკებმა კი, პირიქით, ბანკეტზე მიიწვიეს და ნათელაც ტოლუმბაშის მეთაურობით ქართული მამაპაპური მრავალჟამიერიც კი დხაგუგუნეს.

მაგრამ ვაი, რომ დიდხანს არ გაგრძელდა ეს, მუშებმა ფინიშ უყვეს მენშევიკებს და ჩააჩხამეს ყველაფერი.

კომუნისტი მუშები ეხლაც არ ისვენებენ და ჩინელ მუშებს ასწავლიან ფინიშს. ინგლისელები და ჩინელ კონტრ - რევოლიუციონერებისადმი.

უმადურობაც ეს არის სწორედ...

ლუკუმი.

# ოპერაში



დაჯექი ქალო... რა ამბავია, რომ დურბინდში იყურები?!

— იმ მსახიობის სიმღერა კარგად არ მესმის; დურბინდით მოვიახლოვებ და მაშინ უფრო გავიგონებ.



— თვრამეტ კაპიკათ ახეთი კარგი ბაწარი სად იყიდა?

— აი აქ, ფურნეში არი გირვანქა პური ვიყიდე — და შიგ იყო.

# საქულას „ვპეჩატლენიები"

## საქართველოს საბჭოების მე-4- ყრილობაზე

შალვა ელიავამ თავის რეჩში ბრძანა, რომ მენშევიკები გეზი თვალით უცქერიან ამ ჩვენ ყრილობასაო. მათ არ მოსწონთ მისი შემადგენლობაო. იძახიანო, რომ დემოკრატია არ ღებულობს მონაწილეობასო და ეს არჩევნები რუსის შტიკებითა ხდებაო.

ამ აზრის თავდაპირველათ გამამთქმელს ნამუსთან ერთათ ჭკვაც დაუკარგვია. მაგნაირ აზრებს თუ დააჯერეფთ ისევ ზოგერთ გაქცეულ მენშევიკს, რომლის დიდრონ ყურებში სხვა რამე არი შედის. საქართველოში ეგ ამბავი რომელიმე გლეხს რომ უთხრა, სიცილით და ხარხარით შარვლის ხონჯარს დაიწყვეტს.

რაღა შორს მივდივართ, დავაცქერდეთ დელეგატებს, მოვისმინოთ მათი სიტყვა და ჩვენ ადვილათ დავრწმუნდებით მაში, რომ ზაგრანიჩნი მენშევიკების ახალი იარაღი ისევე ჩლუნგია, როგორც ნოეს კბილები.

ერთი შეხედეთ ყრილობის დარბაზს. ისეა აჭრელებული დაკონკილი ჩოხა - ახალუხებით ფერადი ტყავის და ნაბდის ქუდებით, ლურჯი ხალათებით და სალდათის გიმნასტიორკებით, როგორც მაისის წვანე მინდორი კარგი ლიზათიან წვიმის შემდეგ.

რამიშვილი კი თურმე იძახის, რომ საბჭოთა ყრილობებს სეზონი გაუვიდაო.

ალბათ მას გუნება შაპრუწუნებული აქვს და ყველასფერს ეჭვის თვალით უყურებს.

თუ ტყუილი ვთქვა, მამა ჩემი კუბოში გადამიბრუნდეს. ამ დელეგატებს რომ ყური დაუგდე, ვიფიქრე:—საქულჯან, ეგ ქალმნიანი გლეხები და გამურული მუშები ნამდვილ ხაზეინებათ გრძნობენ თავიანთ თავს.

გათავდა შალვა ელიავას მოხსენება მთავრობის ორი წლის საქმიანობაზე. ხუთ საათზე მეტი ილაპარაკა, მაგრამ ყრილობამ დიდი ინტერესით მოუსმინა. ზაასში ჩაეწერა ორმოცზე მეტი კაცი.

პირველ სიტყვას იღებს იმერელი გლეხი. თავი ისე რიხიანათ უჭირავს, გეგონება ტეკუჩი სჩოტზე ერთი ოცი ათასი მანეთი ულაგიაო. ლაპარაკობს პტყელ-პტყელათ და „ამხანაგო" სიტყვა „ბატონთან" ერევა.

ის ლაპარაკობს მთელ სახელმწიფოს მდგომარეობაზე და თავის კუთხის ჭირ-ვარამზეც. სხვათა შორის ის მაგრათ აგინებს კოწია კანდელაკს, ვიგო კიკნაძეს და საშა ჯაფარიძეს იმიტომ, რომ ერთმანეთს ძიძგილში მათ ვერ გაიტანეს რუსეთის ბაზარზე გასასყიდათ მეტი რაოდენობის ღვინო.

იმერელი უთმობს ორატორს ადგილს სხლარტ და ლერწამივით მოყვანილ მეგრელს, რომელიც ისე კოხტათ ლაპარაკობს, რომ იქცევს ლოჟაში მყოფ იტალიის კონსულის ყურადღებასაც. ის მოითხოვს ან გზების და ხიდების საკითხის მოწესრიგებასა ან ნებართვას თბილისში გადმოსახლებისას ნახევარ სამეგრელოსი.

მას სცვლის ტრიბუნაზე კისერ ჩასუქებული კახელი გლეხი. რუსთაველის თეატრის სცენაზე ის ისე თამამათ გრძნობს თავის-თავს, როგორც ალაზნის მინდორზე. სიტყვის დაწყება უძნელდება. ის ერთი ორჯერ ისე ჯიგრიანათ ახველებს, რომ ფანჯრებს ზარზარი გააქვთ. შეხედულებით ის ანაგელი უნდა იყოს (ამ სოფელს სიღნაღში „ცარსკი სელოს" უწოდებენ, სიღნაღს კი ნემეცებმა „ვირბურგი" დაარქვეს).

დახველების შემდეგ ის ჩოხის წვერით იწმენდს გიშერივით შავ და ბლომა ულვაშებს და მძიმე-მძიმეთ იწყებს ლაპარაკს. მენშევიკების დროს კახელ გლეხისთვის „ტუნელის საკითხი“ იყო მუდმივი. არც არის ეს გასაკვირი. მარტო თელავის მაზრაში კამისრობდნენ ცხრა რამიშვილები. იშვიათი იყო ადგილობრივი გლეხი საპასუხისმგებლო ადგილზე. ამ საკითხმა დაკარგა თავის მნიშვნელობა. კახეთში არც ერთი გლეხი აღარ მოითხოვს ტუნელის მატყლით და ხორბლით ამომსებას, როგორც ეს იყო წინათ.

აქ გლეხს სხვა მოთხოვნილებები აქვს. იმას უნდა ნალოგების შემცირება. ღვინის კარგ ფასში გასაღება, შკოლების დასხნა. ანაგელი გლეხი შეეხო თამბაქოს გასაღების საკითხსაც და ტაბტრესტის თავმჯდომარე პევცოვის ახლო ნათესავებიც ახსენა დაბალ ფასების დაწესების გამოთ. კოლია ბახტაძესაც უკურთხა კვდრები და ცოცხლები ალაზნის არხის გაყვანის გაჭიანურებისათვის. გიგინეიშვილის მამის სულის მოხსენების შემდეგ, ანაგელ გლეხმა მისცა სალამი ყველაყას, დაიწყო ზურგზე ცოტა ქვევით ორივე ხელები და ისე ჩაჯდა პარტერში, როგორც ადმირალ მაკაროვი.

სიამოვნებით მოვისმინე გურულ გლეხის სიტყვა. ის დალოცვილი სულ ნოტებით ლაპარაკობდა. ქართველ პროფესორებმა მაგრე ლამაზად, რომ წაიკითხონ ლექციები. ჩემა მზემ, უნივერსიტეტში არც ერთ სტუდენტს აღარ დაეძინება. მან ილაპარაკა საათზე მეტი და თუ ნებას მისცემდნენ მეორე დილამდინაც განაგრძობდა.

გურულის სიტყვა შინაარსიანიც იყო. მოთხოვნილებები ბევრი წამოაყენა. ყველა ამის შესრულებას საქართველოსი კი არა, ამერიკის სიმდიდრეც არ ეყოფა.

მუშა-ორატორები ბევრს და მართალს ლაპარაკობდნენ ამშენებლობაზე, რეჟიმ-ეკანომიაზე, ფასების დაკლებაზე და საწყალ ერკოპსაც აგინებდნენ.

ქართველ მწერლობამაც მიიღო მონაწილეობა ყრილობაზე. ტიციან ტაბიძე და პავლო იაშვილი ისე ერთმანეთისაგან განუყრელათ ისხდნენ როგორც ერთ დედისაგან ტყუპათ დაბადებულნი. იაშვილის სიტყვამ მე არ დამაკმაყოფილა.

მის სიტყვაში მე ჩვენ-და-თქვენობის ჰანგები გავიგე, შე ყურუმსაღო, თუ გინდა ჩვენი იყო, მოშავდი, თუ ჩვენობა არ გსურს, მაშინ საცა გინდა წაშავდი!

ამხ. მარუსამ ტყვილათ კი არ გითხრა, რომ კრიტიკოსობა კარგი იციო და ჯერ შენ საქმიანობას ვერ ვხედამთო. ნიკო გოცირიძე იძახის: „პავლო იაშვილი ხოჩიტ—პაჟალუსტა. პავლო იაშვილი ნი ხოჩიტ—აპიატ პაჟალუსტა“. რაშია საქმე, ბიჭო!?

მახლას! რაღა თავი შეგაწყინოთ. ყრილობაზე ყველა ჯურა ხალხი იყო. ყველა კუთხეებიდან იყვნენ დელეგატები. იმათში არ ერია არც ღვდელი, არც ვაჭარი. არც მემამულე თავადი, არც სუქანი სოფლის ჭამია გლეხები ჩანდნენ.

ალბათ ამის გამოთ ნოე რამიშვილის ამქარი იძახის, რომ საბჭოებში დემოკრატია არ იღებს მონაწილეობასო.

ნოე, შენი დემოკრატიის სეზონი მართლაც რომ გავიდა! თუ რომ მანდ დემოკრატიულ არჩევნებს აპიროფ, აქ დარჩენილ შენ ძმა-ბიჭებსაც გამოგიგზავნი ნალოჟნი პლატეჟით. მაგრამ ჯერ კვანტალიანს უნდა შევეკითხო, სკოროპორტიაშჩი პასილკებს ფოშტაში იღებენ თუ არა.

ვინმე.

# წერილი მშობლებს

ძვირფასო დედ-მამა! ქე ვიცი და ვგრძნობ, რომ ამ წერილის მიღებისთანავე ზაფრა გეცემათ და წყევლით მომიხსენიებთ. შეგირცხვინე ოჯახი, მოგიჯაყე მოხუცებულების ცხოვრება, მაგრამ ნუ მომიძულებთ, გაისარჯეთ და ბოლომდი დაყევით ჩემს წერილს და ის გეტყვის ყველაფერს. თუ რამ მაიძულა, რომ ამ დღეში ვარ ჩავარდნილი. ალბად ამის გაგება თქვენთვის საინტერესო იქნება. მოშ ყური დამიგდეთ.

იმ დროს, როცა მთელი ჩვენი კუთხის ბიჭები თბილისსა და ბათუმში თბილ ალაგზე წამოსკუპდნენ პორტფელით, — მე ვლოღავდი ლუკაია ბოყვიშვილივით ჩოხატაურიდან ხიდისთავში.ხიდისთავიდან—ერკეთში.ახალ გაზრდა კაცი ვარ და, ქე დევირცხვინე თავი და, თბილისში გავადინე შვლეჭა.

მივადექი ბიძა ჩემის დიოშვილის კარებზე. დევეღრანჯე; — მიშველე, ამომიჩინე რაიმე ადგილი; ნენა დამიკუნტდა, ბაბე დამიბრმავდა, ჯარგვალე იმ დიდ ქარიანობაში ცეცხლმა დამიწვა, ყელამდი ვალში ვცურაოფ...

გამოშვლიჭა უჯრიდან ქაღალდი, შამეიდო შუბლზე ხელი და სამ წუთში მშვენიერი საპროტექციო წერილი ჩააკრიმანჭულა. სწერდა: — „იმედია ჩემ ნათესავ კაცს აღმოუჩენთ თქვენს დაწესებულებაში საპასუხისმგებლო ალაგს“-ო.

არ გოუარია სამ დღეს, რომ ევიღლიავე პორტფელი. სამსახურის მხრივ ცოდნა მაინცდამაინც არც ისე მჭიროდა პროტექციის შემწეობით. ვიფიქრე აწი კი გოუთენდა ნენას და ბაბას მზიანი დღეი მეთქი. არ გოუარია ორ კვირას, ანიჩქა გამეცნო; ანიჩქამ ნინიჩქა გამაცნო, ნინიჩქამ ზინიჩქა, ზინიჩქამ თინიჩქა, თინიჩქამ ლიდიჩქა... და მეც ვფიქრობ ზინიჩქა თინიჩქებში ერთ იმისანე ჟენიჩქას ავარჩევ, რომ ნენას და ბაბეს გულს გავახარებ მეთქი. ასეთ გულკეთილ მეგობრებში საჭირო იყო თავის დაფასებაც და რომ ჩვენი პურმარილიანი და სტუმართმოყვარე ოჯახი არ შემერცხვინა, დავიწყე განცხადებებით ავანსების გამოტანა, შემდეგ, კი, როცა ჩვენს დაწესებულებაშიაც იჩინა ეკრეჟიმმა თავი, მეც ქალალდების ზედმეტ ხარჯს მოვერიდე და სალაროდან დამოუკიდებლად დავიწყე ხარჯვა.

მერე რა მოხდა იცით!?

კომისიის მცირე კამათის შემდეგ, გამსახლში ამომაყოფინეს თავი, რომ ამნისტიებს არა,—თქვენი მტერია, სულიან - ხორციანათ დავეკარგებოდი ჩემ ჭირისუფალს.

ექვსი თვეი კიდევ დამრჩა. გამოვალ, მარა იცოდე, რომ ფეხზე წამოგაყენებ. რომ იკლავდით თავს,—რაღაცა გამოვსულიყავი, — აი კიდეც აგისრულდათ ნატვრა. კანონები სულ ზეპირად შევისწავლე. თუ პირველად ცხვარივით ჩაუვარდი ხელში, აწი მე ვიცი. ადვოკატი ღვამიჩავა ნული იქნება ჩემთან, ისე ვარ გაწვრთნილი.

კოსტაიდი.



# მილიონერი მათხოვარი

ნიუ-იორკში დააპატიმრეს ცალფეხა მათხოვარი მელლონი (ამერიკის ფინანსთა მინისტრის მეგვარე), რომელიც როგორც გამოირკვა, მათხოვრობით თვიურათ 3.000 დოლარს (6.000 მან.) აგროვებდა. „მუშაობისგან“ თავისუფალ დროს მელლონი საკუთარ მდიდრული ავტომობილით დასეირნობდა. მისი ოჯახი ყოველ ზაფხულს ატარებდა ფლორიდისა და სხვა საუკეთესო კურორტებზე. თვით მელლონი ნიუ-იორკის საუკეთესო სასტუმროში სცხოვრობდა.



— შენი მამის სული... არ მაჩუქე მოწყალება, მაგრამ ... კი შემესესხები ფულს და მაშინ ნახე...



— თქვენ მათხოვრისათვის ვერ გაგიმეტებიათ გროში,—არა, თქვენებ კრიუანგს მე ათას დოლარს არ ვასესხებ.

# „ახოტნიკი"

— მახლაზ, ახოტნიკობაც ყისმათი ყოფილა რალა-არც მეტი, არც ნაკლები! რაც უნდა რომ ხრაბრი სტრელოკი იყო, დიდი ჰუნარები გქონდეს და ჰამაც მელიებისა და კურდღლებისაც არ გეშინოდეს, თუ რომ ყისმათი არა გაქვს, ფას! ბევრიც იჩალიშო, არაფერი გამოვა.

ჰუზურში ნეპრემენ რამეს გებნები რალა, საკუთარი ოპიტი მიქნია — კმ ჩემ სათრიმლე თავზე გამოვცადე ყველაფერი.

რაო? ვინ შენა და ვინ ახოტნიკიო? ვა, რა მაზალოა, და! ახარ მე რომელი პასლედნი ვინმე მნახე, რომა მაგისთანა ბრიაბრო მიშვრები? რაც ეს „სოხგრუზა" შამაილეს მთელი თბილისი თავისი ქალიან-კაციანათ ყველა ახოტნიკები გახდნენ, ძაბრილოკიაანთ დარჩუა და ზარაფ სტეპკუას შვილი ვართანაც კი ახოტნიკების საიუზში შავიდნენ; ყველა დადის, ვისაც რი თშაუძლიან ნადირობს, ყველა მარაქაში ერევა, — მე იმათზე ნაკლები ვარ?

ჰუზურში ჩემი ახოტნიკათ გახდომა კი მართლა სლუჩის საქმე იყო ჰაა! ყველაფერი იმ წურიკა ძაღლის პოვნამა ქნა: ყეენობა დღესა ოარმუკაში, სახაშლამე ხორცი ვიყიდე, ყასაბ იაგორამ ფილეინზე დავესკა დამიწონა; დუქნიდან რომ გამოველი, კარებთან ერთი ძაღლი იდგა და ეს დავესკა იმას გადაუგდე წამოველ. ერთიც ენახოთ, სერებრენი რიადთან რომ მიუხვიე, ეს ძაღლი ისევ წინ ამეტუზა, დამიწყო კუდის ქნევა და გამომყვა. ბევრი უჯავრდი, ჰამა არა ქნა, სახლში მამყვა რალა—ჰაკარაკათ.

ჩემ ცოლს ოსანას ძალიან გაუხარდა და მებნება თუო: — არშაკჯან, ნეტავი ჩვენი იყოს, ჩისტა-კროვნი პაროდაა და ძაან ჭკვიანი იქნებაო. ჰამაც ისეთი ბეწვი აქვსო, რამაო; ეტყობა დიდ.. ოჯახიდან არიო. ვინ იცის, იქნება ნამესნიკის ცოლისა იყო და ეხლა უპატრონოთ დადისო. მიუალერსა, რამეები აჭამა და აღარ გაუშო.

ეს ძაღლი ისე შეგვეჩვია, რომა გარეთ აღარ გადიოდა, ისე კარგი საქონელი იყო ჰამა, ერთი ჩერესჩურ ცუდი ჩვეულება ჰქონდა — ძაან ფინთათა გვსუნავდა ხოლმე. ჩვენი კვარტერანტი ისაკა, აი ტარტაროზის უსტაბაშათ როა რალა, იმან ჩამაცივდა თუო:

— არშაკჯან, ძაან ბედი მოგივიდა, რომ მაგისთანა ნასწავლი ძაღლი იპოვეო, სოხგრუზაში რო წაიყვანო, მენდალს მოგცემენო! ჰამაც ერთი ახოტნიკი ძმა-კაცი მყავს, ხოზიკას ეტყვიანო, იმან დაკარგა ტოჩი-ტოჩ მაგისთანა ძაღლი და რო მიჰყიდო კაი ფულს გაიმეტებსო. თანაც იმისი პამოშნიკი ხუდოჟნიკ დავითა. აი დონი რომ არის რალა, რომელიც რომ ფარსადანს უხატამს ხოლმე ჩვენი ჰამქრის სიფათებსა. იმან მებნება რომაო, ეხლა სოხგრუზამ გაზეთებში დიდი აბიავლენია ქნაო, რომ ვისაც მაგისთანა ძაღლები გყავთო, ჰამ ჩლენ-საიუზათ ჩაგწერთო და ჰამაც დიდი პადარკა მოგცემთო.

მე და ოსანას ჭკვუაში მოგვივიდა, ეს ამტოლა ნალოგები მაქვს, არავინ ლგოტას არ იძლევა; ჩლენ-საიუზა რომ გამხადონ, მაგისთვის ახოტნიკათ კი არა, შამილის ვაენშიც რომ გამგზავნონ, უარს არ ვიტყვი მეთქი,— ჰამაც სანადიროთ ხომ მარტო არ წავალ, რომ კურდღლებისა და რამეებისა შემეშინდეს, კამპანიას გავყვები და როცა ისინი წინ წავლენ, მე უკნიდან ვინადირეფ მეთქი. დახოცილ დიჩსაც ავეტიქას მიუტან და იმის პასტავჩიკი გავხდები მეთქი.

მეორე დღეს წავიყვანე ეს ჩემი ძაღლი და მონადირეების გლავნი საიუზში მივედი. იმათი სეკლეტარი ძაან გაფხვერილი შამხვდა, ერთი პირტიტველი ჯეჭელი იყო: ჯერ ჩემი ვინაობა და გვარი შვიბობა იკითხა, მერე ძაღლზე ხელი მიმიშვირა დამებნება:

— ეგ ძაღლი ვისი შვილიაო, მაგის მშობლები ვინ არიანო. იმათი პრაისხაჟდენია და ოჯახიო, მაგისი ნათესავები და ნაცნობებიო, მაგისი ცოდნა და სტაჟიო? ყველაფერი პადრობნათ მითხარიო.



ვა, ეშმიში გავხდი, ვიფიქრე: ეს ლუკუსლუს ან მთვრალია, ან მასხარათ მაკეთებს, ან კიდევ ტარტაროზი წაუკითხნია და ამ ჟილა ჰუზმოზე ხუმრობის გუნებაზე დამდგარა მეთქი... სიცილით ვებნები:

— დალოცვილო ისლა გაკლია. რომა ამისი მეტრიჩესკი ვიპისკა და ტერ-გირქორას ფეჩატ-დარტყმული ნათლობის ქაღალდი მამთხოვო მეთქი. რის მშობლები, რის ნათესავები, რის ფლანი და ფსტანი, არა რომ ძაღლი-ძაღლის შვილი იქნება, მაგის მშობლებს რასა ჰკითხულობ მეთქი?.. იცინის.

— თუ ეგაც არ იცოდი, ჰაშ აქ რას მოგყავდა შენი გონჩიო. აქ ჩვენ ძაღლების ანკეტას კადგენთო და მთელი იმათი პრედკების წონ და ჰარიფათი უნდა ვიცოდეთო!.. ზოლოს მეკითხება რა ნადირს უფრო იჭერს შენი ძაღლიო.

— მეთქი, ჯერ არ მიცდია, ეხლა რომ კვირა მოვა, მაშინ ვაპირეფ ახოტაზე წასვლას და მაშინა ენახამ რა ჰუნარებს გამაიჩენს მეთქი. გაიცინა, ჩრეზმერნათ ეშმაკურათ შამამხედა და მებნება. ეგ კარგი რეშენიააო. ჯერ წადი, ინადირე, ძაღლის ამბავიც გაიგე და ჰამაც რამე თუ არ მოჰკალი, საიუზში ვერ შაგიყვანთო. პირველი ნანადირევი აქეთ ჩამაატარე და მაჩვენეო, რომ მაშინ ზაკლუჩენიას გავაკეთეფო...

ნუ, რას ვიზამდი, ხათა გადავიკიდე რალა... შაბათ დღეს ჩევიწყე სუმკაში პრავიზია, ავილე ჩემი ქვისლი გიგუასგნით ამ 2 წლის წინათ ჰობარებული თოფი. წავიყვანე ძაღლი და წავედი. სოლოლაკის თავზე რო აველ და ქალაქს გადმოვხედე: გულში დარდი ჩამივარდა: — არა შე ახმახო ჩემო თავო, რო ჯგილია თავი და მიდიხარ, რომელი ზელიმ-ხანი შენა ხარ, რომ ამ სიშორეზე მარტო ინადირო. არ გეშინიან აქ ტურების ხაშლამა გახდეე? ამ დროს ერთმა მერძევე დედაკაცმა ჩამაიარა. სალამი მივეცი და ვებნები:

— მადამჯან, ამ შოშიის გზაზე აპასნი ხომ არ არის. სიარული. კურდღელი, ტურა რამე ხომ არ იცის მეთქი?

— გაიცინა კაკოი სმეშნოი ახოტნიკ, ზაიცა ბაიცაო! ამ შოშიაზე ტურებსა და კურდღლებს რა უნდა. ქალაქური ქათმები და კატები აქა სეირნობენო. გული მამეცა— და ცოტა ნაპირზე გადაველ... ამ ბემურაზმა ძაღლმა აქეთ-იქით სირბილი არ დაიწყო?! ყელზე რემენი მოვაბი. და ხელში დავიჭირე, რავიცი. კაცხი ვართ. იმან რო გამექცეს და მე მარტო ან კურდღელი, ან ტურა შამხვდეს ხომ გული გამისქდა. თოფშიც პატრონას არა ვდეფ. ვფიქრობ, თუ წინდაწინ რა საჭიროა, თუ რომ კურდღელი ვნახო, მაშინ ჩავდეფ და ჰამაც მამენტალნათ გავისვრი მეთქი.

კარგა ხანს ვიარე. ბოლოს ბუჩქებთანაც მიველი. ერთიც ვნახოთ, შიგ შუა ბუჩქებში რალაცამ არ დაიფრატუნა? მერე სრაზუმ მავი ფრინველი აფრინდა წიოკობითა, ალბათ არწივი იყო რალა, გული გამისქდა და ვყვირი:

— ძალლოჯან, დერჯი ემუ, ყოჩალათ იყავი, ორივე არ გაგვაფუჭოს მეთქი! თან უკან გამოვრბივარ...

საქმეში ხარ? რის ძალლი, რის ბოზბაში; იმან რემენიდან გამძვრალა და ჩემზე უარესათ შეშინებული გარბის. ეს რომ ვნახე, უფრო მოვკურცხლე და უსუნთქებლივ შოშიის გზაზე გავჩნდი... ნეჩაინათ უკნიდან ვილაც მიყვირის:



— ძიაჯან, საით გარბიხარ, რაშია საქმეო„:. მივიხედე, ორი სოფლელი ბიჭი მოდის ქალაქისაკენ, ერთსა ზურგზე მოკლული კურდღელი ჰკიდია, მეორეს კი იხვი. მე შემრცხვა და ვებნები:

— ერთი შველი დავინახე, თოფიც ვესროლე, დაიჭრა„ აქეთ გამომექცა და იმას მოვდევდი მეთქი... ისინიც ამყვენენ და ძებნა დაიწყეს. ბოლოს ვებნები:

— ნუ, ჩორთ სნიმი, ალბათ ყისმათი არა ყოფილა, თოლ, წავიდეს, მე სხვასაც მოვკლამ მეთქი... ბოლოს იმათგნით იხვი და კურდღელი ვიყიდე და წამოველი. გზაში მებნებიან თუ, ჩვენს სოფელში ბევრი მგლები გაჩნდაო და ქალაქიდან ახოტნიკების კამანდა უნდა წავიყვანოთო...

მეორე დღეს ვაჟნათ მივიტანე ნაყიდი დიჩები ახოტნიკების საიუზში და იმ სეკლეტარს ვებნები:

— ისე რალა, კამაც-კამაც, ერთი ოცი მინუტით გაველი კრწანისის ხარეს და ეს ორივე ერთის სროლით მოვკალი, როცა ორივე ერთათ გარბოდნენ მეთქი. ჰამაც ერთი შველი დავჭერი და ბოლოს დამენანა, აღარ მოვკალი მეთქი! იმან, რალაც პადაზრენიით მიყურებს და მებნება რომაო:

— ეს როგორ შაიძლებაო, კურდღლის და იხვის მოკვლა ერთის სროლით ვის გაუგონია, როცა იხვი დაფრინამს და კურდღელი კი გარბისო. ჰამაც შველს კრწანისში რა უნდაო.

— ჰოო, შაიძლება მაშ ირემი იყო, ან გარეული კაბანი მეთქი, ჰამაც ჩვენი მექათმე სანდროუას იხვები სულ ეზოში დაიდიან, ერთხელ გაფრენილი არ მინახია და რალა ჩემთვის ისწავლიდა მეთქი გაფრენასა, მახსარათ მაკეთეფ?

გავჯავრდი რალა! იმან კი იცინის.

პუპუზ! ამ დროს ის ლუპუსტაცი ბიჭები არ შამოვიდნენ, რომლებმაც იხკი და კურდღელი მამყიდეს? მე გავინაბე.

— იმას ებნებიან ჩვენი სოფლის ალმასკომმა გთხოვათო, რომ პაჟალუსტა ახოტნიკები გამოგზავნეთო ჩვენში მგლებთან საომრათაო... ლაპარაკის დროს მეც არ მიცნეს? ერთი ლუპუსტაცა მოვიდა მებნება:

— ძიაჯან, შენ იალლიშათ მოსულხარ და მაგ კურდღლისა და იხვის ფასი სწორე არ მოგიციაო. ჰამაც ფულს უკან მაძლევს... იმ ახოტნიკების სეკლეტარმა ყველაფერი გაიგო, დაიწყო სიცილი და მებნება:

— შენ ნამდვილი პირველი სორტის ახოტნიკი ყოფილხარ, ტრაბახში ვერც ერთი მონადირე ვერ გაჯობებს, სოხგრუზში ჩაწერა რალათ გინდაო?.. მე ძალიან გავჯავრდი, ყალ-მაყალი დაუწყე:

— მეთქი, წადით, თქვენი უბნის წყალიც დაშრეს და ვინც რომ თქვენი მუნათი გახდეს იმისიცა, თქვენი ჩლენობა აღარ მინდა მეთქი — და მამენტალნათ გამოვიქეცი.

მაშ ერთი შენ მითხარი, მე რომ ყისმათი მქონოდა, ის ჰარამზადა ტეტიები იქ შამოეხეტებოდნენ და ახოტნიკათ ჩაწერას დამიშლიდნენ?

ფარსადან„

# რიპრიპო ჭურაძე

რიპრიპო ჭურაძეს, როცა პაკეტი გახსნა და წაიკითხა:

**„...თანახმად სამმართველოს დადგენილებისა № 10086—48 ა.-წ. 26 ივნისს თქვენ დანიშნული ხართ ქეტო ტრესტის გამგეთ. გევალებათ ამ მოწერილობის მიღებიდან ათი დღის განმავლობაში შეუდგეთ მუშაობას თქვენს ახალ თანამდებობაზე".**

ჩაეცინა. მისთვის მაინცადამაინც საკვირველი არ იყო ეს ამბავი ;იგი ამას დღითი-დღე მოელოდა, თუმცალა არა ასეთ დიდ თანამდებობას, როგორიც არის ტრესტის გამგეობა.

— რა თქმა უნდა, ასეც უნდა მომხდარიყო. განა ტყვილა დავსწერე გაზეთებში ხუთიოდე წერილი ბიუროკრატიზმისა და, საზოგადოთ, „კანცელიარშჩინის" შესახებ? ან და, განა, ტყვილა გამოვდიოდი ყველგან და ყოველ კრებაზე ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ,ვასაბუთებდი სამმართველო აპარატების განმარტივების საჭიროებას და ვასახელებდი კონკრეტიულ ღონისძიებებს იმათ ცხოვრებაში გასატარებლად? დღეს ხომ, კაცმა რომ კარიერა გაიკეთოს არსებობს გარდა ყოვლად ძლიერ პროტექციისა, კიდევ ორი საშუალება. ერთი: სწერე გაზეთებში ერთი და იგივე აბდაუბდა; მეორე: ყველა კრებებზე (და კრებები ხომ ღვთისწყალობით უამრავია ყოველთვის) გამოდი და რიხიანი სიტყვა წარმოსთქვი... აი, ამგვარად—პრესით და მოხსენებებით შენ მიიპყრობ ყურადღებას, თვალზე აგიღებენ, მხედველობაში ეყოლები და... ერთ მშვენიერ დღეს, როგორიც დღევანდელი დღეა, —შენ, ჩემო რიპრიპო ჭურაძევ, ქეტო-ტრესტის გამგეთ წამოგჭიმავენ—კმაყოფილებით ფიქრობდა რიპრიპო

— ! —

რიპრიპო შეუდგა მუშაობას.

— არც ერთი ქაღალდი უჩემოთ არ შეადგინოს იშვიათ შემთხვევაში, შეიძლება დაშვებულ იქნას ქაღალდის დაწერა... რა საჭიროა ეს კანცელრიაშჩინის ლაბირინტი, რომელშიაც არა თუ ჩვეულებრივი მომაკვდავი ადამიანი, არამედ კუდიანიც კი დაიბნევა, გზას ვერ გაიკვლევს და კისერს მოიტეხს—ეუბნებოდა თავის კაბინეტში რიპრიპო ჭურაძე ქეტო-ტრესტის საქმეთამმართველს ამ სიტყვებს, რომლებიც არაერთხელ წარმოუთქვამს კრებაზე და გაზეთებშიაც მოუთავსებია; ამიტომაც იყო, რომ დიაკონის „მამაო ჩვენო"-სავით მიაგრიალებდა დაზეპირებულს.

— : —

— ეს რა ოხრობაა?!—გაკვირვებით წამოიძახა რიპრიპომ, როცა მას ჯამაგირის უწყება მიუტანეს ხელისმოსაწერად. — კაცო, აკი გითხარით, რომ არავითარი ასეთი ქაღალდები არ დამანახოთ მეთქი? — და რიპრი-

# ო ც ნ ე ბ ა კ




დგას მოქალაქე კართან.
სურვილებს თავში იკრებს...
და მისცემია მისი
თავი ამნაირ ფიქრებს:

— ფული რომ მქონდეს... მგრამ
ვსთქვათ:—თითქოს მაქვს ფული...
შევდივარ მე პასაჟში...
ხტის და თამაშობს გული.

მომართვით კოსტიუმი
ინდიგო, კოვერკოტი,
რაც შეიძლება ჩქარა...
წარმომიდგინეთ „სჩოტი".

და გამოვიწყვე ისე,
როგორც ვაჟარი დიდი...
მივდივარ შემდეგ იქით
და მაქვს ნაბიჯი მშვიდი...

აბა პერანგი ჩქარა
და მისი „ზაპონკები",
„ღალსტუკი" აბრეშუმის
და ზამშის „პერჩატკები".

ჩავიცვი, გამოვიწყვე.
გულ-მკერდს მიმშვენებს ბანტი
ცოტა მიკლია რაღა
გავხდე ნამდვილი ფრანტი.

საჭმელიც აქვე
სასადილო და
ყავა და ჩახოხ
და თანაც სია

ვჭამე, გავძეხი
ვით საქმე მიკ
მუცელზე გავი
-და გამეზარდა

ზომ უწყება ოთხად გახია. — რა საჭიროა ამდენი დავიდარაბა!? რამდენი შრომა, რამდენი ქაღალდი, კალამი, მელანი, საშრობელი ქაღალდი და რა ვიცი კიდევ რამდენი ხელფართი არ უნდა ამის შედგენას? რა საჭიროა ყველა ეს!? არაფერი. ამას სჯობია — თვითეული მუშა-მოსამსახურე მოვა და მოლარისაგან მიიღებს ჯამაგირს...

— კი მაგრამ,—ხელი არ უნდა მოაწერონ ჯამაგირის მიღების შესახებ?—

— ი ი ი ი ე! დაიწყო ეხლა ამან თავისებურად. გეუბნები კაცო, რომ არ არის საჭირო.

ბუღალტერმა მხრები აიწია.

— ჰო, ჰო, ნუ გიკვირთ, ნუ... კანცელიარშჩინა და ქაღალდოშჩინა უნდა მოისპოს, მოისპოს.—და როცა რიპრიპო მიუბრუნდა კაბინეტში შემოსულ მოანგარიშეს, რომელსაც ხელში ქაღალდები ეჭირა, ბუღალტერს გულში ჩაეცინა, დრო იხელთა, გავიდა და კარიდორში სიცილი წასკდა.

— ხომ არ შეჰქანჯალებულა? — გაიფიქრეს მოსულებმა, ერთმანეთს გადახედეს და ყველას გაეღიმა, რაც ნიშანი იყო იმისა, რომ ყველა ერთსა და იმავეს ფიქრობდა.

— რაშია საქმე? — უთხრა რიპრიპომ მოანგარიშეს.

— აი ეს, ხელი უნდა მოიწეროთ, რომ...

— ეს რა არის? რისი უწყებაა?

— მუშების დღიური ნამუშევარის ჩამოთვლა თუ თვითეულ მუშას რა და რა ნივთი და რამდენი გაუკეთებია...

რიპრიპო უცქეროდა ციფრებით გავსებულ ქაღალდს და ეცინებოდა. თქვენ რომ ამ დროს ის დაგენახათ, აუცილებლად მოგაგონდებოდათ მეორე ნაწილ „დედაენიდან" შემდეგი „მელია იცინის, იცინის,—კუდება სიცილითა".

რიპრიპომ სიცილით შუაზე გახია უწყება და სიცილითვე შეხედა მოანგარიშეს, რომელმაც არ იცოდა, თუ როგორ დაეჭირა თავი თავისი უფროსის წინაშე, რომელიც იცინის და ამავე დროს კაცს თავზე ახევს ნამუშევარს.

— როგორ?.. შეცდომა იყო?!—ძლივს ამოილუღლუღა მოანგარიშემ.

—დიახ! ბატონო ჩემო, დიდი შეცდომა, თავიდან ბოლომდი სულ შეცდომა...

— გეჩვენებინათ მაინც თუ სად იყო?

— წადი ბუღალტერთან, რომელიც აქ იყო, უთხარი ყველაფერი ეს და იგი გეტყვის თუ რა შეცდომა იყო.

— ! —

რიპრიპოს რეფორმებმა კარგი შედეგი გამოიღო: რადგან „ქაღალდოშჩინა" მოისპო, შტატის ყოლაც აღარ იყო საჭირო,—მთელ შტატში დარჩა ოთხიოდე კაცი. გაჰყიდეს: რემენგტონები, საწერი მაგიდები, შკაფები და სხვა საკანცელარიო ნივთები, რომლებიც „აპარატის განმარტივების" შემდეგ აღარ იყვენ საჭირო.

— ! —

— ბოდიში ვიხდი, მაგრამ ცენტრს უნდა ვუპასუხოთ და ამ ქაღალდზე აუცილებლად ხელი უნდა მოგვიწეროთ!—მოკრძალებით მიმართა საქმეთა მმართველმა რიპრიპოს და მაგიდაზე ხელმოსაწერად ქაღალდი დაუდო.

რიპრიპომ წაიკითხა, უსიამოვნოთ დაიმანჭა, მაგრამ წითელი ფანქარი მაინც აიღო ხელისმოსაწერად და მან, როგორც ოდესმე ნერონმა, სთქვა:

— ოჰხ! ნეტავი არ ვიცოდე წერა! — და საჩქაროთ

# ე ს ა უ თ ა ნ




გაძღომის შემდეგ უფრო
ნაზიკი არის ნელი;
ჩავუვე და იქვე ვნახე
სხვადასხვა ფეხსაცმელი.

კოხტად ჩავიცვი ფეხზე
ტუფლები და კალოში;
ლამისთვის შევიძინე
მე მოქარგული ქოში.

მორჩა, გათავდა,—მაგრამ
ეს რა იტაცებს თვალებს?
კეთილი სურნელება
უყვარს კაცს, როგორც ქალებს...

და მე ვიყიდე: „კრასკა",
პუდრი, „დუხი" და მაზი,
რომ გავხდე ამათ წასმით
ხვასავით მეც ლამაზი.

და გამოვედი გარედ,
სულ სხვა კაცი ვარ ეხლა....
ვერ მიცნობს აწ ვერავინ
თუნდაც ხვდეს მას ჩემთან შეხლა.

ჩემსავით ბედნიერი
სხვა ვინ იქნება ნეტა!?
მეი, მეეტლევ, ჩქარა
მომართვი მე კარეტა...

მოაწერა ხელი — გაიტანეთ, არ დამანახოთ! — დაუმატა, ადგა და ბოლთას ცემა დაიწყო.

— : —

— კი მაგრამ ასე როგორ შეიძლება? უბრალო მაგალითი ავიღოთ; თქვენ ჯამაგირის მიღების უწყებასაც არ ადგენდით და მუშა-მოსამსახურეთ ხელს არ აწერინებდით. ჩვენ როგორ უნდა გავიგოთ, რომ ამდენი და ამდენი ფული ხელფასს მოხმარდა? — ეუბნებოდა რიპრიპოს ერთერთი სარევიზიო კომისიის წევრი; სხვა წევრები კი ამ დროს ქვეშქვეშ იცინოდენ.

— როგორ? თქვენ ამაში ეჭვი შეგდისთ!? აი ამ წუთში დაეუძახებ მუშებს და შეეკითხეთ, თუ ჯამაგირი არ მიუღიათ, — და რიპრიპომ დააპირა ზარის დარეკა, მაგრამ შეაჩერეს.

— გვაჩვენეთ რომელიმე მუშის დღიური ნამუშევარის ნუსხა, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ შრომის ნაყოფიერებაზე.—უთხრა სარევიზიო კომისიის მეორე წევრმა.

— ნუსხა რა საჭიროა, მე მოვსპე ასეთი სისტემა. ნუსხის შედგენას ორი კაცი უნდებოდა მაინც, ეხლა კი არც ერთი უნდება... დაეუძახოთ მუშებს და შევეკითხოთ თვითონ იმათ; ეს ხომ უფრო სწორი იქნება.—და რიპრიპომ დააპირა ზარის დარეკა, მაგრამ შეაჩერეს.

გვანახეთ თქვენი შემოსავალ-გასავლის წიგნები.— მოითხოვა სარევიზიო კომისიის მესამე წევრმა.

— არა გვაქვს. რა საჭიროა შემოსავალ - გასავლის წიგნები. შემოსული ქაღალდები არ ინახება; იმათ შენახვას შკაფი უნდა, შკაფს ბოქლომი, უნდა აგვეყვანა ამისათვის მოსამსახურე; ჩვენ კი „აპარატის გამარტივება" დავისახეთ მიზნათ და ამას კიდეც მივაღწიეთ. ისე თუ მაინცდამაინც გაინტერესებთ გაიგოთ, თუ რამდენი შემოსული ქაღალდი გადავყარეთ, ამას დაახლოვებით გეტყვით დამლაგებელი ქალი, რომელსაც ეხლავე დაეუძახებ. — და რიპრიპომ დააპირა ზარის დარეკა, მაგრამ შეაჩერეს.

— : —

რიპრიპო ჭურაძე ეხლა ციხეში ზის და იმაზე ფიქრობს, თუ როგორ გადააკეთოს და შეუფარდოს თავის თავს რუსთაველის სიტყვები: „გველს ხვრელიდან ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი".

ჯერ-ჯერობით უკეთესი შეფარდება და შესწორება ვერ გამოუნახავს გარდა ამისა: „კაცს ციხეში შემოიყვანს ენა თავისი ჭყარტალაო".

მაგრამ რამდენიმე წელიწადს კიდევ უნდა იჯდეს და ალბად, ამ დიდი ხნის განმავლობაში უფრო უკეთეს შესწორებას და შეფარდებას გამოუნახავს.

ისელი.

## ტარტაროზი № 99
## სპეციალური სამთაწავლო
## ნ ო მ ე რ ი

# კ ო მ პ ლ ე ს ი უ რ ი მ ე თ ო დ ი

— ლეონინა, სოფლის მასწავლებელი, გაკვეთილების გათავების შემდეგ შინ დაბრუნდა. მეტად ჩაფიქრებული ნელნელად მიაბიჯებდა და თავისთვის იმეორებდა:

— კომპლექსი, თემა, ქვე-თემა, შინაური ცხოველები, მათი კვება, სარგებლიანობა, კვლავ თემა, ქვე თემა და სხვა.

შინ როგორ მივიდა ლეონინა. არც კი შეუმჩნევია და გამოერკვა მხოლოდ მაშინ, როცა დედამ მიაძახა:

— შვილო ლეონინა, რა მოგსვლია, ჰკუაზე ხომ არ გადაცდი? გვნაცვალოს დედაშენი, რომ ცგრე ხმამაღლა ელეპარაკები თავის თავს?!

ლეონინა დედის შეშინებულმა ხმამ გამოარკვია. შერცხვა, გაწითლდა, თავი უხერხულად იგრძნო და ნერვიულად ჩაილაპარაკა:

— დასწყევლოს ღმერთმა. ეხლანდელი სწავლა, სწავლას აღარ ჰგავს და მოწაფე მოწაფეს. ჩიხოტკა გამიჩინა, გული გამიწყალა პირდაპირ ამ ახალმა მეთოდიკამ კომპლექსია თუ რაღაც ჯანდაბა.

— რაო, შვილო, მეთოდიამ შეგაშინა და კომპრესი უნდა გაიკეთო?! უი, თვალი კი დაუდგეს საწყალ დედაშენს; საკომპრესო ნუ მოუშალოს დედაშვილობის გამჩენმა მის გვარს და ჯილაგს. გულუბრყვილოდ წამოიძახა გულგახეთქილმა ეფროსინემ.

ლეონინეს ნერვიულობა სიცილად შეეცვალა და სიკაპასით წამოიძახა:— კომპრესი კი არა ჯანაბა ჩემს მტერს. — მისცა თავისებური განმარტება სიტყვა „კომპლექსს“ და მუხლებ მოკვეთილივით დაეშვა იქვე სასადილო მაგიდასთან მიდგმულ სკამზე, ეფროსინეს სიტყვა აღარ წამოცდენია. სუფრა გაუშალა და თვითონაც გვერდში მოუჯდა. ლეონინას თუმცა ძალზე შიოდა, მაგრამ კრიჰა ისე შეკვროდა, რომ კბილი არაფერზე არ დაუდგამს. ფიქრებს გაეტაცნა და თავისთვის გულში იმეორებდა: — კომპლექსი, დაკომპლექსება, თემა, ქვე-თემა, შინაური ცხოველები, მათი კვება, კვლავ თემა, ქვე-თემა და სხვა. ცოტა ხნის შემდეგ ლეონინა ტახტზე მიესვენა, თვალები მიელულა, მიეძინა.

რამდენიმე წუთი და კომპლექსისაგან დაშინებული მასწავლებელი გიჟივით წამოიჭრა ჩვენთვის უკვე ცნობილი სიტყვების ხმამაღალი განმეორებით: თემა, ქვე-თემა, კომპლექსი, დაკომპლექსება და სხვა. დაბინდებამდის შფოთავდა იგი, გული ვერაფერს დაუდვა. ხან საკერავს მიმართა, ხან საქსოვს ხან კიდევ ნაძალადევი ღიღინი დაიწყო, მაგრამ ამაოდ — სიტყვა კომპლექსი საფრთხობელასავით თვალებში ელანდებოდა. ცოტა ხანი კიდევ და ფიქრები ბუზივით აერია თავში: ტვინმა ხტომიალი დაუწყო აზროვნების უნარი დაეკარგა. და ძალზე გაბრაზებულმა იატაკზე დაახალა „სამაგიდო წიგნი“, „ახალი სკოლისაკენ“ რვეულები და მელნით სავსე შუშა. პირზე წყალი შეისხა, პუდრით შეითხუპნა, ტუჩებზე კრასკა წაისვა, თმა დაიხუჭუჭა, გამოვიდა აივანზე და მეზობლად მცხოვრებ ახალგაზრდა მასწავლებელ ნიკოს გადასძახა, რომ მასთან ჩამოსულიყო თავის გართობის მიზნით. რამდენიმე წუთის შემდეგ ნიკოც მოვიდა. იხუმრეს, იღლაბუცეს, დრო მოჰკლეს და დაიშალენ.

## ტკბილ - მწარი სიზმრები

ლეონინამ ზევრგვარი სიზმრები ნახა იმ ღამით: ვითომ საქმროსთან კეკლუცობდა, ნეჟნობდა, აღმასკომში ქორწინებაზე ხელიც მოაწერა. გძელი დარბაზი სტუმრებით გავსებულიყო. ნათესავები, ნაცნობები, მეგობრები გაბედნიერებას ულოცავდენ. ერთი მეორეში ირეოდა: ტოლუმბაშის მჭერმეტყველება, კამპანიონების რეჩები, მაყრების ჟივილ-ხივილი, ლეკური, დაირი და სხვა. ლეონინას ტუჩებზე ღიმილი დასთამაშებდა. ხან მოწყენა დაეტყობოდა ხოლმე. ალბათ ის დაწყევლილი კომპლექსი უშლიდა ხელს და მხიარულებას მოწყენად შეუცვლიდა ხოლმე. წუთიც კიდევ და მომხიბლავი სიზმარი შეეცვალა, არა სასიამოვნო სიზმრად. თითქოს გამგის და ყველა მასწავლებლების თანდასწრებით სანიმუშო გაკვეთილს აძლევდა კომპლექსიური მეთოდით. იგი იმავე ახირებულ სიტყვებს იმეორებდა ისევ, როგორც ზევით მოვიხსენიეთ. გრძნობდა, რომ მისი გაკვეთილი გაკვეთილს არა ჰგავდა. გამგე თითქოს დასცინოდა. მასწავლებლების საერთო დაცინვამ კაკალი გული მოსწყვიტა. ერთხელ კიდევ გაიმეორა: თემა, ქვე-თემა, კომპლექსი, დაკომპლექსება, შინაური ცხოველები, მათი კვება სარგებლიანობა და სხვა. გამგე შენიშვნებს აძლევს, უფროსი ჯგუფის მოწაფეები და მასწავლებლები ხმა მაღლა ხარხარებენ. ლეონინა იკრებს უკანასკნელ ძალღონეს, გული გაიმაგრა, მაგრამ მაინც ველარაფერს ხედავს, ველარაფერს ამჩნევს, ავერ



გაიღო კარი და შემოვიდნენ: ცენტრიდან ინსტრუქტორი, განათლების სახალხო კომისარი დავით კანდელაკი,მარიამ ორახელაშვილი, განათლების განყოფილების გამგე, სამაზრო ინსტრუქტორი. ლეონინა გაფითრდა, დაიბნა, აირია, ხელიდან გადაშლილი წიგნი გაუვარდა. ატირდა ხმამაღლა, ატირდა გულ ამოსკვნით. ხედავს თითქოს ყველა მას დასცინის. გარკვევით ესმის განკარგულება: როგორც უვარგისი მასწავლებელი მოხსნილია თანამდებობიდან და სხ. ლეონინამ ერთი დაჭრილივით დაიგმინა და ის ის იყო ლოგინიდან გადმოვარდებოდა, რომ დროზე ეფროსინე არ მიშველებოდა.

ოდილმიდი.

# „გასტროლიორები"

— გავტყაველი ყმაწვილო, კუდის რიკამდე გამხადეს ტყავი ამ შეჩვენებულებმა.—შემომჩივლა ჩემმა ძველმა მეგობარმა რაჟდენმა.

რაჲ ხე ბრძანებ რაჟდენ ბატონო! ალბათ ჯამაგირი შეგიმცირეს და იმიტომ ჯავრობ. უნდა მოვითმინოთ, ხომ იცი, მომჭირნეობის რეჟიმის კამპანია ჯერ კიდევ არ დამთავრებულა: მერე კიდევ ახლა ფასების დაკლების კამპანიაცაა ყოველივე ამან, ალბათ იმოქმედა შენს ჯამაგირზე და ალბად იმიტომ გიკლებენ.

— არა, ყმაწვილო, ჯამაგირი არაფერ შუაშია, ის კი არა, კიდეც მომატებენ. მე სხვები, — გასტროლიორები მაძრობენ ტყავს...

— „ჰო-ო! ალბათ ამ ოპერის გასტროლიორებზე ლაპარაკობ. მიგაია და სხვები რომ არიან. მართალია, მათი ჩამოსვლის შემდეგ ოპერაში შესვლა ძვირი ჯდება. მაგრამ, რას იზამ ეგენი ოპერის ვარსკვლავები არიან... ყველაფერი მაგათ სურვილზეა დამოკიდებული. რა დიდი საქმეა, რომ მიგაისთანა მომღერალმა ერთ გამოსვლაზე ათასი მანეთი აილოს. მართალია, სხვები მაგდენს წელიწადში ვერ იღებენ, მაგრამ ხომ იცი „ვარსკვლავის" ამბავი.

— არა, კაცო, მე მაგ გასტროლიორებზე არ გეუბნები. მე მანტოლიორებზე გელაპარაკები.

— როგორა, გაგქურდეს თუ?

— არა, ქურდებით მათხოვრებს არ გაუქურდივარ.

— გაგძარცვეს?

— დიაღ, გამძარცვეს.

— მერე, მათხოვრებს როგორ დანებდი შე კაცო! ზოგი უფეხოა და ზოგი უხელო; იმათი შეგეშინდა?

— რის უხელო. რის კოჭლი? ისეთი ბიჭები არიან, რომ შენი მოწონებული.

— მერე როგორ მოხდა, თუ ძმა ხარ, თითონ გაძარცვა, ან „შემთხვევებში" რატომ არაფერი იყო.

— გაძარცვა მოხდა და ახლაც ხდება ყმაწვილო, მაგრამ არა პირდაპირი წესით. აი მოგახსენებ:

— ერთი ექვსიოდე თვის წინად სამსახურში მიმოდიოდი. გზაზე შემეფეთა ერთი ახოვანი ვაჟკაცი, მეტად უბრალოდ ჩაცმული. გზა გადამიღობა და მითხრა:

— ერთი პატარა სათხოვარი მაქვს: აი, ამ წუთში გამანთავისუფლეს ციხიდან. სახლში წასვლა მინდა და გთხოვთ ცოტა ფული მასესხოთ.

შევკრთი. შემებრალა, წარმოვიდგინე, რომ ეს ყმაწვილი უდანაშაულოდ. შემთხვევით მოხვდა გამასწორებელ სახლში ახლა გამოუშვეს და სახლში წასავალი ფულიც არა აქვს, რომ რკინის გზის ბილეთი იყიდოსო.

ხომ იცი ჩემი გულჩვილობის ამბავი: ამოვიღე მივეცი ერთი მანეთი, რომელიც ცოლმა სარეცხის საპონის სასყიდლად მომცა.

დიდი მადლობა გადამიხადა, დიდი ბოდიში მოითხოვა და წავიდა. მეტად კმაყოფილი დავრჩი ამ ჩემი ქველმოქმედებით და სამსახურშიაც ხალისიანად წავედი.

მეათე დღეს, კინოში დავაპირე წასვლა. რუსთაველის პროსპექტზე რომ გავედი, უეცრად შემეფეთა ერთი ახალგაზრდა, ჩაფლეთილი ტანისამოსით.

— ჰაეს? (სომეხი ხარ) მითხრა მან წმინდა სომხური კილოთი და გამიღიმა.

— შტო ვი ხატიტე?—შევეკითხე.

— ახ ვი რუსკი? ოჩენ პრიატნო! გამოიცვალა მან კილო და წმინდა რუსული ენით დამიწყო ლაპარაკი.

— ნიეტ, ია გრუზინ—უთხარი მე.

— ოხ, ქართველი ბრძანდებით? ძალიან სასიამოვნოა, სუფთა ქართულით მიპასუხა (ეტყობა ყველა ენაზე კარგად ლაპარაკობდა), ერთი პატარა სათხოვარი მაქვს.

— ბრძანეთ.

— მე გახლავართ მოსწავლე, სტუდენტი და მუშაკელი, მაგრამ ფული არ მაქვს და სწავლის ფული ვერ გადავიხადე. ახლა დავდივარ მშიერ-ტიტველი. არაფერი მაბადია. თქვენ შეგატყვეთ, რომ ქართველი კაცი ბრძანდებით და იმიტომ გავბედე მოსვლა. გთხოვთ... კი მიხვდებით ჩემს მდგომარეობას... თუ არ შეწუხდებით...

გული ამიჩუყდა. (ხომ იცი. ბავშვიდან გულჩვილი ვარ), წარმოვიდგინე ამ სწავლის მოყვარე ახალგაზრდის ოპწიო მდგომარეობა და... ხელში ჩაუდე კინოსათვის გამზადებული ათი შაური. თან ბოდიში მოვიხადე. რომ მეტი არ მქონდა.

ერთი კვირის შემდეგ, როცა ჯამაგირი ახლად მიღებული მქონდა, სადგურის ქუჩაზე წავედი ერთ ნაცნობთან სადარბაზოთ. სადგურის ახლოს გადავეყარე ერთ უცნობს, რომელიც, ღრმად დამწუხრებული დაეხეტებოდა ქუჩაში. დამინახა, შემატყო, რომ ყურადღება მივაქციე მომიახლოვდა.

— თქვენ ღირიმე, თქვენ გენაცვალეთ, მიშველეთ, დავიღუპე კაცი, შემომჩივლა მან. გატყობთ რომ პატიოსანი კაცი ბრძანდებით. ამიტომ მოგმართავეთ...

— რაშია საქმე?

— ოჰ, ნულარ მკითხავთ... დავიღუპე კაცი, მოწმობები დამეკარგა, ამომართვეს... ჩემი მოწმობები და დოკუმენტები. რაღა ვქნა ახლა?

— გაზეთში გამოაცხადეთ და ისევ მიიღებთ.

— მართალია? კი მაგრამ მოწმობეებს თქვენი ჭირი წაუღია ფულები ამომაცალეს... ჩემი და სხვისი. სულ სამი თუმანი სამგზავრო ფულიც შიგ იყო, რაღა მეშველება!..

საშინლად შემებრალა, (ხომ იცი, ბავშვიდან ჩვილი გული მაქვს). გულში საშინლად გავბრაზდი იმ ქურდბაცაცების წინააღმდეგ, რომლებსაც იმდენი სინდისიც აღარ აქვთ. რომ კაცს სამგზავრო ფული მაინც ჩაუტოვონ ჯიბეში.

ავდექი და ნტირალ კაცს მივეცი მანეთიანი. რომე-



ლიც შაქარლამის საყიდლად მინდოდა, რომ ნაცნობ ოჯახის დიძსახლისითვის მიმეძლვენა.

გავიდა ოცი დღე, რომელილაც ქუჩაზე მივდიოდი, შემხვდა ერთი ნაღალი ყმაწვილი, მდარე ტანსაცმელში. გზა გადამილობა და თურქული კილოთი დამიწყო:

— იოლდაშ (ამხანაგო), საზღალი ოღლანი ხარ, ამ საღამოს ციხიდან გაჰოგიშვეს და ერთი კაპიკი არ არის. შენი ჯირიმე, ფულ გექნება, შემეწიე...

მართალია პატრიოტი ვარ, მაგრამ ინტერნაციონალიზმიც მწამს (ძეტრე გულჩვილიც ვარ საშინლად). ჩემთვის სულერთია, გაქირავებული რომელი ეროვნების იქნიბა. ამიტომ ამოვიღე და რამოდენიმე თეთრი ფული გადავეცი. რომ დავშორდი, პერე გამახსენდა, რომ ეს კაცი თითქოს ეცნობა. მაგრამ არ ვიცოდი სად მენახა.

მეორე საღამოს კიდევ გადავეყარე ერთ უცნობს, რომელიც დამეღრიჯა: — შენი ქირიმე, ხაპერჯან, მოწაფე კაცი ვარ და პურის ფული არ მაქვს... ერთი, ისემე, ცოტა ფული მომეცი, რომ სადილად მაინც მეყოს. დიდ ბოდიშს ვიხდი. მარა რა ვქნა ძმაო...

გულჩვილობის გამო ცრემლები ძლივს შევიმაგრე ამ საცოდავი ყმაწვილის ნახვით. ამოვიღე და სადილის ფული გადავეცი.

რამოდენიმე დღის შემდეგ... კიდევ შემხვდა ის ახოვანი ვაჟკაცი, რომელიც ციხიდან გამოეშვათ.

— უკაცრავად, აი ახლა გამომიშვეს ციხიდან და თუ შეიძლება რაიმე დახმარება გამიწიოთ. მომმართა მან.

— კაცო, შენ ერთი თვის წინად არ მითხარი ახლა გამომიშვესო, ნუთუ კიდევ დაგიჭირეს... თუ ტყუილს ამბობ?

ვაჟკაცს თითქოს შერცხვა; თავი ჩაღუნა და გამშორდა. მეორე დღეს, საღამოს, როცა სახლში ვბრუნდებოდი, გვერდიდან მომესმა: — იოლდაშ, საზღალი ოღლანი ხარ, ახლა გამოგიშვეს ციხიდან... ზოტა ფული გექნება, შემეწიე...

შევხედე. ის იათარი იყო, რომელიც გუშინდამაც ვნახე. დავაკვირდი და ვიცანი, რომ დილით ეს „თათარი" ქართულად მთხოვდა ფულს, როგორც ახლად განთავისუფლებული პატიმარი.

— დაიკარგე შე სალახანავ, აღარ გრცხვენია ამდენი სიცრუის? — შეუტიე, მაგრამ მანაც მიცნო და შერცხვენილი გამშორდა.

მას შემდეგ რამოდენიმეჯერ შევხვდი: „მოსწავლეს", რომელმაც სიღარიბის გამო დაანება თავი სწავლას; ვაჟკაცს, რომელიც „ახლად გამოშვებულია" გამსახლიდან, უცნობს, რომლისთვისაც მოწმობები და ფული ამოურთმევიათ ჯიბიდან, უკვე ერთი წელია ამათ ვხვდები ქუჩაში, მაგრამ მცნობენ და პირს მარიდებენ, მაგრამ რაღა დროს, ჩემით საკმაოდ იხეირეს, ჩემი გულჩვილობის გამო... დასრულდა რაჟდენმა.

ალლარ-ალლარსან.

# გასათხოვარი

## გურული სცენა

**ეფროსინე:** ბეჩა პელაგი, ერთ წამა მოდექი აგერ სალორიასან, შენ შემოგევლე თავზე.

**პელაგი:** კი გენაცვალოს ჩემი თავი.

**ეფროსინე:** შენი თავი მიცოცხლოს მარიამ ღვთიშობლის მადლმა. რავა ბრძანდები პელაგი ჩემო?

**პელაგი:** გმადლობთ შენ გენაცვალოს ჩემი თავი; სული ქე მიდგანა ჯერე და მეტი რაი. ამ ძაღლის იალონზე ბეჩა რეიზა შეწუხებულხარ ა?

**ეფროსინე:** რეიზა ბეჩა და იგი ერთი გოგო, რომ მიგდია სახლში, დამიძმარდა, — და ქმარი ვის რად უნდა!? ექვსი წელიწადია რაც 25 წლის გახდა და ეხლა კი ველარ მოვიკარე იგი ფეხ-მოსანტროვი შვამავლები. მისი დედა შეჭამოს მიწამ, — ხო, იმას გიჩიოდი, — ერთ სერელ მელინციონერს უნახავს და უთქვამს, რომ თუ კაი მზითი აქვს შევირთავო, — თვარა და მაგფერი ასი მეძლევაო.

ასე რომ ჩაცდა გოგოს ყურში თვარა, დეიწყო ტირილი, ტირის, ტირის, ტირის, ამეილო გული და მაგარე. მე ვიფიქრე, რომ არ ესიამოვნა მილინცია მეთქინ და იმიზა ტირის მეთქინ. თურმე ისე შეჭრია გულში, რომ, — იმას თუ არ წამაყოლენ ხევისწყალაში დავიხჩევ თავსო. ხო-და იმიზა მევედი ბეჩა, — შენი ქმრის სულის განათლებამ, ერთი კარდალე, ერთი ქესტი, ერთი ხუთი ღვინის ჭიქა, საინი, კოჭობე, პირსახოცი, სამარილე, სარკე და სავარცხელი მათხუე. პირსახოცს ისე დავკიდებ კარში, თვარა ხელს ზედ არა კაცს შევახოციებ.

**პელაგი:** ვინ არის ბეჩა მაგი შენი სასიძო? სიდოურია?

**ეფროსინე:** სერელი გახლავთ შენი ჭირიმე, სერელი...

**პელაგი:** სახლში მუშაობს, თუ სამსახურის კაცია?

**ეფროსინე:** სამსახურის შენი ჭირიმე, მილინცია ყოფილა, შემოგევლოს ეფროსინეს თავი: იგი და ალმასკომის თავმჯდომარე სულ ერთად, დადიან თურმე — ქორწილში, ტირილში, ნიშნობაში, ნათლობაში, ორმოცში, დღესასწაულებში და ჯარიანობაში. ტოლიბაშათ რომ თავმჯდომარეს ეირჩევენ თურმე. თავმჯდომარე იტყვის: — მე ერთი კვირეა სულ სმაში ვარო და ჩემი კანდიდატი კოზმანე არისო. ეგ ჩემი სიძეც დგება თურმე და იმფერ რეჩებს იტყვის, იმფერს, რომ მთელ ხალხს ფეხზე აყენებს თურმე. ხალხიც იძახის თურმე — დიდი პოლიტიკური კაცია და თავმჯდომარე თვითონ ეგ უნდა იყოსო. მალე თურმე „სტარში" მილინცია გახდება და ჯამაგირიც დიდი ექნება.

**პელაგი:** ბეჩა, შენ რომელ ალმასკომის თავმჯდომარეზე ლაპარაკობ, ის ხომ არ არის ტანტაროზში რომ იყო გუშინ?

**ეფროსინე:** ხო ბეჩა, ხო, იმფერი გაზეთი არ არის თურმე ის და ჩემი სასიძო, რომ არ იყოს შიგ.

**პელაგია:** კარგია, კარგი, ჩემო ეფროსინე; ღმერთმა მზე და მთვარესავით შეაბერონ ერთმანეთს. ბეჩა ბეგლარიამ მეიტანა გუშინ იგი ტანტაროზია თუ რაცხა, იმხელა რქებია, იმხელა, რომ ჩემი კლავი მის რქებათნ თითად არ გამოჩდება. ტანზე ერთი ცახე შარვალი აცვია. რომ შევხედე, უცბად გავაგდე ხელიდან, მარა მაინც სამჯერ მესიზმრა წუხელის და კინაღამ გამაფშეკია ფეხები. ბიჭმა თქუა: — მაგ ტანტაროზშია იგი თავმჯდომარეო... თურმე ღვდლებს ალამფორიანა ჭამსო. თელი კახეთის ღვდლები შეუჭამიაო. შეცოდვება საწყალი ალმასხანე; აქეთ რომ გამეიაროს, პირველად იმას შეჭამსო. ამბობენ: — ვისაც ხალხის ქონება აქვს ნაჭამი, მას თვალებში ატყობსო და მუცელში აგზავნისო.

ძნელ-ოღლი.



# ტარტაროზი

## ჭოკნარი

ტარტაროზ, სოფელ კოკნარში
გვყავს ორი ჩარხი ძველია,
შუმკოპის გახსნით, ძველ გვამებს
მუძტარი შეძოელია.
მათ ძოიგოხეს წარსული
ჩვეულება და „მოშეხტი“
ჩარხის სახელებს გაგაცნობთ
გახლავთ: ანტონ და დომენტი.
ბებერ კოფაკებს ამ დროშიც
არ შესწყვეტიათ მსვლელობა.
მისვე დუქნებში დაიწყეს
ტრადიციული ხელობა.
ქუთაისიდან მოზიდეს
ძარ კალოდი კარტია
შემდეგ ახალი ტეხნიკით
შექმნეს „აჩკოთა“ პარტია.
დღე და ღამობით დუქანში,
გაისმის აურზაური....
ბევრმა დასტოვა იმათთან,
უკანასკნელი შაური...
ჩარჩები თითონც თამაშობს
დანიშნული აქვთ კარტია,
„სტუკის“ ფულს როგორც საწივროს
იხდის „აჩკოთა“ პარტია...
ჩარჩები ხშირად შარაზე,
გლეხებსაც უგებს მახესა,
და აძულებენ უდროვოდ,
ცოლის და შვილის სახესა.
ტარტაროზ, ერთი როგორმე
ჩამოდი ამ ჩვენ მხარეში
და ჩანგლის წვერზე დააცვი
ამ ორი ჩარჩის თარეში.

„წითელი მასკა“.

## ჩემი ანდერძი

რა მოდა შემოსულა
ამ ჩვენს დედა ქალაქში;
ქალვაჟნი წყვილად დადის
მუსაიფსა და ლაქლაქში..
სცუბრობენ ნოტებზე,
გგონიათ ბატკნებია,
მოუხვევენ ბნელაში
და კოცნებით სტკბებიან.
სამ სართულიანი კაბა
სწორედ მოხდენილია,
ტუჩზე კრასკა, პომადა,
ყელიც მოღერილია...
წელს მოჭერილი კაბა
მერე და იცით რავა.
სწორედ მოსაწონია
იმისი სქელი გავა.
იმათ შემხედვარეს
აღარა მაქვს ფერი
მე რომ გუნებაზე გავხდი,
ისე შენი მტერი.
იცი რომ გათბება.
გატიტვლდება ყველა,
მეც გენია დამწვავს
დამქირდება შველა...
და თუ მნახოთ მაშინ,
ვიყო ცოცხალ მკვდარი,
არ იფიქროთ ერთომ
მკუაზე ვიყო მცდარი.
მოვკვდე საცოდავათ
გადაავლეთ თვალი,
ტიტველ ქალებს ნახავთ
მათ დადევით ბრალი.
საფლავზე ისე წამიღეთ.
არ გამომყვეს ქალი,
ეკლის ლობე შემომარტყით,
არ ჩნდეს მათი თვალი...

ყაცო.

## ქუთაისიდან

გასაოცარი ამბები
ქუათისში ხდება.
ბევრი ნახავს აქ თავის თავს
გულში რომ მოხვდება.
ხეტიალობენ ქუჩაში
სანამ დაღამდება,
რის შემდეგაც კინოსაკენ
ისევ განახლდება.
კინოებში ძმა-ბიჭები
უბილეთოთ ძვრება,
სურათს ცოტა ხანს ხედავენ
მალე მობეზრდებათ.
თუ თეატრში „არის რამე“,
ყველა ეშურება.
„გალიორკა“ მათ ხელშია,
წინ ვინ დაუდგება.
ზოგიერთებს, ვისაც ხვალე
ჯიბე სქლად ექნება,
გაჭედილი ფაიტონი
ადრე მიადგება.
მიკიტანსა სიხარულით
ენა დაებმება,
ფიქრობს: „ამათ გაძღომაში
რა ფული მერგება“.
ღვინოები რომ გათავდა,
საინები ტყდება,
არღანიც ხომ მოიშალა,
ღამე ახლოვდება.
მიკიტანსა „შჩოტი“ მოაქვს,
თვალი უბრწყინდება,
ფულიანი ძმა-ბიჭი კი,
სადღაც იპარება...
„იზვოშჩიკი“ წამოხტება,
„ფული მეც მერგება“.
მაგრამ უფულო ჯამაათს
რაღას გამორჩება.
ამ ქაოსში მილიცია
თავზე წაადგება,
და უფულო მთვრალთა ჯგუფი
კუტუზკაში ჯდება.
„ტარტაროზო“, მაგ ჩანგალი
აქ გამოგადგება,
იმედი მაქვს გაირჯები
არ დაგეზარება.

ვერმიცანი.

## ჩაქალადევის გოლგოთა



# ჯოჯოხეთის კუთხე



## მიბაძვა

თუმცაღა ქვემოდ მოთავსებული სურათი თავისთავად მეტყველია, მაგრამ საჭიროა ზოგიერთი დამატებითი განმარტებანი.

ეს გახლავთ დარაჯი ნემსაძე, რომელსაც ცაგერის დრამ-წრის გამგეობამ უარი უთხრა ექვსი თვის ხელფასის დავალიანებაზე.

თქვენ იტყვით:—რატომ? რა უფლების ძალით სჩადის ამას დრამ-წრის გამგეობაო?

ინებეთ პასუხი:

— **ჩვენ კი არა, საბჭოთა რუსეთმა უარჰყო ძველი ვალები!**

ნემსაძე ემშვიდობება ექსვი თვის ხელფასს და ასე დასტირის:



— მშვიდობით ჩემო საყვარელო ხელფასო; არ ვიცოდი—თუ ეს დღე მოგელოდა, თორემ რა ღმერთი გამიწყრებოდა მე იმათ ვემსახურებოდი.

## ორნი არიან... ტოლნი არიან...

სამი რამ გვიყვარს ამ ქვეყნად:  
ღვინო, დუდუკი, ქალები.  
ღვინოს ვსვამთ, დუდუკს ვაკვნესებთ,  
ქალებს კი ვენაცვალებით.

სიტყვები და მუსიკა ეკუთვნიან ვალიკოს და გიორგის.

ვინ ვალიკო და გიორგია?

ყური დაუგდე ეს წიფხარელს და ყველაფერს გაიგებთ:

ჩვენს სკოლას სოფელ კოხნარში  
განაგებს ვალერიანი;  
ტოლი ჰყავს იმას გიორგი,  
მასავით „იერიანი“...

მაგრამ ლექსი მეტად ცხოველია და... საქმე იმაშია, რომ ეს ვაჟბატონები თურმე იკლებენ მთელ სოფელს და ასე ამბობენ:

ამ ლამაზსა შევიყვარებ,  
იმ ლამაზსა გავიყვარებ...,  
ლიუდისა რომ ვაკოცებ,—  
მთელს სოფელსა გავაოცებ...

## აქეთკენ ყველა



მართალია: ეს კბილის-ექიმი ქალი ბათომის რკინის გზის საავადმყოფოს ექიმია, მაგრამ ეს სცენა ხდება თავის კერძო კაბინეტში.

ავათმყოფი: რა ამბავია, ქალბატონო ექიმო! ერთი კბილის ამოღება სამი მანეთი?

ექიმი ქალი: ეს თქვენთან, როგორც ღარიბთან, თორემ სხვებს მეტს ვახდევინებ... ფასების დაკლება ჩვენზე კი არ ვრცელდება, რომ გიკვირთ სამი მანეთი! ანდა განა ეს ძვირია! ეს ერთი კბილი, რომელიც მე მოგთხარე, თვეში სამი მანეთის ხაჭმელს ხომ მაინც გააოხრებდა! აწი თვიურად სამი მანეთით ნაკლებს საჭმელი დაგჭირდება, წელიწადში კი 36 მან. აი რამდენს იგებთ თქვენ, მაგრამ მაინც უმადური ხართ, იმიტომ რომ მუშა ხართ და არ გესმით.

მართალია: ასე ეუბნება პატივცემული ექიმი ავათმყოფს, მაგრამ „ფითრახო“ კი სხვაგვარად ხსნის მის საქციელს: „ქორწილისათვის ემზადება და ფული სჭირია ბლომად“-ო.

---

„ტარტაროზის“ შემდეგი ნომერი

სპეციალური

სალიტერატურო

ნომერაი



**ხლტს** (ქიათურა) გვწერთ, რომ:

**ვაჭრები მთლად დააჭ... ა**
**მუშკოოპში ფასის დაკლებამ...**

დაჭლექებულნი ტარტაროზსაც ვერათერში გამოადგებიან.

**ორშაბათს ბურთს თამაშობენ,**
**ეს უხარიათ ვაჭრებსა....**

ოი წმიდაო გულუბრყვილებავ!.. თქვენ ცდებით; ვაჭრებს ბურთის თამაში იმდენად უხარიათ, რამდენადაც ეს მათთვის სასარგებლოა...

თამაშში სამოსს იპხევენ,—
და გაჰყიდიან ნაჭრებსა...

აი რატომ უხარიათ ვაჭრებს თქვენი ბურთის თამაში.

**ჯოჯოხეთს.** (ლანჩხუთი) ?არილი აკლია. (მაგრამ ეს სიტყვები პირდაპირი შინაარსით არ გაიგოთ! მასე რომ იყოს. მაშინ ადვილი იქნებოდა იუმორისტული წერილის დაწერა). ალბად იცოდენ. რომ ამ წერილის დაწერა გქონ და განზრახული, და ამიტომაც გცეს „პატივი" თბილისში. ამ შემთხვევაში იმათ ტარტაროზის მაგიერობა გაუწევიათ თქვენს მიმართ.

**ლეგოლას** (ოზურგეთი). თქვენი გურული სცენა ასე იწყება:

**—გამარჯობა მასიკელავ!**
**—გაგიმარჯოს ესიკელავ...**
**—ხაით მიდიხარ ბიჭო?**
**—ხად მივდივარ და...**

და სთქვა ტარტაროზმა: **გოდორში**, და წავიდა წერილი იგი გოდორში.

ჩვენ თუ კი გვეზარება ამ ვეებერთელა და უზარმაზარი წერილის წაკითხვა, საკვირველია.—თქვენ რატომ არ უნდა გეზარებოდეთ მისი წერა! მაგრამ, გეტყობათ ძალიან ბეჯითი ყოფილხართ და საქმე მეტად გყვარებიათ. მამა თქვენი აშენებული კაცი იქნებოდა, რომ თქვენ ასეთი ბეჯითობა სხვა საქმეშიაც გამოგეჩინათ.

**ბურდულს. წმპ.**

**„აწ-მიცანი"-ს** (სოფ. სამება): შე დალოცვილო,, რადას უსაყვედურებ აფთიაქის გამგე რაფოს, თუ კი:

**დასათრობად იმას ჰყოფნის**
**მეხუთედი ღვინის ბოთლი...**

ამ კაცის პატივისცემისათვის ბევრი არ ყოფილა სატირო ხოლო რაც შეეხება იმას, რომ:

**გლეხი მოსული წამლისთვის**
**მას ელოდება მთელ დღესა,—**

ეს კი ვერ არის მოსაწონი საქმე, მაგრამ არც ის არის მოსაწონი, რომ:

**გლეხის ლობეებს ამტვრევენ**
**სანდრო და პარტელიმონი...**

და ეს იმ დროს, როცა:

**მათმა მოწაფემ არ იცის**
**თუ რა ხილია ლიმონი.**

(თუმცაღა რა შუაშია აქ ლიმონი, მაგრამ ლიმონი აქ ხახმარია (როგორც რითმა) პანტელიმონისათვის).

**დომკორს** (სოფ. ...). სატალახის მიკიტნების შესახებ იწერებით, რომ ისინი ბავშვებს ეუბნებიან:

**ბავშვებო, ჩვენი კამფეტი**
**არის ისეთი ტკბილიო,—**
**რომ მის უკეთესს ვერა სჭამს**
**ვერასდროს თქვენი კბილიო.**
**თქვენ მოგვიტანეთ კვერცხები,**
**თუ გინდათ კამფეტებიო....**
**თითოში მოგცემთ თითოსა,**
**რა გინდათ -ის მეტიო.**
**ბავშვებმაც იწყეს ქურდობ**
**ბუდეზე კვერცხებისათ...**
**ქალები ყველკან ამბობენ**
**საყვედურს ქათმებისათ:**
**გაფიცულია ...თმები ,**
**აღარა დებენ კვერცხსათ:**
**დილით ადრიან ბუდეში**
**ვეღარ ვნახულობთ ერთსათ....**

თქვენ გვთხოვთ—გასწავლოთ, თუ რა საშუალებით შეიძლება მოისპოს ბავშვებში გავრცელებული კვერცხის ქურდობა. მეტი გზა არ არის: **ქათმებს აუკრძალოთ „კვერცხის დადება".**

**ნატანების შმაილას:** მოგვყავს თქვენი ლექსიდან ერთი ადგილი, რომელიც ძალიან ესიამოვნება პრაიჩორ კაკოს:

**ღვინის სმაში განთქმულია,**
**უყვარს მას ღვინო კახური.**
**ეს კაკო სალუქვაძეა,**
**არ აწუხებს სამსახური.**

**ბლუწუნას** (ცხრა-წყარო. შოოპანი). მადლობა შესწირე ღმერთს თუ ეშმაკს, რომ არა ბევრჯერ, არამედ:

**ერთხელ მხოლოდ ცხრა-წყაროში**
**ქალთა ენახე კამპანია.**
**ტოლუმბაშად იყო თეთრო,**
**თანაშემწეთ კი მანია.**

**შუაღამემდინ ისმოდა:**
**„აბადელი... რია... რია ::"**
**მეზობლები იძახოდენ:**
**„ნეტავი რამ გადარია?"**

ალბად ღვინომ... ჰო-და ამით დავკმაკოფილდეთ ჯერ-ჯერობით.



1. აფრინდა ქორი, აფრინდა,



2. აზია ჩაინადირა,



3. ჩინელებს თავსა დაეცა,



4. ნანკინსა მტვერი ადინა...

ალმასყოლის სტამბა კამოს ქუჩა № 68.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ფასი სამი შაური

# ტარტაროზი

№ 96 | კვირა, 17 აპრილი 1927 წ. | № 96

სპეციალური



სალიტერატურო

მწერლები, რომლებსაც სახელგამიდან არა აქვთ გატანილი ავანსი

# კვარტიზმი და ჩვენი მწერლობა

## ლევარსი როხროხაძის მეცნიერული გამოკვლევა

ამერიკაში თვითეულ ექვს კაცზე ერთი ავტომობილი მოდის. ამიტომაც ამ ქვეყანას მეტის მეტად განათლებულ ქვეყანას ეძახიან. ასეთივე შეფარდება არსებობს ჩვენშიაც, ხოლო ცხოვრების სხვა დარგში და ისიც შებრუნებით, ჩვენში უკანასკნელი სტატისტიკური გამოანგარიშებით, თვითეულ ექვს პოეტზე თითო კაცი მოდის.

საკითხი იბადება: თუ კი ჩვენ ქვეყანაში ამდენი პოეტია, მაშასადამე იგი ყოფილა ყველა ქვეყნებზე უფრო განათლებული!!

მართალია ჩვეხებრ განათლებული სხვა არ იქნებოდა, რომ პოეტების სიმრავლე განათლებას ნიშნავდეს.

მაგრამ დღეს ჩვენ გვაინტერესებს საკითხის სხვა მხარე: რატომ არის ჩვენში ასე ბევრი პოეტებ - მწერლები?

ჩვენი ღრმა რწმენით ეს აიხსნება იმით, რომ ჩვენი ქვეყანა მდიდარია ღვინით.

ვიცით: ბევრი თქვენგანი ამას უარ ჰყოფთ და პოეტების სიმრავლის მიზეზად დაასახელებთ ჩვენი ქვეყნის ბუნების სიმშვენიერეს. მაგრამ ჩვენ კონტრდებულებით გავანიავებთ თქვენს აზრს. ჩვენი პოეტებ - მწერლების ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტი ვერც კი იცნობს ჩვენს ქვეყანას. ასე, რომ ჩვენი ქვეყნის ბუნების სიმშვენიერე აქ არაფერ შუაშია.

—:—

თუ ჩვენ ცალი თვალით მაინც შევიჰყურეტავთ გასულ საუკუნის ჰუჰრუტანაში,—დავინახავთ, რომ ალ. ჭავჭავაძე ასე მღეროდა:

**დავეხსნათ ცოდნის ძებნასა,**
**ღვინო ხჯობს ყოველს მცნებასა;**
**ბრძენი სულ ფიქრობს სიკვდილსა**
**და ლოთი გამარჯვებასა.**

აქ ყველაფერი ისე აშკარაა, რომ სათქმელი არაფერია.

გრიგოლ ორბელიანი კი ღვინოზე ლოცულობს:

**ო, ღვინოვ, ყოვლად ძლიერო**
**ვინ არს რომელ გსვა და არ ალხინე?**

აქაც ხომ ისეთივე გარკვეულობაა.

ამ მოკლე ექსკურსიის შემდეგ ყველასათვის გასაგები უნდა იყოს თუ რატომ ასე უყვართ ჩვენს პოეტებ-მწერლებს ღვინო!

უყვართ იმიტომ, რომ ღვინო არის შემოქმედებითი ცეცხლი.

საზოგადოთ, უნდა ითქვას, რომ ღვინოთ ცეცხლოთ პოეზია მიქარვაა.



**ნეტავი რამედ მაქცია, —**
**მე კვარტად გჯერდამაქცია**
**კახური ღვინო ხახაში**
**რუსავით ჩამოაქცია...**
**როგორც თევზი უწყალოთ**
**ვერ იცოცხლებს, მოკვდება,—**
**პოეტებიც მოვკვდებით**
**თუ ღვინო არ გვექნება.**

ამის მაგალითისათვის მოვიყვანოთ რომის ისტორიიდან შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა იქ პირველ საუკუნეში:

რომის იმპერატორმა ნერონმა, რომელიც პოეტობდა, თავის ამხანაგს ხანძარი გააჩენინა რომში, რომ ნერონი ექსტაზში მოსულიყო და მგრძნობიარე ლექსი დაეწერა.

როცა რომის ნახევარს ცეცხლი ნთქავდა, ნერონი პოეტურ პოზიი გასცქეროდა მას და ლექსს ჯღაბნიდა. ასე, რომ ერთი ცუდი ლექსის შეთხზვა დაჯდა ნახევარი რომი.

მას შემდეგ, ყველამ ვიცით, რომ კულტურა წინ წავიდა და განვითარდა ყოველგვარი ტეხნიკა, რამაც გამოიწვია ცხოვრების გამარტივება და თანაც გაიაფება.

დღეს საკმარისია პოეტმა ერთი კვარტი ღვინო გადაჰკრას, რომ ნერონზე უკეთესი ლექსი დასწეროს. ერთი კვარტი ღვინო თუ რა ღირს, ეს თვითეულ თქვენგანს კარგად ეცოდინება თავისი საკუთარი ჯიბიდან.

ჩვენ შეგვეძლო უამრავი მაგალითები (და ციტატები) მოგვეყვანა ჩვენი თანამედროვე ლიტერატურიდან, მაგრამ წერილი მგონი ისედაც გაჭიანურდა და ამიტომ დასასრულ ვიტყვით მხოლოდ ორიოდე სიტყვას.

ჩვენში ყველა იცნობს გაგონებით თუ პირადათ (და არა ნაწარმოებით, ვინაიდან ასეთი მაინცადამაინც არ არსებობს) „ცისფერ ყანწებს“, რომლებმაც სახელწოდება მიიღეს თავისი ორდენიდან: „ცისფერი ყანწები“. ამ ორ უკანასკნელ სიტყვაში მოთავსებულია (ისე როგორც ყანწში ღვინო) მთელი მათი მსოფლმხედველობა და შემოქმედება. უნდა ითქვას, რომ არც ერთ მწერალთა ჯგუფს არ გაუმართლებია და გაუნაღდებია თავისი დევიზი, როგორც ეს ჰქნეს „ცისფერ ყანწელებმა“. რას ერჩით. სიტყვის ხალხნია. (დიახ! დიახ! სწორედ რომ სიტყვის ხალხნია).

—:—

მინდოდა ცოტა რამ კიდევ მეთქვა. მაგრამ მეძინება, არ ვიცი რა დროა ეხლა; ჩემს საათს დაუხვენია... აჰა, ალმასკომის საათი რეკს: 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12... თორმეტი ყოფილა... უკაცრავათ, მაგრამ მეძინება.

ზმუკი.

# ქართული მწერლობის ანტოლოგია

ვინაიდან ია ეკალაძის ქართული მწერლობის ანტოლოგია გამოსვლა დააგვიანდა, ამიტომ „ტარტაროზ“-მა დასწყვიტა ანტოლოგიის სახელდახელოთ შედგენა, რომელსაც აქვე ვათავსებთ:

### პროლოგი

ოცნების მთები მოზღვავდენ ფიქრთა გვესივა ჯოგია.
ველოდით დანაპირებსა, მაგრამ პაერში ჰკიდია,—
და განვიზრახეთ შევავსოთ ქართული ანტოლოგია,
საქმეა მეტად საქები, შინაარსითაც დიდია.

### გრიგოლ რობაქიძე

იირრრუბაქიძე, მკვიდრი გვარი თვით რუსთაველის
რუსთაველს ერთი აიწონის გველის პერანგი,
ვეფხის ტყაოსანს ლონდა, მალშტრემ დუელში ელის:
ქარი კლდეებზე ეხეთქება შმაგი ეერაგი.

### გალ. ტაბიძე

ჩემი ლექსები აქ რომ ვერსად ველარ დატიონ,
საქართველოდან გადავიტანე დიდ ნიუ-იორკში.
ვარ პოეტების „დიდი მეფე“ და გალაქტიონ,
მომავალ კვირას მე ორას ლექსს გავყიდი ტორგში.

### ტიც. ტაბიძე

ცხენი ანგელოსით — უალდის პროფილია
ჩემი ქალდეადან მზერა მაამაყებს,
მღვდელო, მალარია, იქვე ოფელია
ჯილით ემუქრება ორპირის ბაყაყებს.

### პაოლო იაშვილი

წითელი ხარია, ურა მოზვერივით,
ლექსი გადმოიქცა მღვრიე ჩანჩქერივით;
მე თავიდანვე ყანწებს ვმესვეურობ,
თამადა ღვინოზე, დამცხვარი კვერივით.

### ვ. გაფრინდაშვილი

ჩემი სიმღერები ისევ დაისია,
აშორდია იწვევს ხმალში თავის მკვლელებს.
თითქო აპრილია, თითქო მაისია,
ორეულებს რომ სცივათ და წვიმა ასველებს.

### რაჟდენ გვეტაძე

მე ისევ ვირებს უნდა მივხედო,
ასე მოითხოვს ჩემი ბუნება;
მინდა მით ვალი რომ მოვიხადო
მე გული ამას სულ მეუბნება.

### ნ. მიწიშვილი

ჩემი სიტყვაა: გარდაცვალება,
შავი ვარსკვლავი ლექსად რომ ვთესდი,
სახელგამში მაქვს თუმცა წვალება,
მაგრამ ათასჯერ გავუმჯობესდი.

### ლადო მაჭავარიანი

ო, საქართველო მიყვარდა მუდამ,
მზე სარკოფაგით მინდა დავლიო;
ტფილისზე გული დავკიდო უნდა
და ნიჟიც ღვინოს გადავავლიო.

### გრ. ცეცხლაძე

ევგენი ონეგინი გავჰარ, გადავხანი
და მონუმენტებით ისე გადმოვჰენდი;
უნდა დაესვენო ეხლა ცოტა ხანი...
სად პროვოკაცია და სად ლექსი ნაჰედი.

### ი. გრიშაშვილი

რა კარგი ხარ ლამაზო, კოხტა, ცელქი, მჩქეფარე,
ოქროს ფეხო, კოცნებო, მითხარ სად გამეპარეთ?

### ა. შანშიაშვილი

დრამა, ლექსი და რომანი ერთმანეთში ავურიე;
ჰიმნი გლეხზე ჩემ წიგნებში კონტრაბანდათ გავურიე.

### ს. აბაშელი.

მზის სიცილი დავკარგე. ლექსს ცრემლიც არ უხდება;
ანთებული ხეივნით გული უფრო წუხდება.

### გ. ქუჩიშვილი

მე მაამაყებს ჩემი წარსული;
დღესაც ვიმღერი შრომის ჰანგებით
და თუ ღვინოში ვარ დაბანსული
ალბად ეს მოხდა მხოლოდ განგებით.

### ს. თავაძე

ჩემზე შეყვარება, შორი ნათელია
გარღვეული რკალები იწვის აბედივით;
რითმის ზღუდეები გადანათელია,
უპასუხო ალერსში ვარ ჩანაჭედივით.

### ნინო თარიშვილი

„მე ვარ ყამირი გაუტეხავი“
ამ სიქალწულემ გამაამაყა...
შენთან ბოველი... შინ არ იყავი:
„მცირე თეატრთან“ დამხვდი ამალამ.

### მარიჯან

კოცნებს ვიწყობდით ტუჩზე ლილებათ
და გეაგრილებდა ტალღები ვნების:
სახელებს თვლიან... მე მელიმება
(რას არ იტყვიან მწარე ენები).

### სიკო ფაშალიშვილი

ხშირად რომ ვწერდი, მოვწონდით ბარემ,
მაგრამ დუმილიც არ დამიწუნეს.
რა უშავს. „გვარის მოსაგონარი“
მაინც სომ უთხარ ჩემ საუკუნეს“.

### ტ. ბრანელი

წმინდაო ღმერთო, სად ხარ აქამდე?!,
მე მიცვალებულს მივყვები ისევ...
თუ სადმე ენახე ყუთი სანაგვე
ჩავწვები შიგ და ვიძინებ მყისვე.

### ა. მაშაშვილი

დიმ დაირა. დაირა, მე და ბარათაშვილი,
ლექსზე როცა გადვიარ ნერვები მაქვს აშლილი.

### ნ. ზომლეთელი

ლექსები დამიწყია, ავშენდები ფულებით,
ასი ტომი მიწყვია ტყვილად ნუ გეგულებით.

### კ. ლორთქიფანიძე

მიყვარს ლექსი ანკარა, რჩეული ვარ პოეტი;
მაშინ ვიყავ პატარა, როცა ქვეყნად მოვედი..

### ს. ეული.

ვიყავ მუდამ ეული, ლექსზე გადალეული,
კავშირის საქმეებშიც დიდათ გამორჩეული.

### პ. ქუთათელაძე (სამსონიძე)

გამოვეცი წიგნი, ასე დიდი ტანის,
უფრო მომწონს ლექსზე ფერი მისი კანის

### ჟანგო ლოლობერიძე

რა ვქნა-ვერ გამიგია, რომ მკლავს ფიქრი ხშირია,
პოეტობასაც განა ლექსის წერა სჭირია?!

### ს. ჩიქოვანი

მყინვარი და ილია, მე ვარ ყველაზე მეტი,
ხუმრობა ნუ გგონიათ ფუტურისტი პოეტი.

### მ. ჯავახიშვილი

ვინ ყაზბეგი, ვინ ილია!—ჩემ წიგნში რომ ცხვირი ჩაყო,—
თუ ვარ ადამიშვილია სულს ჩავჩიდგამთ: ჰვაჰი, ჯაყო,—

### შ. დადიანი

რად გინდათ ლექსები, ან თვალზე ბურუსი,
წაიკითხეთ ჩემი უბედური რუსი.

### დემნა შენგელაია

ლაფშა ცხენი — ხანძვარიანი პიტარხია—აშლილია,
ფუტურიზმში გადავვარდი, ქარავანს რომ დავეშორდით.

### ეპილოგი

დასრულდა ვითა სიზმარი აქ თქმანი პოეტისანი,
რაც არის მხოლოდ ეს არის, ხმა ტკბილი ბულბულისანი.

ოდილმადი.

## „ნოყიერი ნიადაგი“



ტარტაროზი: ფუ! რა საზარელია მათი მოსმენა... როგორი ცუდი სოკოები ამოსულან ამ კარგს ნიადაგზე!

# ივლიანეს პოეტობა

ვიცი, რომ არც თქვენ გაგიკვირდებათ და მით უმეტეს არც მე მიკვირს, რომ ივლიანე გახდა პოეტი.

ივლიანე, როგორც ასეთი, ქართველი კაცი გახლავთ და ჩვენს ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას ხომ პოეტობა შეადგენს.

ივლიანე, ამჟამად მსახურობს ერთ-ერთ საბჭოთა დაწესებულებაში მოანგარიშედ.

სად მოანგარიშე, სად პოეტი? — იტყვით ალბათ.

იტყვით, მაგრამ, ივლიანე მაინც პოეტია. სხვათა შორის, იგი პროფკავშირის წევრიცაა, და კრებებსაც ხშირად ესწრება, მით უმეტეს, თუ რეგისტრატორებიც კრებაზე რჩებიან.

### ივლიანეს პოეტობის წარმოშობის მიზეზი

ჰაი, ჰაი, რომ უმთავრესი მიზეზი, რომლითაც ივლიანე პოეტი გახდა. მოგეხსენებათ: „მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო“. მართლაც, როგორც დოს მარილი არ შეფერება, ისე ივლიანესაც არ უდგება პოეტობა, მაგრამ რას იზამ? არის შემთხვევები, რომ მასწავლებელი კოოპერატივშია მოლარეთ, სპეცი - ბუხგალტერი — ინჟინრის მოვალეობას ასრულებს, ფარმაცევტი — საქმის მწარმოებლადაა და ყოფ. დიაკვანი — კლუბის დარაჯათ.

ასეა ივლიანეს საქმეც: კაცი კვალიფიციური მოანგარიშეა და იმავე დროს პოეტობაც იკისრა. მაგრამ საქმე მიზეზშია: ჩვენ გვინდა გავიგოთ ივლიანეს პოეტობის მიზეზი. ეს მიზეზი (როგორც თითქმის ყოველთვის) იყო იმ განყოფილების რეგისტრატორი ელიჩქა.

ივლიანეს მოეწონა ელიჩქა და თითქმის შეუყვარდა კიდეც. ამავე დროს, ივლიანე ხედავდა, რომ ელიჩქა გაგიჟებული იყო პოეტებზე და ეროტიულ ლექსებზე. ერთხელ, მაგალითად, ელიჩქამ ივლიანეს ასეც მიმართა (სამსახურში, მოცლილობის დროს, როცა განყოფილებაში არავინ იყო):

„შენ თითონ უნდა შემიხსნა ლილი,
შენ თითონ გამხდი სამოსს ფარჩეულს“...

ივლიანე გაგიჟდა:

— ოხ, ელიჩქა, გენაცვალე, რომელი ლილი, მითხარი?..

— ხა, ხა, ხა! გადიკისკისა ელიჩქამ. მართლა აო გეგონოს: ეს გრიშაშვილის „დედოფლის სიზმარია“.

ივლიანე გაწითლდა და თავი ჩაღუნა.

ასეთი გამოსვლები ხშირი იყო ელიჩქას მხრივ. ცხადია, ეს იყო დემონსტრაცია ივლიანეს გასაღიზიანებლად. ივლიანემ იფიქრა, იფიქრა და ბოლოს გადასწყვიტა გამხდარიყო პოეტი. მან გაუშვა თმა (რომელსაც იშვიათად იბანდა), შეიკერა უცნაური ხალათი და დაიწყო ლოთობა. ბოლოს „მოაწვა“ მუზაც. მუზა მოვიდა ნაშუალამევს, როცა შეყვარებულ ივლიანეს ძილი გაუტყდა და საწოლში ველარ მოიცადა. იგი ადგა, ერთი ჭიქა არაყი გადაკრა და მოემზადა ლექსის საწერად.

როგორ გგონიათ? დილისთვის მას უკვე მზად ქონდა შემდეგი ლექსი:

„მე აღარ მსურს ბუღალტრობა,
გამიჩნდა გულში მტვერია,
ელიჩქა მიყვარს (ეს გამგემც იცის),
და რაღად მინდა სჩეტავოდობა.

მე თითონ უნდა შეგიხსნა ლილი.
მერე წავიდეთ ზაქსში ჩვენ,
დებეტ - კრედიტის დავთარი,
შენ გენაცვალოს ყველაო.

შენ თუ კი მეტყვი ელიკო,
გავხდები პროფაქტივია,
ადგილკომის თავმჯდომარეთ
დავჯდები ორ-სამ თვეში.
სჩეტავოდობა აღარ მწამს,

**მარტოდ მიყვარხარ შენაო,**
**ეს ლექსი სხვისი არ გეგონოს,**
**ჩემი გამოთქმულია"-ო.**

მე მგონია, თქვენ თითონ წარმოიდგენთ, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა ელიჩქა, ამ ლექსის მიღების და განსაკუთრებით. წაკითხვის შემდეგ: ერთი სიტყვით, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო: ივლიანეს ნასროლი ისარი ელიჩქას ნაზ მკერდს მოხვდა და სამუდამოთ დაკოდა. მართლაც, ორიოდე დღის შემდეგ ივლიანეს და ელიჩქას ჩვენ უკვე ზაქსში ვხედავთ, სადაც ივლიანემ ოთხი აოშაურიანი გადაიხადა რეგისტრაციაში გატარების საფასურად.

ასე, რომ პოეტმა თავისი გაიტანა. დაქორწინდა.

მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ. მიზნის მიღწევის შემდეგ პოეტური ცეცხლი ხშირად ქრობას იწყებს და საჭიროა რაღაც ახალი გატაცება, რომ ლექსი ისევ ამოიქარგოს. მართლაც, ივლიანემ ერთი-ორი მარგალიტიანი რითმებით გაჭედილი ლექსი კიდევ მიუძღვნა ელიჩქას და მერე თავი მიანება. ან კი რა გასაკვირალია? ვინ გიჟი დაკარგავს დროს, რომ კანონიერ ცოლს ლექსები უწეროს!..

ივლიანემ მართლაც თავი მიანება ლექსებს და შეიძლება კალამი არც კი აეღო ხელში, მაგრამ სირცხვილის გულისთვის განაგრძო წერა: საქმე იმაში იყო, რომ ელიჩქამ ხმა დაუგდო ივლიანეს, ჩემი ქმარი ნიჭიერი პოეტიაო. ასე რომ ელიჩქას ნათესავ - მეგობრები ივლიანეს პოეტად თვლიდენ. ასე მაგალითად, შეხვედრისას ივლიანეს ასე მიმართავდენ:

„პოეტს სალამი!" „სიცოცხლე ჩვენს პოეტს", „მგოსანო, ვეღარ მიცანი?" და სხვ.

ივლიანემ ბევრი იფიქრა ამ საკითხის შესახებ. მაგრამ არ იქნა, პოეტობას თავი ვერ დააღწია. მან გადასწყვიტა, ისევ განეგრძო წერა. დაისვა ახალი საკითხი: რაზე ეწერა. იფიქრა და ბოლოს მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ყველაზე უფრო გამოსადეგი პროლეტარული პოეტობა იქნებოდა. ადგა ეს ჩვენი ივლიანე და სულ რაღაც სამი-ხუთიოდე კვირის განმავლობაში გამოაცხო რევოლიუციონური პოემა.

მოგვყავს პოემის უფრო საინტერესო და დამახასიათებელი ადგილები:

**დაჰკარ ჩაქუჩი, გამოსჭერ ხმალი.**
**სამი თვე არის მოგეც ზაკაზი.**
**მაგ ხმლით წავიდეთ კიტაიაში**
**და ჩან-ძო-ლინსა ყოფა უტიროთ.**

შემდეგ:

**ეგ საბერველი დაიჭი მაღლა,**
**დროშად ავიღოთ ქურაც, ელვარე...**
**ნუ გეშინია: ხელს ხომ ვერ დაგვწვავს,—**
**ჩვენი ხელები კოჟრიანია!...**
**ოხ, საბერველო... ქურას შეუნთე,**
**და გამოვჭედოთ ჩვენ ზარბაზანი,**
**თანაც ტრაქტორი ზედ მივაყოლოთ.**
**რომ ავაყვაოთ მეურნეობა.**

პოემა თავდება შემდეგი პათეტიური ტაეპით:

**გმინავს ქარხანა, ქშინავს ქურაცა,**
**ფშვინავს მჭედელი — (რა სურათია?),**
**ამ დროს კი იქვე კაპიტალისტი,**
**ზეიმს ეწევა და მაგრად ხვრინავს!".**

საერთოდ მთელი პოემა მდიდარია ასეთი გამართული და ხერხემლიანი სტრიქონებით. ივლიანემ წაიღო ეს პოემა და მწერალთა კავშირში მიიტანა, მიშუამდგომლეთ და გოსიზდატის საშუალებით დამაბეჭვდინეთო. გოსიზდატი, ანუ სახელგამი არ ბეჭდავს: — ფული არ მაქვს და ქაღალდი, თორემ ასეთ პოემას როგორ არ დაგიბეჭდავთო", ასე უპასუხეს ივლიანეს.

ახლა ივლიანე შუამდგომლობს მწერალთა კავშირის წევრად ჩარიცხვის შესახებ. ბოროტი ენები ამბობენ, რომ ივლიანე ჩაირიცხა კიდეც.

**ალლარ-ალლარსან.**



# სცენა საიქიოში

(შოთა რუსთაველი გაბრაზებული და თავზე ხელ შემოდებული ზის და გასცქერის სივრცეს სააქაოსაკენ (ანუ ჩვენსკენ). ნერვიულობა ეტყობა. ამ დროს შემოდიან: აკაკი, ილია და ვაჟა. ესენი, როცა დაინახავენ შოთას, ერთმანეთს გადახედავენ).

**აკაკი: რაზე მოგიწყენია შოთა? კაკაბაძეზე ხომ არ ხარ გაბრაზებული, რომ შენს პოემაში ყოველ მეოთხე სტრიქონს სიტყვა „და" მოუმატა?**

**შოთა: ჯანდაბას მისი თავი; მაგას ვინ ჩივა... ხოლო ამ ჩემმა მკვლევარებმა მომინელეს კაცი. ნეტავი სულ არ დამეწერა „ვეფხის-ტყაოსანი"; მეც მომასვენებდენ და ხალხსაც... ვინ იცის, იქნებ, იმათ წყალობით ხალხმა მე მაგინებს... გინახავთ ასეთი ხათა?!**

**იშტიპიტინი.**

40°


40°

## ასონანსი

ღმერთმა უშველოს იმის მომგონსა
ვინც მოიგონა ეს ასონანსი.
კალმა ლექსის თხზა თუ მოინდომა
რითმები მოვა ასი ათასი.

ჩემ ამხანაგის ცოლს ქვია თეკლე,
იგი ერთ ადგილს ხშირ-ხშირათ იფხანს.
ჩვენ გვყავდა უწინ მეფე ერეკლე)...
დავსწერ მე რომანს: „ტრისტილას ნიფხავს"

მიეჩვიარ ჩქმ ვის, დრო არ მაქვს მოცდის,
არ ვითვლი ხმოვან ასოებს ლექსში,
ზოგში ათია და ზოგშიც ექვსი.
ფეხზე მკიდია ფულები ფოსტის...

გამისუშტურა რალაცამ თავში
და მოსვენებას არ აძლევს ტვინსა;
გადმოვუყარო მას უნდა ფაშვი,
ვით დედაკაცმა დაკლულსა ინვსა.

მუზა ყოფილა... და ჩამოდექით...
დაიწერება ეხლავე ლექსი.
უნდა გადავკრათ ჯერ ღვინო დოქით,
შემდეგ წავიდეთ ხუთმეტი ვერსი...

...და მივალთ, სადაც არის ზაჰესი.
იქიდან მოდის ელექტრო ტალღა.
გულზე ესობა მტერს როგორც ნემსი.
მავთულები კი გაბმულან მაღლა

წარმოვიდგინე და შევადარე.
(ამის უფლება კი მაქვს მგონია),
მზე ვაჟი არის და ქალი მთვარე
და სიყვარული იმათ ჰქონიათ.

დაქორწინულა მზემ მთვარე, ბოლოს,
არ გაიკეთა მთვარემ აბორტი.
მზემ ალიმენტი მისცა საცოლოს
და აიცდინა ამით ხლაფორთი.

...და მთვარემ შობა მთავრე მრავალი
მრგვალი მასავით და პატარები.
მით მოიხადა მან თვისი ვალი,
და გაანათა სახლნი კარები.

ქალაქს თვალები აქვს უთვალავი,
იგი ცეცხლთვალა კატაა შავი,
ბნელში მოსჩანან მათი თვალები
და თვალებს შორის ინტერვალები.

შვილები ჰგვანან მშობელსა მეტად,
იმათ ორივეს აქვთ ერთი წესი:
ბნელს ანათებენ. ორივე ერთად;
მთვარე ციური არის ზაჰესი.

ისელი.

## ასოციაცია

ლოგინზე ვწევარ ახკიპარჭული,
(ჩემს ლეიბს და საბანს არა აქვთ სარჩული)...
და მე ვუცქერი პირალმა ჭერებს,
სადაც დოლი აქვთ ბუზებს და მწერებს.

ხომ მოგაგონდათ თქვენ ლუარსაბი
(ილიას გმირი,—და არა მეფე)?!
მე ავადული ტყუისა ქვაბი
და ჩემი მუზა შიგ ავაყენე!

მინდა ამ წუთში, რომ ვიყო მთვრალი;
ო, ნეტა მქონდეს მე ეხლა მორფი!
გადმოვეტრიალდი და მოვკარ თვალი.
„ეტაჟერკაზე": ლიუდენდორფი...

მსოფლიო ომის თოთხმეტი პუნქტი.
და პრეზიდენტი ვუდრო ვილსონი...
(მე აქ მჭირია რითმები მუქთი,—
ვილსონისათვის კი სალტისონი).

ო, სალტისონი... გასტრონომია.
იქ ნაყიდ თევზმა მოწამლა ქალი...
საიქიოში გაფრინდა ქალი,
რომ შეესწავლა ასტრონომია.

ბებია ჩემიც იქ გადასახლდა.
სწამდა ღმერთი და იგი ქვეყანა.
ბაბუას მუდამ ყანაში ახლდა,—
უყვარდა საწყალს ბახჩა და ყანა.

როცა ისინი ყანას მარგლავდენ
და ოფლით მიწას ალბობდენ, რწყავდენ,—
ლოგინზე ვიწექ ახკიპარჭული,
(მაშინ ჩემს საბანს ჰქონდა სარჩული)...

## რითმები

ერთ კვარტ თეთრ ღვინოს ვუქენი ხუხი,
აწი მე მკითხეთ სიტყვა-პასუხი.
მუსიკად მესმის ეს რახა-რუხი.
ფერებში ეხლა მოდაა რუხი.

კვერცხით სავსე აქვს იმ ბიჭს კალათი;
ტანზე აცვია ლურჯი ხალათი.
მუდამ მიყვარდა: ოპერა, ტივი,
როგორც ბოლქვაძეს კოოპერატივი.

დღეს გაიფდა ყველგან ფართალი,
(თუმცა არ არის ეს მთლათ მართალი).
ამ ამბავს დარდობს კერძო ვაჭარი.
(შემოდგომაზე მოვა მაჭარი).

ამბობენ:—მოვლენ ისა და ესო,
იქნება მაშინ დიდი ქორწილი.—
მტერს ეს ამბავი გულზე დაესო,
ჰკლავდა სიბრაზე იმას ორ წილი.



# იგავ-არაკიდან



ძე და ბარათაშვილი

# საიქიოდან

## ნოე ჩხიკვაძის წერილი

ძვირფასო მეგობრებო!

იცოცხლეთ და იმხიარულეთ. განგებას ვთხოვ, რომ მოაშოროს ყველას ჩემი ეხლანდელი ბედი; (თუმცაღა არც მაქაური ბედი იყო ჩემთვის მაინცდამაინც სახარბიელო).

მივიღე თქვენგან გამოგზავნილი რამოდენიმე წერილი; გმადლობთ, მეგობარო, გახსენებისათვის... მაგრამ არ შემიძლია საყვედური(ც), რომ არ გითხრათ:

თქვე დალოცვილებო, ისეთ რამეებს იწერებით, რომ მე ისინი ზღაპარი მგონია; არ შემიძლია დავიჯერო, რომ სინამდვილეში ხდებოდეს.

თქვენ მწერთ:—სახელგამიდან (მე არ ვიცი რა არის ეს სახელგამი) თითო ლექსში, იმდენ ფულს ვიღებთ, რომ კარგა ხანს გვყოფნის სახარჯოთო. ამის გარდა, საკმარისია სახელგამში ხელთნაწერის წარდგენა, რომ ფული მოდის ავანსად; ჩვენ არც გამოცემა გვეკითხება და არც: სტამბა, კორექტურა და გასაღება...

ასე ყოფილა თქვენი საქმე. ეს ძალიან კარგია. მოიგონეთ ჩემი დრო... მე ორმოცდა ათი მანეთი არასოდეს არ ამიღია ერთად ჩემს ნაწერებში.

მე რომ ლექსის წერას შევუდგებოდი, ცენზორი კარებთან იყო ატუზული და დამძახოდა:

— მალე გაათავე, უნდა გავასწოროო... მოდგებოდა, თქვენ ბატონო ჩემი ბატონი,—და ჩემს ლექსში ას სიტყვიდან მხოლოდ ხუთმეტს დატოვებდა... ამ ხუთმეტ სიტყვიდან რა გონორარი უნდა მიმეღო?!. თუ და პირს გაალებდა და გონორარის მომცემელი—ის გონორარი მალარიად არ ეყოფოდათ.... დამიწყებდენ:

— შე ფუქსავატო, შენი ლექსი გაზეთში დავბეჭდეთ და შენ მალარიი არ უნდა გადაიხადოო!—ჰოდა იმ გონორარს ორი იმდენს კიდევ ვამატებდი თავის ჯიბიდან.

როცა ერთხელ წიგნის გამოცემა განვიზრახე—გამომცემელი თუ კორექტორი ჩემთან დადიოდენ ყოველ დღე და წინდაწინვე თითოეულ ფულს.

ჰო-და ასეთი იყო მაშინ მდგომარეობა. თქვენ კი, კაცო, რას არ იწერებით:

— ავანსებს ვიღებთ იმ ლექსებში, რომლებიც ჯერ კიდევ თავში არ მოსულან... დღეში ოციოდე ლექსს ვწერთ და ყველა საღდებაო... ეხლა მეტად განმარტივდა და გაადვილდა ლექსების წერაო: კარგი ხანია მოისპო რიტმი და რითმა და ახალი ტეხნიკა შემოვიდაო,„ ასონანსიო... იმისთანა პოეტებია ეხლა, რომ ბარათაშვილთან მათი შედარება მიქარვააო... მალე ჩვენი მეცნიერები დაამტკიცებენ, რომ რუსთაველი აისორი იყოო... პოეტებმა ღვინისსმა მიატოვეს და დღეში მხოლოდ 3-4 კვარტს ღვინოს სვამენო... სტრიქონი შენს დროს რომ იყო 16 და 8 მარცვლოვანი, ეხლა ორ მარცვლოვანია და ისიც მეორე სტრიქონზე გადატანილი,—ასე რომ ერთი სიტყვიდან ორი სტრიქონი გამოგვყავს (გონორარის საქმეაო)... და სხვა ასეთები.

იცით რა გითხრათ ჩემო მეგობრებო!? თუ თქვენ გგონიათ, რომ—ნოე ჩხიკვაძე მკვდარია, აქეთ მაინც ვეღარ დაბრუნდება და მოვატყუილოთო,—ძალიან შიუქარავთ. არც ისე ბავში ვარ; თქვენ შეგიძლიათ ერთმანეთი ატყუილოთ (როგორც უკვე შეჩვებით),—ხოლო მე კი ვერ მომატყუილებთ. მე მაგ ზღაპრებს ვერ დამაჯერებთ... მაგრამ, თუ გინდათ მასეთი რამ მართლაც იყოს მანდ, განა თქვენ, თუ კი ჩემთვის კარგი გსურთ, უნდა მომწეროთ და გამაგებინოთ?! როცა გავიფიქრებ:—ვინ იცის, იქნებ მართალს მწერენ ამხანაგები—მეთქი,—გული მიკვდება და ვნანობ თუ რად მოვკვდი უდროოდ... ასე თუ ისეა, ერთს რამეს გთხოვთ: თუ ამხანაგობა და მეგობრობა გწამთ მომასვენეთ აქ... თუ რამ ამბავი გაქვთ შემოსათვლელი,—კი მოვესწრებით ერთმანეთის ნახვას და მაშინისათვის შემოინახეთ.

თქვენი ნოე ჩხიკვაძე.

წ. შ. ბოლოში ვიხდი, რომ პასუხი დამიგვიანდა, მაგრამ აქედან ფოსტა ძალიან იშვიათად მოდის. ეხლაკ შემთხვევით გამოვატანე ეს წერილი აქედან ვამოქცეულ ტფილისელის მუზას.

დონი.

# ჰაპარაპი ხალხი

— ვახ, პირძაღლი ვიყო თუ რომ ამისთანა ჰანგალი ხალხი კიდევ მენახოს, როგორც ეს ახალმოდნის ლიტერატურნი პოეტები ყოფილან! მთელი მილეთი ჩემს რესტორანში დადის, დღეში ათასნაირ სიფათის ხალხსა ვხედამ, ჰამა მაგათთანა ხარახტერი მაინც ფას! მე არსად გამიგონია. ახარ, პოეტების ყადრი ქიჩ-ქიჩათ ჩვენც ვიცით, იმათი ხელობა პაჩტი კიდეც. მამწონს ჰაა, ვიცი რომა რაც რომ კაი პესნებია, სულ იმათგნით არის ნათქომები: ბულბული, კარალინკა, ბუკეტი და სხვა ამისთანა ჩუსტვიტელნი რამეები — რაღა, რაც რომ ჯიგარს დასწომს კაცსა!

მაგრამ ლოთობა, ქეიფი, ტრაბახი, ყალმაყალი და ამისთანა ბუინი პასტუპკები თუ პოეტობა იყო, ეს არ ვიცოდი. ნუ, მახლაზ, ესეც მოდნა ყოფილა და მაშინ გავიგე, რაც რომ ჩემი სტალაო კუკიდან იარმუკის ხარეს გადმოვიტანე და პოეტები მუშტრებათ გავიხადე.

ახარ, მართალი რო ვთქო, ზოგიერთი მართლაც მარიფათიანი ვინმეა, ჰარიფია, ძმა-კაცობა და პურმარილი სწამს, ჰამაც ნაღდზე ვაჭრობს, დავერიას არა ჰკარგამს, ჰამა ზოგი კი ისეთი ლუპუსტაცი ვინმეა, რომა პოვეტათ კი არა, ფოსოს აბანოში ჯაბადრათაც არ დავაყენებდი, მე რომ მაგათი სტარში ვიყო——მააშ!?

იცი როგორ შამოვიჩვიე ეგ პოვეტები? სულ მაზალო სლუჩის საქმე იყო: მალარ სანდრუას ნისია ემართა და იმის ანგარიშში სხვა და სხვა კარტიჰკები დავახატვინე მასლენი კრასკებითა. რესტორანის ყველა უგლოში ისე ჩამოვკიდე, რომა სულ მუზეინი გეგონებოდა.

ერთხელ, როცა ძაან ქესატობა. იყო და უსაქმობისგნით დახლთან ჩამძინებოდა, ვიღაცა მაღვიძებს:

— ადექი რაღა, შე ლიპიანო, მუშტარი მოვსულვარო... ვხედამ, ერთი ჯეჰელი აყლაყუდა ვინმე დამდგომია თავზე, პირ-მოპარსული ბიჭი იყო, ძაან სტროგათ მიყურებდა.

— პაჟალუსტა, რას მიირთმევთ, მეთქი.

— არა, მე მაგისთვის არ მოვსულვარ, ამ კარტიჰკების ასმოტრი უნდა ვქნაო! ძაან რედკი რამეებია და შენ გაზეთშიც კი ჩავარდები მაგისთვისაო... მე სანიტარნი კამისიის პრეცედატელი მეგონა და ვიფიქრე, ალბათ არ მოსწონს ასეთი აჰიჰყნილი ნახატები და შტრაფის დადებას მიპირობს მეთქი. ბოლოს ვებნები:

— პაჟალუსტა, თუ ასეთი ვრედნი რამეა, შტრაფი ნუ დამარტყა და ჩამოვხსნი, კრიშაში დავაყრევინეფ მეთქი. იმან მიყვირის.

— ეე, რას მიჰქარავ, იცი ეს ვისი დახატულიაო?

— ვა, როგორ არ ვიცი, მალარ სანდრუას ნისიაში დაუხატნია მეთქი.

— ბითური ჰყოფილხარო, ეს სანდრუასი კი არა, ფიროსმანას ნახატებია და ჩერეჩმურ გაუფრთხილდიო, შენ რა იცი, თავი ცვეტნოვი კაპუსტას მიგიგავს, მე უნდა დამიჯერო, დიდი იზვესტნი ვარ, მე გლავნების ერთი ვარო — პოვეტს მეტყვიან ჰამაც სახელათ გოგრუა მქვიანო.

— გოგრუა? ერთი თულუხჩ გოგრუა გამიგონია, ძაან ლექსები იცოდა, ჰამა იმან ცალი ფეხით კოჭლი იყო მეთქი.

— გოგრუა კი არა, გოგლუა მქვიანო, ისე, ქრისტიან ხალხში კი გიორგი ლეონიძეს მეტყვიანო, ისეთ რამეებსა ვთქომ ხოლმე, რომ ყველამ მიჰქაროს ჩემთანო... ჰუზურში, ლაპარაკით შევიყოლიე და ბოლოს ზაკუსკაც მოუტანე, კაი პურ - მარილი ვჭამეთ და თითო კვარტიც დავაყოლეთ. ლაპარაკის დროს მებნება:

— იცი სარქისჯან, მე ისეთი ძმა-კაცები მყავსო, რომა იმათი პადობნი ქვეყანაზე არავინ არისო, ჩვენ ყველანი ჩერესჩურ ნიჭიერები ვართო, ისე, რომ შენც იცოდე: ხომ გაგიგონია „იციან-მიციანო" სულ ამისთანა სახელები გვქვიანო, სულ ჩვენა ვართ, რაცა ვართო. ძაან კაი რესტორანი გქონია, ყველას აქ მოვიყვან გაგაცნოფო და ჰამაც შაგ კარტიჰკებს სახელს გაუთქომთო.

— მეთქი თქვენ, მონათლული აისორები იქნებით, ან გაქართველებული ჰინდრულუბი, ისეთი ჰიბრეული სახელები გქონიათ მეთქი!

— არაო, ჩვენ გრანიცის სახლები იმიტომ დავირქვით, რომ ძაან ნიჭიერები გამოვჩნდეთო, ჩვენ ყანწების კრუგი გვაქსო და ჩვენი სახელი გრანიცაშიც წავიდაო მააშ! კიდევ ბევრი რამეები თქო და წავიდა.

ერთი კვირის შემდეგ, ისევ მოვიდა და მებნება:

— აქ ჩვენი ორდენის ბიჭები უნდე მოსულიყვნენ, ხომ არ გინახიაო.

— რომელ იორდანეს ბიჭები? მე იორდანეს არავის ვიცნოფ მეთქი

— იორდანე კი არა, ორდენი შე ბითურო, ყანწების ორდენიაო. ბოლოს გავიგე, რომ თავის ძმა--კაცებს ეძებდა. ისინიც მოვიდნენ, დავზნაკომდით, იმათ სხვები მოჰყვნენ, სხვებმა კიდევ თავისი ამხანაკები და ერთიც ვნახოთ ეს ჩემი რესტორანი სრაზუმ ინტელიგენცკი უბეჟიშჩა არ გახდა?!

იმას აქეთ დაიწყო და რაც რომ ქალაქში პირგაპარსული, თმა-აბურძგნული და ლადიკალუნებ დახსხმული ხალხი იყო, ჩემი მუშტრები გახდნენ! რა ფასონის პოვეტი და არტისტი გინდა, რომ აქ არ შამოდიოდეს, რამტოლ ტეჩენიას იტყვი, რომ იმათ არა ჰქონდეთ: ეს ყანწისტებიო, ეს ჰარიფანჩიკებიო, ეს ფუტურისჩიკებიო, ეს პროლეტაოცკიო, ეს ფლანიო, ეს ფსტანიო; ვინ მოსთვლის?

მერე როგორ სპორობენ ერთმანეთში ფარსადანჯახ, როგორი ყალ-მაყალი აქვთ, კანკურენცია უწევენ ერთმანეთს და ყველა იძახის თუ მე გლავნი ვარ და სხვა ყველანი ბითურები არიანო; ღვინო ყველას ძაან უყვარს, დაითრობიან და ვანქის პევჩებივით სულ ერთათ აყაყანდებიან ხოლმე, დაიწყება მიწევ - მოწევა, დარტყმა, პასუდის მტვრევა და ტრაბახი.

იმათ ვინა ჩივის, მეც ბევრჯერ მამხვდა, ჰამაც ამ ხარებობა დღეს, ჩემ ცოლ სათინიკას ერთმა ახმახმა დიდი აბიდა აჰ:მა: ასმა — ეგ ძაან მეშჩანცკი დედაკაცი ჩანსო და მაგან პოეტებს ვერ გაიგებს, ლოტოს თამადათ უნდა იყოსო; ხოშმა მამიარა, რომ, ჩიხტი - კოპი გაუპენტოვეო და ეს დედაკაცი ნეჩაინათ ამიბუა! დიდი სპორი უყავი, ჰამა დამაშოშმინეს.

ამ ბოლო დროს კი ვიღაც პირდაუბანელი, ბეჟენცი შამამეჩვია, მებნება მე გენიალნი ვინმე ვარო, ჩერესჩურ ნიჭივრი ვარ და იმიტომ არ მაცვია, რომ ბოღემას ვაკეთეფო. მამიტანა რაღაც დაწერილი ტეტრატი, და მებნება — დაიგირავე და ავანსათ ოცი ჩერვენცი მამეციო.

— ვებნები — ახმახ, შენ თელეთისგნით შაშლილი ხომ არ ხარ? დაიგირაო, რომელი არამიანცის შენობა ეგ არის, ეს ტეტრატი დაუწერავი რომ იყოს, კიდევ ჰა, სალფეტკებათ ამოვხევდი, ან ნისიებს ჩავწერდი, ერთ კვარტ ღვინოში გამოგიბრიდი, მაგრამ, ეხლა რაში უნდა გამოვიყენო მეთქი?.

მეჩხუბა. შე სპეკულიანტო, ნიჰს აბიჟაიტი რათ უშერებიო, არ იცი, რომ აქ ბესმერტნი რამეები სწერიაო? სულ ნალივკის ბოთლიკები დამიმტვრია.

ერთის სიტყვით, დიდ ხათაში ჩავვარდნილვარ ამ ჰაკარაკ ხალხისგნით და არ ვიცი ახრიზამანი, რით გათავდება? ჰ:მაც ის შაჩვენებული გოგლუაც დაიკარგა, რომ სპორი უყო!

ამასწინათ, ვანქთან ცაცია გრიშუას შვილი იოსება ვნახე, გრიშაშვილს ეტყვიან, რომელიც რომ გლავნი პოვეტია რაღა, მებნება — ექვსი გირვანქა, გენიოსი მიყიდნია, იაფათ შამხვდაო; თანაც მირჩია თუ ფარსადანი ნახე, იმან ტარტაროზის სპეციალნი ნუმერში ჩაგდებსო და რამე გიშველებაო.

ეხლა, პაჟალსტა ფარსადანჯან, რაც რომ მარიფათი გაქვს, გამაიჩინე და ტარტაროზში პადრობნათ ჩამიგდე ჩემი ნათქომები.

**ფარსადან**

# ლამატორი



წავეპარე მე ყვავს,
დამასკინტა ცხვირზე,—
მაგრამ ლექსი მაინც
მე წარმოვსთქვი რიხით.

გადავძახე ყველას:
პაჟარი მაქვს თავში.
ლექსებს აღარ ვყიდი
მე ერკოპის ნიხრით.

პოეზიით უნდა
ეზიაროს ყველა...
ამ ლექს გიძღვნი მე თქვენ:
გლეხს, მის ცოლს და მის ვირს.

ვახ! რას ამბობთ თქვენა!
განა მე ვარ გიჟი?!
მაგრამ თქვენგან მე ეს
ამბავი არ მიკვირს.

ოკოწიალიო.



# ლექციაზე



**პროფესორი:** (პრაქტიკანტებს): აქ არაფერი არ არის გასაკვირი, რომ ამ კაცის ტვინის წონა ნახევარჯერ ნაკლებია ჩვეულებრივ ტვინზე. ცხადია: ეს ტვინი ეკუთვნის რომელიმე ჩვენი დროის პოეტს.

# „ეიბაძვა"

1

პირველად, როცა თავში ეშმაკი შეუძვრა და მოსვენებას არ აძლევდა მან მშვიდობიანი და პატიოსანი გზით სინჯა პოეტობის დაწყება...

მაგრამ საწადელს ვერ მიწვდა.

წაკითხული ჰქონდა ბიოგრაფიები: კრილოვის, ედგარ პოსი და ჯეკ ლონდონის...

2

— რა კაცი ხარ შენ, რომ ქუჩებში დებოშებს ახდენ და გამვლელებს შეურაცხყოფას აყენებ?—შეეკითხა მას წინა ოთახში თავის კაბინეტიდან გამოსული კომისარი.

— თქვენს მილიციონერებს ნება არა აქვთ, რომ მე დამატუსაღონ და ასეთი შეურაცხყოფა მომაყენონ!—

— თქვენ ვინ ბრძანდებით?—ირონიით შეეკითხა კვლავ კომისარი.

— როგორ თუ ვინ ვბრძანდები? ნუ თუ ვერ მიცნობთ? მაგრამ თქვენ რა გაგეგებათ პოეზიაში... მე **პოეტი** გახლავარ.

ყველას სიცილი წასკდა.

— თქვენი სახელი და გვარი?

— ჯეკ კრილოვის ძე მედგარი.

— როგორ?

— ყრუთათვის ორჯერ არ რეკენ.

— წაიყვანეთ და ჩააგდეთ საკანში.

— არა... ეს უკანონობაა... მე პოეტი ვარ...

— პოეტები მაგრე არ იქცევიან!

— ჰაი, ჰაი რომ ასე იქცევიან... მე იმათგან ვისწავლე ასეთი საქციელი.. განა თქვენ არ იცით, რომ პოეტი სულ სხვა კაცია? მერე რა ვუყოთ, რომ მე დამათრო ღვინომ! ღვინო პოეტს კი არა, ნორმალურ კაცსაც კი ათრობს... თქვენც რომ გადაჭარბებით დალიოთ, თქვენაც დაგათრობს. ყველა პოეტები ლოთები ვართ... განა თქვენ არ იცით ედგარ პო?!.

— თქვენ მისი გვარისკაცი კაცი უნდა იყოთ, როგორც თქვენი გვარიდან სჩანს!

— დიახ! მე მისი გვარი მივიღე, ხოლო ერთი ასო მივუმატე, ჩვენ— პოეტებს ამისი უფლება გვაქვს; ის იყო **ედგარ**, მე კი ვარ **მედგარი**. სიტყვა მედგარი ქართულია, ალბად იცით რასაცა ნიშნავს... ედგარი... მედგარი... აი ამაშიაც მთელი პოეზიაა... ეს მე აღმოვაჩინე... სახელი ჩემი არის ჯეკ. აი ის რომ იყო ჯეკ ლონდონი... თქვენ არ იცით იგი რა ბრადიაგა იყო, მაგრამ ამავე დროს უდიდესი მწერალი გახდა. იგი მუდამ მგზავრობდა და არასოდეს ბილეთი არ უყიდია... დიდი საქმეა მე ჩვენს ქალაქში ეტლით გავისეირნო და მეეტლეს ფული არ მივსცე? აბა?, გადახდევინონ ჯეკ ლონდონსაც ყველა იმ ბილეთების ფული, რომლებიც მას უნდა ეყიდა... მაგრამ აპრუწუწუნ, არ მიართვა... მერე რა, რომ ბაზარზე გავედი და ცოტა აყალ-მაყალი მომივიდა?! კრილოვი სულ ბაზარში დადიოდა, იქიდან ჰკრეფდა თავისი იგავ-არაკების სიუჟეტებს,—და დიდი საქმეა მეც რომ გავიდე ჩვენს დეზერტირკა და ამერიკანკაზე? თქვენ რა იცით, იქნებ მეც ამ მიზნით გავედი ბაზარზე, მით უმეტეს, რომ იქვე ახლოს სარდაფში დავთვერი. სიმთვრალის დროს პოეტი შემოქმედებით იწვის...

3

მალე მიიძინა.

და დილით გამოეღვიძა, როცა მზე უკვე ძალლოპზე გადმომდგარიყო.

— აბა, ეხლა სთქვი შენი ნამდვილი გვარი და სახელი? — ეკითხებოდა კომისარი მეორე დღეს დილის ათ საათზე საკანიდან სამორიგეო ოთახში მოყვანილ „პოეტს".

— კაკულია თავქართნიძე!—წაილუღლუღა თავჩაქინდრულმა „პოეტმა".

ჭინჭარი.

# მეგობრული შარჟი




— ვყიდი საკუთარ თავით დამზადებულ ყოველგვარლიტერატურულ ნაწარმოებს: ლექსებს, პოემებს, ოდებს, დრამებს, იუმორს, კრიტიკულ წერილებს და ნარევს... აქვე მიიღება დაკვეთა ყოველგვარ ნაწარმოებზე. შესრულება კეთილსინდისიერი და დროული. დაკვეთის დროს ღირებულების 150 პროცენტის გადახდა.

# პრაქსი

საქართველო ძველიდანვე აკვანი იყო მწერლობისა, ამიტომაც ვაცეცხლდი და ჩემ ტყავში ველარ ვეტეოდი. გადავწყვიტე დამეწერა წმინდა წყლის ქართული პიესა, რომელშიაც უნდა დამესურათებინა „წარსულის საშინელებანი“—(არა სახკინმრეწვის მიხედვით).

თქმა და ასრულება ერთი იყო. ავიღე ბატონ-ყმობის ხანა, ბატონის მტარვალობა და დავსწერე სამ მოქმედებიანი დრამა. რასაკვირველია, წერის დროს მოუწოდე აპალონს (წულაძეს კი არა, პოეზიის ღმერთს) და ავცოცდი პარნასზე (ე. ი. ცისფერში).

დრამა დასრულდა სამ დღეში. ვის უნდა წავუკითხო პირველად? რასაკვირველია ცოლშვილს და ოჯახის წევრებს.

ასეც მოვიქეცი, მოვუყარე მთელ ჯალაბობას თავი და დავიწყე კითხვა ისეთი ექსტიკულიაციით, რომ აკაკი ფალავას რომ დაენახე, სტუდიაში უგამოცდოთ მიმიღებდა პსიხოპატის როლების შესასრულებლად. კითხვის დროს ჩემი ცოლი ცრემლებს ღვრიდა; მოხუცი დედა ხრინწიანის ხმით სტიროდა, უფროსი ბიჭი (12 წლისა) იკორტავებდა და ბატონის მოსაკლავად იწევდა; პაწია ბავშვები მწარე ხმით გაჰკიოდნენ და ერთმანეთის თმებს გლეჯდნენ. ასე, რომ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემმა დრამამ.

— რომელ თეატრში უნდა დაიდგა მაგი? წაწყვეტნაწყვეტად შემეკითხა მეუღლე,—ქინაა მაგას რომ ჯაუდლებს!

— მაგი რომ თეატრში დადგან, ნენაკ; არავერ გამწარებულ ტირილში არ იქნება იმდენი მოურნელული—მიბობლა ცრემლაჩიმი და თვალებს იწმენდა.

—მეც დასაღუპველად დაესწრე—ამაყად მივუგე მე და თანაც ჩიბუხი გავაბოლე. ცეცხლის მოსაწოდებლად დაიძრა ყველა; უფროსი ბავშვი ცეცხლში ჩავარდა, ცოლმა ძლივ გამოათრია თმით. დავუსურათე ოჯახს, თუ როგორ გავითქვამ სახელს, რეჟისორები ერთმანეთს დაუწყობენ თმით თრევას ამ პიესის გამო. ჩერვონცები როგორ პაჭკობით გადმოვა ჩვენს ზანდუკში და შემდეგ თუ რა დიდ ადგილს მომცემენ.

ერთი სიტყვით შევედით სამოთხეში; იმ დღიდან შეიცვალა ჩემი მდგომარეობა. აღარ ისმის მეუღლის ბრძანება:—აბა მოიტანე წყალი, (უწინ კი ერთი დოქი მხარზე მედგა და მეორე ხელში მეჭირა): დააპე შეშა, წადი ბაზარში; დაჰგავე სახლი და სხვა. ეხლა ერთმანეთს ეცილებიან საქმეში. მერიდებიან...

ბოლოს მირჩიეს წავსულიყავი ქალაქში, იქ წამეკითხა ხელოვნების მესვეურთათვის.

დიდი ამბით გავემგზავრე, ჩაველი ქალაქში. ერთი კაცი არ გამოჩნდა, რომ შევემჩნიე, თუ რა გენიოსი ჩამოიყვანა მატარებელმა, მაგრამ გული გავიკეთე მით რომ.—მალე ვნახავ სახელმწიფო ტეატრში ქუდებს და პლატოკებს მესვრიდნენ—მეთქი.

გაუდექი გზას. მივედი ვისთანაც საჭირო იყო. დავუტოვე პიესა განსახილველად და ადრესის მიცემის შემდეგ, დავბრუნდი სახლში.

ჩემ იქ ყოფნაში ცოლმა ინდოურის კოსტიუმის დაკვეთა მიეცა იმ იმედით, რომ მე ფულებს მოვიტანდი.

მოვედი. პირველი შეკითხვა იყო, თუ რამდენი ავიღე და როცა შეიტყვეს, რომ განსახილველად მქონდა დატოვებული,—ეწყინათ, მაგრამ მაინც არ მისაყვედურეს.

გავიდა დრო და ერთ მშვენიერ დღეს მივიღე უკან ჩემი პიესა და ზედ დართული წერილი. რომელიც ამბობდა: უვარგისია.

ამის შემდეგ რაც მოხდებოდა. ყველა მიხვდებით.

ყველას გასაოცნებლად ვისაც ნიჭი არა აქვს და პოეტობას ცდილობს, ჩემისთანა დღე მოელის.

გოჩა.

# მოარული სენი

„ბევრი ჩვენი თანამგზავრი პოეტები სწერენ „რევოლიუციონურ“ ლექსებს მხოლოდ იმისათვის, რომ ჰონორარი მიიღონ. ონორარით ისინი ქეიფობენ სარდაფებში, სადაც, მათში „ღვიძებს ეროვნული გრძნობა“ და სვამენ „პატრიოტულ“ სადღეგრძელოებს“.

(დასაწერ წერილიდან)





რევოლუცია. ბარიკადები,
ძველის დანგრევა და აფეთქება,
ჩვენ გაგვიმართლდა გულისნადები.
ჩვენს დიდ ოქტომბერს დიდება, ქება.
თავისუფლებას მივსცემთ აზიას;
ჩვენ ჩვენს მიწა-წყალს არ ვაქირავებთ
ჩვენ კისერს მოვტეხთ ბურჟუაზიას
და ძველ სამყაროს ავაყირავებთ.
ჩვენი ბედისა ჩვენ ვართ მჭედელი,
აწი ჩვენია ცხოვრების გრდემლი.
მტრიდან ჩვენ გვფარავს ხიშტის კედელი,
ჩვენ ვიცინით და მათ სცვივათ ცრემლი.

ო, საქართველოვ, მიწავ თამარის,
წმინდა ნინოს და მარიამისა!
ქართველთ სახელი ეხლა სად არის,
მოწამენი ვართ ცუდი ჟამისა.
დღეს საქართველო ვერ საქართველობს,
მაგრამ „დრო მეფობს და მეფე არა“.
შენი ძენი ვსვამთ შენს სადღეგრძელოს,
მეტი რა გინდა? ეს ხომ კი კმარა!?
ჩვენ სევდას ვახრჩობთ კახურ ღვინოში
ისევე, როგორც იგი ჩვენ გვახრჩობს.
დროს ვკლავთ, სარდაფში, სამიკიტნოში,
მივირთმევთ: მწვანილს, საციებს და ხარჩოს.

## უურმოკრული

— გუშინ საღამოს მტკვრის პირად პოეტი ვნახე; მგონი მტკვარში გადავარდნას და თავის დახრჩობას აპირებდა.

— ტყვილა გგონია,—პოეტი მტკვარში მაშინ დაიხრჩობს თავს, თუ კი მტკვარი ღვინოთ გადაიქცევა.

— კი მაგრამ, ღვინო რომ პოეტებს აჴრჩობდეს, მაშინ ტფილისის რესტორან-სარდაფები სავსე იქნებოდა დამხრჩვალ პოეტთა გვამებით.

— ესეც მართალია!.. ისინი დახრჩობისაგან უზრუნველყოფილნი არიან!

— სრულებითაც არა; ისინი იხრჩობიან ლექსის წერის დროს რითმების და აზრების ძებნაში.

## მონათვლა

— ნეტავი რამდენი დაჯდება, რომ პოეტი ან მწერალი გავხდე?!

— ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენ პოეტს და მწერალს დაპატიჟებ რესტორანში... ყოველ შემთხვევაში მაგის შესახებ ჩაფურას მოელაპარაკები,—იმას უფრო დაწვრილებით ეცოდინება.

„ვიზიტი“.

# მეგობრისათვის თავგანწირვა



— რა ამბავია, რომ რეზინით სვამთ ბოჩკიდან ღვინოს?!

— ვერა ხედავ—ამხანაგი ჩაგვეხრჩო შიგ! ვცდილობთ რეზინით შევსვათ მთელი ღვინო და მით ამხანაგი დახრჩობისაგან გადავარჩინოთ.

# ვალერიო პომპეელის მსხვერპლი

ერთ-ერთ ჩვენს თანამედროვე პოეტის ლექსების სქელტანიან წიგნს ვკითხულობდი, როდესაც გარედან რაღაც ხმაურობა მომესმა.

აივანზე გამოვედი და ეზოში გადავიხედე. იქ რაღაც საშინელი ამბავი ხდებოდა.

მე საჩქაროდ შევირბინე ოთახში, ვისროლე რჩეულ ლექსების წიგნი ტახტზე, ვსტაცე სკამს ხელი და ისევ აივანზე გამოვარდი.

ის, რაც ეზოში ხდებოდა, ორმოცჯერ, თუ მეტჯერ არა, უფრო საინტერესო იყო, ვიდრე გამოფიტულ ლექსების კითხვა, რომლებშიდაც გაუგებარ და უადგილო ადგილას ნახმარ სიტყვების ისეთი კორიანტელი იდგა, როგორც მხრჩოლავი ბოლი იმერულ ქოხში ქარიან დღეს.

მე მოვნახე აივანზე ყველაზე უფრო მოხერხებული ადგილი (ადგილები ჯერ-ჯერობით დაუნომრავია), ჩამოვჯექი არხეინად სკამზე და მთელი ჩემი ყურადღება მივაპყრე ეზოს, სადაც მორიგი წარმოდგენა უკვე გახურებულ მსვლელობაში იყო.

აივნიდან მე დაწვრილებით ვხედავდი ყველაფერს. მე ვგრძნობდი თავს როგორც ბელეტაჟის ლოჟაში, რომელსაც კიდევ ის უპირატესობა ქონდა, რომ ორი კაპეიკიც არ მიღირდა დღე-ღამეში.

(ბინის ქირა აივნით 56 კაპ. თვეში).

პიესის სიუჟეტი მეტად მარტივი და ყველა მაყურებლისათვის გასაგები იყო. შეიძლება იმიტომ, რომ პიესა იყო ჩვენი ეზოს ხალხის გულიდან ამოხეთქილი კოლექტიური ნაწარმოები.

მეფურნის ცოლი უჩიოდა მეწაღის ცოლს, რომ მათი კატა მეფურნის ბინაზე ყოველგვარ ნებართვის გარეშე (მაგ. წიგნაკი მონადირეთა კავშირიდან) იჭერს თაგვებს და ულუკმაპუროდ სტოვებს მათ კატას, რომელიც ეს სამი დღეა რაც მშიერი დადის. ამაზე მეწაღის ცოლი სარკასტიული ღიმილით უპასუხებდა, რომ რა მისი ბრალია თუ მეპურეს კატა ყრუ და მჩხავანაა და საერთოდ კერძო საკუთრება კარგი ხანია, რაც გაუქმებულია.

ქალები ერთმანეთის გასაწეწად გაიწიენ. ვნებათა ღელვა გადასცდა ყოველგვარ საზღვარს და რაღაც დრამატიული რამ უნდა დატრიალებულიყო.

გაშველება ან მილიციელის დაძახება ჩემის მხრით ამ დროს იქნებოდა უდიდესი სისულელე, რადგანაც მაქვს თუ არა მე უფლება, როგორც თავისუფალ მოქალაქეს, რომელიც სინდისიერად იხდის ბინის ქირას, უფასოდ დავესწრო ჩვენს ეზოში გამართულ წარმოდგენებს და თავიც კი არ შევიწუხო ძირს ჩამოსვლისათვის?..

პიესის ფინალი ჯერ კიდევ შორს იყო, როდესაც ეზოში შემოიჭრა ვიღაც მოქალაქე, ამოვარდა კიბეზე და პირდაპირ ჩემს ოთახში შევარდა.

როდესაც მეც მასთან ერთად ოთახში შევიჭერი, უცნობი მოქალაქე დაჩოქილი იდგა ტახტთან და მევედრებოდა:

— ღვთის გულისათვის... მე არავისთვის არაფერი დამიშავებია... მიშველეთ... შემიფარეთ ცოტა ხნით!..

მე იგი წამოვაყენე და ტახტზე დავაჯინე, მაგრამ მოკრა თუ არა თვალი ტახტზე ლექსების წიგნს, გიჟივით წამოვარდა და კარებისაკენ გაექანა. მაგრამ არც მე ვიყავი პირდაღებული. მე უკვე კარებთან ვიდექი. დავავლე ვეფხის—ტყაოსანის ძვირფასს გამოცემას ხელი და ასე მივმართე ჩემს დაუპატიჟებელ სტუმარს.

— ადგილიდან არ დაიძრათ, თორემ თავს გაგიხეთქთ!.. და თუ ამ ოპერაციის შემდეგ კიდევ ცოცხალი დარჩებით, იძულებული ვიქნები მივმართო სასამართლოს და მოგთხოვოთ გაფუჭებულ წიგნის ანაზღაურება!.. ბოლოს და ბოლოს ნუ თუ თქვენ გგონიათ, რომ მე ასე ადვილად გაპატიებთ თქვენ აივნიდან ჩემს აქ შემოტყუი-

# თანამედროვე ცეზარი



## ანუ მიხეილ ჯავახიშვილი

# რომანი გამზირზე

მზიანი დღეა; აღარ ჰქრის ცივი ქარი. გამზირის ფილაქანზე მიდის ჩასკვნილი ქალი, გვერდზე მიჰყვება ვაჟი, მაღალი, წელ-წვრილი... შედის და გადის ქალის ყურებში ხმა ყმაწვილისა:

უკვე სამი თვე გადის,
რაც გაგიცანი მარი;
არ იქნა, ვერ შევაღე
მე შენი გულის კარი.

მიყვარხარ, გული ჩემი
დღე და ღამ ცეცხლში იწვის...
მომხედე, ამ ტანჯვაში
დამედო ფერი მიწის...

არ ვიცი, უშენობით
როგორ ვცოცხლობდი უწინ...
კენტი ხარ, მეც ვარ კენტი,
მოდი შევიქნეთ ლუწი...

მოგივლი ისე, როგორც
საკუთარ თვალის ჩინსა,
შენი გულისთვის ჩემო.
მტკვარში დავირჩობ თავსა.

გიყიდი ბრილიანტებს,
ლორიგანსა და კოტის,
ინდიგოს ძვირფას პალტოს,
კასტიუმს კოვერკოტის.

გატარებ მიუზიკ - ხოლში
კინოში. ოპერაში...
ვიქნები შენი მონა,
სახედარი და რაში...

ლებას?.. მე თქვენ დამაკარგვინეთ უმშვენიერესი სურათი, რომლის მსგავსი, ვინ იცის, როდის განმეორდება კიდევ ჩვენს ეზოში?!.

ალბად ჩემი მუქარა საკმაოდ დასაჯერებელი იყო, რომ მოქალაქე ისევ ტახტზე დაეშვა.

მე დავალევინე მას წყალი, დავამშვიდე, რომ აქ მას არავითარი საფრთხე არ მოელის, და როდესაც დაწყნარდა, თავისი ტრაღიკული ისტორია გულწრფელად გამიზიარა.

ეს იყო მოთხრობა უკვე სასოწარკვეთილებას მიცემული ადამიანისა, რომელსაც უკვე სხვა საშველი გზა აღარ დარჩენოდა, გარდა გზისა პსიხიატრულ საავადმყოფოსაკენ.

ამ კაცის შუბლი დაღარული იყო ღრმა ნაოჭებით. მისი თვალები რაღაც არაბუნებრივად კრთოდენ. მისი ხმა იყო სუსტი, როგორც კნუტის კნავილი. საერთოდ მისი შეხედულების ზერელე გაცნობაც კი საკმაო საბუთს იძლეოდა იმისას, რომ ჩემს წინ იყო კაცი, რომელსაც უკვე გაესწორებინა ყოველივე ანგარიში ამ ქვეყნიერებასთან.

— ნუ გაგიკვირდებათ,—დაიწყო მოქალაქემ თავისი ისტორია,—ჩემი ასეთი მდგომარეობა. სხვანაირი არც შეიძლება იყოს იგი. პოეზიამ არ იცის შებრალება. პოეტები კი ყველაზე უფრო შეუბრალებელი ხალხია დედამიწის ზურგზე...

—ჩემის აზრით, ყველა მწერლები და პოეტები იყოფიან ორ არათანაბარ ბანაკად. პირველის, უმცირესს ბანაკს ეკუთვნიან ისეთები, რომლებიც საფლავის კარამდის ეჭვ'ში არიან თავიანთ ნიჭის შესახებ. ესენი ყველაზე უფრო უწყინარი ხალხია ქვეყანაზე. თქვენ შეგიძლიათ პირში აგინოთ მათი საუკეთესო ნაწარმოები, გაასწოროთ იგი მიწასთან, და მათ ავტორებისაგან თქვენ დაიმსახურებთ მხოლოდ პატივცემას და სიყვარულს, რადგან თქვენ ერთად-ერთი კაცი ხართ, რომელმაც არ დაერიდეთ პირში სიმართლის თქმას. ასეთ მწერლების ნორმალურ ადამიანებად გადაქცევა სულ ადვილი საქმეა, საჭიროა მხოლოდ რამოდენიმეჯერ გაუმეოროთ ზემოთ მოყვანილი საშუალება და ისინი სამუდამოდ მიატოვებენ წერას.

ასეთ მწერლების რიცხვი შეადგენს სულ 5 % მწერლების მთელ რიცხვთან შედარებით.

სულ სხვაა მეორე ბანაკი. ამ ბანაკიდან მწერალი თუ პოეტი დაბადებიდანვე დარწმუნებულია თავის გენიოსობაში. რაც უფრო მეტ ლანძღავთ თქვენ მას, მით უფრო რწმუნდება ის ამაში. მისი მოღვაწეობის შეჩერება მხოლოდ ქების შესხმით თუ შეიძლება. დარწმუნებული იმაში, რომ მისი გენიოსობა უკვე უზრუნველყოფილია,—იგი წელიწადში ერთხელ თუ დასწერს ერთს პატარა ლექსს, ან და მინიატურულ მოთხრობას, რომ შემდეგ გულდამშვიდებით მოისვენოს მომავალ წლამდე.

მაგრამ ეს ქებაც უნდა ხდებოდეს მოხერხებულად, მოხერხებულ დროს, თორემ შესაძლებელია, რომ სულ სხვა შედეგს მიაღწიოთ.

სწორედ ამ ბანაკის მირონი ეცხო ერთს ჩემს ნაცნობს, ვალიკო პამპულაძეს, დღეს უკვე ვალერიო პომპეელს.

გავიცანი მე იგი ერთ წყეულ საღამოს თეატრში. (რატომ ფეხი არ მოტყდა მაშინ მთავარ როლის შემსრულებელ მსახიობს, რომ წარმოდგენა გადადებულიყო).

იგი წარმოსადგენი ვაჟკაცი იყო. გრძელი თმა ფაფარივით ქონდა გადაყრილი უკან. კეთილშობილი პროფილი მაგრძნობინებდა, თუ რა მშვენიერ პროფილის შექმნა შეუძლია პოეტის კეთილშობილ სისხლს. მისი კოსტიუმი და ყელსახვევი უნაკლო იყო.

ნუ ფიქრობ ჯამაგირი
თუ არ გვეყოფა მარი,
ჩემს მაგიდიდან კასა
სულ სამ ნაბიჯზე არის.

მიკალ, ავიღებ ცოტას,
არ შემეცვლება ფერი.
მტრის და ორგულის ჯიბრზე
ვიქნებით ბედნიერი...

ქალმა მოუსმინა ყმაწვილს, ჩაიცინა ტუჩებში და ასე უპასუხა მას:

— უბედურო, შენ რომ ყველაფერი ეს პროზით გეთქვა, კიდევ დავიჯერებდი, მაგრამ ლექსით სიმართლე ვის უთქვამს. შემდეგ დაუქნია ხელი „მერსედესში" გაჭიმულ ქილაც ტუზს, მკვირცლად შეხტა შეჩერებულ ავტომობილში ად მაგრად მიეკრა გვერდზე ზემოდ აღნიშნულ ტუზს.

ყმაწვილმა ჯერ მხიარულად გაიღიმა, მაგრამ როდესაც ავტომობილი თვალთაგან მიიმალა, შემოიკრა თავში ხელი და წამოიძახა:

— ვაი, დალუპულო თავო. რომ მცოდნოდა, მარი ჩემს უფროსს ეარშიყებოდა, მაშინ ხომ შეეძლო პროტექცია გაეკეთებინა ჩემთვის და შეკვეცისაგან გადავერჩინე.

სინ-ტო.

# „ავანსობია"



— ნიკოლო, თუ კაცი ხარ ორმოცდაათი მანეთი გამომიწერე ავანსათ ლექსის ანგარიშში.

— რომელ ლექსში? სად არის შენი ლექსი?

— ნუ თუ ამ ოხერ თავში ერთი ლექსი აღარ მოვა? გამომიწერე და ოდესმე კი დავწერ.

შევნიშნე, რომ წარმოდგენის დროს ჩემი ნაცნობი ხშირად გააქნევდა ხოლმე თავს, გადაივლებდა თმაზე ხელს, გადახედავდა მეზობელ ქალს და უბის წიგნში რაღაცას ჩანიშნავდა.

ცხადზე ცხადია, ჩემი ნაცნობი რეცენზენტი იყო. წარმოდგენის გათავების შემდეგ გამოირკვა, რომ ჩვენი გზა შინისკენ თითქმის ერთია.

ერთ-ერთ მოსახვევთან ის იყო ერთმანეთს უნდა დავშორებულიყავით, როდესაც ჩემმა ნაცნობმა ამოიღო ჯიბიდან უბის წიგნი, ამოხია ერთი ფურცელი და გადმომცა. მე ძლიერ მაინტერესებდა გამეგო წინდაწინ რეცენზენტის აზრი, რომელიც ალბად პრესაშიც იქნება გამოქვეყნებული.

მე გულის ფანცქალით დავაკვირდი ნაწერს და თითქმის ხმა მაღლა წავიკითხე:

## სივილლა

**(სახსოვრათ უცნობ ქალს, რომელიც ჩემს გვერდით იჯდა თეატრში)**

**ფარდა იხდება შენ ირინდები**
**მაშინ მე შენი მზერა უფრო მინდება**
**გიტაცებს სცენის ჰალა-მინდვრები**
**როცა სცენაზე დაიბინდება**
**რა ლამაზი ხარ. ოცნებებისთვის**
**მე ვიხმარე მიწა კირი და სილა**
**ო მე არ ვიცი შენი ნათლიის სახელი**
**მაგრამ გერქმევა ალბად სივილლა.**

ვალერიო პომპეელი.

სანამ ამ ლექსს წავიკითხავდი, მე მეგონა, რომ უძველი ენის პატრონი ვიყავი, მაგრამ ლექსის წაკითხვის შემდეგ სავსებით დავრწმუნდი, რომ ჩემი ენა მთლად თუ არა, ნახევარი მაინც ძველი უნდა ყოფილიყო.

ნაცნობმა პაპიროსი მომაწოდა და მოწიწებით შემეკითხა:

— როგორ მოგწონთ?.. მშვენიერია, არა?

(რა თქმა უნდა ლექსის შესახებ და არა პაპიროსის).

ვინ იფიქრებდა, რომ მაშინდელ ერთად აღებული ერთი ცალი პაპიროსი სიცოცხლის ფასად დამიჯდებოდა შემდეგში.

თავაზიანობა მოითხოვდა თავაზიან პასუხს.

— მართლაც, რომ მშვენიერია... განსაკუთრებით გამართულია რითმები. ასონანსები და დისონანსები ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, თითქოს ერთის მხრით წარმტაც მუსიკალურ ხაწარმოებს უსმენთ, და მეორეს მხრით, თითქოს ვილაც მაგრად გირახუნებდესთ თავში. წარუშლელი შთაბეჭდილებაა...

ჩემი ნაცნობი სიხარულისაგან თრთოდა. მან საჩქაროდ გამომართვა ლექსი და გამომშვიდობებაც კი დაავიწყდა ისე გაქუსლა შინისკენ.

მე არ ვარ კაცობრიობის მოძულე, მაგრამ ისეთ გრძნობებს განვიცდი, თითქოს უდიდესი ბოროტება მოვაყენე კაცობრიობას.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ მე აღარ მღირსებია დაუმტკბარიყავი ცხოვრებით. ჩემი დღეები მოწამლა ვალერიო პომპეელის პოეზიამ.

მეორე დღეს იგი თურმე ქუჩაში მელოდებოდა. დამინახა თუ არა, მომვარდა და თავის ბინაზე წამათრია.

მე არ მახსოვს რამდენი ხანი დავრჩი მასთან. თუ საათს დავუჯერებთ—სამი საათი, თუ გრძნობებს—სამასი წელიწადი.

გამოვედი მე იქიდან მთვრალი, თუმცა ჩემს პირს არ მიკარებია ალკოჰოლიან სასმელის ერთი წვეთიც.

ასე მეორდებოდა თითქმის ყოველ დღე. ფრთებ შესხმული ჩემი ნაცნობი სწერდა ყოველთვის და ყოველ შემთხვევის გამო.

მე უკვე სამსახურში იშვიათად დავდიოდი. ბოლოს რამდენიმე გაფრთხილების შემდეგ დამითხოვეს ქუდეც, როგორც გაუსწორებელი ლოთი.

მაშინ მე გადავწყვიტე შური ძიება.

ეს იყო იმ დროს, როდესაც ხაჭოს სინათლემ პირველად გაანათა რუსთველის პროსპექტი.

რა თქმა უნდა, ჩემს ნაცნობს უკვე მზად ქონდა მომენტის შესაფერისი ლექსი- თაბახის გრძელ ქაღალდზე დაწერილი.

# ექიმთან



ექიმი: თქვენი პროფესია?

ავადმყოფი: მე პოეტი გახლავარ.

ექიმი: აჰა, ეხლა მივხვდი... ნუ გეშინია... რადგან თქვენ პოეტი ყოფილხართ და არა ნორმალური ადამიანი,— ეს ავადმყოფობა განუკურნელია. მაღალი სიცხე და შეშლილობა ბუნებრივობაა თქვენთვის. თქვენი განკურნება მხოლოდ იმით შეიძლება, თუ ლექსების წერას დაეთხოვებით და ტვინს მოასვენებთ; სხვა საშუალება და წამალი არ არსებობს...

---

იგი მზად იყო, პირდაპირ ქუჩაში წაეკითხა ჩემთვის თავისი ნამუშევარი. მე ძლივს შევაჩერე იგი.

— სსუუ!.. არ გაგიწყრეს ღმერთი... პროკლამაცია ეგონებათ და დაგვიჭერენ!..

ალექსანდრეს ბაღისაკენ ჩავუხვიეთ.

პუშკინის ბიბლიოთეკასთან იგი ჩამოჯდა მოაჯირის ქვაზე და ელოდა ნიშანს, რომ ლექსის კითხვას შედგომოდა. გარშემო სიბნელე იყო, მაგრამ რათ უნდოდა ვალერიო პომპეელს სინათლე, როდესაც თავისი ლექსი ისედაც მშვენივრად იცოდა ზეპირად.

მე არ მეჩქარებოდა. მე ვეძებდი მოზრდილ ქვას და ვიპოვე კიდეც. საჭირო იყო ამ ქვის ერთი დარტყმა და ჩემთვის ტკბილი გახდებოდა კვლავ ეს ცხოვრება.

მე უკვე მოვიმარჯვე ქვა, მაგრამ შევხედე თუ არა ჩემს სულთამხუთავს, ვიგრძენი, რომ ჩემთვის საშველი აღარ იყო. ისე გულუბრყვილოდ და ნდობით მომჩერებოდა მე, რომ ქვა მიწაზე დამივარდა. ჩემს წინ იჯდა პოეზიის წმინდანი და განა შემწევდა მე ძალა სამოთხეში გადამეგზავნა იგი?..

ამის შემდეგ ჩემი დღეები ნამდვილ კოშმარად გარდაიქცენ. ჩემი სულთამხუთავი ჩრდილივით დამდევდა უკან და მოითხოვდა მისი ლექსების მოსმენას.

ეს ორი დღეა ნაცნობ-ნათესავებში ვიმალები. წელან სწორედ თქვენს ქუჩაზე მომკრა თვალი და ჩემსკენ გამოექანა, და რომ არ შემოვარდნილიყავი აქ, არ ვიცი რა მოხდებოდა...

მე... მე საკუთარ ლექსებით ამოუვსებდი მას პირს, რომ არ ეყვირა, და შემდეგ სიამოვნებით წავუჭერდი ყელში ხელს!.

ასე დაასრულა ჩემმა სტუმარმა თავისი მართლაც რომ ტრაგიკული ამბავი. იგი ძლივს სუნთქავდა. მე კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ეს კაცი აღარ იყო ამ ქვეყნის მცხოვრები. მაგრამ მე ვცდილობდი, როგორმე მენუგეშებია იგი.

— ნუ დაღონდებით... ასე როგორ უნდა გატეხოს დარბაისელი კაცი ვიღაც ვალერიო პომპეელის ლექსებმა. ბოლოს და ბოლოს, სწორად რომ მივუდგეთ საკითხს, თქვენი უბედურება მდგომარეობდა იმაში, რომ გიხდებოდათ უნიჭო და საძაგელი ლექსების მოსმენა... არა?..

— თქვენ არ დაიჯერებთ... მე მყავდა ერთი ანგელოზივით მშვენიერი ძაღლი, სახელად ჟულიკა, და ვალერიოს დეკლამაციამ შეარყია იგი ჭკუაზე. გახელებული, მილიციელმა გამოასალმა იგი წუთისოფელს ქუჩაში.

— დიახ... ეს რას ნიშნავს უნიჭო ლექსი. მაგრამ სულ სხვაა, როდესაც თქვენ უსმენთ ნიჭიერად დაწერილ ლექსს. კარგი ლექსის გარმონია და შინაგანი ცეცხლი ამშვიდებს ნერვებს და თითქოს ნირვანში შეყავხართ.

ნიჭიერად დაწერილი ლექსი ეს მუსიკაა...

სიმფონია, რომელიც კვნესის თქვენს გულში და ნაზად მიგაქროლებსთ აქაფებულ ზღვის ტალღებზე.

ამ ლაპარაკით მე ერთი წუთით მივატოვე ჩემი სტუმარი და კალათიდან ხელთნაწერი რვეული ამოვაძვრე. სტუმარი გაშტერებული მომჩერებოდა.

— თქვენ არ იცით, რა არის კარგი ლექსი.

განვაგრძე მე. დაღლილ სულისათვის ის წამალია გამაცოცხლებელი. აბა დამიგდეთ ყური!..

მე ყოველ შემთხვევისათვის დავდექი კარებთან, გადავუმალე რვეული და შევუდექი კითხვას.

ვკითხულობდი მე გატაცებით და არაჩვეულებრივ ტემპერამენტით. მე ვიცოდი, რომ ჩემს წინაშე საუკეთესო მსმენელი იყო. ვის არ იცის, რომ გენიალური ნაწარმოები დროის გარეშეა, ამიტომ მეც არავითარ ყურადღებას არ ვაქცევდი დროს, პირიქით, განგებ ვაჭიანურებდი კიდეც კითხვას, როდესაც კითხვას მოვრჩი და აღფრთოვანებულ სახით ჩემს მსმენელს შევხედე, იგი უკვე მკვდარი ეგდო იატაკზე...

ასე დაწვრილმანდა დღეს ხალხი. ლექსების ერთ რვეულის მოსმენასაც კი ველარ უძლებს...

**ხინემატო.**

---

კონკურსი № 3-ის შედეგები
გამოცხადებული იქნება
„ტარტაროზი"-ს
შემდეგ ნომერში

# გ ა ლ ა მ ა ლ ი ა



შოთა (ჰყვირის): მილიციონეეეერ!!!

ალმასკომის სტამბა, კამოს ქუჩა № 68.